

მეცნე

---

---

ენისა და  
ლიტერატურის  
სერია

4.1971

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია  
საზოგადოებრივ მეცნიერებათა  
განყოფილება

---

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР  
Отделение общественных  
наук

თბილისი • 1971 • ТБИЛИСИ



# МАЦНЕ

ВЕСТНИК

Серия  
яЗыка и  
литературы

4.1971

# მაცნე



ენისა და  
ლიტერატურის  
სერია

4.1971



ს ა რ ე ლ ა ჭ ო ნ ო კ ო ლ ე გ ი ა: ალ. ბარამიძე (რედაქტორი),  
ალ. გვახარია (პლენი), ქ. ლომთათიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი,  
შ. ძიძიგური (რედაქტორის მოადგილე), გ. წერეთელი

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: Барамидзе А. Г. (редактор),  
Гвахариа А. А. (секретарь), Дзидзигური Ш. В. (заместитель редактора),  
Ломтатидзе К. В., Метрели Е. П., Цайшвили С. С., Церетели Г. В.

პასუხისმგებელი პლენი გ. გლონტი  
Ответственный секретарь Г. А. Глonti

---

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19  
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, № 19  
ტელეფონი 37-24-07

---

ხელმოწერილია დასაბეჭდად 27.XII.71; შეკვ. № 2300; ანაწეობის ზომა 7×11<sup>1</sup>/<sub>2</sub>;  
ქაღალდის ზომა 7×108<sup>1</sup>/<sub>16</sub>; ნაბეჭდი თაბახი 16,8; საარჩევნო-საგამომცემლო  
თაბახი 14,92; უე 01454; ტირაჟი 1 500.  
ფასი 1 მან.

\*  
გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

\*  
საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

## შ ი ნ ა ა რ ს ი

### წერილები

ო. გიორგაძე, „ოთარაანთ ქერივის“ მთავარი პრობლემის შესახებ	7
რ. ფირცხალაიშვილი, რუსთველური ეპითეტის ზოგიერთი საკითხი	21
ნ. ორლოვსკაია, რუსთაველი ინგლისში	33
რ. მირიანაშვილი, „ალექსანდრიანის“ არჩილისეული თარგმანი	45
ნ. გომეზაძე, სეთი — მრავალთავის ერთ-ერთი მთარგმნელი	57
მ. შინჯიაშვილი, ათანასი ალექსანდრიელის „ანტონის ცხოვრება“	67
ე. დონანაშვილი, ქართული ბიბლიის „ისო ნავეს წიგნის“ ბერძნულში	81
ბ. ანუბა, კამათი ნართული ეპოსის პირველადი ბირთვის წარმოშობის თაობაზე	95
ე. მებრძოლიძე, ლიხვის ხეობის წარწერები და სხვა სიძველენი, XIII	93
თ. შთურბანიძე, ქარმონიულ კომპლექსთა დიაქრონიული ინტერპრეტაციისათვის ქართულში	111
თ. ჭაჭავაძე, განსაზღვრების ადგილისათვის ძველი სპარსული ენის წინადადებაში	126
ბ. თუშვალისკვილი, გარდაბნულ აზერბაიჯანელთა მეტყველების ზოგიერთი ლექსიკური, ფონეტიკური და მორფოლოგიური თავისებურება	139
ე. გელაშვილი, მახვილის ზოგიერთი საკითხის შესახებ ინგლისურ და ქართულ ენებში	149
ნ. მახარაძე, ბერძნული ენის ისტორიის შესწავლისათვის	167

### ცნობები და შენიშვნები

ბ. შაყულაშვილი, საიათნოვას ქართულ ლექსთა ორი სტროფის განმარტებისათვის	180
---	-----

### პუბლიკაცია

კ. კეკელიძის მოხსენებითი ბარათი ძველი ქართული ხელნაწერების აღმრუნების შესახებ (პუბლიკაცია ვ. კაკიაშვილისა)	183
--	-----

### პრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ნ. ჰანაშია, „თანამედროვე თათრული სალიტერატურო ენა“, 1969	187
--	-----

ალექსანდრე გამყარაძე (ნეკროლოგი)	191
----------------------------------	-----

## СОДЕРЖАНИЕ

### СТАТЬИ

О. ГЕОРГАДЗЕ, О главной проблеме «Отаровой вдовы»	7
Е. ПИРЦХАЛАИШВИЛИ, Некоторые вопросы эпитета Руставели	21
Н. ОРЛОВСКАЯ, Руставели в Англии	33
Р. МИРИАНАШВИЛИ, «Александриади» в переводе Арчила	45
Н. ГОГУАДЗЕ, Сет — один из переводчиков грузинского многоглава	57
М. ШИНДЖИАШВИЛИ, «Житие Антония» Афанасия Александрийского	67
Е. ДОЧАНАШВИЛИ, Гречизмы в «Книге Иисуса Навина» грузинской версии Ветхого Завета	81
А. АНШБА, К спорам о происхождении первоначального ядра Нартского эпоса	85
И. МЕГРЕЛИДЗЕ, Надписи и другие древности Лиахвского ущелья	93
Ф. УТУРГАИДЗЕ, К диахронической интерпретации гармонических комплексов согласных в грузинском языке	111
Т. ЧАВЧАВАДЗЕ, О месте определения в предложении древнеперсидского языка	126
Г. ТУШМАЛИШВИЛИ, Некоторые лексические, фонетические и морфологические особенности говора гардабанских азербайджанцев	139
Э. ГЕЛАШВИЛИ, О некоторых вопросах ударения в английском и грузинском языках	149
Н. МАХАРАДЗЕ, К изучению истории греческого языка	167

### СООБЩЕНИЯ И ЗАМЕТКИ

Г. ШАКУЛАШВИЛИ, К толкованию двух строф из грузинских стихов Саят-Нова	180
--	-----

### ПУБЛИКАЦИЯ

Дошедшая записка К. Кекелидзе во возврате древних грузинских рукописей (публикация Г. Какиашвили)	182
---	-----

### КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

Н. ДЖАНАШИА — «Современный татарский литературный язык», 1969	187
АЛЕКСАНДР ГАМКРЕЛИДЗЕ (Некролог)	191

ო. ზიორაძე

„ოთარაანთ ქვრივის“ მთავარი პრობლემის შესახებ

სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვაგვარი შეხედულება არსებობს: იმის შესახებ, თუ რისი გამოხატვა სურდა მწერალს „ოთარაანთ ქვრივში“.

მკვლევართა დიდი უმრავლესობის აზრით, დასახელებულ მოთხრობაში დასმულია წოდებათა ურთიერთობის საკითხი, თავადსა და გლეხს შორის არსებული გაუგებრობის, „ხილჩატეხილობის“ პრობლემა. როდესაც მოქმედ პირებზე აქვთ მსჯელობა, ზოგიერთი ოთარაანთ ქვრივს სხვა იდეური ხაზის წარმომადგენლად მიიჩნევს, ხოლო გიორგის, არჩილსა და კესოს კი — სულ სხვა იდეისად. უპირატესობას ამ უკანასკნელთ აძლევენ. ისინი ფიქრობენ: ქვრივი მეორეხარისხიანი გმირია, მოთხრობის ძირითად შინაარსთან, სიუჟეტურ ქარგასთან ხელოვნურად დაკავშირებული, და უკვირთ, რატომ ჰქვია თხზულებას მისი სახელი.

ჩვენი აზრით, თუ „ოთარაანთ ქვრივის“ მთავარ პრობლემატურ საკითხად ვცნობთ თავადისა და გლეხის დამოკიდებულებას ბატონყმობის გაუქმების შემდეგ, მაშინ, მართლაც, უნდა დაისვას კითხვა: რატომ ეწოდება მოთხრობას ქვრივის სახელი? სხვანაირად შეუძლებელია, რადგანაც ოთარაანთ ქვრივს თითქმის არაფერი აქვს საერთო „ჩატეხილი ხიდის“ პრობლემასთან.

ჩვენ აღნიშნული ნაწარმოების შესახებ არსებული შეხედულებებიდან გამომდინარე სხვა კითხვებიც გვიანტქერესებს, კერძოდ შემდეგი: მოთხრობაში მართლაც „დაუპატივებელი სტუმარია“ ოთარაანთ ქვრივი? თხზულების „კვანძსა და დასაყრდენ წერტილს“ ნუთუ მართო გიორგი წარმოადგენს? ის არის უმთავრესი გმირი? ანდა „ოთარაანთ ქვრივის“ ძირითადი შინაარსი მხოლოდ მე-19—20 თავებშია „ჩამარხული“? მართლა აქ ხდება „ნაწარმოების მთავარი მომენტისა და მისი განვითარების კვანძის გახსნა“? ილიას მსოფლმხედველობის „ძირითადი გამოსავალი პუნქტი“ ნუთუ აქ არის? „ოთარაანთ ქვრივის“, ამ ერთ-ერთი უძლიერესი ბელეტრისტული ნაწარმოების, სიღიამდე მხოლოდ „ხილჩატეხილობის“ პრობლემის გადაწყვეტით განისაზღვრება? დავიჭერით, რომ თავის უკანასკნელ დიდ მხატვრულ ტილოზე ილ. ჭავჭავაძემ ყველასათვის აღვილად დასანახი თავადსა და გლეხს შორის არსებული წინააღმდეგობის მეტი ვერაფერი დახატა? ამით დაესვა წერტილი მის უბრწყინვალეს ფანტაზიასა და მალალშემოქმედებითს ნიქს?

ამ კითხვებზე პასუხისათვის საჭიროდ მიგვაჩნია, პირველ რიგში, შეეჩერდეთ იმაზე, თუ როგორ ვითარდება მოქმედება მოთხრობაში, გმირთა რო-

გორ ხასიათებთან გვაქვს საქმე და რომელ მათგანს რა ადგილი უჭირავს თხზულებების მთავარი პრობლემატიკის განვითარებაში.

შემთხვევითი არ არის, რომ ილ. ჰავეკავაძე თავისი მოთხრობის მთავარი გმირის საცხოვრისად ერთ-ერთ ნებისმიერ სოფელს „წაბლიანს“ ასახელებს. ამით მას სურს, გვიჩვენოს, რომ ოთარაანთ ქვრივი რომელიმე კონკრეტული ეთნიკური ერთეულის მკვიდრი კი არ არის, არამედ საერთოდ სოფლის მცხოვრებია, გლეხი ქალი, ქართული ცხოვრების წიაღში დაბადებული, რომელსაც თავისი განსაკუთრებული თვისებების გამო ყველა იცნობს.

ილია საქიროდ თვლის მკითხველს პირველად გააცნოს მთავარი პერსონაჟის ხასიათი, წარმოდგენა მისცეს მის განსაკუთრებულ პიროვნებაზე.

ქვრივის ხასიათის რომელ ნიშანს ეხება პირველად მწერალი? ილია თავიდანვე აყენებს ყურადღების ცენტრში ოთარაანთ ქვრივის სიმართლისმოყვარეობას, შეუპოვრობასა და ნებისყოფის სიმტკიცეს.

საესებით გასაგებია, თუ მწერალი აქედან რატომ იწყებს მოთხრობის ცენტრალურ გმირზე ლაპარაკს. მას ამით სურს, დაანახოს მკითხველს, რომ ქვრივი სამართლიანი დედაკაცია და, რაკი სამართლიანია, უშიშარიცაა. ეს კი განაპირობებს იმას, რომ ის თავისუფალია, ვერავინ ვერ ბატონობს მასზე, სხვისი კარნახით არაფერს აკეთებს; თავისი თავი მას ეკუთვნის და ისე იქცევა, როგორც მისი პიროვნება, „მე“ უკარნახებს. ცხადია, სადაც არ არის ადამიანთა ნებისმიერი, თავისუფალი მოქმედების საშუალება, იქ არ არის ნორმალური საზოგადოებრივი ცხოვრების პირობები. და რადგანაც ილია, ჩვენი აზრით, ოთარაანთ ქვრივის სახით ზნესრულ ადამიანს, საკაცობრიო ტიპს ქმნის, არ შეიძლება იმისი ხასიათის სრულყოფა თავისუფლების გარეშე. მართალია, კლასობრივ საზოგადოებაში ძნელია პიროვნების თავისუფლებაზე ლაპარაკი, მაგრამ ოთარაანთ ქვრივის სილიადე, ვითარცა რჩეული ადამიანისა, სწორედ იმაშია, რომ მან შეიქმნა, მოიპოვა ეს თავისუფლება. ნაწარმოების მთელ სივრცეზე ჩანს, რომ იგი ფსიქოლოგიურადაც (აზრით, გრძნობით, ნებელობით) შემზადებულია კეთილი და სამართლიანი საქმეების შესასრულებლად და ეკონომიური მდგომარეობაც ხელს უწყობს, იყოს სამაგალითო ადამიანი, ყოველთვის გააჩნდეს ზნეობრივი მოვალეობის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობა — სპეტაკი სინდისი.

ამიტომ არის, რომ იმდროინდელი სოფლის მკვიდრთ უკვირთ ასეთი პიროვნება. კიდევ მეტი: ბევრს ეშინია და ერიდება კიდევ მისი. ნაცვალსა და მამასახლისს რომ თავი დავანებოთ, გლეხობასაც კი იპყრობს ხშირად ასეთი გრძნობა.

ისმება კითხვა: რატომ ხდება ეს ასე: ჩვენი აზრით, ამას იმიტომ აქვს ადგილი, რომ ოთარაანთ ქვრივი მის ირგვლივ მოფუსფუსე გლეხობისაგან ბევრი ნიშნის მიხედვით განსხვავებული პიროვნებაა, მისი ხასიათი ჯერ კიდევ თითქმის უცხოა, ყოველ შემთხვევაში — ბევრისთვის მაინც. მონურ შრომასა და მორჩილებას შეჩვეული გლეხკაცობის დიდი ნაწილის განუვითარებელი გონების თვალს უძლურია, საფუძვლიანად შეაფასოს ოთარაანთ ქვრივის ასეთი ქცევის როგორც სუბიექტური მომენტი, ასევე მისი შედეგი — ობიექტური მხარე, რომლის დანახვა უფრო ადვილია მისი ზორცხმულობის, სახისმქონობის გამო. ე. ი. ქვრივის ფსიქოლოგიას, მის ხასიათს, მის მშვენიერი მორალური კოდექსის არსს ვერ სწვდებიან ისინი. მათ ეუცხოვებათ

თავიანთ მოძმეში ასეთი შეუპოვარი სულის არსებობა. და აი, ეს თითქმის შეუცნობლობა სოფლის მხრივ ოთარანთ ქვრივისა არის საფუძველი იმისა, რის შესახებაც მწერალი ამბობს: „კაცი ვერ იტყვის, სძულდათ, თუ უყვარდათ ოთარანთ ქვრივი სოფელშიო“.

გრძნობდა თუ არა ყოველივე ამას ოთარანთ ქვრივი? ცხადია, გრძნობდა, მაგრამ „ბევრს არ ჰნაღვლობდა, რომ ასე ეკრძალებიან, ერიდებიან და უფრთხიან ყველანი“.

რატომ არ ნაღვლობდა? ხომ არ არის ის ინდივიდუალისტი, საკუთარ თავში ჩაკეტილი ეგოისტი, რომელსაც არაფრად მიაჩნდა ხალხის ხმა, ხალხის აზრი და ხალხთან სიახლოვე? უმრავლესობა თუ ეკრძალების და უფრთხის ოთარანთ ქვრივს, სად უნდა ვეძიოთ მისი სიმართლე, კეთილშობილება, სოციალური ტკივილებით დაინტერესება და იმით გამოწვეული შფოთიანი, მოუსვენარი განწყობილება? ნუთუ არ აფიქრებს ეს მას და მართლა არ წუხს ამის გამო?

რა თქმა უნდა, ქვრივი ხალხის მცდარი შეხედულებების გამო არ იტყივებს თავს, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ იგი განდევნილია, ეგოისტია.

მის მიმართ გამომკვლავებულ შიშსა და მორიდებაში ქვრივი თავის მოძმეთა სისუსტეს, ქალაჩუნობას, მიუხვედრელობას ხედავს. მისი აზრით, ისინი არ დგანან ჭეროვან სიმაღლეზე და ხშირად ზოგი რამ ეშლებათ. რომ ასე არ იყოს, აბა, რატომ უნდა ეშინოდეთ ჩემიო, — ამბობდა ის. „რა ბაყ-ბაყ-დევი მე მნახესო! მე მარტო ისა ვარ, რომ ჩემს ჭავრს არავის შევარჩენ, ტყუილ-უბრალოდ არავის დავეჩავკრინები, თუ გაჭირდა, რკინის ქალამნებს ჩავიცვამ, რკინის ჭოხს ავიღებ ხელში და ხელმწიფემდინ ვივლიო“.

აი, ეს პრინციპულობა, სიმტკიცე, სამართლიანობა და მისი ძიების წყურვილი აკლია, ქვრივის აზრით, ხალხს და არც გრძნობს მისი საჭიროების აუცილებლობას. და თუ სხვაში (ერთეულებში) დაინახა იგი, რატომღაც ეუცხოვება, უყვირს, ეჩოთირება კიდევ. ამიტომ არის, ამათ შენიშვნებს ოთარანთ ქვრივი არ თვლის ღირსად ყურადღებისა და მტკიცე ნაბიჯით მიემართება ცხოვრების ნარეკლიან გზაზე. ამით ილ. ქავჭავაძემ არა მარტო მაღალ წოდებას ამცნო, როგორც უნდა იყოს ქვეშაირი ადამიანი, არამედ გლენობასაც საფუძვლიანად მიუთითა მის ზოგიერთ ნაკლოვანებაზე.

მწერალი შემდეგ ქვრივის კიდევ ერთ მაღალ თვისებას ეხება, კერძოდ, სიტყვისა და საქმის ერთიანობას. მთელი მოთხრობა იმის დადასტურებაა, რომ ოთარანთ ქვრივი რასაც იტყოდა ან დაიჩემებდა, იმას კიდევ მოიყვანდა სისრულეში. „იმის თქმა და ქმნა ერთი იყო“.

ოთარანთ ქვრივის მოქმედების თანმდევი ერთ-ერთი უჩინებულესი დევიზი გახლავთ აგრეთვე პრინციპი: სხვისი ნუ გინდა რა და შენსასაც ნუ შეარჩენ სხვას. ამ ყველა დროისათვის მისაღებ შეხედულებას თანამიმდევრულად და მტკიცედ იცავდა იგი.

ქვრივს ერთი მეტად უცნაური ზნე ჰქონდა: არ უყვარდა მამამებლური, ტკბილი სიტყვა, რადგანაც „ამ გამწარებულს წუთისოფელში“ სიამოვნებისა და კმაყოფილების მომგვრელს მანცდამანც ვერაფერს ხედავდა. ისე უნდოდა და ეძებებოდა იყო იმდროინდელ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქვეშაირი, მოსაქმე, პირდაპირი, მართალი, კაცთმოყვარე ადამიანის არსებობა-

შს, რომ იგი ტკბილსიტყვაობაში თვალთმაქცობისა და „გაქეციანებული“ გულის ფხანის საშუალების მეტს ვერაფერს ჰკრეტდა.

ბევრს ეგონა, რომ ოთარაანთ ქვრივმა თითქოს არ იცოდა ადამიანის სიყვარული, თითქოსდა მას გულის მაგივრად ქვა ელო მკერდში. მაგრამ ამას, ალბათ, არ იტყოდა ის ერთი ქვრივი დედაკაცი, რომელიც სოფლის მეორე ნაპირას იდგა და რამდენიმე მცირეწლოვანი შვილი ჰყავდა. მიუხედავად იმისა, რომ ოთარაანთ ქვრივი მას მკაცრად საყვედურობდა სიზარმაცის გამო, მაინც ებრალებოდა მისი მშვიერ-ტიტველი ბავშვები და ყოველ კვირა დღეს თავისი ხელით მიჰქონდა მათთან სასმელ-საჭმელი. ვფიქრობთ, არც ის გლანა-ნა-მათხოვრები, რომლებსაც უმკაცრესად ტუქსავდა, ლანძღავდა და კიცხავდა ოთარაანთ ქვრივი, ხოლო ბოლოს თითქმის ყოველთვის მაინც სამადლო საქმეს აკეთებდა მათ სასარგებლოდ, არ იტყოდნენ, რომ ამ მწარე ენის ქალს მადლი და სიკეთე არ სწამდა, შემბრალებ და მოსიყვარულე გული არ ჰქონდა. ქვრივი ყოველთვის ნიღბავდა, უჩინარს ხდიდა მის მიერ ჩადენილ სიკეთეს და არასოდეს უცდია, საკუთარი თავის გამოჩენის მიზნით ეზრუნა საქველმოქმედო საქმეებზე. ოთარაანთ ქვრივის მორალი აქ საესებით განსხვავებულია ბატონისეული მორალისაგან, რომლისთვისაც არსებითად დამახასიათებელია სარგებლიანობა, ეწერო პრაქტიციზმი და ეგოიზმი.

ოთარაანთ ქვრივის რთული ხასიათის ამ ზოგიერთი ნიშანდობლივი მხარის ჩვენების შემდეგ ი. ჰავუაძემ შეეყვარა ქვრივის გარემოში. როგორც კი დავამთავრებთ ოთარაანთ ქვრივის კარ-მიღამოს უაღრესად სასიამოვნო და მკრავლფეროვანი სურათის ხილვას, მაშინვე გავგახსენდება ლუარსაბ თათქარიძის სახლკარობა. დიამეტრალურად საწინააღმდეგო ვითარებასთან გვაქვს საქმე. პირველი გახარებს, მეორე კი გალონებს. ერთი თავდადებული შრომისა და ნათელი აზრის ნაყოფია, მეორე კი — ფუქსავატობისა და უგნურებისა.

რატომ იტაცებს ადამიანის თვალს ქვრივის ეზო, ბოსტანი, ვენახი და სახლის მოწყობილობა? იმიტომ რომ ყველაფერს გამარჯვებ, საქმისმოყვარე ოჯახის ერთგული, გამპრიანი, თავმოყვარე, ქმრის ანდერძის პატივისცემელი ადამიანის ხელი ატყვია, ადამიანისა, რომელიც „მთელი დღე ციბრუტივით ტრიალებს ოჯახში. მისი ხელი და ფეხი დილიდან საღამომდე არ დადგება“. იგი არ გაუბრბის მძიმე ფიზიკურ შრომასაც კი. ქვრივი „თავის ხელით ჰმარავს, სთოხნის, ჰმარგლის, სთესს და ჰკრეფს“. მართალია, სოფელს უკვირდა ქალის ხელში თოხი და ბარი, მაგრამ ოთარაანთ ქვრივი ამას სრულებითაც არ აქცევდა ყურადღებას და ადვილად ასაბუთებდა მისი ქცევის სისწორეს. მას საქმის, შრომის გარეშე ადამიანი მარტოსულად მიაჩნდა, მარტობასა და საკუთარ თავში ჩაკეტვას კი ვერ ურიგდებოდა. ამიტომ „ეაი იმას, ვისაც უსაქმოდ მოასწრობდა ხოლმე: ძირიანად მოსთხრიდა“. ამ საქმეში მან ქალისა და კაცის გარჩევა არ იცოდა.

მკითხველი კარგად გრძნობს, რომ მწერალს აქცენტი განსაკუთრებით მაინც ვადატანილი აქვს ქვრივის კოლოსალურ ენერჯიაზე, მის დიდ შრომისმოყვარეობაზე, რაც საესებით გასაგები და ბუნებრივია.

მარქსისტული ანთროპოლოგიის ცნობილი დებულებაა, რომ ადამიანური ცნობიერების ჩამოყალიბების პროცესი და, საერთოდ, ადამიანობის წარმოშობის საკითხი მჭიდროდ არის დაკავშირებული შრომასთან. სწორედ შრომა

წარმოადგენს როგორც აზროვნების, ასევე ადამიანის, როგორც სპეციფიკური არსების, საფუძველს.

დიდმა ილიამ საუკეთესოდ იცის, რომ ადამიანი შრომაში იშვა. მისთვის ისიც ნათელია, რომ მხოლოდ თავისუფალ შრომაშია უპირველესი და უმაღლესი სიკეთე, მიუხედავად იმისა, რომ თავისთავად შრომა მძიმე პროცესია. მწერლის აზრით, შრომის გარეშე წარმოუდგენელია ადამიანის არსებობა, მისი კეთილდღეობა და ბედნიერება. შრომამ თუ ადამიანის ცხოვრების შინაარსში მთავარი ადგილი არ დაიკირა, საზოგადოება წინ ვერ წავა, პიროვნება უმაღლეს სიკეთეს ვერ ეზიარება. შრომა, საქმიანობა, მოღვაწეობა, მოძრაობა, სიცოცხლე, შემოქმედება ისეთი სიკეთე და დიდი ღონეა ქვეყნის არსებობისა და ხალხის ცხოვრების მდინარებაში, რომ სხვა ვერავითარი ძალა ამას ვერ შეედრება. ამას ქადაგებს ილია ყველგან და ოთარაანთ ქვრივისა და გიორგის პიროვნებით კი განსაკუთრებულად გაუსვა ხაზი მას.

ჩვენ სრულებითაც არ გვიკვირს, რომ იმ ოჯახში, სადაც „დიდი გამრჩეული, მოამაგე, დიდი მუშაკაცი, განთქმული მონადირე“ თევდორე, ოთარაანთ ქვრივის ქმარი, თავაკობდა, შრომისა და პატიოსნების კულტი არსებობდა, რაც შემდეგ სახელოვნად გააგრძელა 24 წლის ასაკში დაქვრივებულმა ქალმა.

სიკვდილის წინ თევდორემ თავის ცოლს ასეთი ანდერძი დაუტოვა: „განსარჩე და ირჩინე თავიო... ქირს ნუ გაუტყდები, ნუ გაელახვინებო... ე ჩემ პატარა გიორგის უპატრონეო, არ გამიღარიბო, არავის დამიჩაგვრინო, არავის არ შემინატერინო! გაიზარდოს და მერე თითონ იცის. თუ იქნება თავისით იყოს, თავის მარჯვენით კაცობდესო... ეშმაკის კერძად არ გამხადო, მკვდარს დამიურვე, მიპატრონეო“.

ოთარაანთ ქვრივმა ამ ფრიალ საყურადღებო ანდერძს სინდის-ნამუსის კალთა გადააფარა და მეუღლის სპეტაკ სახელს ხან სხვისგან შეუმჩნეველი ცრემლების ღვრით, ხან ქმრის დანატოვარი თოფ-იარაღის წმენდითა და მასთან ალერსით, ხან მამულში ვაჟკაცური ტრიალით სცემდა პატივს. გიორგის ხომ თვალის ჩინივით უვლიდა და სახელოვნად ზრდიდა. მიუხედავად იმისა, რომ ძალზე ახალგაზრდა იყო, ქვრივის გული ვერაფერს მოიგო და მან ყველაფერი ერთადერთ შეიღისა და ქმრის ანდერძის საქმედ ქცევას ანაცვალა.

ოთარაანთ ქვრივისა და გიორგის რაღაც განსაკუთრებული, უღამაზესი, ღრმა შინაარსისა და ამორურწყველი გრძნობის შემცველი დედაშვილობა ჰქონდათ. მწერალი ახლა ოთარაანთ ქვრივის დედურ კეთილშობილებას, საერთოდ, დედობის საკითხს დასტრიალებს თავს და მოთხრობის უკანასკნელ სტრიქონებამდე მიაქცევს ყურადღებას დედა-შვილის ჩანსალ ურთიერთობაზე. ახალი გმირი, გიორგი, ნაწარმოებში მე-5 თავიდან („დედა-შვილობა“) შემოპყავს მწერალს.

გიორგი წარმოსადგევი ვაჟკაცი იყო, რომელზედაც ბევრ გასათხოვარ ქალს ეპირა. თვალი, მაგრამ არავის არ აქცევდა ყურადღებას. ის უკვე 21 წლისაა, დედას უღიდეს პატივს სცემს. მას მუშაობაში მთელს სოფელში ტოლი არ ჰყავდა, რის გამოც მუშა კაცის სახელი ჰქონდა გავარდნილი. გიორგი არ იყო მამასავით გულღია და გულმხიარული, „სულ პირდაღვრემილია და წარბშეკრული“. იგი დედას გაგიჟებით უყვარს, მაგრამ შვილის წინაშე არ იმჩნევს, მალავს, აკავებს მოზღვაებულ გრძნობას, ისე ტყბილად კი საუბრობს შვილთან. სიტკბო და სითბო, აი, აქაა დამახასიათებელი ოთარაანთ



ქერივის მეტყველებისათვის, რადგანაც დედაშვილობაში მას იგი (ტკბილი სიტყვა) არ მიაჩნია თვალთმაქცობად და გულის მოსაფხან საშუალებად. დედის სიტყვას შვილის მიმართ ყოველთვის სხვა ფასი აქვს, ქერივის აზრით, და ამიტომ ასეთ შემთხვევაში მას (სიტყვას) განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა ხმარება.

დედამ ისეთი დიდი ავტორიტეტი შეუქმნა თავის თავს შვილის წინაშე, რომ გიორგი „მის უნებურს თავის დღეში არ ინდომებდა“. დედაც ამჩნევდა, რომ გიორგი რიგიანი ახალგაზრდა იყო, რომ ის ზოგ რამეში მამამისს ჰგავდა. ამიტომ „დედაც შეჰხაროდა თავმოწონებით შვილსა. დედამიწის ზურგზე იმის მეტი სიხარული და ლხენა სხვა არა ჰქონდა-რა, რომ შვილისთვის ეცქირნა, შვილისთვის ეცოცხლნა. „შენი ვარ, შენთვის მოვეკვდები, შენთვის დავიცემ დანასო“, — იტყოდა ხოლმე თავის გულში დედა, როცა შვილს სამუშაოდამ მომავალს დანახავდა“.

ქერივი შვილს თავის დღეში არ გაუჭავრდებოდა, ავი სიტყვით არ მოიხსენიებდა, თუმცა ხშირად კი დატუქსავდა ხოლმე. გიორგი ამ დროს დედის სიტყვას არ უბრუნებდა, რადგანაც იცოდა, რომ აღმზრდელი ყოველთვის სამართლიანად აძლევდა შენიშვნას. თავმოყვარე გიორგის მხოლოდ სამართლიანი დედის ავტორიტეტი ამუწუნებდა. მორჩილს ხლიდა. „მართალს შეჩვეულს თვითონაც მართალი უყვარდაო“, — წერს ილია. მწერალი, როგორც დიდი პედაგოგი, ერთი წუთითაც არ ივიწყებს იმას, თუ რაოდენ ძლიერია დედის ქანსალი თვისებების, მისი მაღალზნებობრივი საქმიანობის გავლენა გიორგის პიროვნებაზე. ამიტომაც არის, რომ გიორგიმ არ იცის ღალატი, ტყუილი, მისთვის არ არის დამახასიათებელი უსამართლობა და ცბიერება, შურიანობა და მტრობა.

ოთარაანთ ქერივი და გიორგი, მართალია, გლენები არიან, მაგრამ საგრძნობლად დაცილებულნი და განსხვავებულნი თავიანთი თანამოძმეებისაგან, რომლებიც დედა-შვილში გივისა და დამთხვეულის მეტს ვერაფერს ჰხედავენ. ე. ი. გაუგებრობა და განსხვავებულობა არა მარტო თავდასა და გლენს შორის არსებობს, არამედ თვით გლენთა შორისაც. მაგრამ, ცხადია, ამ გაუგებრობის, დაცილებულობის საფუძველი პირველ შემთხვევაში სხვა არის და მეორე შემთხვევაში კი — სულ სხვა. თავადი გლენს ვერ უგებს და არ ცნობს მას ადამიანად იმიტომ, რომ მასში არ ხედავს ის თანასწორს, მსგავსს, მის სისხლსა და ხორცს, რასაც თავისი ობიექტური მიზეზები აქვს, რომელიც ილიამ საუკეთესოდ იცის, ხოლო ზოგიერთი გლენი ოთარაანთ ქერივისა და გიორგის პიროვნებას იმიტომ ვერ ჩასწვდა და ვერ გაიყო ისინი, რომ ქერივი და მისი შვილი ვაცილებით მეტი რთული და მაღალი ადამიანური არსებანია, რომელთა მორალი მწერალმა, ჩვენი აზრით, დააფუძნა ყველა იმ პროგრესულ ელემენტზე, რაც მშრომელი ხალხის ზნეობის ისტორიას შემოუნახავს. აქ არც მარტო მე-19 საუკუნეა განმსაზღვრელი მათი ხასიათისა და არც ეროვნულ-ეთნიური მომენტი. ცხადია, ახალ სოციალურ-ეკონომიურ პირობებსა და ეთნიურ-ეროვნულ თავისებურებას, როგორც ადამიანთა ცხოვრების სილამაზისა და მიმზიდველობის ერთ-ერთ მეტად მნიშვნელოვან ფაქტორს, რომელიც ყველაზე გვიან გაუჩინარდება ხოლმე ზოგადსაკაცობრიო ზნეობის ჩამოყალიბებისას, აქ ვერ გამოვრჩევთ, მაგრამ „ოთარაანთ ქერივის“ საკაცობრიო მორალის ძირითადი წყარო მაინც გლენი კაცის ცხოვრე-

ბის ისტორია და ილიას ჯანსალი ფანტაზიაა. აი, ყოველივე ამას ვერ სწვდება ზოგიერთი და ამიტომ მისთვის დედა-შვილი საფრთხობელაა. გლახობის ეს ნაწილი, ილიას გაგებით, „ქუქუყია, ქაფია, მდუღარე ცხოვრებისა, თავზედ მოგდებულნი. ძირში კი წმინდაა“. აი, ამ წმინდა ნაწილის ამაღლებული შთამომავალია, ჩვენი აზრით, ოთარაანთ ქვრივი და გიორგი, ამ მასალისაგან არიან ისინი დაწნულნი.

როგორც უკვე ვნახეთ, მწერალმა მკითხველს ჯერ ოთარაანთ ქვრივი გააცნო (1—4 თავები), შემდეგ კი მოთხრობაში შემოიყვანა მეორე მთავარი გმირი გიორგი და მათი დედაშვილობა წარმოაჩინა (მე-5 თავი). ამას მოჰყვა განსაკუთრებული ხაზგასმა გიორგის ხასიათზე (მე-6 თავი), ხოლო შემდგომ ფიქრი და ნაღველი შემოიჭრება როგორც ერთის, ასევე მეორის არსებაში (თავი მე-7). რა მოხდა?

ნადირობიდან დაბრუნების შემდეგ გიორგი საგრძნობლად შეიცვალა, რაც დედის ფხიზელ თვალს მხედველობიდან არ გამოპარვია. დიდხანს ეძებდა იგი მიზეზს, მაგრამ შვილისაგან ვერაფერი შეიტყო. ამ ამბავმა ქვრივი მწარედ ჩააფიქრა. ბოლოს, როდესაც გიორგიმ დედამისს უთხრა, მოჰამაგირედ უნდა დავდგეო, ოთარაანთ ქვრივი სახტად დარჩა. ის ვერაფრით ვერ წარმოიდგენდა, თუ გიორგი ოჯახის შემარცხენელ, მამისა და დედის სახელის შემბლაღავ ასეთ რამეს იფიქრებდა. რა თქმა უნდა, გიორგიმ ძალიან კარგად იცოდა, რაოდენ შეურაცხყოფასაც აყენებდა მშობლებს (ამიტომაც ვერაფერი ეუბნებოდა დედას), მაგრამ მაინც სთხოვა შესაბრალის მდგომარეობაში მყოფ ოთარაანთ ქვრივის: „მეც შემობრალე, ადამიანი ვარო“.

მიზანში მოხედრილმა ამ სიტყვებმა ადამიანი — დედა დააფიქრა და, როდესაც მან გაიგო, ვისთან და რატომ აპირებდა გიორგი მოჰამაგირედ დადგომას, ერთი მწარედ იკებდა თითზე, შვილს კი გადაწყვეტილი არა უთხრა რა ამჟღავნებდა. შეილმაც ევლარ შეაწუხა იგი.

აი, აქ ი. ჰავაჯიანის თხზულებაში შემოჰყავს თავადი არჩილის ოჯახი (თავი მე-9—10). უნდა აღინიშნოს, რომ ამ თავებშიც წინა პლანზე მაინც ოთარაანთ ქვრივი და გიორგი არიან წამოწეულნი. მართალია, მწერალი გვაცნობს და-ძმის ვინაობას, მაგრამ ამას ისე მცირე ადგილს უთმობს, რომ მაშინვე ხედებით ავტორის განზრახვას: მაღალი წოდების თვალშიც დიდი ფასი დასდოს დედა-შვილს. ამიტომ არის, რომ სანამ გიორგი და მისი დედა მოვიდოდნენ არჩილთან, მწერალი არჩილსა და კესოს არსებითად ამათზე ალაპარაკებს, თუმცა იმასაც თელის საჭიროდ, აღნიშნოს, რომ ოთარაანთ ქვრივსაც დადებითი შეხედულება ჰქონდა და-ძმაზე.

როდესაც გიორგი ეახლა არჩილს, ამ წუთებშიც მკითხველის წინაშე ამაყად დგას ქვრივის პიროვნება, მისი დიდი ავტორიტეტი. ამან განაპირობა სწორედ ის, რომ არჩილმა და კესომ მყისვე ჰკითხეს გიორგის: „როგორ არის შენი პატიოსანი დედაო“. როდესაც მათ შეიტყვეს გიორგის მოსვლის მიზეზი, ძალიან გაოცდნენ და მაშინვე ოთარაანთ ქვრივი წარმოუდგათ თვალწინ. მათი აზრით, არაფრით არ უთავსდებოდა გიორგის განზრახვა ოთარაანთ ქვრივის იმდროინდელ ყოფას, მის დიდ სახელს.

მართალია, არჩილს მოსწონს გიორგი და უკეთეს მოჰამაგირეს სად იშობის. მაგრამ ოთარაანთ ქვრივის თანხმობის გარეშე, რა თქმა უნდა, არაფერი

არ შეუძლია. არჩილიცა და კესოც იმ აზრზე დგანან, რომ ქვრივი „პატივსაცემი დედაკაცია, ნუ ვაწყენინებთო“.

მეათე თავში („მხილება, თუ კანდიერება?“) ხომ ოთარაანთ ქვრივის პიროვნება ისევ წარმოგვიდგება მთელი თავისი სისრულით. ქვრივს არჩილი და კესო ამჭერადაც დიდი მოკრძალებით ხვდებიან და ყურადღებით ისმენენ მის ტკბილ-მწარე საუბარს, რაშიც მაღალი, ძლიერი დედური სიყვარული და ადამიანური სიბრძნე გამოხატული.

თავადაზნაურულ წოდებასთან ოთარაანთ ქვრივის უშუალო დაპირისპირებას მხოლოდ ამ თავში აქვს ადგილი.

გადაწყდა, რომ გიორგი მოქამაგიერედ დასდგომოდა არჩილს. დედის თანხმობამ შეილი თითქმის მთლიანად გამოცვალა. კარგა ხანია, არ ენახა ოთარაანთ ქვრივს გიორგი ასე შუბლგახსნილი. ამან კიდევ გაახარა დედა და კიდევ შეაწუხა. ამ მომენტში დედის ასეთ მხიარულებას მწერალი „მზიან-ჩრდილიან“ სიამოვნებას უწოდებს. რატომ იყო ოთარაანთ ქვრივის სიამოვნება მზიანიც და ჩრდილიანიც? ამაზე ილია გეპასუხობს: „მზიანი იმიტომ — რომ უხაროდა შეილის სიხარული, ჩრდილიანი იმიტომ — ეწუხებოდა დედური წუხილი, სტიოდა დედური გული, — რად უხაროდა ჩემგან წასვლა და სხვა-თან ყოფნაო!“.

მზისა და ჩრდილის, სინათლისა და სიბნელის, ტკივილისა და სიამოვნების ბრძოლა ოთარაანთ ქვრივში შეილის სასარგებლოდ გადაწყდა. დედამ დაიბრძა თავისად მაყურებელი თვალი და შეილის მაყურებლითა გადაწყვიტა სიოცხლე და ცხოვრება. ოღონდ შეილმა გაიხაროს და ოთარაანთ ქვრივი დედურ ტკივილებს გაუძალონდება, გაუყერბდება, მოუელის. ეს მზიან-ჩრდილიანი განწყობილება ქვრივისა, მის სულიერ სამყაროში გამოწვეული მწვავე კოლიზია ილ. ჰეკეაძეს დიდი ფსიქოლოგიური სიმართლითა და მაღალი მხატვრული ოსტატობით აქვს გადმოცემული. თითქოსდა აქ იყრებიან, თითქებთან, სცილდებიან ერთმანეთს დედა და შეილი, თითქოსდა შეილის მხრივ ჩრდილი ადგება იმ ულამაზეს და უტკბილეს დედა-შვილობას, რაც ერთობ მაღალი მწვერვალიდან დაგნათის მზესავით და გვათბობს თავისი მხურვალე სხივებით. მაგრამ მკითხველი აქვე გრძნობს, რომ დედა-შვილის ეს დაცობა მხოლოდ ხორციელი განშორებაა და მეტი არაფერი. ჩვენ გვჭერა, რომ დედა და შეილი ერთმანეთის განუზომელი სიყვარულით ცოცხლობენ და ამას ვერაფერი შელახავს.

გიორგი შეუდგა არჩილთან სამსახურს. მწერალს მე-12 თავის („უეცარი წკიპურტი“) დასაწყისიდანვე მასზე აქვს საუბარი და იგი მკითხველს აცნობს, თუ გამოცდილებითა და ცხოვრების პრაქტიკული ცოდნით რამდენად მაღლა დგას გიორგი არჩილთან შედარებით. გიორგის სამეურნეო ცოდნითა და დაკვირვების უნარით მოხიბლული არჩილი დარწმუნდა იმაში, რომ „ქვეყანაზედ ბევრი რამ არის უწიგნოდაც ნასწავლი“, რომელსაც ცოდნა სჭირდება. ეს არ გვესმის ჩვენ და გვეგონია, რომ ჰკუა და სიბრძნე წიგნის გარდა სხვაგან არ არსებობსო, — შენიშნავს ის თავის დას.

უეცარმა წკიპურტმა, გიორგის ჭანსალი პრაქტიციზმით გამოწვეულმა, არჩილი ბოლოს ასეთ დასკვნამდე მიიყვანა: „არც უწიგნობა ვარგა და არც მარტო წიგნებიდამ გამოხედვა. უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა და მარტო წიგნითაც საკმაოდ გრძელი არ არის. უკადრისობად მიგვაჩნია ჰკუა

უწიგნო ტყაპუქ-ქვეშაც ვიგულოთ. ჩვენ ვთაკილობთ და არა გვყვრა, რომ ყველა გონიერი კაცი იგივე წიგნია. ყველა გონიერი კაცი, თუნდა უწიგნოც, ზოგჯერ მწიგნობრბისთვის კი ოსტატია“.

ვინ მიიყვანა ამ დასკვნამდე არჩილი? წიგნის ცოდნამ? რა თქმა უნდა, ამანაც, მაგრამ აქ მთავარი როლი, როგორც აღვნიშნეთ, მანინც გიორგის ჭკუამ, მისმა გამოცდილებამ, ცხოვრების ღრმა ცოდნამ, მისმა მაღალმა გონიერებამ ითამაშა. წიგნი არჩილს დაეხმარა ყოველივე ამის დანახვასა და გაგებაში, „დაუწერელი წიგნის“ შეცნობაში, „უწიგნო ტყაპუქ-ქვეშაც“ არსებული სიბრძნისა და ადამიანური კეთილშობილების აღმოჩენაში.

ჩვენ ვფიქრობთ, არსებითად ამისთვის შეგზავნა ილ- ჰაეჰაეჰემ გიორგი თავადიშვილთა ოჯახში და არა მხოლოდ კესოს სიყვარულისათვის. სიყვარული აქ საბაბია, მოტივია, რათა მწერალმა ოთარანთ ქერივისა და მისი შვილის გონიერული, მაღალზნებობრივი საქმიანობის ფონზე ცხადად გვიჩვენოს მაღალი წოდების უნიდაგობა, განწირულება, მარტოდ ყოფნა, უძლურება, უგულობა, რომ ეს წოდება მთავარ, გამძლე, ჯანსაღ ნაწილს მოკვეთილია და მდინარის გაღმა ნაპირას წყალმანკით დაავადებული უმწეოდ ფართხალებს.

არ შეიძლება არ მოგვხედდეს თვალში ის გარემოება, რომ მწერალი გიორგის სიყვარულს კესოსადმი ვრცლად არ ეხება და თითქოსდა განსაკუთრებულ ინტერესს არც კი იჩენს მისადმი. ეს იმიტომ ხდება, რომ ი. ჰაეჰაეჰემისათვის მთავარი ის კი არ არის, თუ რას წარმოადგენს გიორგი, როგორც მიჯნური, არამედ ის, თუ ვინ არის გიორგი, როგორც კაცი, ადამიანი, საერთოდ, როგორც მოსაქმე პიროვნება. ცხადია, სიყვარულის გრძნობის საკითხიც არ არის აქ გამორიცხული, მაგრამ წამყვანი მოტივი ეს არ არის; იგი უფრო ორი წოდების დამკაეჰშირებელი ძაფია და ამდენად არის ყურადღების საგანი. აქ უფრო საგულისხმოა ის, რაც ამ უხანო სიყვარულს მოჰყვა, კერძოდ, პირველ რიგში, ოთარანთ ქერივის, როგორც დედის, პიროვნება და შემდეგ „ჩატეხილი ხიდის“ პრობლემა, ამიტომაც არის, რომ გიორგის მოულოდნელ ხიფათს (მე-16 თავი) მოსდევს დედა-შვილის საცოდაობის ამსახველი თავები (მე-17—18). ძნელია, ადამიანმა გაუძლოს დედა-შვილის უკანასკნელ ერთად ყოფნას, მომაკვდავი გიორგის აღსარებას, ოთარანთ ქერივის შემადრწუნებელ ზარს.

მოკვდა გიორგი. ფაქტიურად ოთარანთ ქერივის სიცოცხლეც აქ დარულდა. სწეულად იქცა, დადნა ეს ბრგე დედაკაცი. იგი ახლა მხოლოდ სიკვდილის მოლოდინშია და სხვა რამ სანუგეშო აღარაფერი დარჩენია ამ წუთისოფელში. სულ მალე ღირსეულმა დედამ ღირსეული შვილის სამუდამო სამყოფელთან დალია წამებული სული. გათავდა დიდებული „დედა-შვილობა“. ამით კი მწერალმა, ჩვენი აზრით, დედის პირადი სიცოცხლის ღირებულებაზე მაღლა შვილის სიყვარული დააყენა, რითაც ამ ღვთიური გრძნობის ძლევა მოსილება გამოხატა. აქამდე თითქოს ყველაფერი ვიცოდით ოთარანთ ქერივის შესახებ, მაგრამ ბოლოს მანინც ისეთნაირად წარმოადგინა იგი ილია ჰაეჰაეჰემ, რომ დედური გრძნობის სიღიადე კულმინაციურ წერტილზე აიყვანა და მარადიული შარავანდღით შეამკო.

ჩვენ უკვე ვნახეთ, თუ როგორია მოთხრობის ძირითადი სიუჟეტური ხაზი. იგი არსებითად მიჰყვება არა გიორგის, არჩილისა და კესოს ურთიერთობას, არამედ ოთარანთ ქერივისა და მისი შვილის ცხოვრების ძირითად მომენ-

ტებს. მთავარი ყურადღების ცენტრში მინც ოთარანთ ქვრივი დგას, რაც სავესებით ბუნებრივი ჩანს. ამიტომ ნაწარმოებშიც სამართლიანად ატარებს მის სახელს.

რაც შეეხება „ჩატეხილი ხილის“ საკითხს, რომელიც ჩვენ ძირითადი პრობლემის თანმხლებ, მაგრამ მასზე დაქვემდებარებულად მიგვაჩნია, იგი ფაქტურად მე-19 და მე-20 თავებში („ჩატეხილი ხილი“, „დასაწყისი განთიადისა“) არის დასმული.

იბადება კითხვა: ნუთუ ამ ორი თავისთვის არის შექმნილი დანარჩენი ოცი თავი? არა, ეს ასე არ არის. ჩვენ ვფიქრობთ, ეს ორი თავი, რომელიც ორგანული ნაწილია მოთხრობისა, და აქა-იქ ზოგიერთი სხვა მომენტიც ნაწარმოებში იმისთვისაა ჩართული, რომ მწერალმა გვაჩვენოს, მოხდა თუ არა რაიმე ძირეული ფსიქოლოგიური გარდატეხა მაღალი წოდების წიაღში, შეიძლება თუ არა მათზე დაყრდნობა, რით წაივინდნენ ლუარსაბსა და დათიკოზე წინ არჩილი და კესო. მაგრამ ეს ჩვენ არ მიგვაჩნია უმთავრეს საკითხად ამ მოთხრობაში. ძირითადი მწერლისათვის ოთარანთ ქვრივი და გიორგია, გლეხობაა, მათი მაღალი ზნეობაა. აი, სწორედ აქ აღწევს განსაცვიფრებელ სიღიადეს ილ. ჭავჭავაძის გენია. გლეხკაცობის საუნჯიდან შერჩეული ხასიათების უპარმონიულესი შერწყმით, მრავალფეროვან პოეტურ საღებავთაგან უკეთესთა მიგნებით მწერალმა უკვდავი ტიპები შექმნა და სწორედ ამაშია „ოთარანთ ქვრივის“, როგორც ერთ-ერთი მარად გამძლე და სრულყოფილი ხელოვნების ნაწარმოების, განუზომელი მნიშვნელობა.

„ოთარანთ ქვრივის“ ღირსების დაყვანა მარტო წოდებათა შორის არსებული დავისა და გაუგებრობის მხილებამდე ჩვენ გვესახება ილია ჭავჭავაძის, როგორც მხატვარი-მოაზროვნისა და დიდი ჰუმანისტი-განმანათლებლის, სიღიადის დამცირებად.

ცნობილია, რომ ჭერ კიდეც ადრე, 60-იან წლებში, როდესაც ი. ჭავჭავაძე „აჩრდილში“ კაცთა ცხოვრების შემფერხებელი ბოკილების მსხვერველზე, ქვეყნის განახლებაზე ლაპარაკობდა, გამოთქვა მადა რწმენას, რომ ამ ძირეულ სოციალ-პოლიტიკურ გადახალისებას მოჰყვებოდა „შრომის სუფევა“, რაც, მისი აზრით, საწინდარი იქნებოდა ადამიანთა შორის არსებული უთანასწორობის მოსპობისა, ცხვრისა და მგლის შერიგებისა, ძმობის, ერთობის, თავისუფლების დამყარებისა, ნიჭწარმეულ მამწერალთა განკაცებისა, რომლებიც სხვას ძირს აღარ დასცემენ, თვით ამალღებთან, მონად თავს აღარავის დაუდებენ და არც სხვის მორჩილებას ისურვებენ.

აქ ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ერთ დროს დაჩაგრული გლეხის „განკაცების“, მისი ქეშმარიტ ადამიანად გარდაქმნის ილიასეული კონცეფცია. ვფიქრობთ, სწორედ ამ კონცეფციის ხორცშესხმას ახდენს ილია „ოთარანთ ქვრივში“.

ილია ადრე ფიქრობდა, რომ მეცხრამეტე საუკუნე გადაწყვეტდა ტყვედ-პყრობილი შრომის გათავისუფლების პრობლემას. მართალია, ეს ვერ შეძლო „ამ ზეიადმა საუკუნემ“, მაგრამ მგოსანს მინც მიაჩნდა, რომ რეფორმის შემდგომ გლეხს მიეცა იურიდიული უფლება თავისუფალი განსჯისა და შრომისა, რამაც უკარნახა მას, შეექმნა სახეები ასეთ პირობებში მოხვედრილი შრომელი ადამიანებისა, „განკაცების“ მაღლით გასხივონებული გლეხებისა. და ილიას უდიდესი დამსახურება მარტო ის კი არ არის, რომ მან ეს გაადადამიან-

ბისა თუ ადამიანურობის პრობლემა მეტად საინტერესოდ დასვა და გადაწყვიტა, არამედ ისიც, რომ ამ პრობლემის ცენტრში მან მხოლოდ გლენჯაკობა დააყენა.

ო. ჰავეჰავაძემ თავის შესანიშნავ ნაწარმოებებში: „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“, „კაცია ადამიანი?!“, „გლახის ნაამბობი“ მოგვცა კლასიკური ნიმუშები იმისა, თუ ბატონყმური წყობილების პირობებში როგორ არის წაშლილი პიროვნებაში ადამიანური ნიშნები. მწერალი ცხადყოფს, რომ ძალმომრეობასა და უსწორმასწორობაზე დაფუძნებული მეურნეობის სისტემა ბადებს ლუარსაბს, დათიკოს, ლამაზისეულს... ესენი არიან ცოცხალი განსახიერება იმისა, თუ როგორი არ უნდა იყოს ადამიანი. ილია ძალზე აღაშფოთა იმ ფაქტმა, რომ ლუარსაბ თათქარიძემ თავის თავს უწოდა კაცი, ადამიანი. მწერალმა მთელი სიტხანით გამოაშკარაა, რომ თათქარიძეებს არაფერი აქვთ საერთო კაცობასთან, ადამიანობასთან. სწორედ ასეთების შესახებ ამბობს ილია: „კაცი, რომელიც მარტო მკამელი და შთანმთქმელია და არა. მომქმედი და მოამაგე, გადადებულია დედამიწის ზურგიდან ასაგველად“<sup>1</sup>.

მართალია, ამ ეპოქაში კაკო, ზაქრო, გაბრიელი და პეპიაც იბადებიან, რომლებიც პატროსანი, მართალი, მშრომელი ადამიანები არიან, მაგრამ არც ერთი მათგანი არ არის ღრმად შეგნებული, ამაღლებული, კლასობრივი წინააღმდეგობის არსში გარკვეული, ყოველმხრივ გამოწვრთობილი და შეჯავშნული ცხოვრების რთულ დაბრკოლებებთან საბრძოლველად. კაკოს, ზაქროს, გაბრიელს შეუძლიათ საგმირო საქმეები ჩაიდინონ, მაგრამ მათში ჭერ კიდევ არ არის საფუძვლიანად გაცნობიერებული, თუ რისთვის მოქმედებენ ასე, რა არის საჭირო მახინჯი სინამდვილის გარდასაქმნელად. მათში პირადი შურისძიების ინსტინქტი უფრო ძლიერია, ვიდრე საქვეყნო საქმეებისათვის თავის განწირვის აუცილებლობის შეგნება. საკმარისია, მაგალითად, დათიკო დაეხსნას თამროს და გაბრიელი კვლავ მის ერთგულ მოურავად დარჩება, ანდა პეპიაც აპატიებს თავის ბატონს ყველაფერს, თუ მისი ქალიშვილი უცოდველი დადის. თქმა არ უნდა, ასეთი, თავისთავად უაღრესად კეთილშობილი ადამიანები ვერ იქნებოდნენ ილ. ჰავეჰავაძის საოცნებო გმირები ახალ ეპოქაში. ილიას თავიდან იტაცებდა ბაირონისეული, ცხოვრების უკულმართობის წინააღმდეგ მებრძოლი ტიპები, რომელთაც „ხელთ მეხი უპყრიათ და პირიდან ცეცხლი სცივიათ“. და არსებითად სწორედ ასეთი ბუნებისანი არიან ოთარანთ ქერივი და გიორგი.

ვიცი, რომ ამ ადამიანებს სწავლა-განათლება აკლიათ და არც შეიძლება ბოლომდე დაეცინათ იგი, მაგრამ სამაგიეროდ განათლების დიდი ფასი მწერალმა არჩილის პიროვნებით გვაძენო, თუმცა ისიც დასძინა, რომ მარტო წიგნი ვერ უშველის ამ წოდებას. მათ აკლიათ ის, რაც ქერივსა და გიორგის უხვად აქვთ, რასაც ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეავსებს მხოლოდ წიგნის სიყვარული. ამიტომ არის, რომ ილია მომავალი საზოგადოებრივი ცხოვრების მშენებელი ადამიანის დასრულებულ სახეს ვერ ქმნის არჩილის პიროვნებით. კესო და არჩილი, რომლებიც ზოგჯერ (განსაკუთრებით უკანასკნელი) ილიას შეხედულებებს გამოხატავენ, არ არიან იდეალური პირები და არც მთლად

ცხოვრებისეულ გმირებად გვეჩვენება ისინი. აქ შეზავებულ-შერწყმულია ერთმანეთთან რეალური და იდეალური, ცხოვრებისეული და ფანტაზიის ნაყოფი, მაგრამ, ვფიქრობთ, მათში მაინც ჭარბობს ცხოვრებისეული მხარე, რასაც მწერალი წუნს დებს. არჩილსა და კესოს ბევრი ნაკლი აქვთ, მაგრამ მათი ღირსება, როგორც ადამიანებისა, პირველ რიგში ისაა, რომ არჩილი (და ზოგჯერ კესოც) თავად გრძნობს და ხედავს როგორც საკუთარი, ასევე, საზოგადოროდ, მაღალი წოდების ნაკლს და დასაც არწმუნებს ყოველივე ამაში. აი, ეს მხილება საკუთარი თავისა და წოდებისა, სწორი თვალსაზრისი გლახობაზე, ცხოვრებაში აღძრული საკითხებისა და სიახლეებისადმი ინტერესი მოსწონს მასში ილიას და სწორედ იგი მიიჩნდა საწინდრად „განთიადისა“. ამაში ხედავს მწერალი და-ძმის წინსვლას ლუარსაბსა და დათიკოსთან შედარებით. მაგრამ მთავარ იმედებს იგი მაინც დაბალ წოდებაზე, ოთარაანთ ქვრივსა და გიორგიზე ამყარებს. ერის, ცხოვრების შემოქმედი, მებრძოლი, ჯანსაღი ნაწილი ესენია. „ცხოვრება მაინც იმათშია: იქა ჰლულს ძარღვებში მოარული სისხლი, იქა სტემს თითონ სიცოცხლის ძარღვიცა“. მაღალტუმანური, საკაცობრიო ნიშნებიც უხვად მოიპოვება ცხოვრების ამ-დიდებულ წიგნში, რომელიც „ხიდგალმა დაწერილი“.

უნდა ითქვას, რომ, განსხვავებით ხალხოსნებისაგან, ილია გლახობას საერთოდ არ აიღვალებს. როგორც ვთქვით ზემოთ, იგი მათშიც ხედავს უწმინდურ ტყაპუტთან ერთად უწმინდურ გულს, მაგრამ, მისი აზრით, ეს ხალხი არსებითად მაინც „გვირისტიითა შეეკრილი“, გამძლეა, ჩაკირულია, გამრჩეა, ცხოვრების ძარღვი მაინც აქ ემს. სწორედ ეს არის, რომ „სწნავს იმისთანა კატურ-კაცს, როგორც გიორგი იყო, ან იმისთანა დედაკაცს, როგორც ოთარაანთ ქვრივია“.

არჩილი ბოლოს გაერკვა იმაში, თუ „რაოდენი ღონე ყოფილა შექმნისა“ (კატურ კაცად გახდომისა, „განკაცებისა“) დაბალ წოდებაში, მოსაქმე ხალხში. აი, სწორედ ეს „შექმნის“ ღონე, „განკაცების“ პროცესი, მისი მიზეზი და შედეგი (მოზეზი — თავისუფალი შრომა, შედეგი — ოთარაანთ ქვრივი, გიორგი) არის, ჩვენი აზრით, ის მთავარი ღერძი, რომლის ირგვლივაც ტრიალებს მთელი მოთხრობა.

ილიას დახასიათებით, „გიორგი ცოცხალი ხატია ღირსებისა, რომელსაც ცის სხივით აცისკროვნებს მშვენიერება სულისა“.

ოთარაანთ ქვრივი ხომ სრულყოფილი სახეა მაღალადამიანური თვისებებით უხვად დაჯილდოებული ქალისა.

დედა-შვილის მდიდარი სულიერი სამყარო და ნაყოფიერი პრაქტიკული საქმიანობა არის ის გაუზზარავი და ულაქო სარკე, რომელშიც ყოველთვის უნდა ჩაიხედოს ადამიანმა და შეისწავლოს, თუ რამ ურიგობა სცხია სახეზე. ეს მეტად საპატიო ფუნქცია დააკისრა მწერალმა თავის საყვარელ გმირებს, რომლებშიც თვითონ ავტორის ხასიათის ზოგიერთი ნიშანიც ცნაურდება.

აი, ამ კრიალა ცხოვრებისეულ სარკეში ჩაიხედეს სწორედ არჩილმა და კესომ და შეიცნეს თავიანთი თავი. ვფიქრობთ, წიგნზე მეტად ეს სარკე გამოადგათ მათ. რა ვუყოთ, თუ ეს შეცნობა და თვალის ახელა კესოს ცრემლების ფასად დაქდა. როგორც იქნა, და-ძმამ გაუძლო „თვალის ახილების ტკივილს“ და „ცრემლიანმა ცოდნამ თუ ცოდნიანმა ცრემლმა“ ძველი დაამხო, დაწვა და მოსპო, ხოლო წინ ნამი დააფრქვია, აამწვანა, დასაბამი მისცა განთიადს.

მაგრამ ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ეს საკმარისია და აქ მთავრდება ყველაფერი. არა. მწერალი ფიქრობს, რომ ამ „ერემლიანმა ცოდნამ“ შეიძლება გადაარჩინოს მხოლოდ მაღალი წოდება, ხოლო რაც შეეხება „უსწორ-მასწორო წუთისოფლის“ გარდაქმნას, თავისუფალ ცხოვრებას, კემპარტ განთიადს, — ამის ვარსკვლავად ილ. ჭავჭავაძე ოთარაანთ ქერიესა და გიორგის სახავს.

დააკისრა რა ასეთი დიდი ფუნქცია დედა-შვილს, მწერალმა ყველაზე ხორცშესხმულად, შთამბეჭდავად და დასამახსოვრებლად ეს ტიპები გამოძიროს. ჩვენი აზრით, ოთარაანთ ქერიეი მაინც უფრო მეტი დიდი რეზონანსის მხატვრული სახეა, ვიდრე გიორგი.

ის, რაც ზემოთ ითქვა, მოთხრობის მთელს სიგრძეზეა ნაქადაგევი და აქ მე-19—20 თავები განსაკუთრებულ რაიმეს არ წარმოადგენს. ილიას განმანათლებლური მსოფლმხედველობა თავიდან ბოლომდე გასდევს ამ თხზულებას და აქ რომელიმე მომენტის ან თავისადმი განსაკუთრებული უპირატესობის მინიჭებას შეცდომად ვთვლით.

რომ ხიდი ჩატენილია წოდებათა შორის, ეს ადრეც ცხადყო ილიამ და აქაც აღიარა იგი. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ, ჩვენი აზრით, არა მარტო მე-20 თავში, არამედ მთელს „ოთარაანთ ქერიეში“ არის მინიშნებული, რომ მწერლის სურვილია ამ ხიდის აღდგენა, მე-19 საუკუნეში ორად გაყოფილი ადამიანური სხეულის კვლავ შეერთება. სწორედ ამიტომაც, რომ მოთხრობაში არსად არ არის ნაჩვენები გამწვავებული კლასობრივი კონფლიქტის კვალიც კი. არც ერთ შემთხვევაში არ იგრძნობა, რომ თავადსა და გლეხს შორის რაიმე ნივთიერ, ეკონომიურ ნიადაგზე წარმოებდეს ბრძოლა. მათ შორის წინააღმდეგობა, განსხვავებულობა, როგორც ვნახეთ, ზნეობრივ სფეროშია გადატანილი.

ჩვენ, რა თქმა უნდა, არ უარყოფთ მე-19—20 თავების დიდ მნიშვნელობას ილ. ჭავჭავაძის სოციალ-პოლიტიკური კრედოს განსაზღვრისას, მაგრამ მთავარი დედააზრი მოთხრობისა ან გასაღები ილიას მთლიანი მსოფლმხედველობისა მარტო აქ როდია მოცემული. ამაში უმთავრეს როლს ოთარაანთ ქერიეი და გიორგი თამაშობენ და არა არჩილი, კესო და გიორგი.

არჩილმა და კესომ თუ დედა-შვილის მრავალფეროვანი სკოლა არ გაიარეს, წყალმანკით დასწრელებულ სულსა და სხეულს ვერ განიკურნავენ, ისინი განწირული არიან დასაღუპავად.

აი, ცხოვრების ამ დიდებულ აკადემიას, რომელშიც მომავალში ყველამ უნდა შედგას ფეხი, ილიამ სათავეში დაუყენა ოთარაანთ ქერიეი, რომელიც, ჩვენი შეხედულებით, პირველ რიგში ქართველი გლეხი ქალია, მაგრამ ამავე დროს იგი არის უსრულესი განსახება ყველა საღად მოაზროვნე და მოსაქმე, ამაღლებული, „უნივერსალობამდე მიღწეული“ ადამიანისა, განსაკუთრებით კი მაინც მაღალ პიედესტალზე აყვანილი დედი სა, რომელმაც კაცობრიობის მაცოცხლებელ ძალას — ახალგაზრდობას აკვანი უნდა დაურწოს, „მისცეს ძალა მის სულს“ და მომავალი ცხოვრების საიმედო საგზურით დაამშვენოს იგი.

ოთარაანთ ქერიეში მწერალმა გამოხატა ცხოვრების მრავალფეროვან წინააღმდეგობათა მიმართ კაცთა მოდგმის აქტიური დამოკიდებულების ნათელი



იდეალი, უმაღლესი ადამიანური მორალი, გლუხკაცობის სიჯანსაღე, უშრეტო ენერჯია, თავისუფალი შრომის ზეიმი.

ამდენად, ილ. ჭავჭავაძის სოციალ-პოლიტიკური კონცეფციის, მისი მაღალი მორალისა და ფილოსოფიის გამომხატველნი ძირითადად არიან ოთარაანთ ქვრივი და გიორგი. მწერალმა თავისი საუკეთესო ოცნებები და იდეები ამათში განასახიერა და გვიჩვენა ცოცხალი მაგალითი იმისა, თუ რას უნდა წარმოადგენდეს ადამიანი. მისი აზრით, ასეთი კაცური კაცები გლუხობაში იზადებიან, სოფლის წიაღში იჩეკებიან. მათი შემოქმედი, „განმკაცებელი“ თავისუფალი შრომაა, ცხოვრების შუაგულში ტრიალი, პრაქტიციზმი და ნათელი გონებაა.

აქედან გამომდინარე, ჩვენ „ოთარაანთ ქვრივის“ მთავარ პრობლემად გვესახება მწერლის ღრმა ჩანაფიქრი იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს ადამიანი, თუ სად შეიძლება განდნენ ოთარაანთ ქვრივები, გიორგის მსგავსნი, რა ძერწავს, რა აგვირისტებს და აცისკროვნებს ასეთ მონუმენტურ სახეებს.

ამ მთავარი პრობლემის ფონზე ნაჩვენებია, რომ მაღალ წოდებას არავითარი სულიერ-ხორციელი ნათესაობა არ გააჩნია ახლა იმასთან, ვინც არსებითად ქმნის და შინაარსს აძლევს ცხოვრებას. ეს გლუხკაცობაა. ამ ორ წოდებას შორის კი ხილია ჩატეხილი, რომლის გამრთელება მწერალს შესაძლებლად ეჩვენება მომავალში.

ეს უკანასკნელი საკითხი, ჩვენი გაგებით, დაქვემდებარებულია ადამიანობის შედარებით მაღალი პრობლემისადმი, რაც საეხებით კანონზომიერია. ილიას მიაჩნდა, რომ, თუ საზოგადოებაში ადამიანურობის მისეული გაგება ხორცს შეისხამდა, იდეალი სინამდვილედ იქცეოდა, მაშინ „ხიდჩატეხილობა-საც“ აქ ადგილი აღარ ექნებოდა.

„ოთარაანთ ქვრივის“ ცენტრში თავისუფალი ადამიანის არსება დგას მთელი თავისი სიმშვენიერით და ამაშია სწორედ ამ მოთხრობისა და მისი ავტორის საკაცობრიო სიდიადე.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის  
ისტორიის ინსტიტუტმა)

რიმა ფირსხალიაშვილი

რუსთველური ეპითემის ზოგიერთი საკითხი

ვეფხისტყაოსნის გამომსახველობითი სიძლიერის განმაპირობებელ პოეტურ ფაქტორთა შორის ერთ-ერთი ძირითადია ეპითეტი. ვეფხისტყაოსნის ეპითეტები მხატვრული დახვეწილობითა და ლექსიკური მრავალფეროვნებით გამოირჩევა, რაც უმდიდრესი ქართული ფოლკლორული პოეზიისა და ლიტერატურული მემკვიდრეობის ტრადიციებითაა შეპირობებული. ქართულმა აგიოგრაფიულმა მწერლობამ შემოგვინახა დიდი გემოვნებით დამუშავებული ეპითეტური წარმოსახვანი. ჭერ კიდევ იაკობ ცურტაველის თხზულებაში მოგვეპოვება პოეტური განსაზღვრის ისეთი მაღალი საფეხურები, როგორცაა მეტაფორული ეპითეტი თუ უარყოფითი კონსტრუქციის ეპითეტები.

ქართულ პიმნოგრაფიაში გამოკვეთილია ღვთაების ეპითეტები, რომლებიც უმდგომ საერო ელფერით შემოსილია რუსთველის პოემაში პერსონაჟთა შემცვლელ სახელებად გვევლინება. ნატევი ეპითეტები, რომლებიც ხშირად ვეფხისტყაოსანთან ლექსიკურ დამთხვევასაც გულისხმობს, არაიშვიათია კლასიკური პერიოდის საისტორიო მწერლობაშიც.

რუსთველი დიდოსტატია პოეტური სემანტიკის სამი უმნიშვნელოვანესი ფაქტორისა — მეტაფორისა, პოეტური შედარებისა და ეპითემისა. ეს სამეული რუსთველის მხატვრულ წარმოსახვათა საფუძველია. საკუთრივ ეპითეტთა საშუალებით ვეფხისტყაოსანში გამოკვეთილია არა მხოლოდ გმირთა პორტრეტი, არამედ ხასიათები და განწყობილებანი, სიტუაციები, მოქმედებათა რაგვარობაც. ზოგჯერ ტაეპისა და თვით მთელი სტროფის პოეტურ სახეთა ქსოვილში ძირითადი დეტალი ეპითეტია. ეპითეტები პოემაში მიემართება არა მხოლოდ კონკრეტულ, არამედ აბსტრაქტულ ცნებებსაც და ყველა შემთხვევაში შეესაბამება ეპიზოდის შინაარსობრივ მხარეს: ან იბადება ტაეპის შინაარსის საფუძველზე, ან ქმნის წინასწარ ფონს შინაარსობრივი გამიზნულების შესაბამისად.

ვეფხისტყაოსნის ეპითეტთა შესწავლისას მრავალი საყურადღებო საკითხი წამოიჭრება, მათ შორის: ვეფხისტყაოსნის ეპითეტთა ლექსიკა და მისი მიმართება ძველი ქართული მწერლობის ტრადიციებთან, ეპითეტთა მხატვრულ-გამომსახველობითი ფუნქცია პოემაში, შინაარსობრივი განხრანი, ეპითეტთა სახეები მეტყველების ნაწილთა თვალსაზრისით, მეტაფორულ ეპითეტთა საკითხი, უარყოფითი ეპითეტები, ეპითეტთა ლექსიკასთან დაკავშირებული ტექსტოლოგიური საკითხები და სხვ.

მეხობტბეთა პოეტური სახის ერთ-ერთი ძირითადი დეტალი ეპითეტია. მეხობტბეთა ეპითეტიც საუკუნეთა მანძილზე დამუშავებული მაღალი ლიტერატურული გემოვნების გამოვლინებაა, გამოირჩევა დახვეწილობით, ლექსიკური სიმდიდრით, კეთილზმოვანებით, გამომსახველობითი სიძლიერით. მაგრამ ჰი-

პერბოლურ წარმოსახვათა ძლიერი ნაკადი მეხოტბეთა პოეზიაში ახშობს ინდივიდუალურ თვისებათა პოეტურ გააზრებას, რაც ნაწილობრივ ნაწარმოებთა ენრობრივი თვისებებზეა დაყრდნობითა შეპირობებული. ვეფხისტყაოსნის ეპითეტი, როგორც პოეტური ლეტალი, უზაღოა; მხატვრულ დახვეწილობასა და ლექსიკურ სიმდიდრესთან ერთად გამოირჩევა ზომიერების გრძნობით, შინაარსობრივი გამიზნულებით, პერსონაჟთა ინდივიდუალური თვისებების პოეტური წარმოსახვით.

ვეფხისტყაოსანში არაიშვიათია ე. წ. ტავტოლოგიური ეპითეტებიც, რომლებიც იმავე თვისებას აღნიშნავენ, რაც საზღვრულის მნიშვნელობით იგულისხმება, საზღვრულის არსივე ჩამარხული თვისების მკვეთრ გამოსახვას ემსახურებიან. მაგრამ ისინი ვეფხისტყაოსანში მუდმივ ეპითეტებად არ გვევლინება, თუმცაღა გამუდმივება ტავტოლოგიურ ეპითეტთა ინერციაა. კბილნი თეთრნი, თმანი შავნი და სხვა მისთანანი ვეფხისტყაოსნის ეპითეტთა საგანძურში მნიშვნელოვან ოდენობას არ შეადგენენ. ხშირხმარებულ ეპითეტებად პოემაში ძირითადად მეტაფორული ეპითეტები გვევლინება (კბილნი ბროლნი, ღაწვი ვარდი და სხვ.). ეს უკანასკნელნი, მართალია, გარკვეული თვალსაზრისით საზღვრულის არსივე ნაგულისხმევ თვისობრიობასაც აღნიშნავენ (ბროლი კბილთა სითეთრეს გულისხმობს, ვარდი — ღაწვთა სიწითლეს); მაგრამ მსგავსების შემჩნევა სხვადასხვა საგანთა თვისებებს შორის და მისი წარმოსახვა პოეტური განსაზღვრის სახით, რასაც მეტაფორული ეპითეტი გულისხმობს, დიდ პოეტურ ალღოსა და ოსტატობას მოითხოვს. ხშირად მეტაფორული ეპითეტები საზღვრულის გარეშე და მისივე მნიშვნელობით იხმარება პოემაში, რაც რთული პოეტური წარმოსახვაა და მეტაფორისა და ეპითეტის დამთხვევას ემყარება.

პოემაში თვალსაჩინო ოდენობას წარმოადგენენ რთული ეპითეტები. მათი კონსტრუქცია მრავალფეროვანია. გვევლება ორწევრა და სამწევრა ეპითეტები, რომელთა შემადგენელი ნაწილები, არსებითად, ერთი შინაარსობრივი მიმართულებით განსაზღვრავენ სახელს.

გამომსახველობითი სიძლიერით გამოირჩევა აგრეთვე ე. წ. ეპითეტი-შედარებანი, ფრაზეოლოგიური ერთეულებითა და განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადებებით (როცა ეს უკანასკნელნი პოეტურ განსაზღვრას წარმოადგენენ) გამოხატული ეპითეტური წარმოსახვანიც.

შედარებათა გამოყენება ეპითეტის ფუნქციით რთული პოეტური წარმოსახვა და იმ თვისების გაძლიერებით გამოხატვას ემსახურება, რომელიც განსაზღვრებად წარმოდგენილი სიტყვით ვაღმოვიცემა. ასეთ შემთხვევებში განსაზღვრებათა განსაზღვრებასთან გვაქვს საქმე და ამ ფუნქციას პოეტური შედარება ასრულებს. შედარების სუბიექტად განსაზღვრება გვევლინება, რომელიც დამოუკიდებლად გააზრებული მართლაც გრამატიკული განმარტებაა და არა ეპითეტი. ამ უკანასკნელის ფუნქციით პოეტურ შედარებასთან ერთად აღიქმება: ამოქრეს ორნი მონანი, შავნი მართ ვითა ფისანი (626,1)<sup>1</sup>, მოკვარა მონა გრძნელი, შავი მართ ვითა ყორანი (1268,3). შავი ორსავე შემთხვევაში გრამატიკული განსაზღვრებაა, თვისების პოეტურ წარმოსახვას არ წარმოადგენს. პოეტური განსაზღვრის, ანუ ეპითეტის, ფუნქციით გვევ-

<sup>1</sup> ვეფხისტყაოსნის ტექსტის ციტირებას ეახდნენ 1957 წლის გამოცემის მიხედვით.

ლინება მთლიანი მონაკვეთები — შანი მართ ვითა ფისანი, შავი მართ ვითა ყორანი. გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როცა პირველი განსაზღვრებაც (შედარების სუბიექტი) ტროპის სახითაა წარმოდგენილი (დულარდუხტ არის დიაცი, მაგრა კლდე, ვითა ლოდია — 1221,1).

ძლიერია გამომსახველობითი ფუნქცია ფრაზეოლოგიური ერთეულებით გამოხატული პოეტური განსაზღვრებებისაც, როგორცაა: ქებანი არ-აყად გამორჩეული, ენა წყლიანად მოუბარი, გული მდულად ანატირი, წამწამნი გულისა გასაგმირონი, პირი ბრძენთა საქებარი, ელვათა მკრთომელი, ქალი მკერეტთა ამაზრზენი, გული კლდისა ტინისა და სხვ.

ეპითეტის გამომსახველობითი სიძლიერე ხშირად შეპირობებულია საზღვრულის პოეტური ფორმითაც. არაიშვიათია შემთხვევები, როცა საზღვრულიც ტროპის სახითაა წარმოდგენილი, კერძოდ, გვევლინება მეტაფორად ან პოეტური შედარების სუბიექტად. საზღვრულად პოეტური შედარების სუბიექტის გამოყენების შემთხვევები (თვალთათ ვითა მარგალიტი ცრემლი ცხელი გარდმოთოვა — 630,4; კალმად გიკვეთ გაწლობილსა ტანსა ჩემსა ვითა თმასა — 962,4) უნდა განვასხვავოთ ე. წ. შედარება-ეპითეტებისაგან, რომლის დროსაც საკუთრივ ეპითეტი გვევლინება შედარების სუბიექტად.

ვეფხისტყაოსნის ეპითეტთა შინაარსობრივი თვალსაზრისით კლასიფიკაცია დიდ სიძნელეს აწყდება. შეიძლება ითქვას, რომ რუსთველისეულ ეპითეტთა მოქცევა კლასიფიკაციის ჩარჩოებში მეტად ძნელი, თითქმის შეუძლებელი ცდაა. კლასიფიკაციის ჩარჩოები მხოლოდ მიახლოებით თუ გაუმოგვემს იმ უაღრესად მრავალფეროვან თვისობრიობათა სამყაროს, როპელიც ჩვენ თვალწინ იშლება რუსთველისეულ ეპითეტთა საშუალებით; და ზაინც აუცილებელია ზოგადად მოიხაზოს ვეფხისტყაოსნის ეპითეტთა შინაარსობრივი განხრანი, გამიზნულებათა საზღვრები.

ვეფხისტყაოსანი გრძნობათა სამყაროს ამსახველი ეპოპეაა. გენიოსი პოეტის კალმით გამოკვეთილია ადამიანური განცდები სიყვარულისა, მეგობრული ერთგულებისა, განშორების სევდისა და მწუხარებისა, მიზნის აღსრულების სიხარულისა და ბედნიერებისა. ეპითეტი ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა პოემაში აღნიშნულ განცდათა პოეტური ასახვისა. ვეფხისტყაოსნის ეპითეტთა უაღრესად მდიდარ სამყაროში ძირითადი მნიშვნელობა როგორც რაოდენობრივი შეფარდების, ისე გამომსახველობითი ძალის თვალსაზრისით სწორედ განცდათა ამსახველ ეპითეტებს უნდა მიენიჭოს. სიყვარულის ტანჯვით, განშორების სევდით შეპყრობილ გმირთა განცდების წარმოსახვისთვის მოხმობილი ეპითეტები მიემართება არა მხოლოდ საკუთრივ პერსონაჟებს (ან პერსონაჟთა შემცველ სახელებს), არამედ გულს, ცრემლებს, მეტაფორულად გააზრებულ ცეცხლსაც. ამრიგად, ძლიერ სულიერ განცდათა ეპითეტების საშუალებით ასახვა პოემაში ძირითადად ორი მიმართულებით ხდება: პერსონაჟთა პოეტური განსაზღვრისა და განცდებთან დაკავშირებულ ცნებათა — გულის, დაღვრილი ცრემლებისა და ცეცხლის (ტანჯვის ცეცხლის) მხატვრული წარმოსახვით. ეპითეტთა ეს ჭკუფი უაღრესად მდიდარ ლექსიკურ მასალას მოიცავს (გულ-მდულარი, გულ-მოკლული, გულ-დანაწყლულები, ცრემლ-გაფიცებული, ცეცხლ-მოდებული, დღე-კრული, ვებული, დამწვარი, დაალებული; გული წყლული, გული ლმობილი, გული ჩრდილი; ცრემლი სისხლისა, ცრემლი ცხელი, შეუშრობილი, მინდორთა მო-

სალამე, ზღვათაცა შესართავი; ცეცხლი ცხელი, გზებული, მწველი, მოუთმინები, უშრეტი, მცხუნვარე და სხვ.).

მძაფრ განცდათა ასახვისას პოემაში არაიშვიათად გამოიყენება ფერთა აღმნიშვნელი ეპითეტებიც. ფერთა ეპითეტების საშუალებით ფაქიზადაა გამოკვეთილი სამი უაღრესად მნიშვნელოვანი მხარე რუსთაველის პოეტური ნააზრევისა — ძლიერი განცდები სიხარულისა, მწუხარებისა და გმირთა გარეგნული სიმშვენიერე. ამრიგად, ფერებთან დაკავშირებული ეპითეტები პოემაში მხოლოდ და მხოლოდ პორტრეტულ ეპითეტებად არ გვევლინება. მწუხარების ფერები ძლიერ სულიერ განცდათა ანარეკლი მქრქალი ფერებია (ფერ-ნამკრთალი, ფერ-ნაყლული, ფერ-გამქრქალი, ფერ-მიხდილი, ფერ-შეცვლილი, მოყვითანო). შავი პირისახის ნაკეთთა თუ თმათა პოეტური წარმოსახვისას პორტრეტულ ეპითეტად გვევლინება. ეპითეტის ფუნქცია აქვს მას ისეთ შემთხვევებშიც, სადაც ერთი შეხედვით თითქოს ლოგიკური განმარტების სახითაა წარმოდგენილი. უცხო მოყმის პირველი გამოჩენისთანავე მკითხველმა იცის, რომ მას „შავი ცხენი სადავითა ჰყვა ლომსა და ვითა გმირსა“. აქ შავი არ შეიძლება პოეტური ფუნქციით გაეიზროთ, მაგრამ შემდგომ, შინაარსის განვითარების კვალდაკვალ, ტარიელის ცხენის ფერის წარმოსახვაც ეპითეტური ხდება. შავი გვევლინება თვისობრივ მხარედ, რომელიც საჭიროებს ხაზგასმას, მხატვრულ გაძლიერებას, ის თითქმის პერსონაჟის პორტრეტული სახის შემავსებელი ხდება (ზედა ჯდა შავსა ტაიჭსა, — მერანი რამე შავია. — 204,2).

შავი პოემაში მდგომარეობა-განწყობილების სიმძიმეს, მწუხარებასაც წარმოსახავს. ამ ვაგებით მოხმობილია პერსონაჟთა ეპითეტადაც, ზოგჯერ მიემართება ბედსაც.

Отдельные вопросы, связанные с поэмой, затрагиваются в статьях Стивенсона, напечатанных в 50—60 гг.<sup>40</sup> Сопоставлению Руставели и западных авторов посвящена статья Стивенсона «Руставели и Ариосто», напечатанная в 1959 г. В противоположность тем авторам, которые проводили параллель между Руставели и поэмами итальянского Возрождения, Стивенсон находит лишь чисто внешнее сходство между любовным безумием Таризела у Руставели и Роланда в поэме Ариосто<sup>41</sup>. Последний, узнав об измене Анджелики, делается грубым маниаком, подвергая разрушению все вокруг себя. В противоположность этому, в образе Таризела автор видит лишь умственную неуравновешенность, вызванную силой его любви и страдания. У Ариосто образ обезумевшего Роланда содержит в себе элементы иронического отношения к идеалам рыцарства. Наоборот, поведение героев Руставели никогда не нарушает высоких правил рыцарского кодекса.

Больше общих черт с Таризелом Стивенсон находит в образе Ивана, героя романа Кретьена де Труа, в котором любовное безумие героя не нарушает условий рыцарских правил.

Интерес Стивенсона к Руставели не ограничивается несколькими заметками. Закончив перевод «Амирандареджаниани», Стивенсон принялся за работу над прозаическим переводом «Вепхисткаосани» на английский язык. Автор хорошо понимает стоящие перед ним трудности. Вопросам перевода поэмы Руставели посвящены две статьи Стивенсона, напечатанные в 1960—1961 гг. В первой он обосновывает свою точку зрения о том, что перевод предпочтительно делать прозой, поскольку адекватный поэтический перевод на английском языке по-

<sup>39</sup> Proceedings of the Twenty-Third International Congress of Orientalists, Cambridge 21st—28th August 1954, p. 154—155.

<sup>40</sup> R. H. Stevenson, A note on Rustaveli's Panther-Symbol, „Eedi Kartlisa“, 1957, № 26—27, p. 79—80.

<sup>41</sup> Стивенсон присоединяется к мнению Ш. Беридзе и цитирует его слова, что сходство Таризела и Роланда чисто внешнее и приблизительное (R. H. Stevenson, Rustaveli and Ariosto, „Eedi Kartlisa“, 1959, № 32—33, p. 28). Действительно, Ш. Беридзе в своем предисловии к переводу „Вепхисткаосани“ на итальянский язык подчеркивает, что любовное безумие Таризела несколько не умижает героя и что в нем отсутствует какой-либо сатирический замысел. (Scialva Beidze, Prefazione. В книге: Sciotha Rustaveli, La Pelle di Leopardo, Milano, 1945, p. X—XI).

лучиться не может<sup>42</sup>. Во второй статье автор рассматривает отдельные вопросы передачи художественных образов поэмы на английский язык<sup>43</sup>.

Заканчивая обзор английской руствелологической литературы, следует остановиться на работах профессора Лондонского университета Д. М. Ланга. Автор ряда интересных работ по грузинской истории и литературе, Давид Ланг наиболее активно из английских ученых работает в области картвелологии. Он постоянно приезжает в Грузию, поддерживает связи с нашими научными центрами и является почетным доктором Тбилисского государственного университета.

Творчества Руставели и эпохи его деятельности Ланг касается в ряде своих исследований. О работе в Англии над поэмой Руставели он пишет в вышеназванной статье, посвященной истории картвелологических изысканий в Оксфорде. Значительное место уделено Руставели в лекции о грузинской литературе, которая была прочитана в 1965 г. в Лондонском университете, а в следующем году появилась в печати<sup>44</sup>. Эти же данные о Руставели вошли в книгу Ланга «Грузины»<sup>45</sup>, изданную в 1966 г. в серии «Ancient Peoples and Places» (древние народы и места). Вероятно поэтому автор уделяет в ней большое внимание отдаленному прошлому и тем археологическим раскопкам, которые раскрывают древнюю историю населения. Очень ценно, что специальные главы посвящены обзору грузинской архитектуры, изобразительного искусства и литературы.

Вполне естественно, что в главе о литературе значительное место отводится поэме Руставели. Здесь представлены необходимые для читателя общие сведения об эпохе, самом поэте, о сюжете и построении его произведения, о сохранившихся списках поэмы и т. д. Но самое главное, что в этом кратком обзоре чувствуется восхищение автора талантом грузинского поэта, разносторонностью его интересов, широтой охвата жизни и яркостью изображения в его поэме окружающего мира и человека.

Очень ценно, что Ланг, знакомый с работой современных грузинских исследователей, дает читателям сведения об изысканиях, проводимых Институтом рукописей АН ГССР, и пишет об организованных институтом экспедициях, в результате которых были обнаружены фрагменты более древних записей поэмы<sup>46</sup>.

Однако вовсе неубедительно затрагивается в работе вопрос авторства и датировки произведения. Указывая, что, помимо традиционной точки зрения, существуют и другие мнения, Ланг ограничивается выдержкой из частного письма Яромира Исдличка о том, что поэма написана не в эпоху царицы Тамары и ее автором не был Руставели<sup>47</sup>. Поскольку исследователь нашел нужным поставить этот вопрос, то

<sup>42</sup> R. H. Stevenson, On translating Rustaveli, „Bedi Kartlisa“, 1960, № 34—35, p. 93—96. Статья известна нашим читателям по грузинскому переводу М. Манулашвили „საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე“, 1961, № 3, გვ. 335—339.

<sup>43</sup> R. H. Stevenson, On translating Rustaveli, „Bedi Kartlisa“, 1961, № 36—37, p. 97—103.

<sup>44</sup> D. M. Lang, Landmarks in Georgian Literature, London, 1966.

<sup>45</sup> D. M. Lang, The Georgians, London and New York, 1966.

<sup>46</sup> Там же, стр. 177.

<sup>47</sup> Там же, стр. 173.

следовало шире его осветить и привести взгляды ведущих современных руствелологов, которые отвергают подобную точку зрения<sup>48</sup>.

В таком же плане представлен вопрос датировки поэмы в новой работе Ланга — в лекции, которая была прочитана им в Риме в 1969 г., а в 70 г. была напечатана в Риме<sup>49</sup> и в Париже<sup>50</sup>. Так как эта лекция была прочитана на конференции, специально посвященной вопросам эпической поэзии, автор, помимо анализа самого произведения Руставели, старается определить особенности грузинской поэмы по сравнению с эпическим творчеством других народов. Произведение Руставели, созданное одним автором, нельзя сравнивать с памятниками фольклора центральной Азии и Балкан. По мнению Ланга, параллели для него следует искать в произведениях Данте и Ариосто и творениях замечательной школы эпической и романтической поэзии, возглавляемой Фирдоуси и Низами Ганджеви.

Перу Д. Ланга принадлежит предисловие к новому поэтическому переводу Руставели, сделанному Венерой Урушадзе<sup>51</sup>. Руставели как писатель столь же характерный для Грузии, как Шекспир для Англии, Руставели как выразитель сокровенных чувств и чаяний своего народа — таким представляет его автор в своей работе. Поэма Руставели — этот гимн любви и дружбы, соединяет в себе высокие этические принципы и глубину философской мысли. Блестящее по форме и мастерству стиха, произведение вошло в народ и многие его строки превратились в пословицы.

Предисловие Ланга вполне отвечает своим задачам. Оно дает читателю представление о значении переведенного на английский язык произведения и знакомит его с эпохой, в которую родилось это большое художественное полотно.

Наконец, перу Ланга принадлежат некоторые заметки о Руставели, помещенные в английских энциклопедиях и справочниках.

Любопытно, что в справочных изданиях имя Руставели появляется раньше, чем в критической литературе. Если первая статья Морфилла и книга Ол. Уордропа вышли в 1888 г., то на девять лет раньше, т. е. в 1879 г., в девятом издании «Британики» упоминается «поэма «Любовь Тариэла и Нестан-Дареджан, или Человек в барсовой шкуре», приписываемая Руставели, который жил во время счастливого царствования царицы Тамар в XI в.»<sup>52</sup>.

<sup>48</sup> Еще в 1960 г. в своем выступлении в Москве на 25-м конгрессе востоковедов Ланг поставил вопрос о необходимости изучения вопроса датировки и авторства поэмы. Как видно из материалов конгресса, выступление Ланга вызвало отклики присутствовавших на заседании специалистов. И. А. Орбели отметил, что анализ содержания поэмы подтверждает, что она могла быть создана только во времена царицы Тамары. А. С. Чикобава указал на необходимость учитывать данные истории языка для датировки поэмы. (Труды двадцать пятого международного конгресса востоковедов, 9—16 августа 1960, т. III, Москва, 1963, стр. 494).

<sup>49</sup> D. M. Lang, *Popular and Courtly Elements in the Georgian Epic*, *Atti del Convegno Internazionale sul tema: La Poesia Epica e la sua Formazione* (Roma, 28 marzo—3 aprile 1959), Roma, 1960, p. 697—712.

<sup>50</sup> „Bedi Kartlisa“, 1970, vol. XXVII, p. 143—160.

<sup>51</sup> Shota Rustaveli, *The Knight in the Panther's Skin* translated by Venera Urushadze, Tbilisi, 1968, Introduction, p. 9—12.

<sup>52</sup> Georgia, a kingdom in central Transcaucasia, *The Encyclopaedia Britannica*, ninth edition, vol. X, Edinburgh, 1879, p. 434.



Эти сведения вместе с неверной датировкой эпохи царицы Тамар взяты из книги немецкого путешественника Тильмана<sup>53</sup>, который в 1871—72 гг. побывал на Кавказе. Как сказано далее в энциклопедии, барон фон Тильман во время своего пребывания в Ахметах видел старинную рукопись этой поэмы, прекрасно написанную шрифтом мхедрули и украшенную высокохудожественными миниатюрами.

Других сведений о поэме Тильман не дает. В своей книге он уделяет больше внимания экзотике и подробно описывает пир, устроенный в Ахметах у князя Чолокашвили по случаю его приезда.

Впервые на страницах справочных изданий более полные сведения о грузинской литературе и о творчестве Руставели появляются в энциклопедии Чемберса в 1895 г. в статье «Georgia»<sup>54</sup>. Статья не подписана, но как само содержание статьи, так и указание газеты «Иверна» дают основания считать, что она написана Морфиллом<sup>55</sup>.

С 30-х гг. XX в. в энциклопедии «Британика» появляется специальная статья о грузинской литературе. Правда, по содержанию статья весьма фрагментарна, а о Руставели в ней сказано меньше, чем в энциклопедии Чемберса. Этот же текст статьи повторяется в следующих выпусках энциклопедии.

Справочные издания правильно отражают уровень работы в Англии над вопросами грузинской литературы. Поэтому показательно, что в 60-х гг. в энциклопедии «Британика» помещена новая содержательная статья о грузинской литературе, написанная специалистом-картвелологом Д. Лангом. Ему же принадлежат специальные заметки о Руставели, напечатанные в литературных справочниках в 1953 г.<sup>56</sup> и в 1969 г.<sup>57</sup>

Празднование юбилея Руставели в 1966 г. способствовало появлению на иностранных языках новых материалов о грузинском поэте. Надо думать, что большая работа, проделанная к этой дате, новые вышедшие у нас исследования, переиздание уже имевшихся переводов, наконец, появление в 1968 г. первого полного стихотворного перевода поэмы на английский язык, сделанного Венерой Урушадзе, — все это будет способствовать более широкому ознакомлению с творчеством Руставели в зарубежных странах.

<sup>53</sup> Max von Thielmann, Streifzüge im Kaukasus, in Persien und in der Asiatischen Türkei, Leipzig, 1875, S. 191.

<sup>54</sup> Georgia, Chambers's Encyclopaedia, vol. V, London and Edinburgh, 1895, p. 164—166.

<sup>55</sup> „ინგლისელი მეცნიერი და პროფესორი ბ.ნი შორფილი, რომელმაც უკვე რამდენიმე წელი უძღვნა ჩვენს მწერლობასა და ისტორიას, ამჟამად წერს ვრცელს წერილს საკუთრად ჩვენის მწერლობის შესახებ. ეს წერილი დაიბეჭდება „ქემბერსის ენციკლოპედიაში“. ახალ ამბავი, „ივერია“, 1889, № 187, გვ. 1.

<sup>56</sup> Cassell's Encyclopaedia of Literature edited by S. H. Steinberg, vol. II, London, 1953, p. 1432.

<sup>57</sup> The Penguin Companion to Literature, 4, Penguin Books, 1969, p. 302.

რედაქციის მიხედვით

„ალექსანდრიანის“ არჩილისეული თარგმანი

ქართველი მეფე-პოეტა არჩილი რუსეთში საბოლოო დამკვიდრების შემდეგ ეწეოდა ნაყოფიერ ლიტერატურულ მოღვაწეობას, უმთავრესად მთარგმნელობით საქმიანობას, რითაც უფრო აძლიერებდა და განამტკიცებდა ქართულ-რუსული კულტურული ურთიერთობის ძველ ტრადიციებს. ამ პერიოდში (1699—1713 წწ.) არჩილს რუსულიდან რამდენიმე ძველი უთარგმნია, მათ შორის „ალექსანდრიანი“ (ან „ალექსანდრეს რომანი“). ცნობა ამის შესახებ შემოგვინახა პეტრე ჩხატარაისძემ, რომელმაც ქართული „ალექსანდრიანი“ ჯერ ლექსად, ხოლო შემდეგ პროზად გადაამუშავა<sup>1</sup>. იგი წერს:

ესე ამბავი ჩრდილოეთს, რუსთ ქვეყნად იყო დებული,  
ჟამთა სიგარძისა ძველქმნითა ყოვლს ქვეყნად დაიწყებულნი,  
გადმოეთარგმნა ქართულად არჩილს, ვინ იყო ქებულნი,  
მიბრძანეს, ლექსად გამოეთქვი, მსმენნი, იყვნით შევბულნი.

„ალექსანდრიანის“ თარგმანის საკითხები იმთავითვე იპყრობდა მკვლევართა ყურადღებას. ზოგი ამ ძეგლს სერბიულიდან თარგმნილად მიიჩნევდა<sup>2</sup>, მაგრამ შემდეგში გაირკვა, რომ ქართული თარგმანი მომდინარეობს სერბიული „ალექსანდრიანის“ რუსული თარგმანიდან<sup>3</sup>.

აღ. ხახანაშვილი ქართულში შემონახული იმ გლოსის მიხედვით, რომელშიაც ნახსენებია „სერბია“, ფიქრობდა, რომ ქართული „ალექსანდრიანი“ წარმოადგენდა სერბიული რედაქციის თარგმანს<sup>4</sup>, ხოლო ტრ. რუხაძემ გამოარკვია, რომ ეს გლოსა გადასულა თხზულების ყველა იმ რედაქციაში, რომლებიც სამხრეთსლავური ტექსტებიდან მომდინარეობენ და, რასაკვირველია, იგი რუსულ ხელნაწერებშიც დაიძებნა<sup>5</sup>.

<sup>1</sup> აღ. ბარამიძე, ნარკვევები, ტ. II, 1940, გვ. 235—246.

<sup>2</sup> პ. ყვიციანიძე, ქართული ალექსანდრიანი. კრებული „ედა“, 1889, გვ. 173—206; აღ. ხახანაშვილი, ქართული ალექსანდრია, „ევალი“, 1893, №20; А. Хаханов, Очерки, III, М., 1931, გვ. 33—112.

<sup>3</sup> კ. ქაცელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. II, 1952, გვ. 262., ტრ. რუხაძე, ქართულ-რუსული ლიტერატ. ურთიერთობის ისტორიიდან, XVII—VXIII სს., 1960, გვ. 268—275.

<sup>4</sup> А. Хаханов, Очерки, III, М., 1931, აგრეთვე ეურნალი „ევალი“, 1893, № 20 (ეს გლოსა, „მაკირინი უკვე სერბულსა ენითა მახლობელად იწოდების“).

<sup>5</sup> ტრ. რუხაძე, ქართულ-რუსული ლიტ. ურთ. ისტორიიდან XVII—XVIII სს., 1960, გვ. 269. „ალექსანდრიანის“ 1965 წლის რუსულ აკადემიურ გამოცემაში ეს გლოსა არ გვხვდება (გვ. 125r), მაშინ როდესაც მის სერბიულ დედანს იგი შემოუნახავს; ქართული არ მისდევს ე. წ. ეფროსინისეულ ტექსტს, რაც ზედმეტად მიგვიანწინებს, რომ ეფროსინის ნუსხა არ უღვეს საფუძვლად ქართულ თარგმანს.

მკვლევარს მოყვანილი აქვს სათანადო მაგალითები, რომლებიც მართლაც მიგვიჩვენებენ „ალექსანდრიანის“ რუსულიდან მომდინარეობაზე. მაგ.: თილმანჩი—თარჯიმანი; „Хламандуше своего любимого и присягну друга в Риме царем поставил“—„ლამანდუშა, საყვარელი მეგობარი თვისი დაადგინა ჰრომის მეფედ“; „Левитатура—ლევანცატურა; ЕвGRID царь—ეგრირდ მეფე; Гатарские витязи—გათარის მხედრობანი; Филиппуста—ფილიპუსთა; Ацелижа—აცელყაე; „სამერზინოვის ფრთა“ და სხვა<sup>6</sup>.

რუსული „ალექსანდრიანის“ ნიადაგზე აიხსნება ქართულ თარგმანში დაშვებული ზოგიერთი უმართებულო წაკითხვაც. ასეთია მაგ.: „ილიაოსიუ“, რაც შესაფერ კონტექსტში ჰომეროსის „ილიადა და ოდისეას“ ნიშნავს<sup>7</sup>.

სერბიული „ალექსანდრიანის“ ისტორია ნაკლებად არის შესწავლილი. ძველი ქრონოგრაფიული „ალექსანდრეს თავგადასავლი“, რომელიც თარგმნილია რუსულად არაუგვიანეს XII საუკუნეში, წარმოადგენს გვიანელინისტურ „ალექსანდრეს ამბავთა“ ციკლს. იგი მიეწერება ალექსანდრეს თანამედროვეს—კალისტენეს. ნაწარმოები სათავგადასავლო რომანის ხასიათს ატარებს.

სერბიულ „ალექსანდრიანში“, განსხვავებით ფსევდო-კალისტენისეული-საგან, ალექსანდრეს მიეწერება დაპყრობა ათენისა და რომისა, რომლებიც მის სინამდვილეში არ დაულაშქრავს. ალექსანდრეს მოგზაურობა იერუსალიმში უცნობია ფსევდო-კალისტენისეული რედაქციისათვის; მის თანამებრძოლად გამოყვანილია ვინმე ფილონი, ხოლო სულიერ მამად—ებრაელი წინასწარმეტყველი იერემია, რომლის მეშვეობითაც ალექსანდრე ერთმორწმუნედ გამოდის და გმობს კერპთაყვანისმცემელთა ღმერთებს<sup>8</sup>.

სერბიული „ალექსანდრიანი“ რუსეთში XV საუკუნეში გაჩნდა (XV საუკუნისაა „ალექსანდრიანის“ ორი რუსული ნუსხა: 1. სამი ნაწყვეტი — ტროას ლაშქრობა, ათენისა და რომის დაპყრობა, ე. წ. ვოლოკოლამსკის ნუსხა და 2. ეფროსინისეული მთლიანი ტექსტი, რომლის მიხედვითაც განხორციელდა 1965 წლის მეცნიერულ-კრიტიკული გამოცემა). ამ დროისათვის რუსულმა „ალექსანდრიანმა“ არა მარტო დიდი პოპულარობა მოიხვეჭა, არამედ გარკვეული ევოლუციაც განიცადა. თუ ვოლოკოლამსკის ნაწყვეტები ემთხვევა სერბიულ ნუსხებს, ეფროსინისეული წარმოადგენს მის განსაკუთრებულ რედაქციას, რომელიც განსხვავდება თავისი სამხრეთსლავური ორიგინალიდან. ბევრი გაუგებარი სიტყვა ახსნილია რუსულად, შეცვლილია ზოგიერთი სიუჟეტური მოტივი, „ალექსანდრიანის“ მეორე, სათავგადასავლო ნაწილი დაყოფილია სათაურებად<sup>9</sup>.

<sup>6</sup> ტრ. რუხაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 270.

<sup>7</sup> ტრ. რუხაძე უთითებს იმ რუსულ ხელნაწერებს, რომლებიც მისი აზრით დაახლოებით იმ ხელნაწერთა ტიპს წარმოადგენენ, რომლიდანაც ითარგმნა ჩვენი „ალექსანდრიანი“. ესენია: 1880 წლის გამოცემა, რუსეთის ისტ. მუზეუმის ხელნაწერი, უეაროვის — ფ. № 323, ბარსოვის — № 1798. ლენინის სახ. მუსეუმის საქარო ბიბლიოთეკა, ნიჟნოვოროვის — ფ. № 63 (დასახ. ნაშრ., გვ. 270).

<sup>8</sup> Я. С. Лурье, Средневеков. й роман об Александре Македонском в русск. лит. XV в. „Александрия“, 1965, М.-Л., გვ. 146.

<sup>9</sup> იქვე, გვ. 149.

ამგვარად, XV ს-ში არსებობდა „ალექსანდრიანის“ რამდენიმე რედაქცია ან რედაქციული ტიპი, რომელთაგან ეფროსინისეული არ არის პირველადი<sup>10</sup>.

ნაწარმოები რუსეთში ითარგმნა მაშინ, როდესაც ქვეყნის აღსასრულის მოახლოებით შეძრწუნებულ ეკლესიას დაუპირისპირდნენ ნოვგოროდისა და მოსკოველი მწვალებლები. იდეურმა ბრძოლამ მათ შორის თავისი კვალი დააჩნია „ალექსანდრიანსაც“. რუს რედაქტორებს არ მოსწონდათ სერბიულ ტექსტში ჰომეროსისა და მისი გმირების ხსენება, ამიტომაც ჰომეროსის თხზულება გადაიქცა „იერუსალიმის დაცემისათვის“ წიგნად. შიშველ-მართალთა საზოგადოების ერთგვარმა „დემოკრატიულმა“ ხასიათმა, აგრეთვე მთავარი გმირის, ყოვლისმძლე, ქვეყნის მპყრობელი მონარქის, ალექსანდრეს სასიკვდილოდ განწირვამ, მრავალი მტერი გაუჩინა ამ ნაწარმოებს.

„ალექსანდრიანი“ XVI ს-ში მივიწყებას მიეცა, ხოლო XVII ისევ აღდგა და მისაღმი ინტერესმა თანდათანობით იმატა რუსეთში.

სერბიული „ალექსანდრია“ სამხრეთსლავური ნუსხების მიხედვით ორჯერ გამოქვეყნდა<sup>11</sup>. ორჯერ დაიბეჭდა რუსული „ალექსანდრიანიც“ 1880—1887 წლებში, მეჩვიდმეტე საუკუნის ერთ-ერთი ნუსხის მიხედვით პ. ვიაზემსკის კოლექტიიდან (ახლანდელი ГПБ СССР. Вяземского, № 71). ტექსტი დეფექტურია. გამომცემლებს მიზნად ჰქონიათ მისი არა როგორც ლიტერატურული, არამედ როგორც ხელოვნების ნიმუშის გამოცემა, ვინაიდან ტექსტში ჩართულია მრავალი მინიატურა.

1929 წელს განხორციელდა „ალექსანდრიანის“ უკრაინულად გამოცემა<sup>12</sup>.

1962 წელს ბელორუსიის მეცნიერებათა აკადემიამ გამოსცა „ალექსანდრიანის“ XVII ს-ის ბელორუსული ვარიანტი<sup>13</sup>.

1965 წლის მოსკოვ-ლენინგრადის აკადემიური გამოცემა შეიცავს სერბიული „ალექსანდრიანის“ რუსულ თარგმანს იმ ნუსხის მიხედვით, რომელიც გადაწერილია XV ს-ის ბოლოს ცნობილი რუსი მწიგნობრის ეფროსინის მიერ<sup>14</sup>.

კრებულში, სადაც ალექსანდრეს რომანია შეტანილი, ეფროსინს კიდევ სხვა მრავალი ამბავი ჩაუწერია. ამათგან საინტერესოა: ა. „От книги царства Георгия мниха грешна“ (ნაწყვეტები ამარტოლს ქრონიკიდან ალექსანდრე მაკედონელზე), ბ. „Арьяну ученику Епиктита философа... от Макидонь-

<sup>10</sup> იქვე, გვ. 150.

<sup>11</sup> а) Ogleđi :tarc hrvat ke pvoze, VI, Život Aleksandra Velikoga od V. Jagica Stavine Knj ge III, Zagreb, 1871.

б) Приповетка о Александру Великом у старој с-иској књижевности, критички текст и расправа од Ст. Новаковића, II делен. гласника Српског ученог друштва, књига IX, Београд, 1878.

<sup>12</sup> С. Г а е в с к и й, „Александрит“ в древній українській літ-ге (ступ. текст) Пам'ятки мови та письменства давньої України, т. III, Давня українська поіість, ч. I, Збірник № 98, Книг, 1929.

<sup>13</sup> Александрья, редактор В. Г. Баркоуский, складольник У В. Анниченка, Минск, 1962.

<sup>14</sup> Александрья, роман сб Александрге Мзведском по русской рукописи XV в., издатель М. Н. Еотвинник, Я. С. Лурье, О. В. Твсрсев, издат-но „Наука“, М.-Л., 1965. გამოცემა სსრკ-ელად უღევს ГПБ, СоСр. Кр-ил. о-Белозерского монас ир , № 11 (1088,8<sup>0</sup>) ხელნაწერი.

ского Александра повесть сотворив..." (Рассказ Палладия „О Рахманех“), გ. „Слово о рахманех и придивном их жигии“, დ. „Еллинская писания сказуют иж Александрова воздухохождение“ და სხვა.

კრებული 1490—1491 წლებით თარიღდება<sup>15</sup>. იგი სხვა დანარჩენ რუსულ ნუსხათა შორის არა მარტო ძველი, არამედ ყველაზე სრულიცაა. სიძველის მხრივ ამას მოსდევს XV—XVI სს. კიევის ხელნაწერი (собр. К. евского университета № 24). მოსკოვის (ГПБ собр. Яровского, № 41) ხელნაწერი 1621 წლისაა. დანარჩენი ხელნაწერები კი საზოგადოდ XVII—XIX საუკუნეებით თარიღდება<sup>16</sup>.

საქართველოში არჩილისეული „ალექსანდრიანის“ მრავალი ხელნაწერია დაცული. მათ შორის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის A ფონდის 364, 697, 1070; II 188, 105, 376, 841, 1204, 1249; S 111, 185, 1514, 3619; Q 560, 332, 2888; საქართველოს ცენტრ. არქივი 19, 28, 101, 123, 233(8), 297 ხელნაწერები.

ტექსტის დადგენისათვის საყურადღებოა ხელნაწერთა ინსტიტუტის A 697 და იოანე ბაგრატიონისეული ხელნაწერი № 30, რომელიც ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკაში ინახება<sup>17</sup>.

დასახელებული ხელნაწერების საფუძველზე ჩვენ მიერ მომზადდა კრიტიკული ტექსტი, რომელიც „ალექსანდრიანის“ რუსულ გამოცემასთან შეეპირისპირეთ. ამჯერად ჩვენ გვინტერესებს ქართული „ალექსანდრიანის“ არჩილისეული თარგმანის რაობა. ქართულ-რუსული ტექსტების შედარების შედეგად საშუალება მოგვეცემა დავადგინოთ, თუ რა მიმართებაშია ქართული რუსულთან და თვით არჩილისეული თარგმანი რა მხატვრულ ღირებულებას წარმოადგენს.

ქართული „ალექსანდრიანის“ ერთ-ერთი ყველაზე ძველი ნუსხა (A 697) 1794 წელსაა გადაწერილი. ხელნაწერს თ. ჟორდანიას ხელით თავზე აწერია: „ცხოვრება ალექსანდრე მაკედონელ მეფისა, ფრიად იშვიათი“. შეიცავს 93 ფურცელს [21×17 სმ]; დაწერილია გაყვითლებულ თეთრ ქაღალდზე; უყლოა და თავბორონაკლული; შიგადაშიგ ფურცლები გადაჭკუფებულია და შეცდომით არის ჩაყვრებული და დანომრილი<sup>18</sup>.

ხელნაწერს ბოლოში გადამწერის ანდერძი ერთვის: „აღწერა წიგნი ესე, ცხოვრება ალექსანდრე მაკედონელისა ჩლმდ [1794]. მხილველნო და წამკით-

<sup>15</sup> Я. С. Лурье, Археологический обзор, Александрит, 1935, М.-Л., გვ. 187, 198

<sup>16</sup> იქვე, გვ. 190, 191.

<sup>17</sup> ხელნაწერი პირველად აღწერა და დაახასიათა ფრ. სიხარულიძემ (საქ. მეცნ. აკად. „საისტორიო კრებული“, II, თბილისი, 1970, გვ. 72—98.). აქვე ავტორს მოჰყავს „ალექსანდრიანის“ ხელნაწერების სქემა მათი ვარიანტული სხვაობის მიხედვით. სიძველის მხრივ იოანე ბაგრატიონისეულ ხელნაწერს მისდევს საქ. ცენტრ. არქივის 297 ხელნაწერი, A 697 და H 188 („საისტორიო კრებული“, II, გვ. 96).

<sup>18</sup> ხელნაწერს დასაწყისში ერთი ფურცელი აკლია; 5v—6r შორის უნდა იყოს 54rv; შემდეგ აკლია; 12v—13r შორის უნდა იყოს 56rv; შემდეგ აკლია; 18v—19r შორის უნდა იყოს 52rv; 26v—27r შორის აკლია ერთი ფურცელი; 32v—33r შორის უნდა იყოს 53rv—55rv; 38v—39r შორის ორი ფურცელი აკლია; 44v—45r შორის უნდა იყოს 57rv; შემდეგ ერთი ფურცელი აკლია; 50v—58r შორის აკლია; 63v—64r შორის ჭერ ერთი ფურცელი აკლია, შემდეგ უნდა იყოს 51rv; 69v—70r შორის ერთი ფურცელი აკლია; 92v—93r შორის უნდა იყოს 1rvფ.

ხეელნო ამისნო, თუ რომელიმე შეტომილება იხილოთ აღწერასა ამას შინა, ნუ მწყევთ ამისთვის. წიგნისა ამის დედანსა შინა მრავალი შეტომილი და მეტნაკლები იყო და, რაოდენიცა ძალ მედვა განმართვად, ვიმეცადინე ესრეთ. განსრულდა თებერვლის ძმ [26], ქორონიკონს შპზ [1794]“ (გვ. 93). აქვე მიწერილია სხვა ხელით: „ქ. წიგნი ესე ალექსანდრე მაკედონელის ცხოვრება არის, თუ ვითარ დაიბყრა ყოველი ქვეყანა და ანუ ვითარ მოვლო კიდენი ქვეყანისანი და ანუ ვითარ აღესრულა“ [გვ. 93].

„ალექსანდრიანის“ ერთი ყველაზე ძველი და კარგი ნუსხა იოანე ბაგრატიონისეულია. იგი ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკაში № 30-ით ინახება. 45, 155 და 208 გვერდებზე სათაურები ნუსხურად წერია<sup>19</sup>. ხელნაწერს მინაწერები ახლავს: 1. „მეფის სძალი წერეთლის ასული ქეთევანი“ [გვ. 1]. 2. „საქართველოს მეფის სძალი, იმერთ სალთხუცის წერეთლის ზურაბის ასული ქეთევანის ვარ ჩლჷ [1790]“ (გვ. 79); 113 გვერდი დაუწერელია, ბოლოს აქვს მინაწერი; 3. „აქ აკლია, შემკრავს მოსვლია ჩატანება“ (გვ. 113).

ხელნაწერს ბოლოში დართული აქვს გაბრიელ ჩხეიძის თექვსმეტმარცვლიანი ლექსი, რომელიც 17 სტროფისგან შედგება.

პირველ სტროფში ლაპარაკია ღმერთის მიერ სამყაროს შექმნაზე, ადამისა და ევას გაჩენაზე. მომდევნო (3, 4, 5, 6, 7, 8) სტროფებში მოთხრობილია ადამ და ევა სამოთხეში ყოფნის, ევასაგან ადამის ცთუნების და კენის მიერ აბელის მკვლელობის ამბავი, შემდეგ ავტორი ღმერთს უჩივის:

ერთსა ვემღური მე ღმერთსა, თუ ჩემგან ეკადრებისა:  
ან მიწა კაცად რად შექმნა. თუ აღრე შესძაღდებისა,  
გველი გახადა მაცთური სამოთხეშიგან ძვრებისა,  
ევა ატუნა ეშმაქმან, მე რაღას შემართლებისა?  
(გვ. 295, სტრ. 9).

ავტორი ქადაგებს აგრეთვე ღვთისმოსაობას და ქველის საქმეებს. ის თავის ვინაობასაც ამხელს:

ეთქვი, განვიზრახე გაბრიელ ჩხეიძემან მე ესეა,  
ავთა შეთქვას, ნურეინა მგმობ, სიბერისას ეს ლექსია,  
პირვანდელი ჩემი გონი სიმხნეშივე დავთესვა,  
აწე ამას გვეედრები, შენდობითა შემოსევა.  
(გვ. 295, სტრ. 12)

ცნობილი ისტორიული პირი გაბრიელ ეგორის ძე ჩხეიძე არჩილის, დარისა და ვახტანგ მეექვსის თანამშრომელი იყო რუსეთში. მას სხვა ნაწარმოებებთან ერთად ქართულად უთარგმნია კვინტოს კურციოსის „საქმენი ალექსანდრე მაკედონელისა“<sup>20</sup>.

<sup>19</sup> მინიატურების სიმრავლის გამო ჩვენ მხოლოდ იმ ფურცლებს გავუკეთეთ პაგინაცია, რომლებზედაც უშუალოდ ტექსტია მოთავსებული.

<sup>20</sup> ტრ. რუხაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 229.

როგორც ლექსიდან ჩანს, გაბრიელი მოხუცებული წერს თავის ლექსს. გაბრიელი მოხუცებული მეფერამეტე საუკუნის 40-იან წლებში ჩანს, ამიტომ მას ლექსი შეიძლება მხოლოდ ამ დროს შეეტანა. ამდენად ხელნაწერთა თარიღზე აღრინდელია და დღემდე ცნობილ „ალექსანდრიანის“ სხვა ქართულ ხელნაწერთა შორის ყველაზე ძველიც. გადამწერად გაბრიელი ვერ ჩაითვლება, ვინაიდან ტექსტი სხვა ხელით არის გადაწერილი<sup>21</sup>.

სამხრეთსლავური, რუსული და ქართული ტექსტების შედარებიდან ჩანს, რომ იმ ადგილას, სადაც რუსული თავის დედანს სცილდება, ქართული მისდევს რუსულს და მას კავშირი არა აქვს სამხრეთსლავურ ტექსტებთან<sup>22</sup>:

1. სამხრეთსლავურ ტექსტში მეფე ნექტანაფს აფრთხილება: „Егуптський крапштник Вереехъ именовъ“, ეფროსინის ტექსტში კი წერია უბრალოდ „вестник“ — უსახელოდ (21r); არც ქართულში გვხვდება სახელი.

2. სამხრეთსლავური: ნექტანაფი აღიშპიადეს აფრთხილებს „იპყარ“, არა შვა გარკვეულ დრომდე, თორემ გვეყოლება მონა და „непотребна чловек“. ეფროსინისეულში ასეთი რამ არ არის (26v). ეს ეპიზოდი არც ქართულში გვხვდება (გვ. 3).

3. სამხრეთსლავური: ფილიპე თავის ძეს ადარებს იოსებ მშვენიერსა და „აცილევს“ (აქილევსს). არც ეფროსინისეულში (28r), არც ქართულში არ გვხვდება ასეთი რამ (გვ. 10).

4. სამხრეთსლავური: ალექსანდრე ცხენის გამოსაყვანად გასაღებით შედის გალიაში. ეფროს. კი — „замкы поломав“ (32 r). ქართულში გვაქვს: „შემუსრა კლიტე“ (გვ. 17).

5. სამხრეთსლავური: ფილიპე მიწაა და მიწასვე დაუბრუნდება: „Паки къ земли възвратише“. ეფროსინისეულში ეს სიტყვები არ არის; აქ მთარგმნელი უმატებს: „Олимпиада же, стоя ту, плакашеся“ (37v). ქართული მისდევს რუსულს: „აღიშპიადე სდგა მახლობელ ცხედარისა მის და სტიროდა ფრიად“ (გვ. 30, 31).

6. სამხრეთსლავური: ებრაელები ჰპირდებიან ალექსანდრეს, რომ თუ იგი დარიოსს დაამარცხებს და უომრად მოვა იერუსალიმს, „царь есей все-ленней“ იქნება; ეფროსინისეული ტექსტი: „царь всей вселеней от сарей наречешися“ (73v), ქართული: „... და მეფედ ყოვლისა იერო ჯბრადეთა მიერ“ (გვ. 74).

7. ეფროსინისეულის მიხედვით მომაკედავი დარიოსი სთხოვს ალექსანდრეს ცოლად შეირთოს როკსანა, დარიოსის ქალიშვილი (105rv); სამხრეთსლავურში კი არა. ქართული მისდევს რუსულს (გვ. 126—127).

ტრ. რუხაძე დაახლოებით მიუთითებს „ალექსანდრიანის“ იმ ხელნაწერებს (ან ხელნაწერთა ტიპს), რომლიდანაც შეიძლება ყოფილიყო თარგმნილი ქართული ძეგლი. ამის საილუსტრაციოდ მოყვანილია ერთი მაგალითი:

<sup>21</sup> ფრ. სიხარულიძე გამოთქვამს ვარაუდს, რომ გადამწერად შეიძლება გ. დ. მეტრეველი მივიჩნიოთ (საისტ. კრ., II, გვ. 80).

<sup>22</sup> Александрия, 1965, М.-Л., გვ. 185—214.

რ უ ს უ ლ ი

ქ ა რ თ უ ლ ი

„Глаголют быти Александра сына царя Филипа, но не тако есть истина“, ან კიდევ:— „Глаголют бо его быти сына царя Филипа, но не тако есть истина“.

„იტყვიან ძედ ყოფად მისად მაკედონისა მეფისა ფილიპესა, არამედ არა არს ესრედ და ცრუ არს ესე ყოველივე“<sup>23</sup>.

ჩვენი ხელნაწერი ეფროსინისეულს მისდევს. ასე რომ, ქართული თარგმანის დედნის საკითხის გადასაჭრელად სხვა საბუთებია საჭირო:

ეფროსინისეული

ი. ბაგრატიონისეული

Глаголют бо его быти сына царя Филиппа, но несть тако, лжут... (20v).

„იტყვიან რამეთუ ძედ ყოფნად მისა მაკედონის მეფისა ფილიპესად, არამედ არა არს ესრედ და ცრუ არს ესე ყოველივე“ (გვ. 1).

რუსულ-ქართული ტექსტების შეჯერებამ გვიჩვენა, რომ მთარგმნელი ხელნაწერის სხვა რედაქციით სარგებლობს და არა ეფროსინისეულით<sup>24</sup>. რუსულს მოეპოვება ისეთი პასაჟები, რომლებიც ქართულ თარგმანში არ არის<sup>25</sup>. ასე მაგ.:

1. „И виде своё воинство побиваемо от перскаго воинства.“

Боги же египетскыя, виде множество кораблей варварских, вводяще воинство во Египет, в недоумение впад и восплакася, рече: «О горе тебе Египте, на многая прославися лета вкупе с царём своим и воедино лето погибел! Несть бо радости, иже не пременится на жалость. Тако же и слава, иже на земли, иже в мале являся, и воскоре погибает. Надеющи бо ся волшебной

„...და იხილა რა თვისი იგი მკედრობა მოწყვეტილი სპარსთა მათ მკედართაგან, შეშინდა და ფარულად განვიდა იგი ქალაქისა მისგან, ვითარმედ ვერაინ იხილა განსრული იგი.“

ხოლო ცისკარ ეგვიპტელნი მოვიდნენ სამეფოსა მას პალატსა და ვერა პოვეს იგი სამეფოსა მას სახლსა; შეძრწუნდენ და სტიროდენ მწარედ...“ (გვ. 3, 4).

<sup>23</sup> რუსული ტექსტები მოყვანილია იმ ხელნაწერების მიხედვით, რომლებსაც მკვლევარი ქართული თარგმანის შესაძლებელ დედნად მიიჩნევს; ქართული ტექსტის ძირითად ხელნაწერად მიჩნეულია ხელნაწერთა ინსტიტუტის A 697 ხელნაწერი (ტრ. რუხაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 270, 273).

<sup>24</sup> ფრ. სიხარულიძე მიუთითებს ქართულ თარგმანთან უფრო ახლო მდგომ რუსულ ტექსტს. ეს არის უნდოლსკის კოლექციის 310 ფონდის № 1340 ხელნაწერი, რომელიც ლენინის საჯარო ბიბლიოთეკაში ინახება (საისტ. კრ., II, გვ. 91).

<sup>25</sup> რუსულში ხაზგასმული სიტყვები ქართულ თარგმანს არ მოეპოვება.



хитрости, подобни суть на-  
сланяющимся на воду: ег-  
да бо опрѣтся, тогда по-  
гибнеть.

Нектонаву же царю убоящюся не могущи быти во Егип-  
те и с ратными братися, жалостию и страхом объят быв, гла-  
ву же и браду обрив и в полунощи из царских домов изышед и в  
далные страны поиде. В Филипуст же макидонский в  
град дошед, яко един от странных, никому же его зна-  
ющих. Седе же ту во едином месте скровен, врач же  
являещеся быти волхв хитѣр от египетских звездочет-  
тием лучши.

Египтяне же от нашедших царей многа пострадаша  
зла, ко двором царя своего притекше и сего не обретоша в царских по-  
латах, ужасни бызше и восплакашася горко“ (стр. 23rv).

2. Филипп же от сна возбудив-  
ся и рзмышляше и сѣ Ме над ру  
и Аристотелю исповедуеть маки-  
доньским философм. И в той час  
орѣл велик мимо шатѣр лете  
и через шатер царя фили-  
ппа, яйце напрасно испус-  
ти на крило шатра Филип-  
пова; он же убудився от  
сна, постели своея скочив,  
и скоро поиде к Макидонии со  
всем воинством и пришед в Маки-  
донию, царицю свою олимпиаду  
много благодарив...“ (стр. 27v,  
28r).

3. „да аще аз вознесуся, и ты  
со мною велик будеши зело; лоза-  
бо дальних древ не препле-  
тается, аще высока суть,  
то и к ближним преплетает-  
ся, тако же царь великой  
власти что будет, по дос-  
тоянию присныя своя лю-  
бит и верует им в векы.“  
Обычай же бе Александру до обе-  
да...“ (стр. 29v, 30r).

4. „Прииде же Александр во цар-  
ство некое, внигда лета еллини  
пришедше, разбиша его некиа ра-

„და აღდგა რა მეფე ფილიპე ძილისა  
მისგან, ჰკონებდა თავსა შორის თვისსა  
ჩვენებისა მისთვის. და აუწყა ჩვენება  
იგი ბრძენსა მას არისტოტელსა, მაკე-  
დონელსა მას ფილოსოფოსსა, და წარ-  
ვიდა მეფე ფილიპე მაკედონიად და  
დედოფალსა თვისსა აღიმპიადეს ფრი-  
ად მალლობა მისცა“ (გვ. 9, 10).

„...და უკეთუ მე ავმალდე, შენცა  
ჩემთანა დიდ იქმნა.“

და იყო ჩვეულება ალექსანდრესი  
ესრეთ ვიდრე სადილობადმდე...“ (გვ.  
12, 13).

„და მივიდა ალექსანდრე რომელსამე  
სამეფოსა და მიუხდენ მას ირემნი ვე-  
ლურნი და აღშალნა იგინი ცოლისა მი-

ды жены Келендуша, краля акендоньского, иже остави своего мужа и прия себе мужа царя априндеского и во Троию прибеже. Келендуш же царь и витези на помощь к себе призва многа воинства собра, на Троию устремися жены ради своей. И всю Преидискую страну пленив, и вся люди острию мечному предаша. Изначало бо вся злая женою быша: первые бо во человецех Алам прелщён бысть женою..." (стр. 63 г, 64г).

ამ პარალელურ ტექსტში არა მარტო დასაწყისია შეცდომით გაგებული და თარგმნილი — „მიუხდენ მას ირემნი ველურნი“ („еллини“ — „ელინნი“ გაგებულია „олени“ — „ირმებად“), არამედ გამოტოვებულია ნაწილები, სადაც ტროას ამბებია აღწერილი. მოყვანილი მაგალითები ცხადყოფენ, რომ მთარგმნელს სხვა რედაქცია უპირავს ხელთ და არა ე. წ. ეფროსინისეული.

ზოგჯერ მთარგმნელს ზუსტად გადმოაქვს დედანი და თარგმანს მხატვრულ სახეს უნარჩუნებს:

„Царь же привести его повеле пред ся и, видев его, подивися красоте его. И повеле сътворити ему клетку железну и повеле метати ему повинных, и сему бывшу не смеяше приступити к нему никто же. Александр же приходяше к нему часто, Кон же той, отменяя всяку ярость, тихо ко Александру вираше, и трепеташе его, и повинова- шеся своему царю и всаднику“ (стр. 31v, 32г).

„ხოლო მეფემან ფილიპე ბრძანა მოყვანება მისი წინაშე თვისისა. და იხილა რა მეფემან ფილიპე, განკვირდა შევნიერებასა ზედა მისსა და ბრძანა მისთვის საბმურად რკინის სახლისა შექმნად და საზრდოდ სასიკვდი- ნოდ დამნაშავე კაცთა მიგდებად. და ეგრედ იმყოფებოდა, არაეის ეძლო ცხენისა მის მიახლებად. გარნა ალექსანდრე მივიდოდა მისდა მიმართ ხშირად. ხოლო ცხენი იგი განიშორებდა ყოველსა გულის-წყრომასა თავისა თვისისაგან და მიიხილვიდა ალექსანდრეს მიმართ მყულროდ და წყნარად და შეძრწუნდებოდა წინაშე მისსა და ემორჩილებოდა ვითარცა მეფესა და პატრონსა თვისსა“ (გვ. 16, 17).

ზოგან ქართულისათვის დამახასიათებელი ეკვივალენტით მთარგმნელი მოხდენილად გადმოგვეცემს დედნის აზრს:

1. „Царь же той Анакোর্нос устрелён бысть красотою жены Филиппа...“ (სტრ. 36v). „ხოლო მეფე ანაკორნოს დაწყულულებულ ჰყო გულა თვისი სიმშვენეურითა დღეაულისა ალაშქაიდეს, ფლაპეს ცოლისათა...“ (გვ. 27).

2. „Судом праведным“ (სტრ. 45v, 46r). „სამართლითა მართლითა...“ (გვ. 42) და სხვა.

სამწუხაროდ, თარგმანში ვხვდებით დედნის უმართებულო გაგების შემთხვევებს და დამახინჯებულ ადგილებს.

მთარგმნელი ზოგჯერ ვერ გარკვეულა ტექსტში. ეს იმთავითვე იყო შენიშნული მკვლევართა მიერ: დაქარაგმებული Блаженный (ნეტარი) გადმოსულა ქართულად Ближен-ად, Зла, злодеяние — „ოქროდ“, ხოლო Гусар (ყაჩაღი) — „მებატედ“<sup>28</sup>.

აქვე დედნის გაუგებრობისა და მცდარი ინტერპრეტაციის რამდენიმე ნიმუშს მოვიტანთ:

1. „И вручивше ему писание оно...“ (სტრ. 24r) მთარგმნელს „იო“ (იგი) გაუაზრებია „ინაჲ“-ად; ქართულში გვაქვს: „...და მასცეს მას სხვა წერილი“ (გვ. 5.)

2. „...донде небеснии плании стануг на уставех и стихие“ (სტ. 26v). თარგმნილია: „...გაღრმელას ცანი დაღვეს პარსა ზედა თვისსა“ (გვ. 8). აქ уставех — установленных местах გაგებულია მცდარად და уста — ბაგე-პირის ასოციაციით არის გადმოქული (უნდა ყოფილიყო: „დაღვენილ, გარკვეულ ადგილას...“).

3. „...Александра предасть ему, рек: Научи ми его премудрости и хитростем всем, яже сам умеши“ (სტრ. 28v, 29r).

ეს სიტყვები ალიმპიადეს ეკუთვნის; ალიმპიადე სთხოვს ნექტანაფს, გამოწერონ შეილიო. ქართულში კი თვითონ ალექსანდრე ამბობს: „და ჰრქვა მას ალექსანდრე: მასწავე მე, ნექტანაფ ქელოვნება ეგვიპტური, რაოდენიცა თვით უწყოდ“ (გვ. 5). აქ „научи ми его“ გაგებულია: „მასწავე მე“.

4. „Лванцату царя постави, мал унъ возрастом, но велик храбростию...“ (სტრ. 36v) — ეს ნიშნავს: მართალია ასაკით პატარა იყო, მაგრამ სიმხნით დიდად შემკულიო. ქართულად თარგმნილია: „დაუდგინა მათ მეფე სახელით ლოვანცათურა ასაკითა და სიმჴნითა შემკული“ (გვ. 26).

5. „Сим же четырёх съветом, бышем ко Александру, угодно ему явися...“ (სტრ. 39r) ტექსტის მიხედვით ალექსანდრეს ოთხივეს რჩევა მოეწონა, მთარგმნელი კი ასხვაფერებს: „ხოლო განზრახვათა ოთხთა ამათ შინა ალექსანდრე სათნო ეყო განზრახვასა პტოლომეისასა“ (გვ. 32).

6. „...тогда ярости и гнева исполнися, похватив грамоту и раздравь ю...“ (სტრ. 42r) თარგმნილია: „აღუესო რასხეითა და გულსწყრომითა და წერილი დარაოზასა აქო და განხეთქა იგი“ (გვ. 36). რუსული похватив — схватив, გაგებულია похвалив — „აქო“-დ (უნდა ყოფილიყო: „ხელი უპყარა“).

7. ალექსანდრე ათენში აგზავნის კუმანელ ელჩს არევაკს-არიფისკას; ათენელები ათენშივე მოსძებნიან თარჯიმანს (თილმანჯს) და მისი მეშვეობით ვითხოვნიან ელჩს: „...и в град послав Аревакса, мужа мудра, куманина родом. И поискавшие во граде, и обретоша человека команска горазда, и посла Александрова с толмачём вопрошаху...“ (სტრ. 48v). ქართულში კი ისეა, თითქოს ალექსანდრემ ელჩი და თარჯიმანი ერთად გაგზავნა: „და წარავლინა ქალაქსა შინა ელჩი თვისი სახელით არიფისკა, კაცი გონიერი ნათესავით კუმანელი, თილმანჯითურთ...“ (გვ. 44).

დენის მიხედვით, შემდეგ ათინელებმა თავისივე თარჯიმანს თავი მოკვეყნეს: „своему толмачю куманскому главу отсекоша...“ (სტრ. 49r). თარგმანში თარჯიმანი ათინელი არა ჩანს: „...და თილმანჯს თავი წარკვეთეს...“ (გვ. 45).

8. „... и 12 деиств имущу исцеление...“ (სტრ. 56v) = 12 целебных свойств თარგმნილია: „ათორმეტი ქალწულება, რომელსა აქვნდა კურნება“ (გვ. 55).

საკუთარი სახელების გადმოტანისას ქართულ თარგმანში დაშვებულია შეცდომები. ზოგჯერ მთარგმნელს მექანიკურად გადმოაქვს ესა თუ ის სახელი, რაც გაუგებრობას იწვევს:

1. „Сами же к Посидону, богу своему, притекоша...“ (სტრ. 24r) Посидону — „პოსიდონი“ გაგებულია по Сидону — „სიდონიას მიმართ“: „ხოლო თვით მირბიოდეს სიდონიას მიმართ ღმრთისა მათისა“ (გვ. 5).

2. „Амона и Пинеса, Екрулиа великого...“ (სტრ. 25v) თარგმნილია: „ამონას და ებინეას, რომელთაც ფრთენი მიეცნეს დიდისა ღმრთისა“ (გვ. 7). აქ „и Пинеса“ გადმოსულია როგორც „ეპინეას“, სადაც ე რუსული и კავშირია (ასეთი სახის შეცდომას თარგმანში სხვაგანაც ვხვდებით)<sup>27</sup>. Екрулиа გაგებულია „и крыля“ — „ფრთენი მიეცნეს“. სხვანაირად გაუგებარია „ფრთების“ ამ კონტექსტში ხმარება.

3. „...и нарече имя ему Дранм, иже наречется Потечище“ (სტრ. 32v) თარგმნილია: „... და უწოდა მას სახელი ძვირფასი, რომელ რბოლასა ცხენისასა“ (გვ. 18). Дранм, дром — „რბოლა“ გაგებულია „ძვირფასად“.

4. „И тогда сретоша сго всяя вселенная цари, тракинъски, и морыстии, и далмаскыя, и польскыя, василиское...“ (სტრ. 54 r). ქართულში გვაქვს: „და მიეგებოდას მას მეფენი სოფლისანი და ზღვისანი და მასთისა და ბოლსთისა და ვასილევისა...“ (გვ. 52). მორისტინი (მურეისცი, ლიურიისკნი) ქართულში გადმოსულა море-ს ასოციაციით „ზღვისანი“, თრაკიელები საერთოდ გამოტოვებულია და ა. შ.

თარგმანში მრავლად გვხვდება რუსიციზმები და სიტყვასიტყვითი თარგმანი, რაც ამახინჯებს ქართულ ტექსტს.

ყველა ამის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ:

1. არჩილისეული „ალექსანდრიანი“ თარგმნილია რუსულიდან არჩილის მიერ, მისი მოსკოვში ყოფნის დროს, 1699—1713 წლებში.

2. ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკის იოანე ბაგრატიონისეული „ალექსანდრიანის“ ხელნაწერი № 30 ყველაზე უფრო ადრინდელია დღეს ცნობილ

სხვა ქართულ ხელნაწერთა შორის. ამ ხელნაწერში დამოწმებულია თარიღი 1790 წელი, მაგრამ იგი (გაბრიელ ჩხეიძის მინაწერის მიხედვით) უფრო ადრეა გადაწერილი, დაახლოებით მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში, ორმოციან წლებამდე.

3. ტექსტების შედარების ნიადაგზე მთელი რიგი ადგილები მიგვანიშნებს, რომ ე. წ. ეფროსინისეული ნუსხა (ან მისი ტიპი) არ უდევს საფუძვლად ქართულ თარგმანს. რუსულმა ადრინდელმა (XV ს.) ტექსტმა განიცადა რედაქტირება, რის შედეგადაც ის ადგილები, სადაც ჰომეროსზე და ტროას გმირებზეა ლაპარაკი, რუსულში შეიკვეცა.

ქართველი მთარგმნელი იმ ხელნაწერით სარგებლობს, რომელმაც ასეთი რედაქტირება გაიარა.

ჩვერჯერობით ზუსტად ვერ მივუთითებთ, თუ რომელი რუსული ხელნაწერი წარმოადგენს ჩვენი თარგმანის დედანს.

4. სანამ „ალექსანდრიანი“ ქართულად ითარგმნებოდა, მან დიდი და რთული გზა გაიარა: ბერძნულიდან სერბიულად ითარგმნა, სერბიულიდან—რუსულად, ხოლო რუსულიდან—ქართულად.

5. ძველი ქართული მთარგმნელობითი მეთოდის თანახმად თარგმანი შესრულებულია თავისუფალი სტილით. მთარგმნელი ზოგან აკლებს და ზოგან ავრცობს ტექსტს. კომპოზიციური შედგენილობით, სიუჟეტის მძაფრი განვითარებით იგი იმდროინდელი ქართველი საზოგადოებისათვის იმდენად საინტერესო საკითხავი წიგნი ყოფილა, რომ არსებული თარგმანის ნიადაგზე შექმნილა ლექსითი, ხოლო შემდეგ მისი პროზაული რედაქციები.

6. „ალექსანდრიანის“ ქართველი მთარგმნელი, მართალია, ზოგჯერ დედნის გაუგებრობის ნიადაგზე აზრობრივ შეცდომებს უშვებს, მაგრამ მისი თარგმანი მაინც ენობრივად კარგად გამართული ტექსტია და მას ქართული მწერლობის ისტორიაში თავისი კუთვნილი ადგილი უჭირავს.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ა. ბარამიძემ)

ნარპიზა გოგუაძე

სეითი—მრავალთავის ერთ-ერთი მთარგმნელი

სეითი ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე კარგა ხანია ითვლება ჩვენი მწერლობის ადრეული პერიოდის ერთ-ერთ თვალსაჩინო მოღვაწედ, რომლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ხანად ნაგულისხმევია მერვე-მეცხრე საუკუნეები<sup>1</sup> და რომლის კალამს მიაწერენ 25 აგიოგრაფიული ძეგლის ქართულ თარგმანს<sup>1</sup>. პირველად ქართული ლიტერატურის ისტორიაში სეითს ეს ადგილი მიუჩინა აკად. კ. კეკელიძემ, რომლის ფუნდამენტური შრომის „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ I ტომის 1923 წლის გამოცემაში სეითს ცალკე თავი მიეძღვნა. ეს თავი უმნიშვნელო ცვლილებებით მეორდება ყველა მომდევნო გამოცემაში.

იმ მწერალთა შორის, რომელნიც ცნობილი არიან ჩვენი მწერლობის პირველ პერიოდში, საპატიო ადგილი უნდა დაეთმოს სეითს, — წერს კ. კეკელიძე. — სეითი Xუზ სეთ, აქედან სმთ<სეათ<სეით, არის მოღვაწე მერვე საუკუნის მეორე ნახევრისა ან მეცხრის პირველი ნახევრისა. ეს ის დრო იყო, როდესაც ქართულ მწერლობაში საფუძველი ეყრებოდა იმ აგიოგრაფიულ კრებულს, რომელიც ცნობილია „მრავალთავის“ სახელით და რომელიც შეიცავს წმინდათა ცხოვრების უძველესს, გადაუკეთებელ რედაქციას, ე. წ. „კიმენს“. ეს კრებული საუკუნეთა განმავლობაში თანდათან ივსებოდა და ფართოვდებოდა და მხოლოდ მეთათე საუკუნის გასულს მიიღო მან ის სახე, როგორცაა ის წარმოდგენილია შედარებით სრულსა და დამთავრებულ ნუსხებში: ათონისაში № 57, ხელნაწერთა ინსტიტუტის A 95 და სხვ. საფუძველი ამ კრებულისათვის დაუდგია, უნდა ვიფიქროთ, სეითს. არავითარი ბიოგრაფიული ცნობები მის შესახებ ჩვენ არ მოგვეპოვება, ვიცით მხოლოდ, რომ ის მოღვაწეობდა იერუსალიმში, უეკველია, საბას ლავრაში, და მუშაობდა აგიოგრაფიულ დარგში. მართლაც, სინას მთაზე შენახულა კრებული მის მიერ გადმოღებული აგიოგრაფიული ტექსტებისა, რომელიც გადაწერილია მეთათე საუკუნეში „პალავრას ქელითა პავლქსითა“. ამ კრებუ-

<sup>1</sup> იხ.: კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1960, გვ. 133—134, 501; მისივე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. V, 1957, ტ. VIII, 1962; ი. იშნაიშვილი, ქართული ვნის ისტორიული ქრესტომათია. II, 1963, გვ. 188—189; მისივე, საკითხავი წიგნი ძველ ქართულ ენაში, II, 1966, გვ. 214, 217, ლ. შენაბღე, ძველი ქართული მწერლობის კერების ისტორიიდან (პალავრა), „ორიონი“, 1967, გვ. 255—256; ს. ენუქაშვილი, ქართული არეოპაგტიკის რამდენიმე საკითხი, ურნ. „ცისკარი“, 1967, № 2, გვ. 114—116.

ლის ფურც. 240a-ზე დარჩენილა ასეთი შენიშვნა: „ითარგმნა იერუსალმის კელითა სეთ თარგმანისაათა“. ამ სეითს ჩვენ ვთვლით პირველი პერიოდის მეორე ნახევრის მწერლად იმიტომ, რომ მისი ტექსტები ჩვენ გვხვდება თითქმის ყველა ცნობილ „მრავალთავში“, რომელნიც მეცხრე-მეათე საუკუნეს ეკუთვნიან და რომლებშიაც ზოგიერთი ტექსტი სეითისა უკვე სხვა, უფრო ახალი, რედაქციითაა წარმოდგენილი. საყურადღებოა, რომ სეითს უმეტეს ნაწილად გადმოუღია იმ წმინდათა ცხოვრებანი და მარტივობანი, რომელნიც მოღვაწეობდნენ იმპერატორ დეოკლიტიანემდე, უფრო კი რომელნიც მის დროს მისი ბრძანებით ეწამნენ. უნდა ეთარგმნოს სეითს ბერძნული ენიდან, ამას მოწმობს: 1) ბერძნული ფორმები საკუთარი სახელებისა: დიოკლიტიანოს, დიონისიოს, კორნელიოს, ლეონტიოს, მაქსიმიანოს, კლავდიოს..., 2) ცალკე სიტყვები, როგორც, მაგალითად, სტრატიოტი, მუჟრკუშუმბელი; 3) მთელი ფრაზა ბერძნულ ენაზე ქართული ტრანსკრიპციით: „ღოქსა სოვა თეოს“. შეიძლება ზოგიერთი ტექსტი არაბულიდანაც იყოს ნათარგმნი, მაგალითად, 3,14. გადმოუღია სეითს სულ, აღნიშნული ხელნაწერით, 25 აგიოგრაფიული ტექსტი: 1) წმიდისა მენა ფრიგიელისა (11 ნოემბერს), 2) წმიდათა და კეთილად მძლეთა მოწამეთა გურია, სამონა და აბიბოსი (15 ნოემბერს), 3) წმიდათა მოწამეთა ევსტრატისი, ევქუსანტისი, ევგენისი, ორესტისი და მარდარისი (13 დეკემბ.), 4) წმიდისა ფოკასი, 5) წმიდისა მარინაასი (17 ივლისს), 6) წმიდისა ანასტასიასი (22 ოქტომბ.), 7) წმიდისა ღომენტისი (8 ნოემბ.), 8) წმიდისა პანტელეიმონისა (27 ივლისს), 9) საკვირველებანი წმ. ნიკოლოზისა (6 დეკემბ.), 10) წმ. პეტრე ალექსანდრიელისა (25 ნოემბ.), 11) წმ. ივანეტი ანტიოქელისა, 12) დიონისიოს ათენელ ეპისკოპოსისა, 13) წმ. ევგენიასი, 14) კიდევ ევგენიასი, 15) წმ. საკვირველმოქმედთა კვროსისი, იოვანესი და სამთა ქალწულთა (31 იანვ.), 16) წმ. ლეონტისი (18 ივნისი), 17) წმ. მოწამეთა პავლე, ბილოს, თეონ, ირონ და მოყუასთა მათთა (2 ივლისი), 18) წმ. ათანასი კოლიზმელისა (19 ივლისს), 19) წმ. თალალეოს, თოტრიმოს, ასტერი და ფილაგრიოსისა (20 მაისი), 20) პოენა წმ. ანანია, აზარია და მისაელისი, 21) წმ. ბიქტორისი და სტეფანია დედაკაცისა, 22) წმ. სერგისა და ბაქოზისი (7 ოქტომბ.), 23) წამება წმ. 45 მოწამეთა ნიკოპოლელთა, 24) წმ. აგათანგელე დამასკელისა (7 თებერვ.), 25) წმ. ილარიონ დიდის პალესტინელისა“<sup>2</sup>.

ერთადერთი წყარო, რასაც ეყრდნობა მკვლევარი სეითზე მსჯელობისას, არის სინას მთაზე დაცული ერთი ქართული ხელნაწერის — Sina № 11 — მინაწერი „ითარგმნა ემრუსალემს კელითა სეთ თარგმანისაათა და დაიწერა პალაერას კელითა პავლმსითა. ა.წ.“ ხსენებული ხელნაწერი ინახება სინას მთაზე. იგი პირველად აღწერა პროფ. ალ. ცაგარელმა<sup>3</sup>. ამ აღწერილობაში არაფერია ნათქვამი სეითის შესახებ<sup>4</sup>. Sina № 11-ის ზემომოყვანილ მინაწერს აკად. კ. კეკელიძე იცნობს (როგორც ამაზე თვითონაც მიუთითებდა „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ 1923 წლის გამოცემაში) აკად. ივ. ჯავახიშვილის აღწერილობის მიხედვით.

<sup>2</sup> კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. 1, 1960, გვ. 133—134.

<sup>3</sup> А. Цагарели, Памятники грузинской старины в Святой Земле и на Синае, „Палестинский сборник“, т. IV, 1888.

<sup>4</sup> ალ. ცაგარის შრომაში ამ ხელნაწერის ნომერია 50.

ცნობილია, რომ ნ. მართან ერთად ივ. ჭავჭავაძე იმ 1902 წელს მოინახულა და აღწერა სინას მთაზე დაცული ქართული ხელნაწერები. თუმცა ამ აღწერილობის ბეჭდური გამოცემა მეტისმეტად დაგვიანებით განხორციელდა (გამოიცა 1947 წელს)<sup>5</sup>, ეს აღწერილობა დაინტერესებულ პირთათვის ხელნაწერის სახით ადრევე იყო ხელმისაწვდომი.

Sina № 11-ის შესახებ ივ. ჭავჭავაძის წერს: ხელნაწერი შეიცავს წმინდანთა ცხოვრება-წამებებს; შედგება ორი ნაწილისაგან: პირველი ნაწილი — ფ. 1 — 360, მეორე — ფ. 361—399. პირველი ნაწილი ლამაზი ხელითა დაწერილი, ხოლო ფ. 361-დან ბოლომდე ნაწერია სხვა ხელით. ჩამოთვლილია კრებულში მოთავსებული ძეგლები თანმიმდევრობით. წმ. თალაღოსის ცხოვრების (ფ. 232—239) შემდეგ, 240 ფურცელზე წმ. ანანიას, აზარაის და მისაელის პოვნამდე არის 4 სტრიქონი, რომელიც არც წინა თხზულებას ეკუთვნის და არც მომდევნოს. ამის შესახებ ივ. ჭავჭავაძე იწერს: „Л. 240 а. Без

отношения к предыдущему житию, сохранилось 4 стр., неизвестно концом какого жития должны быть эти строчки: ივე ქეჲსა, რაღსა კჲუენის რბჲა თანა მამით და სულით წითურთ, აწ და შს უკუნიით უკჲე, ან.

ითარგმნა(!) იწლმს კელითა სეთ თარგმანისათა და დაიწერა პალაერას ჯელითა პველსითა, აწ“<sup>6</sup>.

ხელნაწერის აღწერის ბოლოს ავტორი მიუთითებს კრებულში არსებულ მინაწერებზე: „Записи в первой части (от л. 1—360): Имеется много записей о прощении грехов, но без упоминания имени, а на л. 240 а: итаргмна იწლმს ჯელითა სეთ თარგმანისათა და დაიწერა პალაერას ჯელითა პველსითა, აწ.

Запись 2-ой части (от л. 361—399 л.): л. 399 в: ქე შე ივენ ე მწროლი ამისი, წრო არეთა თნა მოყუსითურთ მეობ გყვე წე ქა მსგავსად თხოვისა შნისა დღესა მას გწკითხვისასა ივენეს მწარედ ცოდვილსა და მქლს დქწოზსა“<sup>7</sup>.

ამ აღწერილობაზე დაყრდნობით კ. კეკელიძე ფიქრობს, რომ 240გ-ზე მიწერილი ანდერძი მიეკუთვნება კრებულის მთელ პირველ ნაწილს (ფ. 1—360) და მაშასადამე: გადამწერია კრებულის ამ ნაწილისა (ფ. 1—360) პავლე, ხოლო მთარგმნელია იერუსალიმში მოღვაწე სეთით. კრებული გადაწერილია X საუკუნეში, ხოლო მასში მოთავსებული ძეგლები თარგმნილია მე-8—9 საუკუნეებში.

1956 წელს დაიბეჭდა ე. გარიტის მიერ შედგენილი სინური ხელნაწერების ქართული კოლექციის (შერჩევით) აღწერილობა ფრანგულ ენაზე<sup>8</sup>. ე. გარიტმა ნახა და აღწერა ჩვენთვის საინტერესო კრებულიც Sina № 11. ამ აღწერილობაში დაწერილებით არის გადმოცემული ხელნაწერისათვის დამახასიათებელი ნიშნები<sup>9</sup>. ივ. ჭავჭავაძის მსგავსად ე. გარიტიც ხელნაწერს

<sup>5</sup> ივ. ჭავჭავაძე იწერს, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, 1947.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 30.

<sup>7</sup> იქვე, გვ. 31.

<sup>8</sup> G. Garitte, Catalogue des manuscrits Georgiens litteraires du mont Sinaï, 1956, გვ. 29—45.

<sup>9</sup> ე. გარიტის შემდეგ Sina № 11 საგანგებოდ შეისწავლა და აღწერა პროფ. ი. იმნაივილი; ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, II, 1963, გვ. 188—190.



2 ნაწილად ყოფს: პირველი ნაწილია ფ. 1—360, მეორე — ფ. 361—399. მინაწერებს ასახელებს გვერდობლივ (რომელ გვერდზე რა მინაწერია). ამ მინაწერებში გვხვდება სახელი და ვით. ხელნაწერის პირველი ნაწილის გადამწერად ე. გარიტი თელის და ვითს (42r, 214r, 337v), ხოლო მეორე ნაწილის გადამწერად — იოვანეს (339v). სეითის შესახებ ამ აღწერილობაში ვკითხულობთ: ე. კეკელიძე მთარგმნელ სეთს მიაწერს იმ ტექსტების მთელ სერიას, რომელსაც შეიცავს Sina № 11, გარდა აბოს ცხოვრებისა და არეთას მარტილობისა. ეს მიკუთვნება ეფუძნება მხოლოდ 240r-ს შენიშვნას, რომელიც ეკუთვნის მხოლოდ № 21 ტექსტს, რომლის ბოლო ორი სტრიქონია შემორჩენილი.

ჟ. გარიტმა სამართლიანად მიუთითა, რომ ე. კეკელიძის წყარო არის 240r-ზე მოთავსებული მინაწერი. არავითარი სხვა ცნობა ქართული ლიტერატურის სარბიელზე მოღვაწე სეითის შესახებ ჭერჭერობით არ მოგვეპოვება.

ყ. გარიტის ეს მოსაზრება სავსებით გაიზიარა პროფ. ილია აბულაძემ, რაც მან გარკვევით გამოთქვა 1967 წელს კამათში ქართული არეოპაგტიკის საკითხების გამო.

იხილავს რა „ქართული არეოპაგტიკის საკითხებს“, ს. ენუქაშვილი ეგება დიონისე არეოპაგელის ცხოვრების ქართულ ენაზე გადმოთარგმნის საკითხს. „დიონისე არეოპაგელის ცხოვრებას“ შეიცავს ხელნაწერი Sina № 11. ამიტომ ეს ძეგლი მიჩნეულია მერვე საუკუნეში თარგმნილად, ხოლო მის მთარგმნელად — სეითი. ილია აბულაძის წერილში „შენიშვნები ს. ენუქაშვილის ახალი შრომის „ქართული არეოპაგტიკის რამდენიმე საკითხის“ გამო“<sup>10</sup> ვკითხულობთ: „ყველაზე ადრინდელი ცნობა დიონისე არეოპაგელზე ქართულ მწერლობაში ჭერხნობით VIII საუკუნისა მოგვეპოვება“, — წერს ს. ენუქაშვილი და ასეთად ასახელებს თითქოს VIII—IX საუკუნეებში იერუსალიმს მოღვაწე ქართველ მწიგნობარ-მთარგმნელს, ვინმე სეითს, რომელსაც თითქოსე სინას მთის X საუკუნის აგიოგრაფიულ კრებულში შესულ სხვა 24 აგიოგრაფიულ ნაწარმოებთან ერთად უნდა ეთარგმნოს დიონისე არეოპაგელის ე. წ. ავტობიოგრაფია...

სეითის ვინაობასა და საქმიანობას ს. ენუქაშვილი აკადემიკოს ე. კეკელიძის მიდევნებით მონახავს და გარკვეული მოსაზრებით იღებს მისგან უკრიტიკოდ იმ საბუთიანობას, რომელსაც ე. კეკელიძე ისეთ ცნობაზე ამყარებს, რომელიც ხსენებულ აგიოგრაფიულ კრებულში (Sin. — 11) ერთი დაკარგული წამების წიგნის (რომლის დადგენა ვერ ხერხდება) ბოლო ორი სტრიქონის გაგრძელებად არის გადამწერის მიერ მოთავსებული... მოყვანილი მინაწერის საფუძველზე დამყარებული დასკვნა ე. გარიტს შესაწყენარებლად არ მიაჩნია“.

1956 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურმა სამეცნიერო ბიბლიოთეკამ ვაშინგტონიდან მიიღო სინას მთაზე დატული ქართული ხელნაწერების (მათ შორის Sina № 11-ის) მიკროფილმები. ამყამად ჩვენთვის საინტერესო ხელნაწერის Sina № 11-ის როტოპირი ინახება ე. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის საცავში.

<sup>10</sup> „ლიტერატურული საქართველო“, № 17, 1967.

Sina № 11-ის 240r-ზე მე-5 სტრიქონიდან იწყება ახალი ძეგლი: „პოვ-ნაჲ წმიდათაჲ ანანიასის, აზარიასის, მისაელისი“. წინა 4 სტრიქონი, როგორც ზემოთ ითქვა, არ ეკუთვნის ხელნაწერში მოთავსებულ რომელიმე თხზულებას. Sina № 11-ის 239r-ზე მთავრდება თხზულება (თალაღოსის წამება), ამავე ფურცლის verso თავისუფალია. აშკარაა, რომ ფ. 239-სა და ფ. 240-ს შორის ხელნაწერს ფურცლები აკლია, რომლებზედაც მოთავსებული უნდა ყოფილიყო თხზულება, რომლის დაბოლოების 2 სტრიქონიღა შემოგვრჩა. ეს დაბოლოება ტრაფარეტული ხასიათისაა: „ივ ქეჲსა, რლსა ჰშუენის დბჲ თანა მამით და სულით წითურთ აწ და მს და უკუენით უქე. აწ“. ამის მიხედვით გამოცნობა, რა თხზულებაა დაკარგული ტექსტი, შეუძლებელია. ამ, დღეს ჩვენთვის უცნობი თხზულების დასასრულის გაგრძელებად მოდის კიდევ ორი სტრიქონი: „ითარგმანა იწლმს კელითა სეთ თარგმანისაჲთა და დაიწერა პალავრას კელითა პვლსითა. აწ“. მინაწერი შესრულებულია იმავე ხელით, რომლითაც ტექსტია ნაწერი. ვინ არის Sina № 11-ის კრებულის პირველი ნაწილის (ფ. 1—360) გადამწერი? ერთია, თუ ერთზე მეტი? ივ. ჭავჭავიძე და ე. გარიტი Sina № 11-ის პირველი ნაწილის გადამწერად მიიჩნევენ ერთ პირს. ივ. ჭავჭავიძის აღწერილობის მიხედვით გადამწერის სახელი ერთგან გვხვდება, გვ. 240ა-ზე და ეს გადამწერია პავლე ე. გარიტი უფრო დაწერილებით გვაცნობს Sina № 11-ის მინაწერებს და ასკვნის: გადამწერია დავით ი. მართლაც, კრებულს ახლავს ოცდაათამდე მინაწერი და ოთხ მათგანში გვხვდება გადამწერის სახელი დავით ი: 42r: „ლოცვა ყავთ დტსტს, წმიდანო ღმრთისანო, აწ“. 182v: „დთ“ (ეს არ შეუნიშნავს ე. გარიტს). 214r: „შემინდვეთ სიუტებისათჳს დტს“. 337v: „ქე გსნე დტს წე“.

როტოპირზე პალეოგრაფიული დაკვირვება თითქოს იმის საწინააღმდეგოს არ გვიჩვენებს, რომ კრებულის ეს ნაწილი (ფ. 1—360) გადამწერილი იყოს ერთი კაცის ხელით. მაგრამ დაეუშვათ, რომ ხელნაწერის გადამწერაში მონაწილეობდნენ სხვებიც: კერძოდ, ის დაკარგული ფურცლები, რომლებიც 239-სა და 240 ფურცლებს შორის უნდა ყოფილიყო, გადამწერილია პავლეს მიერ, რომელიც გადამწერად მოხსენიებულია 240r-ზე. შეიძლება თუ არა ვიგულისხმობთ, რომ მთელი კრებულის გადამწერია პავლე? რა თქმა უნდა, არა! Sina № 11-ის გადამწერი დავით ი რეალურად ჩანს კრებულის თავშიც, შუაშიც, ბოლოშიც (ფ. 42, 182, 214, 337).

ანდერძი — „ითარგმანა იწრუსალემს კელითა სეთ თარგმანისაჲთა და დაიწერა პალავრას კელითა პავლშსითა“ გულისხმობს, რომ მთარგმნელი იერუსალიმში მოღვაწე სეთი, გადამწერია პალავარში მოღვაწე პავლე. მაგრამ რა თარგმანა სეთიმა? თარგმანა ის, რაც გადამწერა პავლემ. ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში მიჩნეულია, რომ სეთიმა თარგმანა მთელი კრებული Sina № 11 (გარდა „არეთას ცხოვრებისა“ და „აბოს მარტვილობისა“ — პირველი აშკარად სხვა ხელია და გადამწერის ანდერძიც ახლავს — იოვანეს მიერაა გადამწერილი; ხოლო მეორე ქართული ორიგინალური ძეგლია, მას ქართულად გადმოღება აღარ სჭირდებოდა). მაგრამ Sina № 11 (ფ. 1—360) არ არის ერთი კაცის ნამოღვაწარი:

1. აქ შემოდის ქართული ორიგინალური თხზულება — იოვანე საბანის-ძის „აბოს წამება“.

2. Sina № 11-ში მოთავსებული ძეგლები თარგმნილია სხვადასხვა ენებიდან: ძეგლების დიდი რაოდენობა მომდინარეობს ბერძნულიდან, მაგრამ ამავე დროს კრებულში არის ისეთი ძეგლები, რომლებიც არაბული ენიდან არის გადმოღებული. ასეთია, მაგალითად, „დიონისეს ცხოვრება“. ეს ძეგლი საგანგებოდ შეისწავლა და გამოსცა პ. პეტერსმა. პ. პეტერსის გამოკვლევამ ცხადყო, რომ ქართული ტექსტის დედანი არაბული წყაროა. არაბული ენიდან მომდინარედ მიიჩნევა აგრეთვე Sina № 11-ის მეორე ძეგლი — „წამებაჲ ევსტრატისი, ევქუსანტისი, ევგენისი, ორესტისი და მარდარისი“ (ყ. კეკელიძე).

როგორც ზემოთ ითქვა, არც პავლეა Sina № 11-ის (ფ. 1—360) გადამწერი. მაშ, რა თარგმნა სეთმა და რა გადაწერა პავლემ? სამწუხაროდ, დღეს ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით კონკრეტულად არ ჩანს სეთის ნამოღვაწარი. ჩვენ არ ვიცით, რომელია ის თხზულება, რაც ნამდვილად უთარგმნია სეთის (Sina № 11-ის დეფექტურობის გამო: ფურცლები, რომლებიც ამ ძეგლს შეიცავდა, აკლია ხელნაწერს). ვფიქრობთ, ზემოთ დასახელებული ანდერძი Sina № 11-ში მექანიკურად იქნა გადმოტანილი იმ ნუსხიდან, საიდანაც გადმოწერეს სეთის ნათარგმნი, დღეს ჩვენთვის უცნობი (x) თხზულება.

რომელიმე ერთი ძეგლის მინაწერის გავრცელება მთელ კრებულზე რომ არაა გამართლებული, ამის მკაფიო ნიმუშად გამოდგებოდა ათონური № 57 ხელნაწერი. ამ კრებულში «ოსცისა და მის მოყვასთა წამებას სათაურის წინ მოეპოვება სომხურს წყაროზე მიმათითებელი ცნობა, რომელიც ნუსხის დამწერის ხელითვეა შესრულებული: „ესე საკითხავნი სომეხთაგან თარგმნილ არიან“»<sup>11</sup>. მხოლოდ საგანგებო კვლევა-ძიების შედეგად დადგინდა, კერძოდ რომელ თხზულებებს შეეხებოდა ეს ანდერძი (ათონ. № 57-ში შემავალი ძეგლების ერთი წყება გადმოღებულია ბერძნულიდან, ზოგი არაბულიდან, ზოგიც — სომხურიდან; აქ არის ორიგინალური ქართული თხზულებანიც).

ლიტერატურული ძეგლების სხვადასხვა ნუსხიდან გადმოწერა და მათი ერთ კრებულად გაერთიანება ძველი ქართული მწერლობის ისტორიაში ჩვეულებრივი მოვლენა ჩანს, როგორც ეს ირკვევა ხელნაწერებზე ღართული ანდერძებიდან (არაიშვიათად კრებულის შედგენილობას შემთხვევითი მომენტები განსაზღვრავდა: დამკვეთის ნება-სურვილი, გადამწერის ჩანაფიქრი თუ გემოვნება, სასურველი მასალის უქონლობა თუ მისი მოგვიანებით მოპოვება და სხვ.). საილუსტრაციოდ მოვიტანთ რამდენიმე ნიმუშს. პირველად დავასახელებთ სინური კოლექციის მეათე საუკუნის აგიოგრაფიული კრებულის Sina № 6-ის ანდერძს: „ძმავო და უფალო ჩემო მიქაელ, რომელი გებრ-

<sup>11</sup> ილ. აბულაძე, ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX—X სს-ში, 1944, გვ. 060.

ძანა, დამიწერია; მარიამ მეგვპტელისაჲ არა ეპოვე, სხუად ვერაჲ ვიციოდე, რამეცა დაეწერე. რვეულნი, რომელ დარჩის, საკითხავენად დაეწერე“<sup>12</sup>.

სავსებით ანალოგიურია პარხლის მრავალთავის (A—95) შედგენის სურათიც: „პირველ ოდეს ამას წიგნსა დავიწყე, ესრე მედვა გულსა: ვითა დედათა წამებაჲ და ცხორებაჲ ოდენ დაეწერო და მით გაეასრულო. და ვინარკე დიდითა შრომითა და გულსმოდგინებითა ეძებნე და ესთენ ეპოვე, ვერლარა შემეძლო ძებხად, მერმე ესე მამათა მოწამეთაჲ, რომელი პარხალს არა ეწერა, იშხნით მოვიღე და მით გაეასრულე“<sup>13</sup>.

მესამე ნიმუში: ისევ სინური კოლექციის ხელნაწერიდან (Sina № 91, აგიოგრაფიული კრებული XIV საუკუნისა): „დიდად მელმის და მტყეის, რომელ წინაუკმოდ და არა მიწყებით სწერია ესე საკითხაუბნი. და მიზეზი ესე არს: ოთხისა თუ ხუთისა დედისაგან ეწერდი ნათხოვისა სხვსა და სხვსა მონასტრისაგან. და ესამა თვსსა ვერ ვიპოვნი დედა“<sup>14</sup>.

სავარაუდებელია, რომ Sina № 11 კრებულის შემდგენელსაც ხელთ ჰქონდა რამდენიმე სხვადასხვა ნუსხა. ამაზე მიგვანიშნებს:

1. კრებულში წარმოდგენილი მასალა (ნათარგმნი თხზულებები ბერძნულიდან, არაბულიდან, საკუთრივ ქართული);
2. ხელნაწერის თავფურცელის ჩვენება: „საკითხაენი წმიდათანი ანუ თუ ვითა მოიძევიან, მიწყებით თუ არა სწერიან, შემინდევით“<sup>15</sup>.

შენიშვნა: რას უნდა გულისხმობდეს „მიწყებით წერა“? თუ იგულისხმება ქრონოლოგიური თანმიმდევრობა, მაშინ Sina № 11-ში წარმოდგენილი მასალა, მართლაც, არ არის კალენდარულ რიგზე დალაგებული. აი, რა თანმიმდევრობით გვხვდება თეები საკითხაუბნის მიხედვით: ნოემბერი, დეკემბერი, ივლისი, ოქტომბერი, ნოემბერი, ივლისი, დეკემბერი, ნოემბერი, დეკემბერი, იანვარი, ივნისი, ივლისი, ოქტომბერი, იანვარი, თებერვალი.

3. თუმცა Sina № 11-ს ზოგადად ახასიათებს 8-ის ნაცვლად ე-ს ხმარება, ე-ზაცია და მისთ., მაგრამ ყველა ძეგლში ერთი ნორმა არაა გატარებული. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ კრებულში შესული ძეგლები ერთი კაცის ავტოგრაფიდან არ მომდინარეობს.

Sina № 11-ის ერთ-ერთი პირველწყარო, ვფიქრობთ, ჩანს ამავე პერიოდის მეორე სინურ ხელნაწერში — Sina № 62. კრებულები Sina № 11 და Sina № 62 საგანგებოდ აქვს შესწავლილი და ურთიერთ შეჭრებული პროფ. ი. იმნაიშვილის. კრებულებს საზიარო აქვთ ათი თხზულება. ამ საზიარო ძეგლების ტექსტზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ მათ ერთი წარმომავლობა აქვთ. სხვა ნიშნებთან ერთად ამაზე უეჭველად მიუთითებს ხელნაწერებისათვის დამახასიათებელი იოტიზაცია: იოტიზაციის საკითხი Sina № 62-ში ისეა გატარებული, როგორც ეს Sina № 11-ს ახასიათებს: ა აქაც ყველა

<sup>12</sup> G. Garitte, Catalogue des manuscrits Georgiens litteraires du mont Sinaï, 1956, გვ. 22. იხ. აგრეთვე, ივ. ჭავჭავაძის შვილი, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, 1947, გვ. 19.

<sup>13</sup> ქ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის A ფონდის № 95 ხელნაწერი, გვ. 1222v—1223.

<sup>14</sup> ე. გარიტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 280.

<sup>15</sup> სამუშაოდ, ეს ფურცელი დაკარგული ვოფილა უკვე იმ დროს, როცა Sina № 11 ნახა ივ. ჭავჭავაძელმა. აქ ეიმოწმებთ ალ. ცაგარელის აღწერილობას: Пам тники грузинской старины в Святой Земле и на Синае, Палестинский сборник, т. IV, 1888, გვ. 216.

ხმონის შემდეგ იხმარება, გვხვდება ზმნებშიც (სათავისო ქცევისა და ვნებითი გვარის ნიშნად). თუმცა Sina № 62 ყოველთვის არ იცავს ამ წესს, მაგრამ მთავარი ისაა, რომ იოტიზაცია Sina № 62 ხელნაწერს ახასიათებს იმ ძეგლების ენაში, რომლებიც მას საერთო აქვს Sina № 11-თან<sup>16</sup>.

მიუხედავად ასეთი სიახლოვისა (19 ძეგლიდან 10 საზიარო აქვს Sina № 11-თან), არავითარ ცნობას ამ ძეგლების „მთარგმნელის სეითის“ შესახებ Sina № 62 (რომელიც აგრეთვე მეათე საუკუნის ნუსხაა) არ იძლევა.

დავასახელებთ კიდევ ორ დიდ კრებულს, რომლებიც ასევე მეათე საუკუნეშია გადაწერილი და რომლებშიც გვხვდება Sina № 11-ის რამდენიმე თხზულება. ესენია კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის A ფონდის № 95 ხელნაწერი (ე. წ. პარხლის მრავალთავი) და ათონის № 57 ხელნაწერი (ე. წ. ათონური მრავალთავი).

A—95-ს Sina № 11-თან ცხრა თხზულება აქვს საერთო, ხოლო ათონ. № 57-ს — ხუთი. ვერც ამ კრებულებში ვხვდებით რაიმე მინიშნებას ამ ძეგლების „ქართულად გადმომღები სეითის“ შესახებ. არ შეიძლება არ დაგვაფიქროს შემდეგმა გარემოებამ: თუ დავეუყვებთ (როგორც ეს მიღებულია დღემდე ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში), რომ Sina № 11-ის „გადამწერი“ პავლე მეათე საუკუნის მოღვაწეა და ის გვაწვდის ცნობებს მერვე-მეცხრე საუკუნეების გამოჩენილი მთარგმნელის სეითის შესახებ, რატომ არაფერს ამბობენ მის შესახებ აგრეთვე მეათე საუკუნის სხვა გადამწერები, რომელთა მიერ გადაწერილ კრებულებში ბევრია „სეითისეული თარგმანები“. ჩვენი აზრით, პავლე სეითის თანამედროვედ უნდა იქნეს მიჩნეული. მთარგმნელისა და გადამწერის ამგვარი მოხსენიება ჩვეულებრივ გულისხმობს, რომ გადამწერი და მთარგმნელი თანამედროვენი (და თანამოღვაწენი) არიან. ანალოგიისათვის მოვიტანოთ ექვთიმე მთაწმიდლის მიერ ნათარგმნი და მის სიტყვებშივე გადაწერილი ერთ-ერთი კრებულის — კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის A ფონდის № 1103 ანდერძ-მინაწერები<sup>17</sup>:

„ქრისტე, შეიწყალე წმიდა მამა ჩნი ეფთჳმე, თარგმანი წმიდისა ამის წიგნისა და განმანათლებელი ქართველთა ენისაჲ. და მოიკნენთ წმიდასა ლოცვასა თქნსა ნეტარი ბერი იოვანე გრძელისძე და სულიერი შვილი მათი ოქროპირი და მეცა, უღირსი არსენი მომიკნენთ“. (279 v).

„ქრისტე! შეიწყალე და აკურთხე ნეტარი მამა ჩნი ეფთჳმე... ლოცვა-ყავთ ნეტარისა ბერისა იოვანე გრძელისძისა და სულიერისა შვილისა მათისა იოვანე ოქროპირისათჳს, რომელნი ფრიად დაშურეს შრომასა და წერასა ამის წმიდისა წიგნისაჲ“. (285v) და სხვ.

სეითის მთარგმნელობითი მემკვიდრეობის კონკრეტული ნიმუშების დასახელებაზე, ვფიქრობთ, ხელი უნდა ავიღოთ, მით უფრო, რომ თვითონ აკად. კ. კეკელიძე აღარ დგას თავის ძველ პოზიციებზე, როცა საგანგებოდ იკვლევს

<sup>16</sup> ი. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, II, 1963, გვ. 211—214. შისიკე, საკითხავი წიგნი ძველ ქართულ ენაში, II, 1966, გვ. 215—216.

<sup>17</sup> ანდერძის ტექსტებს ვიმოწმებთ A ფონდის ხელნაწერთა აღწერილობიდან: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, A კოლექცია, ტ. IV, 1954, გვ. 82, 83.

Sina № 11-ში მოთავსებულ ტექსტებთან დაკავშირებულ საკითხებს. მაგალითად. წერილში „ანტიკის გადმონაშთები ძველ ქართულ ლიტერატურაში“<sup>18</sup> მკვლევარი იხილავს ხსენებულ კრებულში დაცულ ერთ ძეგლს, რომელსაც მოკლედ „ეგსტრატის წამებას“ უწოდებს. ამ თხზულების ქართული თარგმანის მომდინარეობის შესახებ მკვლევარი წერს: „თავდაპირველი ბერძნული ტექსტი თხზულებისა უთარგმნიათ არაბულად, ხოლო არაბულიდან გადმოუღიათ ქართული თარგმანი. მეცხრე საუკუნეზე ადრე, როდესაც იწყება მთარგმნელობა ქართულ ენაზე ლიტერატურული ძეგლებისა არაბულიდან პალესტინაში, საბას ლავრაში, ამ თხზულების გადმოღება საგულგებელი არაა...“

ვინ არის მთარგმნელი, ამის შესახებ არაფრის თქმა არ შეიძლება“ (ხაზი ჩემია. — ნ. გ.)<sup>19</sup>.

მიუხედავად ამისა, აკად. კ. კეკელიძის თავდაპირველი შეხედულება სეთის მოღვაწეობის დიაპაზონის შესახებ ჩვენი ლიტერატურული მემკვიდრეობის ზოგიერთ მკვლევართა შრომებში დღესაც მიღებული და გაზიარებულია.

1966 წელს დაიბეჭდა „საკითხავი წიგნი ძველ ქართულ ენაში“, ტ. II, რომელშიც Sina № 11-დან წარმოდგენილია შემდეგი ტექსტები: წმიდა ანასტასიას წამება (ფ. 94—109), ფოკას წამება (ფ. 66—76) და „წამება წმიდათა ორმოც და ხუთთაჲ“ (ფ. 270—289)<sup>20</sup>. ყველა ამ თხზულების ქართული თარგმანი აქ მიეწერება სეთს, თუმცა იგივე გამოცემელი პროფ. ი. იმნაიშვილი 1963 წელს Sina № 11 ხელნაწერის მიმოხილვისას სავსებით ლოგიკურად წერდა: მინაწერი, სადაც იხსენიება მთარგმნელი სეთი და გადამწერი პავლე, „შეიძლება წინა თხზულებას ეკუთვნოდეს ან მთელ წინა ნაწილს შეეხებოდეს“<sup>21</sup>, ე. ი. ხელნაწერის ნაწილს 240r-მდე. ყოველ შემთხვევაში ამ მინაწერის შემდგომ მოთავსებული ძეგლების ქართულად გადმოღება სეთის აღარ უნდა მიკუთვნებოდა, ავტორის მსჯელობის მიხედვით. მიუხედავად ამისა, ხსენებულ გამოცემაში „წამება წმიდათა ორმოც და ხუთთაჲ“, რომელიც მოთავსებულია ხელნაწერის 270—289 ფურცლებზე, სეთის მიერ თარგმნილად არის მიჩნეული: „იგი ჩვენში ადრევე უთარგმნიათ. მისი გადმოღება VIII/საუკუნის ნახევრის ცნობილი მთარგმნელი სეთით“<sup>22</sup>.

1967 წელს აკ. შანიძისადმი მიძღვნილ საიუბილეო კრებულში „ორიონი“ დაიბეჭდა ლ. მენაბდის წერილი ერთი საზღვარგარეთული ქართული კერის — პალავრას შესახებ. წერილში ვკითხულობთ: «მე-10 საუკუნეშივე მოღვაწეობდა პალავრაში გადამწერი პავლე. მის სახელთანაა დაკავშირებული ერთი მოზრდილი აგიოგრაფიული კრებული, რომელიც დღეს სინას მთაზე ინახება...“

<sup>18</sup> წერილი პირველად დაიბეჭდა 1944 წელს, ენიშის მოამბე, ტ. XIV, შემდეგ იგი განმეორებდა იქნა დაბეჭდილი „ეტიუდების“ VIII ტომში 1962 წელს.

<sup>19</sup> კ. კეკელიძე, ეტიუდები, ტ. VIII, 1962, გვ. 135.

<sup>20</sup> ფრჩხილებში ჩასმული ციფრები აღნიშნავს Sina № 11-ის ფურცლებს.

<sup>21</sup> ი. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, II, 1963, გვ. 183—189.

<sup>22</sup> ი. იმნაიშვილი, საკითხავი წიგნი ძველ ქართულ ენაში, II, 1966, გვ. 217.

დასახელებული კრებული უაღრესად საინტერესო შედგენილობისა... ტექსტების მთარგმნელად კ. კეკელიძე მიიჩნევს მე-8 საუკუნის მეორე ნახევარისა და მე-9 საუკუნის პირველი ნახევრის მწიგნობარს, საბაწმიდელ მოღვაწეს სეითს (სეთს). ხელნაწერს შემოუნახავს ცნობა როგორც მთარგმნელის, ისე გადამწერის შესახებ: „ითარგმნა იერუსალჴმს კელითა სეთ თარგმანისაჲთა და დაიწერა პალავრას კელითა პავლჴსითა“. ეს ცნობა ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს პავლე მთელი კრებულის გადამწერი. მასთან ერთად კრებულის გადამწერაში მონაწილეობდნენ დაეითი და „ივწნე, მწარედ ცოდვილი“<sup>23</sup>.

ავტორი იცნობს ხელნაწერის მინაწერებს და იცის იქ მოხსენიებული დავითის შესახებ. ამიტომ მხოლოდ პავლე არ არის კრებულის გადამწერი(!). სეითი? სეითის შესახებ საგანგებოდ არ მსჯელობს; აქ ხელუხლებლად რჩება დებულება, რომ სეითმა გადმოიღო ქართულად Sina № 11-ში დაცული ძეგლები.

მაშასადამე, იმ ერთადერთი მინაწერის მიხედვით, რომელიც სეითს ასახელებს, ვერ დგინდება, რომ Sina № 11-ის მთარგმნელ-შემდგენელი სეითია. უფრო მეტიც, დღეისათვის ისიც კი ვერ ირკვევა, კონკრეტულად რა უკეთებია სეითს, რომელი თხზულება უთარგმნია მას. ერთი უდავოა: სეითი არის ხსენებული შრავალთავის ერთ-ერთი მთარგმნელი. კრებულში წარმოდგენილი მასალა გვაეარაუდებინებს, სეითის გარდა, მასში სხვა ქართველი მთარგმნელების მონაწილეობას (რომელთა სახელები დღესდღეობით ჩვენთვის უცნობია).

სეითის თანამედროვე ჩანს გადამწერი პავლე. ცნობა-მინაწერი, რომელიც მთარგმნელ სეითს და გადამწერ პავლეს ასახელებს, Sina № 11-ში ძველი (ადრინდელი) ხელნაწერიდან უნდა მომდინარეობდეს.

<sup>23</sup> ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერების ისტორიიდან (პალავრა), „ორიონი“, 1967, გვ. 255—256.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტმა)

მერი შინჯიაუშვილი

## ათანასი ალექსანდრიელის „ანტონის ცხოვრება“

ისტორიულ-ლიტერატურული ხაყითხები

ათანასი ალექსანდრიელი<sup>1</sup> (293—373) IV საუკუნის ცნობილი საეკლესიო მოღვაწე და ქრისტიანული რელიგიის ორთოდოქსული მიმდინარეობის თეორიულ შეხედულებათა შემმუშავებელთაგანია. ახალგაზრდა ათანასი 325 წლის ნიკეის საეკლესიო კრებაზე ალექსანდრიის ეპისკოპოს ალექსანდრესთან ერთად იბრძოდა არიანელთა და მელეტრიანელთა წინააღმდეგ. ალექსანდრეს გარდაცვალების შემდეგ ის დაინიშნა ალექსანდრიის არქიეპისკოპოსად და სათავეში ჩაუდგა მწვალებლობის წინააღმდეგ ბრძოლას. არიანელების გავლენით ათანასი მრავალჯერ გადააყენეს ეპისკოპოსობიდან, მაგრამ იგი ისევ უბრუნდებოდა ამ პოსტს და ახალი ენერგიით იბრძოდა მწვალებლობის წინააღმდეგ<sup>2</sup>.

ქრისტიანული რელიგიის ორთოდოქსული მიმდინარეობის თეორიული საფუძვლები ათანასი ალექსანდრიელმა ჩამოაყალიბა თავის წერილებში<sup>3</sup>, რომლებიც დღემდე მკვლევართა შეუწელებელი ინტერესის საგანია. მაგრამ ათანასი ალექსანდრიელის შემოქმედებიდან ყველაზე უფრო დიდ ყურადღებას იმსახურებდა და იმსახურებს ჰაგიოგრაფიული ხასიათის ნაწარმოები „ანტონის ცხოვრება“. „ანტონის ცხოვრების“ უდავო ისტორიულ-ლიტერატურულმა მნიშვნელობამ განსაზღვრა მისი პოპულარობა.

1. „ანტონის ცხოვრების“ ისტორიული მნიშვნელობისათვის. III საუკუნის პირველ ნახევარში რომის იმპერიის აღმოსავლეთი მხარე ბიზანტიის იმპერიად<sup>4</sup> ჩამოყალიბდა.

ბიზანტიის შემადგენლობაში შედიოდა რომის იმპერიის აღმოსავლეთი მხარე, ბალკანეთის ნახევარკუნძული, მცირე აზია, ეგეოსის ზღვის კუნძულები, კვიპროსი, კრეტა, მესოპოტამიისა და სომხეთის ნაწილი, არაბეთის ზოგიერთი რაიონი, ყირიმისა (ხერსონის) და კავკასიის სამხრეთი სანაპიროები. ამ უდიდეს ტერიტორიაზე ეთნიკურად მრავალფეროვანი — სხვადასხვა ეროვნების, სხვადასხვანაირი რელიგიური მრწამსის, მისწრაფებებისა და ისტორიულ-

<sup>1</sup> Св. Афанасий Великий Архиепископ Александрийский и его избранныя творения Никанора (Каменского) Епископа Архангельского и Холмогорского, СПб, 1893; Памятники византийской литературы IV—IX веков, М., 1968, გვ. 38—39.

<sup>2</sup> История Византии, т. I, М., 1967, გვ. 164—182.

<sup>3</sup> კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. V, თბილისი, 1957, გვ. 7—9.

<sup>4</sup> История Византии, т. I, М., 1967, გვ. 66, 75.



ლი წარსულის მქონე ხალხები ცხოვრობდნენ. ამიტომ ბიზანტიის დიდ იმპერიას იმთავითვე თან დაჰყვა საზოგადოებრივი დაძაბულობა: ყოველი პატარა შეხლა-შემოხლა, რომელსაც ბუნებრივად ადგილი ჰქონდა სხვადასხვა ტომისა და სარწმუნოებრივი აღსარების ხალხებს შორის, დიდ მასობრივ მოძრაობად გარდაიქმნებოდა ხოლმე. ეს გამოსვლები ხან რელიგიურ, ხან სეპარატულ, ხანაც შეთქმულების ხასიათს ატარებდა.

III ს. ბოლოს, როცა რომის იმპერიაში ცენტრალიზებული ავტოკრატია დამყარდა, იმპერიის მპყრობელთა წინაშე დადგა სახელმწიფოს იდეოლოგიური ერთიანობის საკითხი. ყველაზე უფრო ენერგიულად იდეოლოგიური ერთიანობისათვის იბრძოდა იმპერატორი დიოკლიტიანე (284—305). მან გადაწყვიტა ეკლესიების ლიკვიდაცია და 303 წლის 24 თებერვალს გამოსცა ბრძანება ქრისტიანობის აკრძალვის შესახებ. დაიწყო ქრისტიანობის მკაცრი დევნა, განსაკუთრებით აღმოსავლეთში — ქრისტეს სამშობლო სირია-პალესტინა-ეგვიპტეში, იტალიასა და აფრიკის მხარეში. აქ დევნულებას სათავეში ედგა ამ მხარის მმართველი მაქსიმიანე (მაქსენცი, Максимци).

მაგრამ ანტიკურ კულტურაზე დაყრდნობით შეუძლებელი აღმოჩნდა ხალხის მსოფლმხედველობის კონტროლი, რადგან წარმართობას არ ჰქონდა მყარი დოგმატიკა, მისთვის უცხო იყო „მწვალებლობასთან“ ბრძოლის მეთოდები, ქრისტიანობას კი უკვე დიდი გამოცდილება ჰქონდა „სიწმიდისათვის“ ბრძოლისა. ამავე დროს ქრისტიანობა ძალიან ადვილად იგუებდა ძველ, ადგილობრივ რწმუნას და მას აძლევდა ახალ, ქრისტიანულ შინაარსს. ამიტომ დიოკლიტიანესა და მაქსიმიანეს ცდა ქრისტიანული ეკლესიების ლიკვიდაციისა უნიადაგო აღმოჩნდა. ამან კიდევ უფრო გააძლიერა ხალხის ფართო მასების ლტოლვა ქრისტიანული რელიგიისაკენ. 313 წელს ბიზანტიის ახალმა იმპერატორმა კონსტანტინე დიდმა (306—337) გამოსცა ბრძანება ქრისტიანთა დევნის შეწყვეტის შესახებ და ქრისტიანული და წარმართული რელიგიები თანასწორუფლებიანად გამოაცხადა. ამ გზით ქრისტიანული რელიგია ბიზანტიის იმპერატორთა ხელში მრავალეროვანი იმპერიის მოსახლეობის დამორჩილებისა და პოლიტიკური უკმაყოფილებისაგან ყურადღების ჩამოშორების იარაღად იქცა. 313—325 წლებში კონსტანტინე დიდმა ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად აღიარა, რითაც გამწვავებულ სოციალურ-პოლიტიკურ ბრძოლებს რელიგიური ხასიათი მისცა. რელიგიური ბრძოლა ყველაზე მეტად IV საუკუნეში გამძაფრდა. თუმცა ის არიანელთა და ორთოდოქსთა ბრძოლების სახელითაა ცნობილი, სინამდვილეში მას ღრმა სოციალურ-პოლიტიკური ფესვები ჰქონდა.

არიანულ და ორთოდოქსულ მიმდინარეობებს საფუძველი ბიზანტიის იმპერიის აღმოსავლეთში — ალექსანდრიაში ჩაეყარა<sup>3</sup>. ბიზანტიის იმპერატორები და საკუთრივ ბიზანტიის მკვიდრნი ეგვიპტე-სირია-პალესტინის მაღალი კულტურის ქვეყნებს სახელმწიფო პრივილეგიებში მოცილებდნენ, ამიტომ ყოველნაირად ზღუდავდნენ მათ. სირია-პალესტინა-ეგვიპტის განვითარებული ეკონომიკა და კულტურა ვერ ეგუებოდა ამგვარ პოლიტიკურ შე-

<sup>3</sup> Жизнь Св. Афанасия Великого, Архиепископа Александрийского: Творения иже во святых отца нашего Афанасия Великого..., ч. I, Свято-Троицкая Сергиева Лавра, 1902, гл. 3—122; История Византии, т. I, 1967.

ზღუდვებს. ამიტომ ეს ქვეყნები ქრისტიანული ეკლესიის გამოყენებას ცდილობდნენ ავტონომიის მოპოვებისათვის ბრძოლაში.

IV საუკუნის პირველ მეოთხედში ალექსანდრიის დემოკრატიული წრეები აღდგნენ ბიზანტიის არისტოკრატიის წინააღმდეგ. დემოკრატიულ ბანაკს სათავეში ჩაუდგა პრესვიტერი არიანე (არიოზი). ასე ჩაეყარა საფუძველი ქრისტიანობის ისტორიაში ერთ ყველაზე უფრო ძლიერ მიმდინარეობას — არიანობას.

არიანელთა წინააღმდეგ ბრძოლაში მდიდარი არისტოკრატიის ინტერესებს იცავდა მართლმორწმუნე ალექსანდრე, ალექსანდრიის არქიეპისკოპოსი, და მისი მოწაფე ათანასი. ბრძოლამ იმთავითვე მძაფრი ხასიათი მიიღო. კონსტანტინე დიდი იძულებული გახდა მოეწვია 325 წელს ნიკეის კრება. ამ კრებაზე იმპერატორმა მართლმორწმუნეებსა და მათ შესეუთ — ალექსანდრესა და ათანასის დაუცირა მხარი, არიანე კი შეაჩვენეს და გადაასახლეს. მაგრამ ნიკეის კრების შემდეგ ისე გაძლიერდნენ მართლმორწმუნე ეკლესიები, განსაკუთრებით სირია-პალესტინის მხარის საეპისკოპოსოები და ალექსანდრიის ეპისკოპოსი ათანასი, ბრძოლამ ისეთი შეურთებელი ხასიათი მიიღო, რომ კონსტანტინე იძულებული გახდა მართლმორწმუნეებისათვის შეექცია ზურგი და აღედგინა შედარებით შემრიგებლური ხასიათის არიანელები. არიანე დააბრუნეს არქიეპისკოპოსის პოსტზე 336 წელს, ათანასი კი გადაასახლეს. ამას მოჰყვა ახლა მართლმორწმუნეთა დევნა არიანელთა მხრით. ეს დევნა შეწყდა მხოლოდ კონსტანტინეს გარდაცვალების შემდეგ (337 წ.).

როგორც ვხედავთ, ათანასი ალექსანდრიელი IV საუკუნის ამ ბრძოლების თვითმხილველი და თანამონაწილეა, უფრო ზუსტად — მეთაურთაგანია. ამიტომაც მის „ანტონის ცხოვრებაში“ ზედმიწევნით აისახა III—IV საუკუნეების ბიზანტიის იმპერიის რთული სოციალურ-პოლიტიკური ვითარების სურათები. ასე მაგალითად, ათანასი საკუთარი შთაბეჭდილებების საფუძველზე მოგვითხრობს 303—313 წლების დიოკლიტიანესა და მაქსიმიანეს დევნულების შესახებ: „ამისა შემდგომად მოიწია ეკლესიათა ზედა მაქსიმიანე და ესოდენ იყო დევნა და წმიდანს მოწამენი წარიყვანა ალექსანდრიად, ...ხოლო რომელნი-იგი იმარტვრებოდეს, თანა-უდგა და წარაჰზანებდა (ანტონი), ვიდრემელსი-იგი იმარტვრებოდეს, თანა-უდგა და წარაჰზანებდა (ანტონი), ვიდრემელსი სრულ იქმინან“. შემდეგ ათანასი აღწერს, როგორ იყნებოდა საპყრობილეები ქრისტიანთაგან, ხოლო „დევნაჲ იგი დასცხრა“ მას შემდეგ, რაც „იმარტვრა ნეტრეული ეპისკოპოსი პეტრეო“, — ამბობს ავტორი.

მართლმორწმუნე ქრისტიანებს ახალი უბედურება დაატყდათ თავს 336 წელს, როცა ათანასისა და მისი მომხრეების თავგასულობით განრისხებულმა კონსტანტინე დიდმა არიანელები შეიწყნარა, ხოლო მართლმორწმუნეები კი შეაჩვენა. დაიწყო ახალი დევნა არიანელთა მხრით. ათანასი „ანტონის ცხოვრებაში“ ამ ფაქტებზედაც ისე მოგვითხრობს, როგორც თვალთ ნახულსა და განცდილზე: „და მეორესა წელსა იყო მოსლვაჲ არიანოზთაჲ და აღკრაჲ ეკლესიათაჲ, ოდეს-იგი ჭურჭელსაცა წმიდასა სამსახურებელსა მძღავრ მოიტყებდეს და წარმართთა აჰკიდებდეს. ოდეს-იგი წარმართთა ვაჰართა აიძულებდეს მისლვად მათ თანა. შეკრბეს მათ თანა და იქმოდეს ტაბლასა ზედა სა-

\* British. Mus. Addit., № 11281 ქართული ხელნაწერის კ. ეველიძის საბ. ხელნაწერთა ინსტიტუტის რეკოპირების ფონდი—Rt. XVI<sub>1</sub>, 29r, გვ. 59.

უფლოსა, ვითარცა უნდა. მაშინ ჩუენ ყოველთა გულისხმა-ვყავთ, ვითარმედ წინხაჲ იგი ჟორთაჲ წინაჲსწარ ეუწყყა ნეტარსა ანტონის, რომელსა-ესე აწ უღმრთონი არიანოზნი იქმან მსგავსად პირუტყუთა“<sup>7</sup>.

„ანტონის ცხოვრებაში“ ყურადღებას იქცევს კიდევ ერთი გარემოებაც.

კონსტანტინე დიდი თავისი მეფობის მთელ მანძილზე ცდილობდა ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოეცხადებინა. მისი ხელმძღვანელობითა და თანამონაწილეობით შემუშავდა „მილანის ედიქტი“ (313 წ.), 325 წლის ნიკეის კრების ქრისტიანული რელიგიის „რწმენის სიმბოლო“, მანვე ჩაატარა 313—325 წლების რელიგიური რეფორმები. ამის გამო კონსტანტინეს სათანადოდ აფასებდნენ არიანელებიცა და მართლმორწმუნეებიც და ყოველთვის ცდილობდნენ მისი ყურადღების დამსახურებას.

ამავე დროს თვით კონსტანტინეს თაოსნობით მოეწყო 336 წლის მართლმორწმუნეთა დევნა, ხოლო იმპერატორი მხოლოდ სიკვდილის წინ მოინათლა ქრისტიანად და ისიც არიანელი მღვდლის ხელით. მაგრამ ათანასის დიდ პოლიტიკურ ალღოზე მიგვანიშნებს ის ფაქტი, რომ იგი „ანტონის ცხოვრებაში“ გახსაკუთრებული პატივით იხსენიებს კონსტანტინე დიდსა და მის ძეთ — კონსტანტისა და კოსტას: „და მიიწია ვიდრე მეფისამდე ანტონისთვის სიტყუაჲ. ვითარცა ესმა ესე კონსტანტინოსს ავგუსტუსსა და ძეთა მისთა — კონსტანტის და კოსტას ავგუსტეთა და მოსწერდეს მისა, ვითარცა შამისა...“ ავტორის თქმით, ანტონიმ არად ჩათვალა მეფეთა წიგნი, არც გაჰკვირვებია, „რამეთუ კაცივე არს“ მეფეო, არც პასუხის გაგზავნა უნდოდა, მაგრამ „აიძულა ძმათაგან და ყოველთა მონაზონთა, ვითარ ქრისტიანენი არიან მეფენი, რაჲთა არა შეწყუხნენ და დაბრკოლდენ. მაშინ უბრძანა აღმოკითხვავა და მიწერა, ვითარმედ შეიწყნარან იგინი, რამეთუ ქრისტესა თაყუანის-სცემენ...“ (Rt. XVI, გვ. 97).

როგორც ვთქვით, კონსტანტინე დიდი ქრისტეს თაყვანისმცემელი და ქრისტიანი არასოდეს ყოფილა, მაგრამ ათანასი აქ გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებით კონსტანტინე დიდს მის შვილებთან ათანაბრებს — მასაც ქრისტიანად იხსენიებს.

ათანასის შრომაში IV საუკუნის ბევრი სხვა ისტორიული პირია მოხსენიებული: ბალაიოსი — ალექსანდრიის სპასკეტი, ნისტორიოსი — პიტიახში ეგვიპტისა (Rt. XVI, გვ. 102—3), მარტინიანოზ (მარტინოს) — „მკედართმთავარი ერისაჲ“ (Rt. XVI, 30r, გვ. 61), ალექსანდრიის ეპისკოპოსი პეტრე (A 79, გვ. 314), სერაპიონ ეპისკოპოსი — „მაკარი მეგვპეტელის ცხოვრების“ ავტორი (A 1109, 32v, 35v), ამონ ნიტრიელი — პალადი ჰელენოპოლელის „ლავსაიკის“ ციკლის მოთხრობების მთავარ პერსონაჲთაგანი (A 79, გვ. 326), პაფნოტი — ანტონის ეპოქის მონაზონი (A 79, გვ. 324), თვით ათანასი — ალექსანდრიის ეპისკოპოსი (A 1109, 35v) და ასე შემდეგ.

ათანასი ალექსანდრიელის „ანტონის ცხოვრება“ ფასდაუდებელ ცნობებს გვაწვდის ქრისტიანობის ფილოსოფიურ-თეორიული საფუძვლების შესწავლისათვის.

როგორც აღვნიშნეთ, ათანასი ალექსანდრიელი თითქმის ორმოცდაათი წლის განმავლობაში ედგა სათავეში ორთოდოქსების ბრძოლას ერეტიკოსე-

ბის წინააღმდეგ. მას „მართლმორწმუნეთა მამას“ უწოდებენ. ათანასის, როგორც მწვალებლობის წინააღმდეგ თავგამოდებული მებრძოლის, სახე კარგად ჩანს „ანტონის ცხოვრების“ იმ ადგილებში, სადაც ანტონი ეკამათება წარმართებს, არიანელებს, მელეტიანელებს, მანიქეველებს.

ქრისტიანობის ორთოდოქსული დოგმების<sup>8</sup> მიხედვით ღმერთი-მამა ერთ-არსებაა, შემქმნელი ყველა ხილულისა და უხილავისა. ღმერთი იმთავითვე იყო, არ ყოფილა დრო, როცა ის არ იყო. იგი სამსახოვანია. ერთი მათგანია ქრისტე, ადამიანის სახეში განხორციელებული ღმერთის ძე, გამოგზავნილი ღმრთისაგან ზალხთან, რომ გამოისყიდოს მათი ცოდვები თავისი სიკვდილით. ამრიგად, ორიოდოქსული თეორიით ქრისტე წარმოადგენს საღმრთო საწყისის ერთარსებას. არიანე კი ასაბუთებდა, რომ ქრისტეს ხორცშესხმა და დაბადება მიწაზე ეწინააღმდეგება მის ღმერთთან ერთარსების გაგებას, ამით ის უფრო ღმერთის მსგავსი ადამიანიაო. ამგვარად, ქრისტე-ღმერთი არიანული გაგებით დაემსგავსა ანტიკურ ღმერთებს.

„ანტონის ცხოვრებაში“ ათანასი სასტიკად ილაშქრებს ღმერთის ადამიანური საწყისის არიანული და ანტიკური გაგების წინააღმდეგ. ის განაზავს, რომ არიანული ფილოსოფია არაფრით განსხვავდება წარმართობისაგან. ამ ფილოსოფიის მიმდევრებიც წარმართების მსგავსად აღიარებენ გონების (ე. ი. ადამიანის) პირველადობასო. აკრიტიკებს რა წარმართი და არიანელი ფილოსოფოსების შეხედულებებს, მათ უპირისპირებს საკუთარს: „ანუ ვითარ იყადრებთ სიციცხევედ, რამეთუ ჩუენ ვიტყვთ. ქრისტესა კაცად გამოჩინებულად. სადალა თქუენ გონებისაგან სულსა განსწვალებთ და იტყვთ, ვითარმედ იგი შესტაო და გარდამოვარდა სამყაროასაგან ცათაჲსა კორციელად... ხოლო ჩუენი სარწმუნოებაჲ ცხორებისათჳს კაცთაჲსა ქრისტეს მოსლვასა ვიტყვთ. ხოლო თქუენ ცთომასა უშობელისა სულისასა უთხრობთ... რაჟამს გონებისათჳს ესევეითარსა ჰგონებთ და განიზრახაეთ, რამეთუ მასცა მამასა გონებათასა ჰგმობთ.. არა მართლ აღმოიკითხაეთ წიგნთა ჩუენთა. აღმოიკითხეთ და იხილეთ, რამეთუ რომელი-იგი ქმნა ქრისტემან, ღმრთად მას გამოაჩინებს<sup>9</sup>. რამეთუ მოვიდა, ჯორცნი შეისხნა ცხორებისათჳს კაცთაჲსა.

მითხარათ ჩუენ თქუენცა<sup>10</sup> თქუენი იგი, რაჲლა-მე სთქუათ პირუტყუთა მათჳს, ანუ პირუტყუებაჲ და ველურებაჲ? უკუეთუ, ვითარ ესმის მისი, ინებოთ სიტყუად, ზღაპრად თქუმულ არს ესე თქუენ შორის, და სხუათა სხუად აქცევთ, აღტაცებასა ქალისასა — ქუეყანიით და ეფესტოს მკელობრებასა — ცეცხლად, და ერას — ჰაერად, და აპოლოს — მზედ, და არტემის — მთოვარედ, და პოსიდუნს — ზღუად. არარაჲ უნაკლულჳს არა ღმერთსა ჰმსახურებთ, არამედ დაბადებულსა ჰმსახურებთ თჳნიერ დამბადებელისა ღმრთისა. უკუეთუ კეთილი იგი დაბადებული ესრჳთ გარდააქციეთ, არა-მე<sup>11</sup> გიღირდა ამათი დაკრეებაჲ და არა ღმერთ ყოფად დაბადებულთა, რათა არა შემოქმედისა პატივი ქმნულთა მისცეთ. უკუეთუ ჭერ-ვიდრემე-არს თქუენდა ხუროთმოძღურისაჲ მის პატივი მის მიერ აღშწნებულსა მას სახლსა<sup>12</sup> მიცე-

<sup>8</sup> Памятники византийской литературы, ... გვ. 12—13.

<sup>9</sup> გამოაჩინებს.

<sup>10</sup> თქნიცა.

<sup>11</sup> ალ.

<sup>12</sup> სხვსა.

მად, გინათუ ერისთავისა პატივი — ერისაგანსა და აწ ამისთვის რაჲ-მე ვთქუათ, რაჲთა გულისხმა-ვყოთ, უკუეთუ კიცხევის რაჲმე ღირს ჭუარი?" (Rt. XVI, 44r—44v, გვ. 90—2).

არიანელებს უფრო მეტი გაცხარებით ესხმის თავს ათანასი: „მერმე ტყუევს ოდესმე არიანოზთა ამისთვის, ვითარმედ იგივე სარწმუნოებაჲ აქუს მათ. განრისხნა და დაუკვრდებოდა, ვითარცა ესმა“ (ანტონის). შემდეგ კი... „გარდამოვიდა მითთ და შევიდა ალექსანდრიად, და არიანოზთათვის იტყოდა, ვითარმედ წვალებაჲ უკუანაჲსკენელი არს ესე და წინამორბედი ანტიქრისტისნი. ასწავებდა ერსა მას და ეტყოდა: არა თუ დაბადებული არს ძმ ღმრთისაჲ, არცაღა არაარსისაგან ყოფილი, არამედ თვისი არს მამისა არსებისაჲ და სიტყუაჲ და სიბრძნის. უღმრთოება არს ესე, რომელმან თქუას, ვითარმედ ოდესმე არა იყო, რამეთუ იყო მარადის სიტყუაჲ მამისა თანა. და<sup>13</sup> აწ ნუსულა ერთი ზიარებაჲ გაქუნ უღმრთოთა თანა არიანოზთა... რამეთუ თქუენ კეთილად ჰმსახურებთ და ქრისტეანენი ხართ, ხოლო იგინი დაბადებულად იტყუან მამისაგან შობილსა და ღმრთისა სიტყუასა. არაჲთ უმჯობეს არიან წარმართთა — ჰმსახურებენ დაბადებულსა, თვნიერ დამბადებელისა ღმრთისა“ (Rt. XVI, 41r-v, გვ. 85—86).

2. „ანტონის ცხოვრების“ ლიტერატურული მნიშვნელობისათვის. „ანტონის ცხოვრება“ ათანასი ალექსანდრიელისა საქრისტიანო ლიტერატურაში „ცხოვრების“ ჟანრის ნაწარმოების პირველი ნიმუშია<sup>14</sup>. ამ ჟანრის თხზულებათა შორის მას განსაკუთრებული და საპატიო ადგილი უკავია. მის ამგვარ მნიშვნელობას „ცხოვრების“ ჟანრის სხვა ნაწარმოებებთან შედარებით განსაზღვრავს მისი ორიგინალურობა როგორც ფორმის, ისე შინაარსის მხრივ.

გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრების აღწერა საქრისტიანო ლიტერატურაში წარმოადგენს საინტერესო ჟანრს, რომელიც სათავეს ძველი ინდოეთის, ეგვიპტისა და ანტიკური ხანის ბერძნულ ლიტერატურაში იღებს<sup>15</sup>. დროთა მსვლელობაში ეს ჟანრი წამყვანი ხდება ბიზანტიურ ჰაგიოგრაფიულ მწერლობაში და ერთ-ერთ მასობრივად საკითხავ ლიტერატურად იქცევა. ბიზანტიური ბერძნულიდან ამ ტიპის ნაწარმოებები ჯერ ითარგმნებოდა სხვა ქრისტიანი ხალხების ენებზე, შემდეგ კი ამათივე წაბადებით ადგილობრივ იქმნებოდა კიდევ ორიგინალური ცხოვრებანი.

ცხოვრების ჟანრი IV—IX საუკუნეების საეკლესიო მწერლობის ძირითადი ჟანრია. ამ ჟანრის ნაწარმოებებმა მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა როგორც აგებულების, ისე შინაარსის თვალსაზრისით. VI საუკუნიდან მოყოლებული საქრისტიანო ლიტერატურაში წმიდანთა ცხოვრების აღწერის ხერხები თანდათან ერთგვაროვანი ხდება, გამომუშავდა წმიდანთა ცხოვრების ტრადიციული კომპოზიციები. ცხოვრების აღწერისას ავტორები იყენებენ გარკვეულ შინაარსულ შტამებს, ტრადიციულ ეპითეტებს, შედარებებს, მეტა-

<sup>13</sup> და + და.

<sup>14</sup> Стефан Лобачевский, Святой Антоний Великий, Одесса, 1906; კ. კე-კელიძე, ებოლები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან: Эпизод из начальной истории египетского монашества, ტ. VII, თბილისი, 1961; Памятники византийской литературы, გვ. 31—34; История Византии..., გვ. 54—55, 413, 420—421.

<sup>15</sup> А. Ранович, Как создавались житие святых, М., 1961; მისვე О раннем христианстве, М., 1956.

ფორებს, თხრობის მდორე, მონოტონურ მანერას. წმიდანის ბიოგრაფიის გადმოსაცემად მიმართავენ მზა ყალიბებს, ავტორები არ ერიდებიან შინაარსეული დეტალების სესხებასაც. პირიქით, ხშირად ჰაგიოგრაფები მხოლოდ წმიდანის სახელს ცვლიან და ახალი „ცხოვრებაც“ მზად არის. ასე შეიქმნა ე. წ. ორმაგი ცხოვრებანი „მარტინასი და ტატიანასი“, „ონისიმე-ალექსისა“, „ბარბარე-ირინეს“ და ა. შ.

„ანტონის ცხოვრების“ ავტორისათვის უცხოა ამგვარი ტრაფარეტები და შტამპები. თხზულება მდიდარი და მრავალფეროვანია შინაარსობრივად, ორიგინალურია ფორმით. ამ თვალსაზრისით ამ ადრეულ ჰაგიოგრაფიულ ძეგლს ბადალი არ მოეპოვებაო, ამბობს მისი ანლად მთარგმნელი და გამომცემელი რუსულ ენაზე ტ. პოპოვა<sup>16</sup>.

III—IV საუკუნეებში ის-ის იყო ფეხს იდგამდა საქრისტიანო ლიტერატურა. ბუნებრივია, რომ წარმართული კულტურის წინააღმდეგ თავგამოდებული ბრძოლის მიუხედავად ათანასი ალექსანდრიელი მაინც ვერ ასცდა ანტიკური ლიტერატურული ტრადიციების გავლენას. ათანასი ანტონის ცხოვრების აღწერისას იყენებს მრავალნაირ ხერხს: ავტორისეულ ამბის თხრობას ხან ავტორისა და პერსონაჟების რიტორიკული მიმართვა-შეძახილები ენაცვლება, ხან — პერსონაჟების მონოლოგები და დიალოგები. უმრავლეს შემთხვევაში „ანტონის ცხოვრების“ ავტორი დავალებულია ანტიკური ლიტერატურულ-რიტორიკული ტრადიციებისაგან.

„ანტონის ცხოვრების“ აღწერისას ათანასი ალექსანდრიელი არ კმაყოფილდება წმიდანის ბიოგრაფიული ცნობების გადმოცემით. უპირველეს ყოვლისა, როგორც მივეუთითეთ, ზედმიწევნით აგვიწერს IV საუკუნის ბიზანტიის სოციალურ-პოლიტიკურ ყოფას, ასევე ავტორისეული თხრობისა თუ ანტონის ქადაგებების მეშვეობით ზუსტად და თანამიმდევრულად აყალიბებს საღვთისმეტყველო-თეოლოგიურ შეხედულებათა თეორიულ საფუძვლებს: ანტონი ეკამათება წარმართებს, არიანელებს, მელეტეანელებს, მანიქეველებს, მათს თეორიულ მოსაზრებებს უპირისპირებს საკუთარს და ამ გზით „ცხოვრების“ მკითხველი ეცნობა მოკამათე მხარეთა ფილოსოფიურ შეხედულებებს. ასე მაგალითად, სანიმუშოა: ანტონის კამათი გონებისა ან წიგნის პირველადობის შესახებ, წარმართი (ანტიკური) ღმერთებისა და ქრისტეს დაპირისპირების ფაქტები, ანტონის დიალოგი სატანასთან და ა. შ. ამ გზით ათანასი ქმნის „ანტონის ცხოვრების“ რთულ სიუჟეტურ ქარგას მაღალმხატვრული და მდიდარი ენობრივი სამოსით.

საკმარისია „ანტონის ცხოვრება“ შევეუდაროთ ათანასის უმცროსი თანამედროვეების თხზულებებს — იერონიმის „პავლე თებელის ცხოვრებას“, სერაპიონის „მაკარი მეგპეტელის ცხოვრებას“, ან პალადი ჰელენოპოლელის „ლაესაიკის“ ციკლის მოთხრობებს, ანდა VI ს. ჰაგიოგრაფის კირილე სკითოპოლელის საბას, ექვთიმეს, იოვანე დაღუმებულისა და სხვათა ცხოვრებებს, რომ ნათელი გახდეს მისი უპირატესობა ცხოვრების ჟანრის მომდევნო ხანის ნაწარმოებებთან როგორც ფორმათა სიმდიდრის, ისე შინაარსის მრავალფეროვნებისა და ღრმა ფილოსოფიური საფუძვლების მხრივ.

„პაეღ თებელის ცხოვრების“ ავტორი შესავალშივე ერთგვარად ეკამათება „ანტონის ცხოვრების“ ავტორს — პაეღ უფრო ადრე მჭდარა უღაბ-ხოში და ანტონიზე რომ დაწერეს, რატომ პაეღზე არას ამბობენო: „ხოლო რომელნი უმარაველესთა ცნობასა მიიდევნებიან, ესენი პირველ დასაბამისა წინამძღუარ მონაზონთა მოქალაქობისა ყოფად ანტონის ჰგონებენ და ვერცა ესენი ყოვლად გამოიწულილენ საქმისა ქეშმარიტებასა. რამეთუ ჭერეთ დღესამომდე ცოცხალ არიან ანტონის ნერბთაგანნი, რომელთაგან იგი დაფლვასა მიემთხვა და ესენი დაამტკიცებენ პაეღს ვისმე თებელსა დამწყებულად საქმისა ამისა“<sup>17</sup>. შემდეგ იმისათვის, რომ გამოასწოროს ეს შეცდომა, აღწერს პაეღს ცხოვრებას, მაგრამ „ცხოვრების“ ავტორის ფანტაზია პაეღსა და ანტონის შეხვედრის ამბების აღწერის იქით ვერ მიდის, ცხოვრების მთელი შინაარსი ეყრდნობა ამ ფაქტს: ანტონის ეუწყა ღმრთისაგან, რომ შინაგან უღაბნოში ზის ბერი ვინმე პაეღო და წაიღია მის სანახავად, ზგას ცხოველების მეშვეობით მიიკვლევს. მივიდა პაეღსთან და იხილავს, რა სასწაულით კვებავს მას ღმერთი. შემდეგ პაეღმ აუწყა ანტონის, ჩემი აღსასრულის ეამი მოვიდა, წადი, მოიტანე ის ხალენი, ათანასიმ რომ გაჩუქა, იმაში შემახეი და ისე დამმარბეო. წაიღია ანტონი, მოიტანა ხალენი. პაეღ უკვე გარდაცვლილი დახვდა, წარგარგნა ტილოში და დაფლა.

„პაეღს ცხოვრების“ თითქმის ანალოგიურია სერაპიონის „მაკარი მეგაკტელის ცხოვრების“<sup>18</sup> შინაარსიც: მაკარიც განშორდა დაბას და ჭერ სენაკში. ხოლო შემდეგ ნიტრიის მთაზე ცხოვრობდა. სამი წლის შემდეგ „მიიწია მთასა ფარანისსა და მიემთხვა დიდსა ანტონის“, მიიღო მისგან ლოცვა-კურთხევა, რჩევა და ძველსავე ადგილს დაბრუნდა. კარგა ხნის შემდეგ ისევ მივიდა ანტონისთან, რომელმაც აუწყა, ჩემი აღსასრულის ეამს შეხვედიო და თავისი კვერთხი აჩუქა. მიიცვალა ანტონი, მისი გვამი დაფლა მაკარიმ და დაბრუნდა თავის საყოფელში. შემდეგ გადავიდა სხვა მთაზე, ააშენა ეკლესია და იქ იმყოფებოდა სიკვდილამდე.

პაეღ თებელისა და მაკარი მეგაკტელის ცხოვრებათა ეს მარტივი შინაარსი უმარტივესი ფორმითაა გადმოცემული.

ფორმისა და შინაარსის სიმარტივე-სიღარიბის მხრივ პაეღსა და მაკარის ცხოვრებების მსგავსია კირილე სკითოპოლელის საბას, ექვთიმეს, იოვანე დადუმებულისა და სხვათა ცხოვრებანი.

მართალია, პალადის „ლაესაიკის“ ციკლის თხზულებები უფრო მაღლა დგას ზემოთ დასახელებულ ნაწარმოებებზე, მაგრამ პალადის ცხოვრებათა კომპოზიცია და ფორმა გაცილებით მარტივია „ანტონის ცხოვრებისაზე“.

ჩამოთვლილ ნაწარმოებთა ავტორებისათვის უცხოა ათანასისეული აღმადგენა, პოლემიკური სული, ფილოსოფიურ-რიტორიკული მსჯელობანი, ამათუ იმ თეორიულ მოსაზრებათა დასაბუთება-გაკრიტიკება, სიუხვე გამომხატველობითი ფორმებისა, შინაარსის მრავალფეროვნება, იდეურ-პოლიტიკური აზრის სიღრმე.

<sup>17</sup> იერუსალიმის № 18 ქართული ხელნაწერის როტაპირი, დაცული ე. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში — Rl. იერ. № 18, გვ. 430.

<sup>18</sup> „ცხოვრება და მოქალაქობა წმიდისა მამისა ჩინისა მაკარი მეგაკტელისაჲ“, აღწერილი დიდისა სერაპიონისი, რლი იყო [მწფე მშისა ანტონისი: ე. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის როტაპირების ფონდი: Rl. იერუს. № 17.

მ. „ანტონის ცხოვრების“ ავტორობის საკითხისათვის. ათანასი ალექსანდრიელის თხზულების ამგვარმა ისტორიულ-ლიტერატურულმა ღირებულებამ განსაზღვრა, ერთი მხრით, მისი პოპულარობა და, მეორე მხრით, საფუძველი დაუდო ერთგვარ დევნა-დამცირებას გვიანდელი საუკუნეების საეკლესიო მწერლობის მეცნიერ-მკვლევარების მხრით.

ძრგვიანო ხანებში, XVIII საუკუნის გასულსა და XIX საუკუნის პირველ ნახევარში, დასავლეთევროპელი მკვლევრები შეეცადნენ უარყოთ ის ფაქტი, რომ „ანტონის ცხოვრების“ ავტორი ათანასი ალექსანდრიელია<sup>19</sup>. სხვადასხვა ღრის ვანგარტენმა, ბარონიმ, როსვეილმა<sup>20</sup> წამოაყენეს შემდეგი მოსაზრებები: 1. „ანტონის ცხოვრების“ ავტორი ათანასი კი არაა, არამედ სხვა. 2. ანტონი არაა რეალური პიროვნება. 3. „ანტონის ცხოვრების“ პირველი ნახევრის ავტორი ათანასი ალექსანდრიელია, მეორე ნახევარი კი სხვა ავტორს ეკუთვნის.

წყარო იმ შეხედულებისა, რომ ანტონი გამოგონილი პიროვნებაა და ამიტომ მის ცხოვრებას ათანასი ვერ აღწერდაო, სტ. ლობაჩევსკის აზრით<sup>21</sup>, გრიგოლ ნაზიანზელია, რომელმაც „ანტონის ცხოვრებას“ სამონაზვნო ცხოვრების დამფუძნებელი ისტორიული (და არა რეალური) ხასიათის მოთხრობა უწოდა<sup>22</sup>.

რა საბუთს ემყარებიან ამ თეორიების ავტორები? ისინი ძირითადად ამოდინ უარყოფითი მსჯელობიდან. ასე მაგალითად, ვანგარტენი აღნიშნავს, რომ ათანასის არ შეეძლო ანტონის ცხოვრება აღეწერა, რადგან ანტონი არაა რეალური პიროვნება, რამდენადაც ევსევი კესარიელის საეკლესიო ისტორიაში არაა იგი მოხსენიებულიო. როსვეილი და ბარონი უმატებენ: „ანტონის ცხოვრებაში“ არაფერია თქმული ანტონისა და პაულე თებელის შეხვედრაზე, რასაც ათანასი დუმილით არ აუვლიდა გვერდსო.

ამგვარი მსჯელობა გულუბრყვილო ჩანს. ამ არგუმენტაციას ეს მკვლევრები წინასწარ აღებული დასკვნის შესამაგრებლად იყენებენ. ევსევი კესარიელი ან სხვა საეკლესიო ისტორიკოსები და პაგიოგრაფები თუ არ იხსენიებენ ანტონის ან ათანასის, ანდა თუ ათანასი არას ამბობს პაულესა და ანტონის შეხვედრაზე, ეს ფაქტი ვერ გამოდგება ათანასის ავტორობის უარყოფისათვის საკმაო საბუთად. არც გრიგოლ ნაზიანზელს სურდა ეჭვი შეეტანა ათანასის ავტორობაში. პირიქით, ათანასის საქებ სიტყვაში ამბობს, რომ მას სურს ისეთივე შრომა შექმნას ათანასიზე, როგორც ამ უკანასკნელმა შექმნა ანტონიზე<sup>23</sup>.

ათანასი ალექსანდრიელის ავტორობის უარყოფის საფუძველი თვით ცხოვრების შინაარსში უნდა ვეძიოთ.

<sup>19</sup> *Patrologiae cursus completus... omnium ss. patrum doctorum scriptorum que ecclesiarum, Series graeca-Lutetia Parisiorum J. P. Migne, t. XXVI, 1857—8: Jn Antonii vitam monitum, გვ. 823—834. Ст. Лобачевский, Святой Антоний...*

<sup>20</sup> ვანგარტენის, როსვეილისა და ბარონის ამ საბუთთანობას დაწვრილებით იხილავნ: ა) გაზეთ შრომაში *Jahrbuch für protestantische Theologie, 1880, Jahrg. VI, გვ. 433—438*; ბ) *Ст. Лобачевский, Св. Антоний...*

<sup>21</sup> *Ст. Лобачевский, Св. Антоний...*

<sup>22</sup> „*τοῦ μοναχικοῦ βίου ὑπομνησίων ἐν πλάσματι διηγήσιον*“, *Οἶκτ.* 21.

<sup>23</sup> *Твор. Ефрема Сирина, ч. 1, гл. 473.*



ათანასის „ანტონის ცხოვრების“ პოლემიკურ-რიტორიკული სტილი, მასში ჩამოყალიბებული ანტიწარმართული და ანტიეგრეტიკული ფილოსოფიური შეხედულებები, ფორმისა და შინაარსის სიმდიდრე და მრავალფეროვნება, მომდინარე ანტიკური ლიტერატურული ტრადიციებიდან, ერთგვარად აღარ მოეწონათ გვიანი საუკუნეების მეცნიერ-თეოლოგებს, რადგანაც ქრისტიანული მოძღვრების უპირატესობის მტკიცება წარმართობასა, არიანობასა, მელეტიანობასა და მანიქეველობასთან შედარებით გაუგებარი ხდება ქრისტიანულ-დოგმატიკურ ლიტერატურულ ტრადიციებზე აღზრდილი გვიანი საუკუნეების საეკლესიო მოღვაწე-მკვლევარებისათვის. ამან განსაზღვრა „ანტონის ცხოვრების“ წინააღმდეგ მიმართული კამპანია. ამითვე იყო შეპირობებული, რომ მართლმადიდებლური თეოლოგიური საფუძვლების ფუძემდებლის ათანასის ალექსანდრიელის სახელის დაკავშირება ამგვარ ნაწარმოებთან აღარ მოისურვეს მოგვიანო ხანის თეოლოგმა-მკვლევარებმა. ისინი ფიქრობდნენ, რომ მსოფლიო ეკლესიის უდიდესი მამამთავრის ათანასის კალამს არ შეეფერება ამგვარი ნაწარმოები.

თავის დროზე ამ კამპანიის წინააღმდეგ გაილაშქრეს გაზემ<sup>24</sup>, მინიმ, ს. ლობაჩევსკიმ<sup>25</sup>.

მინის თქმით<sup>26</sup> იმისათვის, რომ ეს შესანიშნავი ნაწარმოები არ მიაკუთვნონ ათანასის, მძიმედ ბოროტისტყვაობენ მისი ავტორის მიმართ და უწოდებენ ხელიდან წასულ, უგემოვნებო კაცს, ცრუ ამბების შემთხვევებს, არაჩვეულებრივად უზნეო ავტორს. მაგრამო, განაგრძობს მინი, ამ მეცნიერთათვის უფრო ადვილია ბრძოლა ამგვარი ლანძღვით, ვიდრე ფაქტებით, არგუმენტებით.

მინისა და ს. ლობაჩევსკის მოჰყავთ ძველ მამათა თუ ისტორიკოს-ქრონოგრაფთა ცნობები, რომლებიც უდავოს ხდის, რომ „ანტონის ცხოვრების“ ავტორი ათანასია.

ათანასის ალექსანდრიელის შრომა უაღრესად პოპულარული ყოფილა IV საუკუნიდანვე. მას იცნობენ, იხსენიებენ, იმოწმებენ როგორც ისტორიკოსები, საეკლესიო უამთაღმწერელნი, ასევე ჰაგიოგრაფები და ჰიმნოგრაფებიც.

ათანასის ალექსანდრიელის „ანტონის ცხოვრებაზე“ ცნობები აქვთ საეკლესიო ისტორიკოსებს; მაგალითად: 1. რუფინი თავის „საეკლესიო ისტორიაში“ მიუთითებს: ანტონის საქმიანობაზე, მის განდევნილურ ცხოვრებაზე, მის გამარჯვებაზე დაწერა ათანასიმ<sup>27</sup>. 2. სოზომენის ისტორიაშიც<sup>28</sup> ათანასის შრომას მთელი ერთი თავი ეძღვნება. 3. ეფრემ ასურიც იმოწმებს ათანასის შრომას და ასკენის: ასეთი იყო წმიდა ანტონი, როგორც წმ. ათანასიმ, არქიეპისკოპოსმა მოიხსენია მისი ცხოვრების აღწერისას<sup>29</sup>. 4. სოკრათი „საეკლესიო ისტორიაში“ ამონ ნიტრიელზე მსჯელობისას ათანასის „ანტონის

<sup>24</sup> Jahrbuch für protestantische Theologie, 1880, Jahrg. VI, pp. 433—438.

<sup>25</sup> Ст. Лобачевский и, Св. Антоний Великий...

<sup>26</sup> P. G., F. XXVI: J. P. Migne, In Antonii vitam monitum, pp. 823-4.

<sup>27</sup> Histor. eccles., Lib. I, car. 8: P. C. XXI, ser. lat.

<sup>28</sup> Созомен, Церковная история, кн. I.

<sup>29</sup> О „Вопли себе“, гл. 10: Твор. Ефрема Сирина, ч. 1, М., 1858, pp. 473.

ცხოვრებას იმოწმებს<sup>30</sup>. 5. გრიგოლ ნაზიანზელიცი, როგორც ვთქვით, ათანასის თვის „ანტონის ცხოვრების“ ავტორად<sup>31</sup>.

IV—VI საუკუნეების საეკლესიო მოღვაწეები და ჰაგიოგრაფებიც ათანასის „ანტონის ცხოვრებაზე“ საყურადღებო ცნობებს გვაწვდიან. ჰელენოპოლელი ეპისკოპოსი პალადი „ლაკსაიკის ისტორიაში“ ანტონის სასწაულებზე მსჯელობისას ათანასის შრომას ეყრდნობა. სხვა ადგილას კი პალადი მიუთითებს პირდაპირ წიგნზე, რომელშიც ათანასის შრომაც ყოფილა შესული<sup>32</sup>. უფრო გვიანდელი საეკლესიო მწერლებიც — იოვანე დამასკელი, ნიციფორე, თეოდორიტი...<sup>33</sup> და ა. შ. ერთხმად ათანასის თვლიან „ანტონის ცხოვრების“ ავტორად.

„ანტონის ცხოვრების“ ლათინურ, სხვა ევროპულ ენებზე, აგრეთვე რუსულ და ქართულ ენებზე მთარგმნელებიც მის ავტორად ერთხმად ათანასი ალექსანდრიელს თვლიან.

ამ მხრივ ყველაზე საყურადღებოა ლათინურ და ქართულ თარგმანებში დაცული ცნობები, როგორც ყველაზე უფრო ძველი. „ანტონის ცხოვრების“ ლათინური თარგმანების ევაგრისიელი ტექსტებიც მის ავტორად ათანასის თვის<sup>34</sup>.

„ანტონის ცხოვრების“ VIII—XI საუკუნეების ქართული თარგმანების რვა ნუსხა<sup>35</sup> მის ავტორად ერთხმად ათანასი არქივისკოპოსს აღიარებს.

ასე მაგალითად, „ანტონის ცხოვრების“ ყველაზე ძველი ნუსხის დასასრულს<sup>36</sup> იკითხება: „ანტონისი ნეტარისა ცხოვრებაჲ აღიწერა ათანასისგან, ეპისკოპოსისა ალექსანდრიელის(ა)“...

Addit № 11281 ხელნაწერში დაცულ „ანტონის ცხოვრების“ დასაწყისშიცაა მოხსენიებული ავტორი და დასასრულსაც:

დასაწყისი: „ათანასესგან ეპისკოპოსისა ალექსანდრიელისა პრზისა... (Rt. XVI, გვ. 1).

დასასრული: „აღიწერა ათანასისგან... ალექსანდრიელისა სადიდებლად სამებისა...“ (Rt. XVI, გვ. 112).

ქართულ ხელნაწერებში დაცული ანტონი დიდის საჯალობლებისა და მოსახსენებლების უამრავ ნუსხებშიც ანტონის ცხოვრების აღმწერად ათანასი ეპისკოპოსია დასახელებული.

მაგალითად, იერუსალიმი № 242, № 451, № 60 (გიორგი მთაწმიდლის სეინაქსარი), № 77, № 802 ხელნაწერების კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის როტოპირების ფონდში დაცულ 17 იანვრის მოსახსენებლებში იკითხება: „ესე წმიდაჲ მამაჲ ჩუენი ანტონი იყო ნათესავით მეგვპტელი, ეამ-

<sup>30</sup> Соколат, Церковная история, кн. IV, гл. 23. გვ. 351.

<sup>31</sup> Orat. 21.

<sup>32</sup> Histor. eccles., Lib. I, c. 21: „*Ἐπιμασε γὰρ Ἀθανάσιος ὁ Ἀλεξανδρείας ἐπίσκοπος μοιπέμπλον εἰς τὸν αὐτὸν (Ἀντωνίου) βίον ἔκομεινος*“.

<sup>33</sup> P. C. t. XXVI, ser. gr., p. 823—4, et f. LXXIII, ser. Lat., p. 115—118.

<sup>34</sup> P. C., t. XXVI.

<sup>35</sup> კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდის A-1109, -19, -129, -689, -79, ქ. ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმის ფონდის — ქუთ. № 147, გელათ. № 13 ხელნაწერები და British. Mus. Addit. № 11281 (2764) ხელნაწერის როტოპირი, დაცული საქ. სსრ კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში — Rt. XVI, ნომრით.

<sup>36</sup> შელის A-1109 ხელნაწერში. ე. წ. უდაბნოს მრავალთავში. 36რ.

თა დეოკლიტიანე და მაქსიმიანე მეფეთაჲსა... ხოლო ცხონდა ვიდრე დიდისა კოსტანტინესამდე და ძეთა მისთა... ვითარცა მისთვის აღწერილი იგი ცხორებაჲ გუაუწყებს, რომელი წმიდამან მან და სანატრელმან ათანასე აღექსანდრიელმან აღწერა და ვითარცა ხატი მეტყუელი და მასწავლელი ცხორებისაჲ ქრისტეს სამწყსოსა აღუმართა...<sup>37</sup>.

აქედან ჩანს, რომ „ანტონის ცხოვრების“ დაწერის დროიდან (IV ს-დან) დღემდე არავითარი რეალური საფუძველი არ არსებულა ათანასის ავტორობის უარსაყოფად. ამიტომაც XIX—XX საუკუნეების სამეცნიერო ლიტერატურაში<sup>38</sup> „ანტონის ცხოვრებას“ განიხილავენ როგორც ათანასი აღექსანდრიელის შრომას.

რაც შეეხება მეორე საკითხს, კერძოდ იმას, არის თუ არა ათანასი აღექსანდრიელის „ანტონის ცხოვრების“ მოქმედი პირი ანტონი დიდი რეალური პიროვნება, ამას დღევანდელი მეცნიერებისათვის მნიშვნელობა არა აქვს. ათანასი აღექსანდრიელი ანტონის ცხოვრების აღწერისას მრავალგზის გახაზავს დაბეჭდებით, პირადად ვიცნობდი ანტონისო. ასე მაგალითად, ცხოვრების დასაწყისში ის ამბობს: „მინდა, რაჟამს მოვიღე წიგნი ესე თქუენშიერი, მოწოდებდა ვიეთაჲე მონაზონთა, ...და რამეთუ ...წიგნისა მიმართული ესე ისწრაფდა, ამისთვის, რომელი-იგი მე უწყი, რამეთუ მრავალგზის მეხილვა და სწავლაჲ შეუძლე მათგან, რომელნი-იგი შეუდგეს მცირედ ჟამ...“ (Rt. XVI, გვ. 1—2).

ნაწარმოების დასასრულსაც ავტორი აღნიშნავს, ანტონი მოვიწვიეთ აღექსანდრიაში და მეც იქ ვიყავიო: „რაჟამს წარვიღოდა, წარკვზავენიდით მას და ვითარ მივიწიენით ბჭეთა ქალაქისათა, შე-ვინმე-გვდგა დედაკაცი... ესე ვითარ ესმა ბერსა მას, კვედრებოდეთ ჩუენცა და ნებსით დადგა“ (იქვე, გვ. 87).

მართალია, თხზულების ტექსტში ასეთი ადგილები მოიპოვება, მაგრამ ასეც რომ არ იყო, ე. ი. ათანასის პირადადაც რომ არ სცნობოდა ანტონი, ეს ფაქტი „ანტონის ცხოვრების“ მეცნიერული ღირებულების დასაყენებლად დღეს აღარ გამოდგება და მით უფრო არ გამოდგება იმის საბუთად, რომ ათანასის არ შეეძლო არარეალური პიროვნების ცხოვრება აღეწერა. დღევანდელი ლიტერატურის ისტორიისათვის მთავარი და ფასეულია ის ფაქტი, რომ გროგოლ ნაზიანზელის სიტყვით რომ ვთქვათ, ჩვენს ხელთა IV საუკუნის სამონაზვნო ცხოვრების დამფუძნებელი ისტორიული ხასიათის მოთხრობა.

ბარონიმ და როსვეიღმა სცადეს შეერბილებინათ ვაინგარტენის კატეგორიული აზრი — „ანტონის ცხოვრება“ არ არის ათანასის შრომაო. მათ სხვაგვარი აზრი გამოთქვეს: ცხოვრების პირველი ნაწილი ანტონის სიცოცხლეშია დაწერილი და ათანასის ეკუთვნის, ხოლო მეორე ნაწილი კი ანტონის გარდაცვალების შემდეგ დაუწერია უცნობ ავტორს<sup>39</sup>. ეს ავტორები ისევ ანტონისა და პაულეს შეხვედრის ფაქტს იშველიებენ: ამ ფაქტს ათანასი დუმილით არ აუვლიდა გვერდსო. იშველიებენ მეორე საბუთსაც: იერონიმის გადმო-

<sup>37</sup> Rt. Jer. № 24\*, 130v—131r.

<sup>38</sup> Handbuch der Klassischen Altertumswissenschaft: Geschichte der byzantinischen Litteratur, von Karl Krumbacher, München, 1897, გვ. 176. История Византии..., т. I, გვ. 409—435. Памятники византийской литературы... გვ. 31—4, 38—39. ქვეყელიძე, ქართულ ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბილისი, 1960, გვ. 209.

<sup>39</sup> Ст. Лабачевский и, Св. Антоний Великий...

ცემით, რომელ ქალს მარკელას რომში ათანასისგან ვაუჯონია ანტონისა და პახომის ცხოვრების შესახებ, როცა ანტონი ისევ ცოცხალი იყო<sup>40</sup>.

ანტონისა და პავლეს შეხვედრის ფაქტზე ზევით გვექონდა მსჯელობა. ათანასის, როგორც თვით ცხოვრების შინაარსიდანაც ჩანს, შესაძლებელია პირადად სცნობოდა ანტონი და მისი ბიოგრაფიული ამბებიც სცოდნოდა, ამიტომ მარკელას ცნობაც, ისე როგორც ანტონისა და პავლეს შეხვედრის ფაქტი, ვერ გამოდგება იმის საბუთად, თითქოს „ანტონის ცხოვრების“ ერთი ნაწილი ანტონის სიოცხლეშივე იყოს დაწერილი.

მაგრამ სწორედ ეს ფაქტი, რომ ათანასის ავტორობის უარყოფელნი ცდილობენ მთელი ცხოვრება თუ არა, მისი მეორე ნაწილი მაინც არ მიაკუთვნონ ათანასის კალამს, გვაძლევდა კიდევ ერთ მყარ საბუთს ზემოთ წარმოდგენილი დასკვნის გასაკეთებლად, ათანასის ავტორობის უარყოფის საფუძველი თვით „ანტონის ცხოვრების“ შინაარსში უნდა ვეძიოთ.

ეგრძოდ, „ანტონის ცხოვრების“ პირველ მონაკვეთში ანტონის ცხოვრების დეტალებია აღწერილი, შემდეგ კი, ე. ი. იმ ნაწილში, რომელსაც ეს მეცნიერები არ თვლიან ათანასისეულად, იწყება ანტონის კამათი წარმართ ფილოსოფოსებთან, არიანელებთან, მელეტიანელებთან... სწორედ ამ მეორე მონაკვეთის ფორმა და შინაარსი; არ მოეწონათ გვიანი საუკუნეების თეოლოგ-მკვლევარებს და შეეცადნენ მარტივი ოპერაციით მის ორ მონაკვეთად განაწილებას, რითაც საკუთარი თეორიის დამტკიცების ნაცვლად ნათლად გამოააშკარავეს თავიანთი მიზნები.

ვაზე მიუთითებდა თავის დროზე, რომ, თუ საკითხი ეხება ცხოვრების ნამდვილობას, მაშინ ან მთელი ნაწარმოები უნდა ჩავთვალოთ ნამდვილად, ანდა მთლიანად უარყოთ, როგორც აპოკრიფული<sup>41</sup>.

მართლაც, „ანტონის ცხოვრების“ ბერძნულ-ლათინური და ქართული ტექსტების ზედმიწევნითი ანალიზი ცხადყოფს, რომ ცხოვრება წარმოადგენს ერთ მთლიან, სიუჟეტურად შეკრულ ნაწარმოებს, რომელშიც ამბები გარკვეული ქრონოლოგიური თანმიმდევრობით არის დალაგებული. — მოგახსენებთ, ანტონის „რაბაში აქუნდა აღსასრული ცხოვრებისაო“, — ნაწარმოების შესავალშივე ჰპირდება მკითხველებს ავტორი და ნაწარმოების დასასრულს ასრულებს კიდევაც თავის დაპირებას.

4. ათანასი ალექსანდრიელის „ანტონის ცხოვრების“ თარგმანები და გამოცემები. როგორც აღვნიშნეთ, ათანასის „ანტონის ცხოვრებისა“ — დაწერისთანავე მიუპყრია ყურადღება: იგი VI საუკუნეში უკვე უთარგმნია ევავრი ანტიოქიის ეპისკოპოსს (535-6—VI ს. ბოლო) ლათინურად. იერონიმი აცხადებს, რომ ანტიოქელმა ეპისკოპოსმა ევავრიმ ბერძნულიდან ლათინურად თარგმნა ათანასის „ანტონის ცხოვრებაო“<sup>42</sup>.

„ანტონის ცხოვრების“ ლათინურ თარგმანს იერონიმი იხსენიებს „პავლე თებელის ცხოვრების“ დასაწყისშიც: „ეინაფთგან უკუშ ანტონისთვის არა ხოლო ელენებრი, არამედ ჰრომაელებრიცა კმაჲ წამებს, მცირედსა ჩუენცა პავლესთვის დასაბამისათა ვიტყვთ და დასასრულისათი შემოღებდა ვისწრა-

<sup>40</sup> Теор. блаж. Иеронима: Письмо к девице Принципии, ч. III, гл. 294.

<sup>41</sup> Jahrbuch für protestantische Theologie, Leipzig, 1880, Jahrg. VI, pag. 432.

<sup>42</sup> De illustrac. eccles. scriptor., pag. 125.

ფეთ...<sup>43</sup>. — ამბობს ავტორი. უდავოა, აქ ათანასის შრომის „ელინური“ (ბერძნული) დედანი და მისი „პრომაელებრი“ (ლათინური) თარგმანი ივარაუდება.

რადგან ეფრემ ასურცი იმოწმებს ათანასის შრომას<sup>44</sup>, ს. ლობაჩევსკი ვარაუდობს, რომ ეფრემის დროს „ანტონის ცხოვრების“ სირიული თარგმანიც უნდა არსებულებოდა<sup>45</sup>.

პირველად ათანასის „ანტონის ცხოვრება“ ლათინურად გამოიცა 1478 წელს „Vitis Patrum“—ში, ნიურნბერგში<sup>46</sup>. ცხოვრების ბერძნული ტექსტი კი ლათინური თარგმანითურთ პირველად გამოაქვეყნა დავით ჰესხელიუსმა (ავგუსტინუსმა) 1611 წელს. ტექსტს ერთვის შენიშვნებიც. მინი მიუთითებს, რომ ხელნაწერები, რომლებიც ჰესხელიუსს ჰქონია ხელთ, საესე ყოფილა შეცდომებით, ამასთან გამოძეგმელს არ გაუთვალისწინებია ევაგარის ვერსია, რომლის შემწეობითაც შეძლებდა ბევრი ადგილის აღდგენას. ამიტომ ეს გამოცემა არაა სრულფასოვანია<sup>47</sup>. ჰესხელიუსის გამოცემაზე გაცილებით მალეა დგას მონღუეოს პარიზული გამოცემა „ანტონის ცხოვრებისა“ (1689 წლისა და ბრაიტის კანონიკური გამოცემა 1881 წლისა (ოქსფორდული)<sup>48</sup>.

„ანტონის ცხოვრების“ ტექსტი შეტანილია წმიდანთა ცხოვრების კრებულში როსვეიდისა, ბოლანდისტებისა, მომბრიციუსისა<sup>49</sup>.

ათანასის „ანტონის ცხოვრების“ უკეთეს მეცნიერულ გამოცემად ითვლება 1857—8 წლის პარიზული გამოცემა აბატი მინისა.

მინის, როგორც თვითონ მიუთითებს, ხელთ ჰქონია „ანტონის ცხოვრების“ ყველა გამოცემა (ლითოგრაფიული თუ ჩვეულებრივი), ასევე ყველაზე უკეთ დატული ხელნაწერების მთელი კოლექცია; ყველაფერი ეს შეუჭერებია ერთმანეთისათვის და, რაც ყველაზე მთავარია, ფორმათა აღდგენისა და პირველადობის დასადგენად შესამოწმებელ საშუალებად გამოუყენებია „ანტონის ცხოვრების“ ლათინური, ევაგარიეული თარგმანი: ევაგარი ათანასის ეპოქაში მცხოვრები ბერძნების თითქმის თანამედროვე იყო და მისი თარგმანიც მეტად დიდი მნიშვნელობისაა ბერძნული ტექსტის აღსადგენად და დასაცავად, ამიტომ ბერძნული დედნის უამრავი ხელნაწერების ერთიმეორესთან და ევაგარიეულ თარგმანთან შეჭერება-შესწორების გზით საშუალება მოგვეცა ცხოვრება უწინდელი სისწორისათვის დაგვებრუნებინა და განწმედილი ტექსტი გამოგვეცაო, — ამბობს მინი<sup>50</sup>.

მინის გამოცემასთან ქართული თარგმანების შეჭერებამაც ცხადყო, რომ „ანტონის ცხოვრების“ მინისეული გამოცემა ძალიან ახლოს დგას VIII—X საუკუნეების იმ ხელნაწერებთან, რომლებითაც უსარგებლიათ ქარბთველ მთარგმნელებს.

<sup>43</sup> Rl. იერუს. № 18, გვ. 430.

<sup>44</sup> О „воити себе“, гл. 10: Твор. Ефрема Сярина, т. 1, Москва, 1858, გვ. 479.

<sup>45</sup> Ст. Лобачевский, Св. Антоний Великий, გვ. XV.

<sup>46</sup> იქვე, გვ. XVI.

<sup>47</sup> P. C. XXVI, 1857—8, გვ. 823—4/833—4.

<sup>48</sup> Св. Афанасий Великий... и его избрания творения, СПб., 1893, გვ. 54.

<sup>49</sup> P. C., XXVI, 1857—8, გვ. 823—834.

<sup>50</sup> იქვე, გვ. 823—4.

ელენე დოჩანაშვილი

ქართული ბიბლიის „ისო ნავეს წიგნის“ ბერძენიზმები

ქართული ბიბლიის (ძველი და ახალი აღთქმის წიგნების) ტექსტობრივ ერთიერთობას ბერძნულ, სომხურ, სირიულ რედაქციებთან არაერთი მკვლევარი შეხვებია. მაინც საკითხი ქართული ბიბლიის წიგნების სათარგმნი წყაროს შესახებ შორს არის საბოლოო გადაწყვეტისაგან. როგორც ჩანს, ყველა წიგნი ერთდროულად და ერთი ენიდან არ უნდა იყოს ქართულ ენაზე თარგმნილი. ეს კიდევ უფრო ართულებს ვითარებას და დიფერენცირებულ მიდგომას საჭიროებს.

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია ქართული ბიბლიის ერთი, შედარებით მცირე, ნაწილის — „ისო ნავეს წიგნის“ — საკუთარ სახელთა ბერძნული და სომხური რედაქციების შესაბამის სახელებთან შედარების შედეგი. გასაგებია, რომ ასეთი შეზღუდული მასშტაბის სამუშაოს შემოდასახელებული დიდი პრობლემის გადაწყვეტისას მხოლოდ გარკვეული მასალის მოპოვების მნიშვნელობა შეიძლება ექნეს. მაგრამ ესეც, ვფიქრობთ, ამართლებს, ქვემომოტანილი ზოგიერთი ჩვენი ახალი დაკვირვების გამოქვეყნებას.

„ისო ნავეს წიგნის“ ქართულ თარგმანებს შეიცავს შემდეგი ხელნაწერები: გელათის ბიბლია: A — 1108 ხელნაწერი XII საუკუნისა; ხელნაწერი H — 885 XVII საუკუნისა; მცხეთის ბიბლია: A — 51 ხელნაწერი XVIII საუკუნისა; ბაქარის ბიბლია, ნაბეჟდი, 1743 წლისა.

მუშაობისას გამოვიყენეთ ყველა ეს ხელნაწერი. მათ ჩვენ შემდეგი ლიტერებით აღვნიშნავთ: G — გელათის ბიბლია; D—H — 885 ხელნაწერი; S — მცხეთის ბიბლია; B — ბაქარის ბიბლია.

ბერძნულთან შედარებისას ვხელმძღვანელობდით გამოცემით:

Septuaginta id est Vetus Testamentum gracce iusta LXX interpretes, edidit Alfred Ralf. Vol. I, Stuttgart, 1952.

სომხურთან შედარებისათვის გამოვიყენეთ: *Աստուածաշունչ մատիւնս ჩին և նոր կտակարանաց ըստ ճշգրիտ թարգմանութեան Նախնեսաց ժնրոց ի Հէլէնական հաստատարագոյն բնադրէ ի հայկական բարբառ ի Վինետիկ, 1895* წლის გამოცემა.

შედარების შედეგად გამოვლინდა გარკვეული მასალა, რომელიც „ისო ნავეს წიგნის“ ბერძნულ ბიბლიაზე დამოკიდებულებას მიუთითებს.

ამ მასალაში გვხვდება შემთხვევები, როდესაც სათარგმნი წყაროს ზოგადი სახელი საკუთარ სახელად არის გაგებული და უთარგმნელად არის გადმოტანილი ქართულ ტექსტში, ან კიდევ ბერძნული ენის გარკვეული გრამატიკული ერთეულები (ართრონი, რომელიც, ერთვის საკუთარ ან საზოგადო

სახელს, ან გარკვეული ბრუნვის ნიშანი). სახელის ნაწილად არის მიჩნეული და სახელთან შეხორცებული სახით გადმოდის ქართულ ტექსტში.

აღრე ჩატარებულმა მუშაობამ დაგვარწმუნა<sup>1</sup>, რომ საერთოდ სწორედ ასეთი შემთხვევები წარმოადგენს სათარგმნი თუ სარედაქციო წყაროს თარგმნილ ტექსტზე ლექსიკური გავლენის ძირითად სახეებს. ქვემოთ წარმოვადგენთ მოპოვებულ მასალას.

1. საზოგადო სახელი თარგმანში საკუთარი სახელის სახით არის შესული, მაგალითად, ასეთ ადგილას:

S განაკმო უფალმან ღმერთმან ზღუა იგი ერთრახსაჲ.

D განაკმო უფალმან ღმერთმან ზღუა იგი ერკთრახსა.

B განაკმო უფალმან ღმერთმან ზღუა იგი ერუთრახსა.

G განაკმო ღმერთმან ზღუა მეწამული. ისნ. 210.

მოტანილ წინადადებაში ყურადღებას იპყრობს — ერთრა, ერკთრა, ერუთრა. გელათის ბიბლიაში შესატყვის ადგილას არის მეწამული.

ენახოთ როგორ იკითხება ეს ადგილი ბერძნულში და სომხურში. ბერძნულში გვაქვს: *Καταξήραυα ἄρισα ὁ Μεν ἄψ ἐραμρὺ θῆλασασ*. ბერძნული წინადადების მოშველიებით ცხადი ხდება საიდან გაჩნდა SBD-ში ერთრა, ერკთრა, ერუთრა. ბერძნულის რეაქტი „წითელს“ ნიშნავს. იგი ქართველ მთარგმნელს უთარგმნელად დაუტოვებია: ალბათ მიიჩნია ზღვის საკუთარ სახელად და არ ჩათვალა საჭიროდ მისი თარგმნა.

სომხურში, ისევე როგორც გელათის ბიბლიაში, რეაქტი თარგმნილია — *კარაქრ* „მეწამული“. ეს ორივე სიტყვა აღნიშნავს წითელს, ძალიან წითელს. და ასეთი სახელწოდების ზღვა არსებობს ამ სამივე ენაში.

მაგრამ არ არსებობს ქართულში ერკთრა ზღვა. ასეთი რამ ქართულ თარგმანში, ცხადია, ბერძნულის გზით გაჩნდა.

ტოტა ქვემოთ კვლავ ეხვდებათ მსგავს წინადადებას.

S ერთრახ ზღუა რომელ განაკმო უფალმან ღმერთმან ჩუენმან.

B ერუთრა ზღუა, რომელ განაკმო უფალმან ღმერთმან ჩუენმან.

D ერთრა ზღუა, რომელ განაკმო წინაშე ჩემსა.

G მეწამულ ], რომელი განაკმო უფალმან ღმერთმან ჩუენმან.

*Καταξήρα ἐπίρησιν Κέρσις ὁ Μεν ἄψ ἐραμρὺ θῆλασασ.*

*ღუე ბილს კარაქრ იორ ვამაქხიციე თქრ კათოსაბ ძიქ.* ისნ. 424.

საინტერესოა, რომ ამ სახელწოდების ზღვა ბიბლიის სხვა წიგნებშიც გვხვდება, მაგრამ ქართულში იმავე რედაქციებში, სადაც იყო ერკთრა, არის არა ერკთრა, არამედ „მეწამული“:

S და შთადეა იგი ზღუესა მას მეწამულსა.

B და შთაყარა ზღუესა მას მეწამულსა.

<sup>1</sup> იხ. ჩვენი „ტექსტობრივი დამოკიდებულების რამდენიმე შემთხვევა ძველი აღთქმის ზოგ ქართულ ხელნაწერში“, „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1971, № 2.

Καὶ ἐνβίβλῳ αὐτῶν εἰς τῆς ἐρμῆρξ Θάλασσαν.

**სა სამავე ჟ ბაჟს კარაჲრ.** გნს. 10<sub>19</sub>.

ეს ფაქტიც გვეპარაულებინებს „ისო ნავეს წიგნის“ ბერძნულზე დამოკიდებულებას.

როგორც ვხედავთ, ზემოთ მოტანილ ორივე ადგილას S, B, D ხელნაწერების „ერკთრა ზღუაჲ“ აღნიშნავს მეწამულ ზღვას, ბერძნული ტექსტის ჯამაჲ — „წითელი“ ამ ხელნაწერებში უთარგმნელად არის დატოვებული, სომხური ბიბლიის შესაბამის ადგილას კი გვაქვს — **კარაჲრ** „წითელი“. საყურადღებოა, რომ ძველი ქართული რედაქციების შეცდომა შეუსწორებლად არის გადასული ბაქარისეულ ნაბეჭდ გამოცემაში. საყურადღებოა აგრეთვე დამოუკიდებლობა, რომელსაც გელათის ბიბლია ამჟღავნებს. მხოლოდ აქ ვხვდებით შესაბამის ადგილას „მეწამულ ზღვას“. ცნობილია, რომ გელათის ბიბლია გადმოთარგმნილია ბერძნულიდან<sup>2</sup>. რასაკვირველია, გელათის ბიბლიაში **ἐρμῆρξ** უთარგმნელად არ არის დატოვებული, რადგან იგი გამოსულია ისეთი შესანიშნავი მთარგმნელების ხელიდან, როგორებიც იყვნენ გიორგი და ექვთიმე ათონელები<sup>3</sup>.

2. ამ რიგის მასალას იძლევა შემდეგი ადგილიც:

S და განიწვეის წყლად კერძოდ წყაროჲსა ლელიოჯასადა.

D და განიწვეის წყლად კერძო წყაროჲსა ჰლიოსადა.

G [წყა]ლსა ზედა მზის წყაროჲსსა.

B და განიწვეის საზღვარი წყლად კერძო წყაროჲსა მარილოვანსა. ისნ. 15<sub>7</sub>.

რა უნდა იყოს S-ის ლელიოჯასადა და D-ს ჰლიოსადა? მოვიშველიოთ ამის გასარკვევად ბერძნული და სომხური შესატყვისი ადგილები: **Καὶ ἐνβίβλῳ αὐτῶν εἰς τὸ ὑμῶν ἑρμῆρξ ἦλθον.** **სა ზაიანსჯ იარამანს ჟ ჯორ არსჯ აჟიჲრ.** ბერძნული ტექსტის მოშველიება აშკარას ხდის იმ გარემოებას, რომ ქართველ მთარგმნელს ბერძნულის ἦλθον, რაც ἦλθεν-ის ნათესაობითი ბრუნვაა და ნიშნავს „მზის“, მიუჩინეია საკუთარ სახელად და უთარგმნელად დაუტოვებია ქართულში. გელათისა და სომხურ ბიბლიებში კი სწორად არის გაგებული ბერძნული ტექსტი.

ახლა გავიხილოთ შემთხვევები, როდესაც საკუთარ სახელს ან საკუთარ სახელად გაგებულ საზოგადო სახელს შეხორცებული აქვს სათარგმნი ენის ნაწილაკები.

1. SD გამოჩნდა ტომი ოზარაჲსი.

G და ეჩუშნა ერი ზარაჲსი.

B და გამოჩნდა ტომი ზარასი. ისნ. 7<sub>17</sub>.

საინტერესოა, რომ SD-ში არის საკუთარი სახელი ოზარა, G-სა და B-ში კი ზარა. ენახოთ შესატყვისი ადგილები ბერძნულსა და სომხურში:

**Καὶ ἐνεβείχημι ἐμῶν ὁ Ζαρᾶν.** **სა ქანდიქამანხეაჲს თონს ჯარაჲსი.**

როგორც ვხედავთ, ბერძნულსა და სომხურშიც, ისევე როგორც GB-ში არის ზარა. ისმის კითხვა: საიდან გაჩნდა SD-ში ოზარა. ბერძნულ

<sup>2</sup> იხ. ე. ეკელიძე, ქართული ლიტ. ისტორია, ტ. I, 1960, გვ. 420.

<sup>3</sup> იქვე.



შესატყვის ადგილზე დაკვირვება იძლევა ოზარას ახსნის საშუალებას. აშკარა არის, რომ ქართველ მთარგმნელს ბერძნულის ართონი ὀ შეუერთებია Ζαρε: — საკუთარი სახელისათვის და მიუღია ქართულში ოზარა. მომდევნო ბუხლში კვლავ მეორდება ეს სახელი, მაგრამ ბერძნულ ტექსტში უკვე ὀ ართონის გარეშე.

S და გამოჩნდა აქარ ძე ქარმისი ძისა ზამბრისი. ძისა ზარაასი ნათესავე-საგან იუდაისისა.

G და ეჩუჷნა აქარ ზამბ[რისი] ძისა ზარაასი.

B და ეჩუენა ძე ქარმისა, ზამბრისი ძისა, ზარისი ძისა.

Καὶ ἐνεβλήθη Ἀχαρ σὺς Ζαρε: σὺς Ζαρε.

*ს. ქანჭქანსხვალ ატარ ირქი ქარისსა, ირქიქ ჳაჩრესსა, ირქიქ ჳარაქქ.* ისნ. 7<sub>18</sub>, ასევე 7<sub>34</sub>.

როგორც ვხედავთ, ამ ბუხლში ოზარა არც ერთ რედაქციაში აღარ არის, ყველგან წერია ზარა. აქაც ბერძნულ ტექსტზე დაკვირვება გასაგებს ხდის ამ გარემოებას. საქმე იმაშია, რომ ბერძნულში გარკვეული მიზეზის გამო აღარ შეიქმნა ὀ ართონი საქირო, აღარ წერია ბერძნულში ὀ Ζაρε:, ამიტომ ქართველმა მთარგმნელმა აღარ დაუშვა ის შეცდომა, რომელიც პირველ მაგალითში ბერძნულის გავლენით ჩაიდინა.

2. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს აგრეთვე ერთი შემთხვევა, როდესაც ქართული ტექსტის ბერძნულზე დამოკიდებულება ჩანს სადატურობის აღმნიშვნელი სახელის ქართულად თარგმნისას. ბერძნული Βααρι:αβ:, რაც Βααρι:α: -ის მიცემითი ბრუნვაა, ქართულის SD რედაქციებში (შეიძლება რედაქციაში, S, D რედაქციულად ერთი ჩანს) არის ბასანიტიდი ან ბასანიტი. ისმის კითხვა: საიდან გაჩნდებოდა SD-ში ბასანიტიდი ან ბასანიტი თუ არა ბერძნულიდან თარგმნის შემთხვევაში. გელათის ბიბლიაში, როგორც მოსალოდნელი იყო, სწორად არის თარგმნილი ეს სიტყვა — ბასანელი. ასევე სომხურშიც სწორად არის გადმოღებული ეს სადატურობის აღმნიშვნელი სიტყვა: բասანասიան (ისნ. 20<sub>8</sub>; 21<sub>27</sub>; 17<sub>1</sub>; 13<sub>31</sub>; 13<sub>11,30</sub>).

წარმოდგენილი მასალა, ვფიქრობთ, აშკარას ხდის ქართული ბიბლიის ისო ნავეს წიგნის SBD ხელნაწერებში წარმოდგენილი ტექსტის ბერძნულზე დამოკიდებულებას, ბერძნულიდან წარმოშობას.

(წარმოდგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ს. ყაუხჩიშვილმა)

А. А. АНШБА

## К СПОРАМ О ПРОИСХОЖДЕНИИ ПЕРВОНАЧАЛЬНОГО ЯДРА НАРТСКОГО ЭПОСА\*

Сама по себе нелегкая проблема происхождения эпоса о нартах осложняется загадочностью его интернационального характера. И в самом деле, вряд ли во всей истории мировой эпической поэзии можно найти факт бытования единого героического эпоса у народов, относящихся к трем различным языковым семьям: кавказцев (абхазо-адыги, чечено-ингуши, дагестанцы, некоторые этнические группы грузин-горцев — сваны и рачинцы), иранцев (осетины) и тюрков (балкарцы и карачаевцы). Учитывая глубокую древность эпоса и сравнительно недавнее проникновение на Кавказ тюркских народов, исследователи, естественно, никогда не ставили и не ставят вопроса о тюркском происхождении нартского эпоса. Отсюда закономерно вытекает вывод, исключающий любое третье решение: первоначальное ядро нартского эпоса может быть созданием или кавказцев или ираноязычных предков осетин. Надо прямо сказать, что попытка объявить нартский эпос творением одного из указанных выше народов, передавшим его соседям в результате долгой совместной жизни, является наиболее легким, лежащим на поверхности факта ответом на его загадочную интернациональность. Нельзя, конечно, категорически отрицать заимствование в области героического эпоса одним народом у другого отдельных сюжетов, образов, мотивов и эпизодов, но также совершенно неправильно было бы утверждать, что общее в нартском эпосе — результат только заимствования. Интернационализм эпоса хорошо объясняет теория кавказского происхождения нартских сказаний. Что касается специфического характера осетинских сказаний, то она объясняется вкладом ираноязычных народов в их формирование. Объявить же эпос созданием только предков осетин — это значит отлучить от него все остальные кавказские народы, у которых он издавна является частью их духовной культуры. Это — во-первых. Во-вторых, в таком случае надо было бы признать создание этого эпоса где-то за пределами Кавказа и его дальнейшее импортирование, что маловероятно. Опять-таки за пределами Кавказа нартский эпос не существует и не известно, существовал ли когда-либо в прошлом. Кроме того, если признать, что предки осетин пришли на Кавказ с готовым эпосом (или ядром эпоса), то его создание никак нельзя датировать приходом скифо-сармато-алан, т. е. VII—VI вв. до н. э.

В третьих (и это — главное), историки отрицают существование у кочевых народов (у скифов в том числе) матриархата. Отсюда становится ясной тенденция, обнаруживающаяся только в нартском эпосе осетин: неизвестно всеильную безмужнюю мать нартвов до роли простой

\* В порядке обсуждения (ред.).

хозяйки и супруги Урызмага, а также явное преобладание героев патриархального общества.

В общем-то понятно стремление хоть как-то объяснить общее, интернациональное в эпосе еще на начальной стадии его изучения. Но уже и тогда академик В. Ф. Миллер, большой знаток эпоса вообще и нартовского, в частности, предостерегал от поспешных выводов «... в настоящее время, когда только что начинают обнаруживать народные эпические сказания кавказских горцев, еще рано ставить вопрос, у которого из этих народов они возникли впервые и в какое время распространились среди других народов. Можно только констатировать факт, что большая часть, например, известна кабардинцам и чеченцам и что, за немногими исключениями, имена осетинских нартов носят не осетинский, а кабардинский или иностранный характер»<sup>1</sup>.

Даже Дюмезиль, еще и сегодня придерживающийся иранской ориентации генезиса нартовского эпоса, отмечал неосетинскую особенность, наблюдаемую в нем: «Прежде всего, в отличие от Батрадза, в общем герое специфическом для Осетии, Сосрыко пользуется славой по всему Северному Кавказу. В частности, он — основной герой кабардинцев, даже в большей степени, чем у осетин. Само его имя с окончанием на *оу* (куа. — А. А.) говорит либо о его происхождении, либо о влиянии кабардинского языка»<sup>2</sup>.

Образцом правильной методологии изучения эпоса, доказательности основных выводов и до сих пор может служить ранняя работа В. И. Абаева «О собственных именах нартовского эпоса»<sup>3</sup>.

Во-первых, он отбрасывает крайне рискованные этимологии осетинских имен — не лингвистов М. Туганова, А. Кубалова, М. Рклицкого и Б. Алборова. Во-вторых, даже из самых верных этимологий имен эпоса он не делает далеко идущих выводов о происхождении эпоса: «Отнесение того или иного нартовского имени к тому или иному языковому и культурному миру, не решая отнюдь вопроса о происхождении данного сюжета или повествования, позволяет однако делать известные выводы относительно того, какие языковые и культурные среды участвовали хотя бы во внешнем оформлении этого сюжета или повествования»<sup>4</sup>.

При этом он делит имена нартов на две части: на известные всем или почти всем национальным вариантам эпоса и присущие исключительно осетинским его вариантам.

На основании анализа первых, т. е. общих для всех версий эпоса имен, он приходит к выводу, с которым трудно не согласиться: «Мы находим здесь лишь одно иранское имя, *Wuzyzmag*, но и оно не может быть отнесено, по видимому, к исконному иранскому фонду осетинского языка, а усвоено скорее через армяно-албанское посредство. Такие имена, как *Хатус*, *Batradz*, *Bedrenæg*, *Asapæz* следует рассматривать под углом зрения монголо-турецких влияний, учитывая в то же время, что они несут следы весьма давнего бытования на осетинской почве. Таким же давнишним достоянием алао-осетинского мира можно считать имена *Safana* и *Soslan*, хотя о происхождении их нельзя сказать ничего

1 В. Ф. Миллер, Кавказско-русские параллели. «Экскурсы в область русского народного эпоса», т. I—VIII, М., 1892, стр. 8.

2 Г. Дюмезиль, Легенды о нартах, Париж, 1930, стр. 190 (на франц. яз.).

3 В. И. Абаев, О собственных именах нартовского эпоса, Сб. «Язык и мышление», V, изд. АН СССР, М.—Л., 1935, стр. 63—78.

4 В. И. Абаев, Указ. соч., стр. 65.

определенного, кроме того, что они не могут быть отнесены к иранскому слою осетинского языка.

Наконец, имена *Sozrugdo* и *Scwaj* вызывают в первую голову кабардино-черкесские реминисценции<sup>5</sup>. Впоследствии же В. И. Абаев, касаясь зарождения первоначального ядра нартского эпоса, вновь и вновь обращается именно к этимологии имен героев и термина «нарт», считая, по-видимому, выводы по этому вопросу наиболее важными при решении проблемы национальной принадлежности эпоса. В 1945 году вышла монография В. И. Абаева «Нартковский эпос», где творцом его объявляются предки осетин-аланы, у которых эпос впоследствии якобы заимствовали все остальные кавказские народы. Вскоре после выхода этой работы с резкой критикой абаевской теории иранского происхождения эпоса выступили В. К. Гарданов, В. И. Чичеров и другие. Не все в их критике может быть принято сегодня, но многие из сделанных ими Абаеву упреков не потеряли своего значения. Например, В. К. Гарданов справедливо отмечает, что В. И. Абаев, вместо того, чтобы заняться углубленным сравнительным изучением нартского эпоса у всех народов Кавказа, носителей эпоса, ищет сюжетные параллели и образные ассоциации эпоса в фольклоре римлян, греков, ирландцев, иранцев, монголов и др. Кроме того, из всех, живущих на Кавказе народов, почему-то только осетин считает Абаев народом эпическим. Вряд ли правильно и то, что на основании этимологии двух-трех имен эпоса на почве монгольского языка монгольское влияние объявляется решающим в его создании и т. п.

Против теории Абаева о заимствовании у осетин нартского эпоса другими кавказскими народами выступили известный фольклорист проф. В. И. Чичеров<sup>6</sup>. Он писал: «В процессе развития культурно-исторических связей народов известны творческие восприятия одним народом у другого отдельных произведений; известны также факты развития и переработки того или другого поэтического образа. Но неизвестно внедрение эпоса во всем объеме в искусство и культуру народа, которому этот эпос был чужд»<sup>7</sup>.

В силу этих обстоятельств, надо полагать, В. И. Абаев вплотную приступает к сравнительному изучению языка, материальной и духовной культуры как осетин, так и др. кавказских народов, в том числе и абхазов. В результате этой работы он приходит к выводу о двуприродном (кавказском и иранском) характере осетинского языка. Такую же двуприродность он обнаруживает и в фольклоре, и в этнографии, и вообще во всей материальной и духовной культуре осетин. В итоге родилась его концепция о кавказском субстрате: «Общность природных условий, хозяйственного уклада, социальной структуры, обычаев и верований придавали особую интимность культурным и языковым схождениям между всеми народами Центрального и Западного Кавказа, к какой бы группе они не относились по лингвистической классификации — кавказской, иранской или тюркской»<sup>8</sup>.

Во время своей поездки по Абхазии Абаев лично убедился в степени распространенности там нартского эпоса. После доклада об абхазских нартских сказаниях проф. Ш. Д. Иналипа на I-й Всесоюзной нарт-

<sup>5</sup> В. И. Абаев, Указ. соч., стр. 73.

<sup>6</sup> В. И. Чичеров, Некоторые вопросы теории эпоса и исследования нартских сказаний осетин. Изв. АН СССР, ОЛЯ, 1952, т. XI, в. V.

<sup>7</sup> Там же, стр. 402.

<sup>8</sup> В. И. Абаев, Осетинский язык и фольклор, М.—Л., 1949, стр. 271.

ской конференции в Орджоникидзе в 1956 году<sup>9</sup>, проф. В. И. Абаев там же отмечал два центра формирования эпоса: осетинский и адыгский. К последним, по его словам, примыкают и абхазские сказания<sup>10</sup>.

В силу определенных обстоятельств нартские сказания абхазов очень поздно стали достоянием научной общечеловечности. После издания первого сводного текста абхазского эпоса о нартах<sup>11</sup>, через год в Сухуми была созвана II Всесоюзная конференция нартоведов. На этой конференции В. И. Абаев, как и другие ее участники, признал Абхазию третьим центром формирования эпоса. Казалось бы, с теорией пикавказского происхождения нартского эпоса покончено навсегда. Однако не прошло и двух лет, как В. И. Абаев, Ю. С. Гаглойти и др. осетинские ученые вернулись к старой концепции иранского происхождения эпоса о нартах. Однако, справедливости ради надо отметить, что В. И. Абаев, в отличие от других ученых Осетии, не умаляет роли и значения кавказского элемента в формировании нартского эпоса. Но он попрежнему считает, что ядро эпоса создали иранские народы. Одна из глав его новой работы<sup>12</sup> носит весьма характерное название «Существовал ли скифский эпос?» Под скифским эпосом он подразумевает нартский. Он тут опять повторяет уже известные со времен В. Миллера и Дюмезиля скифо-сармато-нартские параллели и приходит к выводу, что истоки эпоса надо искать в «скифо-сармато-массагетском мире»<sup>13</sup>. Весьма недвусмысленны выводы указанной главы книги: «Эти и другие факты и сопоставления (имеются в виду скифо-сармато-нартские параллели. — А. А.) позволяют утверждать, что эпические образы и традиции, зарождавшиеся и бытовавшие на скифской почве, питали народно-эпическую поэзию не только в скифском, но и во всем иранском мире, а также проникли к соседствующим со скифскими и сарматскими племенами народам Кавказа»<sup>14</sup>.

Далее он приводит свои давние параллели сюжетов и образов нартского эпоса с легендами римлян и ирландскими и скандинавскими сагами. При этом, он вопреки фактам даже осетинского эпоса, говорит, что Сослан только в некоторых вариантах называется Sozrygo<sup>15</sup>. Спор о первоначальной форме имени центрального героя нартского эпоса народов Кавказа нельзя считать до сих пор окончательно разрешенным<sup>16</sup>. Одно несомненно ясно: справедлив упрек А. Гадагатля, где последний утверждает, что в послереволюционных публикациях осетинского нартского эпоса имя Созрыко постепенно заменено именем Сослана. Это факт, вполне поддающийся проверке, и каждый может проверить правоту того или иного утверждения сравнением дореволюционных и пос-

<sup>9</sup> Ш. Д. И н а л и п а. Нартский эпос абхазов, Сб. «Нартский эпос», Орджоникидзе, 1957, стр. 91—109.

<sup>10</sup> В. И. Абаев, Там же, стр. 34.

<sup>11</sup> «Приключения нарта Сасрыквы и его 99 братьев», М., 1962; «Нарт Сасрыква и 99 его братьев». Сухуми, 1962 (на абх. яз.).

<sup>12</sup> В. И. Абаев. Скифо-европейские изоглоссы, М., 1965.

<sup>13</sup> Там же, стр. 84.

<sup>14</sup> Там же, стр. 86.

<sup>15</sup> Там же, стр. 98.

<sup>16</sup> См. В. И. Абаев, Проблемы нартского эпоса. Сб. «Нартский эпос», Орджоникидзе, 1957, стр. 35—36; М. А. Кумахов, О соотношении Сосрыко и Сослана, «Уч. зап. Адыг НИИ», т. V, Языкознание, Краснодар-Майкоп, 1966, стр. 63; А. А. Аишба, Об именах Сосрыко и Сослан, Сборник научных работ аспирантов, Сухуми, 1967, стр. 111—118.

революционных публикаций нартского эпоса осетин. В чем причина замены имени Созрыко именем Сослана в послереволюционных изданиях осетинского эпоса? Еще Дюмезиль считал их двойниками, исходя из тождества той функции, которую они выполняют в эпосе. Убедительных этимологий этих имен еще нет, но не вызывает сомнения адыгское (а, следовательно, и абхазское) оформление имени Созрыко. Хотя Сослана В. И. Абаев считает не иранским, не осетинским<sup>17</sup>, но все-таки объясняет Созрыко кабардинизованной формой имени Сослана. Отсюда понятно стремление (В. И. Абаева, Ю. С. Гаглойти и др.) оправдать замену этого имени, игнорируя мнение адыгских и абхазских ученых.

Теперь перейдем к статье В. И. Абаева<sup>18</sup>, где перед ним стояла задача объективно и беспристрастно охарактеризовать нартский эпос всех кавказских народов. Что же мы видим на самом деле? Фактически В. И. Абаев в своей статье дал характеристику осетинского нартского эпоса. Если судить по выводам статьи и научной литературе, указанной в конце ее, Абаев считает важными при изучении эпоса только работы, посвященные, в основном, исследованию осетинской его версии и говорящие об иранском его происхождении (работы В. Миллера, Ж. Дюмезиля и его собственные). Совершенно игнорируются не только отдельные статьи, но и целые монографии, написанные учеными Адыгем, Кабарды, Абхазии и др. республик Кавказа (работы Ш. Д. Инал-ипа, Х. С. Бражба, И. В. Трескова, Ш. Х. Салакая, А. Шортанова, А. Гадагатля и др.). Из статьи непосвященный не может узнать, что является общим или специфическим в нартском эпосе адыгов, абхазов, осетин и др. кавказских народов в разработке сюжетов и образов, мотивов и эпизодов, в стилистике и поэтике. *Только специалист может догадаться, что та или иная характеристика относится к абхазской, адыгской или осетинской версии эпоса.* Например, Абаев пишет: «В наиболее архаичных вариантах Сатана выступает как мать народа, наставница главных героев, мудрая советчица, могущественная чародейка. Образ Сатаны возник, несомненно, в матриархальном обществе»<sup>19</sup>. Известно, что наиболее архаичные черты сохранились в нартском эпосе абхазов, что только в их эпосе Сатана (Сатаней Гуашья) выступает как мать народа, а в осетинской и даже адыгской версии ее роль ограничена мужским советом, куда ее даже не допускают. Далее он говорит, что в древнейших циклах эпоса, нарты добывают огонь у великанов. Опять таки мотива добывания (или похищения) огня у великана в осетинской версии эпоса нет. Он характерен только для адыго-абхазской версии.

Хотя и общепризнана архаичность абхазской и адыгской версии эпоса, при решении генетических вопросов В. И. Абаев исходит только из осетинского. Бесспорно важным при решении генезиса эпоса он считает следующее: Во-первых, хотя не установлена этимология термина «нарт», его осетинское оформление якобы доказывает осетинский показатель множественности «т». Во-вторых, он считает доказанными скифо-сармато-алано-нартские параллели. Но эти параллели в лучшем случае могут говорить о вкладе осетин в формирование нартского эпоса (ведь они не затрагивают древнейших сюжетов эпоса о Сатане и Сасыркве). В-третьих, Абаев считает бесспорными этимологии таких имен эпоса,

<sup>17</sup> В. И. Абаев, Нартовский эпос, Изв. СОНИИ, т. X, в. I, Дзауджикау, 1945, стр. 28.

<sup>18</sup> В. И. Абаев, Нартский (нартовский) эпос. Краткая литературная энциклопедия, т. V, М., 1968, стр. 120—122.

<sup>19</sup> В. И. Абаев, Указ. соч., стр. 120.

как Уархаг, Хсар, Хсартаг, Ацырухе, чаша Уацамонга, которые характерны только для Осетии, локальны, не общекавказски, не древни. Поэтому они также не могут служить доказательством древности ядра эпоса. В-четвертых, то, что имена Сатаны и Сослана встречаются в средневековых хрониках, имеет ли это отношение к генезису эпоса? Тем более, к этой проблеме не имеет отношения монгольская этимология имени Батрадаза и Хамыца.

Дело даже не в том, что В. И. Абаев игнорирует самые архаические сюжеты и образы (особенно, из адыго-абхазской версии) при определении генезиса эпоса, дело в конечном выводе, который никак не мог вытекать из тех фактов и сопоставлений, которые дает выше Абаев. «Все это, — пишет он, — не оставляет сомнения, что ядром эпоса послужил древний алаиский эпический цикл, восходящий к скифской эпохе 7—4 вв. до н. э.»<sup>20</sup>.

О степени распространенности эпоса у различных народов Кавказа В. И. Абаев пишет: «Особенно богато представлен у осетин и адыгских народов: кабардинцев, черкесов, адыгейцев, убыхов. Известен также абхазам, балкарцам, карачаевцам, ингушам и чеченцам»<sup>21</sup>.

Из опубликованного материала известно, что нартский эпос абхазов не уступает ни осетинскому, ни адыгскому, ни какому-либо другому по богатству сюжетов и образов, но превосходит их по своей архаичности. Кроме того, известно (по опубликованному и архивному материалу) что нартский эпос чеченцев скорее может быть назван антинартским. т. к. нарты там выступают в роли эпических врагов. Убыхи же настолько адыгское племя, насколько и абхазское. Во всяком случае, если учитывать, что эпос создавался в такой глубокой древности, когда все адыго-абхазские племена составляли единое целое, то богатство адыгского эпоса — это одновременно является богатством этнически родственных им абхазов.

К части Абаева надо сказать, что для доказательства происхождения эпоса он привлекает не только данные языка, но и смежных наук: археологии, этнографии, письменных источников и т. д. Этимологические же разыскания не являются для него единственным материалом при определении времени и места сложения эпоса. Этого нельзя сказать о многих других ученых. В 1965 г. появилась статья историка Ю. С. Гаглойти<sup>22</sup>, где полностью игнорируется роль кавказского элемента в создании нартского эпоса. Гаглойти посвятил почти всю свою статью опровержению этимологических разысканий адыгского фольклориста А. Гадагатля, высказанных им в различных работах. Об уровне их спора можно судить по такому факту. В нартском эпосе осетин и адыгов встречается термин *ныхас* (адыг. *хаса*), означающий мужское собрание, совет мужчин. Один считает это слово адыгским (А. Гадагатль), а другой — осетинским (Ю. Гаглойти), совершенно исключая возможность заимствования. А между тем не исключена возможность проникновения этого слова на Кавказ из арабо-тюркского языкового мира, где это слово *ныхас* и звучит и означает одно и то же — рынок, сборище<sup>23</sup>. Так как спор ведут не специалисты, то и достоинство их этимологии

<sup>20</sup> В. И. Абаев, Указ. соч., стр. 121.

<sup>21</sup> Там же, стр. 120.

<sup>22</sup> Ю. С. Гаглойти, К изучению терминологии нартского эпоса, Изв. ЮОНИИ АН ГССР, в. XIV, Цхинвали, 1965.

<sup>23</sup> П. Х. Ауitleв, Об одном «новом направлении» в лтерведении, Изв. СОНИИ, т. XXVI (литература), Орджоникидзе, 1966, стр. 212.

весьма сомнительно. Но дело тут не только в этом. К сожалению, и Гаглойти и Гадагатль обращаются к таким терминам и именам, расшифровка которых сама по себе может оказаться интересной, но не имеют существенного значения для разрешения сложного вопроса генезиса эпоса. Они не могут объяснить, почему они обращаются к расшифровке того или иного термина или имени. А без этого невозможно судить о возрасте слова или термина. Мне кажется, сперва надо дать идейно-тематический и художественный анализ данного сюжета, выяснить его древность, его распространенность. Затем выяснить роль того термина или образа, с которым связано имя в сюжете. Эти элементарные для исследователя требования не всегда выполняются названными учеными. Роль ныхаса в эпосе — в усилении его патриархального начала. И выяснение этого важнее этимологии. И вообще для фольклориста данные языка должны быть дополнительными материалами к основным его доказательствам. А Гадагатль полностью отвергает роль предков осетин в сложении эпоса, что вряд ли правомерно. Но удивительно, что он отлучает от эпоса и этнически родственные адыгам абхазов, что уже никак невозможно. Учитывая древность ядра эпоса (чего не отрицает и Гадагатль), вряд ли можно полагать, что эпос создавался после разделения некогда единого абхазо-адыгского этнического массива? Тут мы вплотную приблизились к проблеме этногенеза народов, носителей эпоса. Без решения этногенетических проблем сегодня уже невозможно объяснить и генезис эпоса и проблему его национальной принадлежности. Антропологические, археологические, языковые, этнографические данные в один голос говорят о кавказском происхождении не только адыгов, абхазов, чеченов и ингушей, но и тюркоязычных карачаевцев и балкарцев, а также ираноязычных осетин. Самой сложной и спорной пока остается проблема этногенеза осетин. Ей была посвящена специальная сессия<sup>24</sup>. На сессии собрались крупнейшие знатоки языка, археологии, этнографии, антропологии Осетии. В целом, сессия подтвердила тезис о двух компонентах в сложении осетинской нации — кавказском и иранском. Анализируя языковые данные, В. И. Абаев отметил большую роль кавказского субстрата в языке осетин, отложившего ощутимый след в его фонетике, лексике и морфологии. Но иранский элемент Абаев считает решающим в сложении осетинской нации.

Вывод же археологов (Е. И. Крупинов, В. Б. Вишиградов, Е. П. Алексеева, М. П. Абрамова и др.) прямо противоречит абаевскому тезису: решающее место в этногенезе осетин они отводят местной кавказской общественной среде. Им вторят антропологи (В. П. Алексеев, М. Абдушелишвили и др.), доказывая доминирующую роль кавказской среды в сложении осетинского этноса, считая язык явленным вторичным. В. П. Алексеев пишет: «физические предки осетин до появления алап, пришедших иранскую речь, говорили на одном из кавказских языков»<sup>25</sup>.

Эти данные опровергают теорию некавказского происхождения нартского эпоса. Проф. Е. И. Крупинов в статье «Изучение нартского эпоса и археология»<sup>26</sup>, пишет, что наличие у осетин нартского эпоса для него служит одним из доказательств их «сугубо местного, а не пришлого происхождения»<sup>27</sup>.

24 См. сб. «Происхождение осетинского народа», Орджоникидзе, 1957.

25 Там же, стр. 324.

26 Е. И. Крупинов, Изучение нартского эпоса и археология, Изв. ЧИНИИ, т. VII, в. I, Грозный, 1966, стр. 29—41.

27 Там же, стр. 34.



Имеется в виду при этом, что кавказская теория происхождения нартского эпоса отнюдь не отрицает существенного вклада ираноязычных предков осетин в его дальнейшем развитии. Молодой абхазский ученый Ш. Х. Салакая пишет об этом так: «В сравнительно-поздние времена могло иметь, по-видимому, и действительно имело место значительное влияние сармато-алано-осетинской этнической среды на материальный и особенно духовный быт абхазо-адыгских племен. Влияние это нашло отражение и в отдельных нартских циклах позднего образования, как, например, в цикле о Батрадзе (Батразе, Патразе), который особенно популярен у осетин, хорошо известен, но менее значителен в адыгском эпосе и еще меньше известен в абхазском»<sup>28</sup>.

На основании вышесказанного можно сформулировать следующие выводы: а) Учитывая древность циклов Сатаны (Сатаней Гуаша) и Сосрыко (Сасрыква), неправильно искать генезис эпоса не только в аланской, но и в скифо-сарматской среде; 2) Лингвистические толкования имен эпоса и термина нарт, интересные сами по себе, во-первых, не могут и сегодня считаться бесспорными, во-вторых, их значение проблематично, преувеличено при решении сложного вопроса генезиса первоначального ядра нартского эпоса.

В заключении хотелось бы пожелать исследователям нартского эпоса в дальнейшей работе больше внимания уделять сравнительно-историческому изучению центральных образов и основных сюжетов самого эпоса. Это не значит, что надо отказаться от далеких типологических сопоставлений. Это означает только то, что проблемы нартского эпоса надо вначале решить в рамках Кавказа, выяснить общее и специфическое в эпосе абхазо-адыгов и осетин, чечено-ингушей и дагестанцев.

<sup>28</sup> Ш. Х. Салакая. Абхазский народный героический эпос, Тбилиси, 1966, стр. 89.

(Представил Абхазский институт языка,  
литературы и истории им. Д. Н. Гулия)

იოსებ მებრელიძე

ლიახვის ხეობის წარწერები და სხვა სიძველენი

XIII

(თიღვა-ყორნისი-რუსთავი-ქეხვი)

წინამდებარე მთლიანი ნაშრომის XI ნაკვეთი<sup>1</sup> სოფელი ქურთის აღწერით დამთავრდა. ქურთის მოსაზღვრე სოფელი ამავე ხეობაში ჩრდილოეთით არის ქეხვი, მაგრამ მისგან დასავლეთით მდებარეობს ძარის სასოფლო საბჭო, რომელშიც შედის სოფელი რუსთავი. ამ ტოპონიმისადმი რუსთველოლოგიური ინტერესის გამოც ლიახვის ხეობიდან ფრონის ხეობისაკენ ეუხევეთ და რუსთავის მეზობელ სოფელ ყორნისსა და თიღვაზეც შევჩერდებით.

თიღვა

სოფელი თიღვის ტაძარი ს. რუსთავის უახლოეს სიძველეთა შორის ერთი უმნიშვნელოვანესთაგანია. იგი ცხინვალიდან 30 კმ-ზე მდებარეობს ფრონის ხეობაში.

წიგნი — „საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა“ გვიჩვენებს, რომ თიღვა შედის არა ცხინვალის, არამედ მისი მეზობელი ზნაურის (ადრინდელი ტყისუბანი?) რაიონში. ამავე წიგნის 1949 წლის გამოცემით, ზნაურის სასოფლო საბჭოს სოფლებია: ზნაური, ალიბარი, ახალსოფელი, მულრისი, ნაბაკევი, ნელლათი, სამწყარო, თიღვა, ხუნდისუბანი, შინდარა და იკოთი. მათ 1960 წლის ასეთსავე წიგნში ემატებათ საჯვარე, ოქონა, ბადაანი, იონჩა, ოსაკაკე, სუნისი, სხლითი და ხალეზაანი.

თიღვის ახლანდელი ოსი მოსახლეობის წინაპრები აქ ლიახვის ხეობის სათავეებიდან ჩამოსახლებულან უმთავრესად მეცხარამეტე საუკუნის 70 — 80-იან წლებში. უფრო ადრე კი, მაგ., 1815 წელს, აქ ორი ოსი — ოთია და ლაზარე იხსენიება.

იმდროინდელ აქაურ ქართველ კომლთა გვარებია: ბურნაძე, წერეთელი, კობაძე, ძამუკაშვილი, ბეჟიტაშვილი, გოდერძიშვილი, ბეგიაშვილი, სეხნიაშვილი, მუმლაძე, ხიხაძე, ჩარეჭიშვილი, კილაძე, ჩუბინიძე და სხვა<sup>2</sup>.

1865 წელს თიღვაში 31 კომლი ცხოვრობდა<sup>3</sup>.

<sup>1</sup> პირველ-მეთერთმეტე ნაკვეთთა ბიბლიოგრაფია იხ. „მაცნე“, 1969, № 6, გვ. 131—132, XI ნაკვეთი იხ. კრებ. „წყაროთმცოდნეობა“, III, 1971.

<sup>2</sup> ე. თ ა ე ა შ ვ ი ლ ი, არქეოლოგიური მოგზაურობანი, I, თბ., 1907, გვ. 150—151.

<sup>3</sup> Документы по истории Грузии, под ред. Ш. Чхетия, 1954, гв. 773.

ამ სოფელში მდებარეობს მიძინების სახელობის დიდი და ლამაზი გუმბათიანი ეკლესია (წინათ — მონასტერი). იგი თლილი ქვითაა ნაგები და 1152 წლით თარიღდება<sup>4</sup>. მის შესახებ ვახუშტი ბაგრატიონი წერს: „თიღვას ჭვარის მონასტერი აღაშენა ასულმან აღმაშენებელისამან თამარ<sup>5</sup>. ეს თამარი შარვან-შას — აღსართანის (ახსართანის, გიორგი მესამის დისწულის) თანამეცხედრეა<sup>6</sup>“.

არსებობს ლ. რჩეულიშვილის მონოგრაფია — „თიღვა. შარვანის დედოფლის თამარის აღმშენებლობა...“ (თბ., 1960). ამიტომ ამ ტაძარზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ აღბანეთი არაბების მიერ VIII ს. დარბევის შემდეგ შარვანად (შირვანად, შემდეგ — აზერბაიჯანი) და დაღესტნად გაიყო. შარვან-შას აღსართანის გარდაცვალების შემდეგ დაქვრივებული დედოფალი თამარი ქართლში დაბრუნდა, აღაშენა თიღვა, მასშივე აღიკვეცა მონაზნად და „ქრონიკონსა სამას სამოცდა თხუთმეტსა“ (375+780) = 1155 წ. გარდაიცვალა<sup>7</sup>. იგი თიღვაშივე უნდა იყოს დაკრძალული.

თიღვის მონასტრის ჩრდილოეთი ფასადის სარკმელთან არსებობს ძველქართული (ლაპიდარული) ასოებით შესრულებული წარწერა. მისი სხვადასხვაგვარი წაკითხვაა ცნობილი. უფრო ზუსტი ჩანს ა. შანიძის წაკითხვა. იგი მხედრულ ასოებზე გადმოტანით აგრე იკითხება:

„ქმნილე ბამან რაჲ აქჲსა სოფლისამან  
სხკსაჲ მიიღოს დაწყება ყოფადისაჲ  
მოქმედებისა შენ ზედა ჭვარსცუმულისა  
ქრისტჱს ღმრთისაჲთა, რომლის მიმართ უამსა  
მას შემწე მექმენ მსახურსა შენსა თამარსა“<sup>8</sup>.

ეს წარწერა 1953 წელს გადმოეწერეთ, მ. ბროსეს გამოცემაში არშესული სტრიქონებით შევავსეთ და ტაძრის ირგვლივ სხვა ნაგებობათა ბალაგრების ნაშთებიც აღვუხსეთ. უკანასკნელთა შესახებ ვახუშტი ბაგრატიონი ამბობს: თიღვის მონასტრის გარემოს არიანო „შენობანი მრავალნი, და აწ ხუცის ამარა“ (გეოგრაფია, გვ. 80).

მონასტერს ვალავანი ჰქონია და ნაგებობანიც — შიგა და გარეთაც. მაგ., ჩრდილოეთის მხრივ მონაზონთა საცხოვრებელი და სხვა სახლებიც არსებულა (შდრ. ლ. რჩეულიშვილი). ასე რომ, აქა არა ერთი ძეგლი, არამედ არქიტექტურული ანსამბლი ყოფილა წარმოდგენილი.

აქვე უზარმაზარი ქვევრები (ასევე ყორნისსა და რუსთავეშიც) ჩანან. „თიღვის მცხოვრებნი გადმოგვეცემენ, — წერს ლ. რჩეულიშვილი, — აქ ძვე-

<sup>4</sup> საქართველოს სსრ კულტურის ძეგლები, თბ., 1959, გვ. 145.

<sup>5</sup> ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა (ქვემოთ გეოგრაფიად ვსახელებთ. — ი. მ.) თბ., 1941, გვ. 80.

მარი ბროსე ამ თამარს ერთგან დავით აღმაშენებლის შვილიშვილად (დემეტრეს ასულად) ასახელებს იხ. მისი Histoire de la géorgie, II, 1956, Addition—IX, გვ. 623—624. მეორეაწი კი „Rapports sur un voyage archéologique“—პი (ნაწ. VI, გვ. 105)—დავითის ასულად.

<sup>6</sup> ქართლის ცხოვრება, მ. ბროსეს გამოცემა, ტ. I, ნაკვ. II (პეტერბურგი, 1860), გვ. 290; ს. ყაუხჩიშვილის გამოც. (თბ., 1955), გვ. 334, 366.

<sup>7</sup> ქართლის ცხოვრება. I, 1955, გვ. 366.

<sup>8</sup> ლ. რჩეულიშვილი. თიღვა... გვ. 38.

ლად მარანი ყოფილა, მრავალი ქვევრით. მათივე ცნობით, სწორედ ამავე მხარეს ზეთის სახდელი ქვაც დებულა; უკანასკნელი უვაროვასაც უნახავს“ (ციტ. თიღვა..., გვ. 9).

ამ ქვის შესახებ ჩვენც გვიამბეს 1953 წელს, მაგრამ ვერ გვიჩვენეს. მოხუცთა აღწერით, ის ისეთივე დოლაბისებრი ფორმის დიდი ქვა ჩანს, როგორც დგას მანგლისის ტაძრის ეზოში. პირველსაც საბრუნავი კეტის ისეთი ჩასადები და დოლაბისქვეშა ორეული ჰქონია, როგორც მანგლისის ზეთის სახდელს აქვს. ცხადია, თიღვაში კაკლისა და თხილის გარდა, ზეთოვანი სხვა კულტურაც ექნებოდათ, თორემ ზეთის დიდი სახდელი არ დასპირებოდათ.

#### უორნისი

ზნაურის რაიონშივე თიღვის ჩრდილოეთი მეზობელი სოფელი უორნისი გაშენებულია ტილიანის წყალზე. მას ზოგი დოდოთის<sup>9</sup> (შენაკადის) წყალს უწოდებს, ხოლო ვახუშტი ბაგრატიონი — უორნისის წყალს.

ვახუშტი ასახელებს ამ უორნისს და განმარტავს: ნულის ციხეს ზევით, ნულის ხევს „მოურთვის აღმოსავლეთიდან უორნისის ხევი, ვამოდის ძარის მთას. უორნისს არს ქვაბნი კლდისანი და კოშკოვანი, გარნა შემუსრეს ლეკთა“ (გეოგრაფია, გვ. 79). ახლა ეს ქვაბნი (მღვიმეები) აღარ ჩანან, კოშკთაგანაც ბევრი უკვე დანგრეულია. ზოგიერთის მაღალი კედელი ისე დგას, რომ ლამის ჩამოწვეს.

1925 წლის ცნობით, უორნისში არსებობს მარინეს თუ კვირაცხოვლის ეკლესია, სამების საყდარი, რვა კოშკი (1953 წ. 6 დგას. — ი. მ.), ე. წ. გვერდას ეკლესია და „ურისის საყდარი“<sup>10</sup>. სახელმწიფო დაცვაზე აყვანილ „საქართველოს სსრ კულტურის ძეგლების“ წიგნში (თბ., 1959) ეს სიძველეები აღარ იხსენიება...

6. VIII. 1953 წ. სოფელში ჭერ კიდევ იდგა ეკლესია, რომლის დასავლეთი კარის თავის დიდ ქვაზე მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის მოკვეცილი წარწერა იკითხებოდა:

„ესე ეკლესია აღაშენა  
რუსი იმპერატორი...“

იქვე დიდი (უკვე გაბზარული) რუსული ხელობის ზარი ჰკიდია.

თავისი სიდიდითა და სიმაღლით გამოირჩევა სოფლის სასაფლაოს დასავლეთით მდებარე შეიღსართულიანი კოშკის ნანგრევი. მის გვერდით სამსართულიანი კოშკიც დგას.

კოშკთა სიმრავლით ეს სოფელი მესტიას, გინდ შატილს მოგვაგონებს. უორნისის კოშკებიც რომ არა მხოლოდ თავდაცვითი, არამედ საცხოვრებელიც იყო, ამას მოწმობს აქაური შეიღსართულიანი კოშკი, რომელსაც, ფართო

<sup>9</sup> იბ. საქართველოს 5-ვერსიანი რუკა ანდა Д. Д. Пагирев, Алфавитный указатель к пятиверстной карте..., თბ., 1913, გვ. 243.

<sup>10</sup> საქართველოს სიძველეთა დაცვის ბიულეტენი, 1925, № 2, გვ. 24.

კარის გარდა, აივნები, ბუხრები, წყალსადენი და საკვირო სხვა ადგილებიც აქვს<sup>11</sup>.

ყორნისელი მოხუცი ოსები, ციხე-კოშკებს გარდა, ხერხაულიძისად ასახელებენ სოფლის აღმოსავლეთით ხევის პირას მდებარე სასახლის ნანგრევს და შენიშნავენ: აქ ისეთი დიდი ქვევრები იყო, რომ ერთ-ერთ მათგანში ხარი ჩაეარდა, ვერ ამოიყვანეს, შიგვე ჩაჰკლეს და ნაქერ-ნაქერ ამოიღესო. იქვე ხის უზარმაზარი საწნახელიც იდგაო.

ყორნისელი იაგორ ფირუზის ძე ხოსიევი (1953 წელს 76 წლისაა) და შოთა გაგიევი ამბობენ: ამ სოფლის შვილები ყორნებივით დაუნდობელი იყვნენ ბრძოლებში და ამიტომ სოფელს ყორნისი უწოდესო.

ეს, რა თქმა უნდა, ხალხური ეტიმოლოგიაა. მეგრძოლთა ყორნებთან შედარების გარეშეც, ჩრდილოეთისა და დასავლეთის მხარეებიდან მაღალი ტყიანი მთებიდან ყორნების ჰაერში ფრენაც შეიძლებოდა გამხდარიყო ამ სახელის საბაბი. მით უფრო, რომ ყორნისის მახლობლად არსებობს სოფ. ვორბისი (ორბისი), რომლის ძირიც სიტყვა ორბია (პირველს შდრ. საყორნია — გორა საჯევახო-ჩოხატაურს შორის, საყორნია — მთა ბახმაროსთან და სახელ ყორნიდან ნაწარმოები სხვადასხვა ტოპონიმი საქართველოში)<sup>12</sup>.

1865 წელს ყორნისი სურამის უბანს ეკუთვნოდა. მაშინ ამ სოფელში 73 კომლი სახელმწიფო და დროებითვალდებული გლეხი ცხოვრობდა. ყორნისის თემის სოფლებად იხსენიება: ხტანა (14 კომლი), რუსთავი (19 კომლი) და ვორბისი (22 კომლი).

ზემოთ თიღვაზე ითქვა, რომ მას ტყისუბანი ეწოდებოდა ძველადო. საფიქრებელია, რომ ეს სახელწოდება ყორნისსაც შეიცავდა, რადგან 1815 წლის სათანადო გლეხთა სიებში ყორნისი არ წერია, ხოლო თიღვის შემდეგ ოქონასთან ერთად ტყისუბანი იხსენიება და მათში ცხოვრობენ ქართველები: გოგინაშვილი, ტოლონაშვილი, შუკაკიძე, ნაკაშიძე, სულიაშვილი, სალარიძე, მემარინიშვილი, მეფარიძე, დათუნაშვილი, მიროტაძე და სხვა.

შემონახულია ცნობა, რომ 1750 წელს ყორნისში მეფეთა ბანაკი არსებულა. ადგილი მართლაც სტრატეგიულია.

1751 წელს ქრცხინვალ-აჩაბეთს და 1758 წელს თვით ყორნისში აღმოსავლეთ საქართველოს მეფეს ეხმარებოდა იმერეთის მეფე დაღესტნელი ბანდების წინააღმდეგ ბრძოლებში<sup>13</sup>.

აქაური ოსები (გადმოცემათა მიხედვით, 1970 წელს) ამბობენ: ჩვენი წინაპრები 100 წლის წინათ დასახლებულან აქ ალდარ (თავად) ხერხაულიძეების მიწებზე. ამ თავადებს უხდიდნენ ისინი საყანე-საბაღ-ბოსტენ მიწებისა

<sup>11</sup> С. В. Безсонов, Крепостные сооружения в бассейне большой Млахеви.—Изв. Юго-Осетинского НККР, 1933, гв. 278. შდრ. Н. Закарая, Крепостные сооружения Картли, 1968.

<sup>12</sup> შდრ. ავარიული სიტყვა — წუნ, დიდოური ცუხ, რაც ორივე ენაზე არწივს ნიშნავს და დიდოელს აღნიშნავს. დიდოეთი ავარიულად წუნ-ად იწოდება და ნიშნავს არწივეთს, საარწივოს.

<sup>13</sup> „ქართლის ცხოვრება“, II, დ. ჩუბინაშვილის გამოც. პეტერბურლი, 1854, გვ. 489.

და ტყე-საძოვრების ბეგარასაო. პროფ. ს. ვ. ბეზსონოვიც აღნიშნავს, რომ ყორნისი ხერხეულიძეებს ეკუთვნოდათ<sup>14</sup>.

ცხინვალელ ქართველ მოხუცთა გადმოცემითაც ხერხეულიძეები (ხერხეულიძე) ყორნისელებია და მათი განშტოებაა ერგენტში მცხოვრები ეს გვარი.

ა. ფურცელაძის პიესა „დიდ მოურავში“ ბააკა ხერხეულიძე მოქმედებს. ყორნისელი ოსების გადმოცემებში ლაპარაკია სააკაძის თანამებრძოლ ბააკა ხერხეულიძეზე. გადმოცემებითვე, 9 ძმის უფროსი პაატა იყო. სახელი პაატა ვერ მოგვემდა ოსთა ქართულ თქმაში ბააკას; იგი ბააკას ფონეტიკური სანეცელილება უნდა იყოს.

ისტორიულად ცნობილია, რომ შაჰ-აბასის წინააღმდეგ ბრძოლას 1625 წელს 300 დუშულ გლეხთან ერთად 9 ძმა ხერხეულიძემაც შესწირა თავი.

ი. გოგებაშვილი ამ ცხრა ხერხეულიძეს მარაბდელებად თვლის, მაგრამ იცის, რომ ისინი ბუღით ზემო ქართლიდან იყვნენ (იხ. მისი „ცხრა ძმა ხერხეულიძენი“).

ვახუშტი ბაგრატიონი წერს: ხერხეულიძეები სამცხის მთავრებიო (გეოგრაფია, გვ. 25). მაშასადამე, ამ გვარისანი აქაც სახლობდნენ.

საინტერესოა ყორნისის ტოპონიმებიც. ოსთა გამოთქმით, აქ ერთ მინდორს ეწოდება ციციკარა ან ციციკარა (ქართული — ცისკარა), ერთს უკვე უვენახო ადგილს — ბალი, ტყეს — ბოჯირი (ქართული — ბოჯირი), ერთ წყაროს — კოდი, საყდრის ერთ ნანგრევს — გიორგიწმინდა და სხვას სხვა ასეთი-სახელები. აქვეა გორაკი კასრეთი (იხ. რუსთავი, კასრეთობა).

ყორნისის სასაფლაოზე ერთი საფლავის ქვის წარწერიდან ვგებულობთ, რომ „სტეფანე გრიგოლის ძე კოდოშვილი“ ჩჰყდ (1884) წელს გარდაცვლილა; იქვე, მეორე ქვაზე ვკითხულობთ:

(ზემოდან)

„ნორჩი ყრმა ვიყავე ჯერეთ(,) მომისწრო უღროთთ  
სიკვდილმა(,) სამი ვაჟი დავტოვე და დედ-მამამ  
მწუხარე(,) სწორ(-)

(სამხრეთით)

ამხანაგებს მოეშორდი(,) ფუქათაც განელო სწავ-  
ლამ(,) სახელი  
დედ-მამისა სანატრელი სიხარულს აღარ მიველი(,)  
კოლ-შვილზე ამალებინა ხელია(,) წამკითხველო(,)  
შენდობა

(ჩრდილოეთით)

ს გვედრიოთ(,) ვარ ციცი კოდოშვილი ჭიბოს ძე(,)  
ვიყავე 34 წლისა(,) ჩჰყვე წელსა იანვრის 4 დღესა  
გარდავიცვალე“ (ე. ი. 1885 წ.).  
(წარწერაში ყოველი სიტყვის შემდეგ წერტილია).

<sup>14</sup> ს. ბეზსონოვი, დასხ. ნაშრომი, გვ. 266.

„...ჯიბოს ძე ჭიოშვილი ჩყოთ-ს წელს მარტის 5 დღესა“ (1879), სალომე — ციკო ჭიოშვილის მეუღლე, სიმქოზაშვილის ასული — 1887 წელს, ნინო ეგაძე-გაბაიაშვილი — ჩყ.ბ-ს (1892), ...თეიმურაზიძე ჩუტიშვილი — ჩყ.ბ-ს (1895), მარია შავლაგა ჭიოშვილის ასული — 1898 წელს, ალექსი ებას ძე კაჭაშვილი — 1898 წელს და სხვა სხვა წელს გარდაიცვალნენ.

ერთ-ერთ საფლავის ქვაზე (ზემოდან) წერია:

„ღმერთო(,) მეც ღირსი გამხადე(,) სადაც  
(სამხრეთით)

სამოთხე შენია(,) იქ მაინც ნათლათ მამყოფე(,)  
რადგან სიკვდილი  
ძნელია(,) მიწა, შენი ვარ, უფალო(,) სიკვდილი  
სულის მტერია(,) <sup>15</sup>  
ვარ როსტომა ლევანას ძე  
(ჩრდილოეთიდან)

თედევეი(,) აღვსრულდი ღვინობისათვის 20-ს დღე-  
სა 1897-სა

წელსა(,) წამკითხველნო(,) შენდობა მიბრძანეთ(!)

От роду 28 лета“.

#### რუსთავი

ცხინვლიდან სამხრეთ-დასავლეთით 17—18 კმ-ზე მდებარეობს ძარის სასოფლო საბჭო. მისი სოფლებია: ძარი, დოდოთი, კვერნეთი, მებრუნე, რუსთავი, ბრილი, დამპალეთი (1949 წ.); ამათ, 1960 წ. ცნობარის მიხედვით, ემატება: ჩელეხსათა, გარდანთა და ჯაბიტა.

სოფ. რუსთავს აღმოსავლეთით საზღვრავს ს. ძარი (აქაურ ოსურად ზაარ — ძარი, ხვირი, ჩელტი, ოსურად — ქუფ), სამხრეთით — ყორნისი, ჩრდილოეთით — ძარის მთები და დასავლეთით სოფელი თუ უბანი ქეში<sup>15</sup>.

სოფელი რუსთავი ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ დაშვებულ ფერდობზეა გაშენებული ისე, რომ სივრცეზე გადაკეტილ ძაბრს მოგვაგონებს. სოფლის ფართო თავის მხრივ გაქიმული მთაგრეხილი დასავლეთით იწყება ნაქერალათი (ოსურად — ნაჩერალა). მას აღმოსავლეთით აგრძელებს ძარის მთე-

<sup>15</sup> ლექსის წყობა წარწერაში აგრეა დარღვეული.

<sup>15</sup> ეს ქართული კეცი-ა. აქ იღებენ საჭურჭლე თიხას. ძველი ქართული კეცი — თიხა, ახალი ქართული — თიხის ან ქვის ჭურჭელი, მჟალისა და მისთანა საცხობი. ქართული კეცი — ოსური ქეში, შდრ. კეხვი — კეხვი, კრება — ჭრება, თოკი — თოკი და სხვა.

ქ-ს ჭ-ში გადასულა შედარებით ახალი მოვლენა უნდა იყოს. მაგ, ი. გიულდენშტეტის 1771 წ. ჩანაწერებში აღნიშნულია: „ქრცხინვალი — ოსურად კრება“ („მოგზაურობა საქართველოში“, ტ. I. თბ., 1962, გვ. 279), ე. ი. მაშინ ეს ქართულ კრებად წარმოითქმინდა და არა ჭრებად. სიტყვა კეცი-ში ქ-ს პალატალიზაციის (ჭ) გარდა, სისინა ც გამოიწინებელია შ, რაც ჩვეულებრივია სამხრეთ ოსთა მტუყველებში ისევე, როგორც ქართ. ც-ს მეგრულში შეესატყვისება ჩ (კაცი — კოჩი).

ამგვარად, ცხადია, რომ ქეში ქართ. კეცის ფონეტიკური სახეცვლილებაა. ამას სიტყვის ბოლო ი-ც-მოწმობს; იგი ოსურში ქართულიდან შესულ სიტყვებში გვხვდება.

ბი — გორი-კლდო (ასე წერია ხუთეკისიან რუკაზე = კლდეს). ამ ადგილს ზაარი კეეახს<sup>16</sup> (ძარის კლდე) უწოდებენ.

მასზევე ქედ-გორაკებია: ნაფუძვარი და კახრა. ერთ მათგანზე ნასოფლარს ოსები ჭიჭოითად ახსენებენ.

ამ მთებიდან გამოდის წყაროები და მათ დაუღარავთ სოფ. რუსთავის ზედაპირი. ეს წყლები მიედინებიან სოფლის ხეობის თანდათან დავიწროებულ სამხრეთისაკენ, უერთდებიან ერთმანეთს და ს. რუსთავის ბოლოსა და ყორნისის თავზე მოზრდილ ხევად (ტილიანის წყალი) მიედინება.

ამიტომ დასაჯერებელია, რომ ამ სოფელს სახელწოდება რუსთავი რუ-ს, რუების თავის, რუთა დასაწყისის მიხედვით დარქმევია. უნდა გავიხსენოთ ის გარემოებაც, რომ ამ რუების მიერ შემდგარი ტილიანის წყალი ფრონეს ერთვის. ფრონე კი სამხრეთით მიედინება და ერთვის მტკვარს. ამ შესართავის აღმოსავლეთით მდებარეობს ისტორიული რუისი (რუვისი) VIII—IX ს. არქიტექტურული ანსამბლით (შდრ. ტაპონიმები რუისი და რუსთავი).

რუსთავიდან სამხრეთით სს. წუნარ-ნიჭოხს შორის არსებობს სოფელი ტილიანი, ტილიანის წყლის მდ. ფრონეში შესართავთან.

სახელწოდება ტილიანი წარმომდგარი ჩანს ძველი ქართული სიტყვა მტილისაგან, რაც ბოსტანს ნიშნავდა (მემტილე — მებოსტნე, მტილოვანი — ბოსტნეული).

რუსთავში რუებით — ტილიანის სათავეებით ირწყვება ბოსტნები. სოფ. ტილიანიც საბალ-საბოსტნეა. ფორმა მტილიან-ში ბევრა მ-ს სიტყვის თავში დაკარგვა არაიშვიათია ქართულ ცილოებში. მაშასადამე, ტილიანი უწინ მტილიან ფორმით შეიძლება არსებულებოდა. ამაზე ისიც მიგვანიშნებს, რომ ტაპონიმში ტილიანი ადგილზე ისევე ძველქართული მნიშვნელობით (ბოსტანი) ესმით, როგორც კეცი — თიხა (ოსური — ქეში).

ეს (მ)ტილიანი კი ორეული გამოდის ჰერეთის რუსთავის ძველი ბოსტანქალაქის სახელწოდებისა (ახლანდელი მეტალურგიული ქალაქი რუსთავი. მის ერთ-ერთ უბანს ახლაც ბოსტანქალაქი ეწოდება).

საქართველოში ოთხი რუსთავია ცნობილი: ხსენებული მეტალურგიული ქალაქი, — ისტორიულად ჰერეთის რუსთავი, ლაგოდეხის რაიონის ბაისუბნის სასოფლო-საბჭოს სოფელი რუსთავი, მესხეთის რუსთავი და ცხინვალის რაიონის რუსთავი (იხ. ჩვენი „Руставели и ძეგლები“, თბ., 1960, გვ. 94).

ზემოთ (ყორნისი) უკვე შევნიშნეთ, რომ 1865 წელს რუსთავში 19 კომლი სახლებულა. აქ 1970 წლის 18—20 დეკემბერს ჩემთან ერთად იყო ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტის ლექტორი, ისტორიკოსი მიხეილ შალვას ძე ცოტნიაშვილი. ადგილობრივი ელიოზ ივანეს ძე კოჩიევი (67 წ., კოლმეურნე), რუსთავის 8-წლიანი სკოლის მასწავლებლები: ვას. გრ. ჯაბიევი (1913 წ. დაბად.), ევდოკია გიორგის ასული ჭიოევი და სხვები გვეუბნებიან: ახლა რუსთავში 121 კომლი, სამასამდე სული, ცხოვრობსო. მათი გვარებია: ბაგაევი, გაზხაევი, თასოევი, თიბილოვი, თიგიევი, ოტბაევი, პლიევი, ქელეხსაევი, ხარებოვი, ჭიოევი და სხვა.

<sup>16</sup> ქაეაში ისმის კეეახს. ლიტ. ოსური — კაძახს.



მათ წინაპართა დასახლების შესახებ უმრავლესთა გადმოცემა ამბობს: ისინი აქ ქველთიდან (ჩესელთა, როკის მხრიდან) ჩამოსახლდნენ სოფ. ქურთელი მაჩაბლების მიწაზე ასი წლის წინათო. მიწის ყოველგვარი სარგებლის შესამედს უხდიდნენ მაჩაბლებსო.

ჩიჭოთას ქედებიდან რუსთავეში ჩამომდინარე წყაროები (რუები) ისეთ ხევს (დელეს) ქმნის, რომ ერთ მათგანზე გაზაფხულობით წისქვილიც კი ბრუნავს და ამიტომ მას ქუიროიდონს (წისქვილის წყალს) უწოდებენ. ზაფხულობით მასში წყალი მცირდება, წისქვილს ველარ აბრუნებს და ბოსტნების სარწყავად იყენებენ.

შუა სოფელში არსებულ სასმელ წყალს კოდისწყაროს ეძახიან. სხვა ასეთსავე წყაროებს მათთან მცხოვრები უახლოესი გვარის ან ოჯახის თავკაცის სახელით აღნიშნავენ, მაგ., თანეთედონ, ბაგათედონ, სოლომანთედონ და სხვა.

ს. რუსთავეს აღმოსავლეთით ჩამოუღის ლაშეთიდონ (ლაშის წყალი), დასავლეთით კი — ხოთეანთ ხევა.

სათეს-სათიბ ტოპონიმთაგან საყურადღებოა: ხოდაბული (ქართული ხოდაბუნი), ყორათეზახ (ყორაანთ მამული, კარი), წურბელიზახ (საწურბლია; წყალი ამოდის, კაობია), ქარდოჯენეკულ (მსხლიანი დაღმართი; ახლა იქ ვაშლის ბაღია), სყარალო, საყარალო (საყარაულო), რდუ (სათიბი), ოსკეთეწობი (ოსური წობი — ქართული კაობის ფონეტიკური ცვლილება), ბალითე (უწინ ვენახი, შემდეგ კაკლის ხეები მდგარა აქ) და სხვა.

ხილული (ვაშლი, მსხალი, ბალი, კაკალი) კარგად ხარობს. ვაზი იზრდება, მაგრამ ყურძენი დამწიფებას ვერ ასწრებს. წინათ კი როგორც ყორნისში, ისე რუსთავეშიც ვენახები ჰქონიათ. ამიტომ აქ ქვევრებიც შემონახულა. გვიამბობენ: აქ დაკირული ქვევრი მოთხარეს ტრაქტორით, 400 ფუთი ჩავიდოდა (!) შიგ, ქარელის რაიონის ს. ტახტისძირში წაიღეს; 10—30 ფუთიან ქვევრებს კი ხშირად ვაწყვდებითო.

ხარობსაც ვხვდებით მიწაში (სახორბლე. ასეთი ხარობები უფრო ხშირად პატარა ლიახვის ხეობაში გვხვდება).

რუსთავეში დიდი მუხა დგას. ადგილს მაირამქუევანდონს — მარიაშის სალოცავს ეტყვიან (აქ 1970 წ. 21 ოქტომბ. ყოფილა დღეობა). აქვე აქვთ ხოშაუ ქუევანდონ (ოსური ქოშაუ, ლიტ. ხუცაუ — დმერთი) — ღვთის სალოცავი.

ადგილობრივები მოკრძალებით ეპყრობიან ძუარზახს, ანუ ჭვარის (ეკლესიის) უბანს.

რუსთავეის სასაფლაოზე (ეკლესიასთან) ქვები უმთავრესად 1880 წლის შემდეგაა დადგმული. მათზე ზემოხსენებული ოსური გვარები წერია.

სოფლის გარეთ ჭერმუხის მთაზე ასახელებენ სალოცავს და შენიშნავენ: ეს აქაური ჭერმუხია, მასზე ლიახვის ჭერმუხიდან და ხეწე-ვანელიდან ჩამოსახლებული გაზაფხეები ცხოვრობდნენ, ახლა ისინიც რუსთავეში სახლობენო.

„საქართველოს სსრ კულტურის ძეგლებში“ (1959 წ. გამოც.) რუსთავეის სიძველედ დასახელებულია ეკლესია და გალავანი განვითა-

რებული შუა საუკუნეებისა (გვ. 150). 1925 წ. აღრიცხვით კი აქვე ცაქა-ციხეც იხსენიება. ახლა რუსთავს შემორჩენია მხოლოდ ქვის ბაზილიკური ფორმის თალიანი მთავარანგელოზის (ოსურად თარანჯელოს) სახელობის ეკლესია (სიმაღლე — 4 მ, განი — 4,5 მ, კარიბჭე — 2,5 მ, სიგრძე — 10,5 მ). კედლის რამდენიმე ქვა 1-დან 2 მ სიგრძისა და 1 მ განისაყა (ქვები შესწორებული ან ბუნებრივად ფიქლისებრია).

ეკლესიის გალავნის ნაშთილა არსებობს. ციხეო (კოშკი?), — გვეუბნებიან, — 15—20 მ სიმაღლისა და ასე 50 კვ მ ფართობისა იყო. მას მესამე სართულზე გამოწეული ოთახი თუ აივანი ჰქონდაო. ეს ნაგებობა 1929 წელს დაუნგრევიათ და კოლმეურნეობის სახლის მშენებლობაზე გამოუყენებიათ.

შუა სოფელში ასახელებენ ერთ ხის სახლს, რომელიც დაკეტილი გვახსოვსო. ერეკლე მეორე რომ ყორნის-რუსთავში მდგარაო, ამ სახლში თოფის წამალს ამზადებდნენო.

სოფელს კავშირი ჰქონია მისგან დაშორებული ეგრის მონასტერთან ეგრას მთაზე. ამ მონასტერს ღვთისმშობლისად იხსენიებენ. იქვე კოშკიც არსებულა. აქედან მთა-მთა მიდის ბილიკი კეხვის ციხესა და თირის მონასტერზე.

რუსთავსა და თორმანელს შუა ასახელებენ მუხის ფიცრის ნაგებობას, რომელსაც რაღეუარი (მალლობის, წვერის ჭვარი) ჰქვია. მასშიო, — ამბობენ რუსთავში, — საკურთხეველის ქვაზე სანთლებს ეანთებდით ბავშვობასაო. მისი ღლეობა 15, 20 ან 25 ივნისში იმართებოდა.

ამის შემდეგ 6 კვირა გავიდოდა და კარასეთობას დღესასწაულობდნენ ყორნისის თავზე. კარასეთობაზე 1969 წელს 20 ივლისს ყოფილან, 1970 წ. კი — 4 აგვისტოს (იხ. ყორნისი).

თიღვა-ყორნის-ცხრაკარას გარდა, რუსთავი ისტორიული სხვა ძეგლებითაცაა გარემოცული. მისგან არცთუ ისე შორსაა განვითარებული შუა საუკუნეების ძეგლები: ნულის ციხე, ოყორის ცხრაკარა, ოქონის მონასტერი (შუა საუკუნეები) და ძალინას ციხე-კოშკი XVII—XVIII სს. სასახლითა და კოშკითურთ, სათიხარისა და სნეკვის X ს. ეკლესიები, ბოციჯვრის თუ ბორციჯვრის X—XI ს. ეკლესია ლაპიდარული წარწერებით, ტბეთი<sup>17</sup>, თირის მონასტერი, თამარაშენი, აჩაბეთი, კეხვი და სხვა.

განსაკუთრებით საყურადღებოა დიდოთის ცხრაკარა XI ს. ლაპიდარული წარწერით:

„ქ. სახელითა ღმრთისაჲთი ივანე ე/რისთ] აქმან ტბელმან/

აღაშენა ესე წმიდაჲ ეკლესიაჲ სალო/ცველად მისთ/ჯს და ხუთთა ძე/თ/ა მისთ]ათუ[ის]“<sup>18</sup>.

<sup>17</sup> ვ. თოფურიას სათანადო წერილი იხ. კრებულ „საისტორიო მოამბეში“, წ. 11, 1924.

<sup>18</sup> მას 9 კარი აქვს და ამიტომ ჰქვია ცხრაკარა. ამ ეკლესიისა და წარწერათა შესახებ იხ. ნ. შოშიაშვილი და ვ. ცისკარიშვილი, სოფელ დიდოთის ცხრაკარის ეკლესიის წარწერა. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის შრომები, ტ. XIX-A. 1957, გვ. 91—99; შტა. რ. შეფისაშვილის წერილი კრებულში „ქართული ხელოვნება“, 4, თბ., 1956, გვ. 115 და სხვა.

ამ ცხრაკარას მახლობლად მდებარეობს მთელ რაიონში კარგად ცნობილი ქეკასათალი (აქ მოჭრილი ქვითაა აგებული მახლობელი ეკლესია-მონასტრები, მათ შორის — თირის მონასტერიც), რომელშიც აღმოჩნდა ბრინჯაოს იარაღები და იმავე ხანის ორმო-სამარხები (იხ. გაზ. „კომუნისტი“, 1952, № 229).

ამავე სახის სიძველეები აღმოჩნდა რუსთავ-დოდოთის მეზობელ ყორნისში.

არქეოლოგი ალ. კალანდაძე წერს: „ყორნისში მოპოვებული მასალა ტექნოლოგიური ნიშნების მიხედვით (სტრატეგრაფიული მონაცემების უქონლობის პირობებში) შეიძლება მივაკუთვნოთ ე. წ. მუსტიერულ ეპოქას და აქედან პალეოლითზე გარდამავალ პერიოდს“<sup>19</sup>. ყორნისი ასეთ იარაღ-ხელსაწყოთა აღმოჩენის მიხედვით მესამე პუნქტია ამ მხარეში (იქვე).

რუსთავიდან ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს სოხთა, ქასაგინი, ნადარბაზევი, კობეთი და კვაისა სიძველეთა ნანგრევებით. ეს მიწის ზედა სიძველეები X—XII საუკუნეებს განეკუთვნებიან<sup>20</sup>.

როგორც დავინახეთ, ცხინვალ-ტბეთ-ყორნის-რუსთავ-სოხთასა და კეხე-აჩაბეთ-თამარაშენში მოპოვებული ძველი და ახალი ქვისა და ბრინჯაოს ნივთები, რომლებიც ცხინვალის მუზეუმშია დაცული, საერთო ინტერესს იმსახურებს. ეს ნივთები თავის ადგილს პოულობს იმ ისტორიულ კულტურაში. რომელიც არსებობდა ტრაპიზონიდან მოყოლებული ქანეთ-შავშეთ-აჭარა-გურია-იმერეთ-რაჭა-კვაისა-მთელ ქართლ-კახეთსა და მათ ირგვლივ არსებულ მიდამოებში.

ყორნის-დიდოთ-ქეკასათალ-რუსთავიდან და ლიახვის ხეობის სათავეთა სოფლებიდან ცხინვალის მუზეუმში შეტანილი ბრინჯაოს ნივთები, კერძოდ — რუსთავის საკანჭური და სამაჭური, არქეოლოგების: ე. პჩელინას, ბ. კუფტინის, ალ. კალანდაძის, ბაგ. ტეხოვისა და სხვების საერთო ყურადღებას იმსახურებენ<sup>21</sup>.

#### თირის მონასტარი

#### (ზოგიერთი შენიშვნა)

ვიღრე კეხეს დავუბრუნდებოდეთ, აღვნიშნავთ, რომ აჩაბეთი<sup>22</sup> და თირის მონასტერი<sup>23</sup> სამრეკლოთურთ გვაქვს აღწერილი. შემდეგ დაიბეჭდა ნ. ანდ-

<sup>19</sup> ალ. კალანდაძე, საქართველოს წინაგვაროვნული საზოგადოების ისტორიისათვის, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტ. შრომები, ტ. II, 1956, გვ. 247.

<sup>20</sup> ო. შვგრელიძე, წარწერები და სხვა სიძველეები ფაფისა და ჩუაორის ხეობებში, ცხინვალის პედიუსტიტუტის შრომები, VII, 1959, გვ. 164—180.

<sup>21</sup> იბ. Е. Г. Пчелина, Археологическая карта Юго-Осетии, Средневековой период и новое века до XIX в. (ცხინვალის მუზეუმი); Б. А. Купфин, Археологическая экспедиция 1945 года в Юго-Осетию и Имеретию, Тб., 1949, იხ. ტაბულები; Б. В. Техова, Могильник эпохи поздней бронзы в с. Тли: Журн. „Советская археология“, 1960, № 1, გვ. 163—178; Т. Н. Чубинашвили, К истории культуры раннего этапа позднобронзовой эпохи Шиди Картли (автореферат), Тб., 1954.

<sup>22</sup> ო. შვგრელიძე, სტალინისა და ზემო ნიქოზის სიძველეები. ცხინვალი, 1952, გვ. 63—65 — ცხინვალის პედიუსტიტუტის შრომები, ტ. I, 1952, გვ. 303—305.

<sup>23</sup> იქვე, გვ. 65—72 = 305—311.

ლულაძის საყურადღებო ორი წერილი „თირის მონასტრის ღვთისმშობლის ეკლესია“<sup>24</sup>.

ავტორი პირველ წერილშივე მიუთითებს მ. ბროსეს, დ. ბაქრაძის, პ. უეა-როვას, ს. ბეზსონოვის, რ. შმერლინგის, ი. მეგრელიძის, რ. მეფისაშვილისა და სხვათა ნაშრომებზე, ასახელებს წარწერათა კითხვასხვაობასა და პარალელებს, მაგრამ იგი მეორე წერილში კი აცხადებს: „თირის მონასტრის წარწერები ჩვენ მიერ არის შესწავლილი და გამოქვეყნებული“ (!)<sup>25</sup>. ეს ავტორს სწორედ წარწერათა მიმართ არ ეთქმოდა.

გაკვირვებას იწვევს ისიც, რომ თირის ეკლესიის ჩრდილოეთ მინაშენის ქვაზე ჭერის ირგვლივ არსებულ წარწერაში ქრონიკონი ტი ნ. ანდლულაძეს ტო-დ გადაუსწორებია! მკვლევარი აცხადებს: თავდაპირველად აქ ჩვენც ტი-ს კვითხულობთ, მაგრამ ეს 1622 წ. ნიშნავს და მოხსენიებული პირები კი ქრონიკონ ტო-ს (1682 წ.) უნდა ეკუთვნოდნენო; წარწერა შლად ქვაზე წერია და ო-ს, ალბათ, მეორე კბილი მოეშალა და ი მივიღეთო („მაცნე“, 1969, № 6, გვ. 203—204). ჩვენ ეს წარწერა 1970 წლის დეკემბერშიც ვნახეთ, მაგრამ ადგილზე სწორედ ტი იკითხება, ო-ს ვერავითარი ნაკლებობა ვერ შევამჩნიეთ...

თირისავე მონასტრის ერთ-ერთ წარწერაში ჩვენი პუბლიკაციით იკითხება: „თავხელიძეთა საოშ და რატის...“<sup>26</sup> ნ. ანდლულაძე კი კითხულობს: „თავხელისძეთა, სიაოშ (ან სიაუშ) და რატის...“ ნ. ანდლულაძის მიერ გამოქვეყნებული წარწერის ასლიც მხოლოდ პირველ წაკითხვას ამართლებს. სხვა მხრივ, ვიმეორებთ, ნ. ანდლულაძის ორივე წერილი — მთლიანად აღებული ნაშრომი — სათანადო მეცნიერულ დონეზე დგას და მოსაწონია.

თქმულზეა თირის მონასტრის სამრეკლოზე გამოკვეთილ კაცისა და გველის ფიგურათა შესახებ, რომელიც ჩვენ ზემოდასახელებულ ნაშრომში (შენიშვნა — 26, გვ. 71) გამოვაქვეყნეთ 1952 წელს (გვ. 71—72), საინტერესო აღმოჩნდა ახალი ეპოქის უდიდესი ქართველი პოეტის გალაკტიონ ტაბიძისათვის. ის მასზე ბალაღის დაწერას აპირებდა (გაზ. „თბილისი“, 1969, 4 თებერვალი, № 13, გვ. 4).

#### კახვი

ს. კეხვი მდებარეობს ცხინვალიდან 8—9 კმ-ზე ქუთათის სასოფლო საბჭოში. ადგილობრივი გვარებია: ბლიაძე, ნებიერიძე, ზანგალაძე, კახნიაშვილი და მელანაშვილი. უფრო ახლებიაო: ბასიშვილი, რუსიშვილი და სხვები.

კეხველ ზანგალაძეებზე ამბობენ: ბუღით რაკველეები არიანო. იქ რომელიღაც მახჭვალაძეს ბატონის სიმკაცრე ვერ აუტანია და გამოქცეულა; კეხვი სახელმწიფო გლეხების იყო და მათში ჩასახლებულა; მანჭვალაძეს თავი ზანგალაძედ გამოუცხადებიაო.

კეხველი სოფლის კაცი ანდრია გიორგის ძე ზანგალაძე (დაბ. 1896 წ.) აღნიშნავს: ჩემი გვარის პაპაჩემის შტოს თათარს ან ბუჭიანთს, ან ბერიოიანთსაც გვიწოდებენო. ჩვენი წინაპართაგანი გლახაი აქ შეძლებუ-

<sup>24</sup> „მაცნე“, 1969, № 6, გვ. 77—102; 1970; № 5, გვ. 76—102.

<sup>25</sup> „მაცნე“, 1970, № 5, გვ. 78, შენიშვნა.

<sup>26</sup> „სტალინისა და ზემო ნიქოზის სიმკვლეები“, გვ. 67.

ლი, მაგრამ უშეილო ყოფილა. გზაში ბავშვი ეპოვა და შინ მოეყვანა. ეთქვათო: თათრის იქნება, თორემ ქრისტიანი ბავშვს არ მიატოვებდაო. ამიტომ თათარი შეარქვესო.

ეს ბავშვი საზრიანი, მაგრამ ბუწია (ბუტია) ყოფილაო. დავაშაკაღა, ყაჩაღობასაკი კი კადრულობდა და გამდიდრდაო. მის მოდგმას ბუწიანთას უწოდებდნენო. მის შვილთაგანს ბერო რქმევია და ამიტომ ბეროიანთი ან ბეროშვილებიც გვქვინაო, მაგრამ ჩემი პაპის პაპას სოლომონს, პაპა (ბაბუა) ივანეს (მეუღლედ კეხველი ბერძენიშვილის ასული ჰყავდა) და მამაჩემ გიორგის ზანგალაძედ ცნობდნენ და არა შერქმეული გვარიითო. ამასვე ადაატურებდა ანდრიას დედა — კატო თედიაშვილი-ზანგალაძე (1858—1964 წწ.).

სოფელ კეხვის ჩრდილო-დასავლეთით (ტყეში) მდებარეობს კეხვის ციხე, რომელიც ცნობილია სამეცნიერო ლიტერატურაში. მისი გეგმა და ფოტოსურათი გამოაქვეყნა ს. ბეზსონოვმა<sup>27</sup>. იმავე კეხვის ციხეს იხსენიებენ: ვახუშტი, გულდენშტეტი, ბროსე, კ. პანი<sup>28</sup> და სხვები. ცნობილია, რომ აქ გივი ამილახვარმა სამჯერ დაამარცხა თათრები 1736 წელს, უფრო ადრე — 1728 წელს კი გივი ამილახვარს ერთგულებისათვის აჯილდოებს ოსმალეთის ხონთქარი!<sup>29</sup>

1745 წელს კეხვის ციხეზე მიიტანეს იერიში. „იყო ბრძოლა დღე და ღამე, გამოხდა ხანი თვე ოთხი“ და ბოლოს მტრებმა „დაუწყვეს სროლა ციხესა კეხვისასა ზარბაზანთა და ყუნბარათა“<sup>30</sup> და დააქციეს კეხვისა და სურამის ციხეები. შემდეგაც მასში 1780 წლის პირველ აპრილს „ხელმწიფის ბრძანებით ამილახვარმა თორმეტი კაცი დამაყენებინაო“, — ამბობს მამასახლისი ღვთისა-ვარი<sup>31</sup>. აქედან ჩანს, რომ 1780 წ. ამ ციხეში მორიგეები მდგარან და არემა-რეს მეთვალყურეობდნენ.

1801 წელს ეს ციხე ერეკლე მეორის ქვრივ დარეჯანს ეკუთვნის. 1809 წ. ამ ციხეში მაგრდებიან აჯანყებულები, რომლებსაც მაჩაბელი და ხერხეულიძე უპერდნენ მხარს და გამოდიან ცარიზმის წინააღმდეგ. აქვე 1905 წელს მოხდა აჯანყება, რომელიც ლიახვის ხეობის მკვიდრთა ერთ-ერთი პირველი რევოლუციური გამოსვლა იყო.

კეხვის ციხის გარდა, კეხეშივე არის მრგვალი ორსართულიანი კოშკი, რომელსაც კარი მეორე სართულიდან აქვს და ჩადის პირველ სართულში კედლის შიგა კიბით. ამ კოშკს ნებიერიძის ციხეს უწოდებენ.

სოფელში დატულ წმ. გიორგის ეკლესიაში ერთი შევერცხლილი გამოსატანი ჭვარია და ერთიე წითელპერანგიანი ხის ხატი ღვთისმშობლისა (სიმაღლე — 1,40 მ, შკლავეები — 90 სმ; აქვს თავსახური თეთრი არშიით). ის

<sup>27</sup> Известия Юго-Осетинского научно-исслед. инс-та краеведения, т. I, Цхицвали, 1933, გვ. 238—245.

<sup>28</sup> იხ. პანის წერილი; Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа-ში, ტ. XXXV, Тб., 1905, გვ. 249—269.

<sup>29</sup> ს. ჭიჭიას პუბლიკაცია თბილისის უნივერსიტეტის შრომებში, ტ. 116, 1965. ქართლის სიბერება, დ. ჩუბინაშვილის გამოცემა, ს.-პეტერბურგი, 1851, 376.

<sup>30</sup> იქვე, გვ. 379.

<sup>31</sup> დოკუმენტები საქ. სოც. ისტორიიდან, ტ. II, თბ., 1953, გვ. 110, დოკ. № 173.

ძვ. სტ. 7 მაისს (ახ. სტ. 20) მიჰყავდათ წმ. გიორგის ეკლესიაში, რომელიც ტყეში მდებარეობს (იხ. ქვემოთ). ამისი დღეობა დიდ უქმედ ითვლებოდა. ხსენებულ ჭვარსა და ხატს, როგორც მაშინ იტყობდნენ, შობაძანებდნენ ღვთისმშობლის დღეს დედაღვთისაში, ღამეს იქ გაათევენებდნენ და მეორე დღეს წმ. გიორგში ჩამოატარებდნენ და ბოლოს სოფლის ზედა ეკლესიაში დააბრძანებდნენ.

ხსენებულ ჭვარს ხის ტარზე თუნუქი აქვს გადაკრული. მკლავებზე თითო მოწითალო ქვის თვალი აზის და მარცხენა მკლავზე ქალი ახატია, მარჯვენაზე კი — ანგელოზი. ჭვარის ზედა ნაწილზე მრგოლოვანი ასოებით წერია: „ქ, წა, გ“ (= „ქ. წ მ ი ნ და გ ი ო რ გ ი“) და ახატია წმ. გიორგი, რომელიც შუბით ურჩხულს გმირავს.

კეხვის გამოსატან ჭვარს მკლავები მოკლე აქვს და ამით განსხვავდება ცხოვათის<sup>32</sup> და კობენის<sup>33</sup> გამოსატანი ჭვრებისაგან, მაგრამ კეხვისა და ცხოვათის ჭვრების მხედრულ წარწერებს შორის არის ერთგვარი მსგავსება. ცხოვათის ჭვრის მხედრულ წარწერას ექვ. თაყიშვილი თავის ნაშრომში ქსნის ხეობის სიძველეების შესახებ XIV—XV საუკუნეებით ათარიღებს<sup>34</sup>.

კეხვის ჭვრის მარცხენა მკლავზე, სურათის თავზე, მხედრული ასოებით წერია: „ქ. სა ლ ბ“:

სურათის მარცხენა მკლავთან ზემოხსენებული ასოების ვერტიკალურად ძნელად გასარჩევი ასოებია:

„ქ. რ ის.“

ჭ გ ის:. გა მ რ ა ე ლ ე:

ქ თ:“

(=ქ. რ ის(?) ჭ უ ა რ ო გ ი ო რ გ ის ა ო, გა ა მ რ ა ე ლ ე ქ ე თ ე ე ა ნ (?)

ჭვრის ქვედა ნაწილზე ვკითხულობთ:

„ქ. მე; მ ჩ ბ ე ლ მ: ბ ა

ღ უ რ ის: შ ე ი ლ მ:.

რო ს ტ ო მ ღ: მ ე უ ლ

ლ ე მ: ჩ ე მ: ვ ის ი ო ც ის: მ

ო უ რ ა ე ის: ქ ლ მ: ბ გ ყ რ ა<sup>35</sup>

გ: ს უ ლ ის: ჩ ე მ ის: ა მ ა ჩ“ (ან ს გ ს ჩ?)

ეს შეიძლება აგრე გავხსნათ: „ქ. მე, მაჩაბელმა ბაადურის შვილმა როსტომ და მეუღლემა ჩემმა ვისი ოცის მოურავის ქალმა...“

ეკლესიის დასავლეთ კედელთან საფლავის ქვაზე ჭერ ჭვარია გამოსახული და შემდეგ ვკითხულობთ:

„უ ფ ა ლ ო (.) მ ო მ ი ხ ს ე ნ ე მ ე (!) ს ა ფ-

ლ ა ე ს ა ა მ ა ს ა შ ი ნ ა მ დ ე ბ ა რ ე ვ ა რ ი ე ა ნ ე მ ღ დ ე ლ ი

ც ა ბ ა ძ ე (.) მ ხ ი ლ ე ე ლ ნ ო (.) შ ე ნ დ ო ბ ა

<sup>32</sup> Е. Такайшвили, Археологические экскурсии..., кн. V, Тб., 1915, გვ. 105—107. შტრ. კორინთს ჭვარი, იქვე, გვ. 68 (ან Известия Кавк. отдела Московск. археол. общества, кн. IV, Тб., 1915, გვარდები იგივე).

<sup>33</sup> იქვე, გვ. 108.

<sup>34</sup> იქვე, გვ. 105.

<sup>35</sup> ან ს.

მიზრძანეთ(!) წელსა ჩუნბ“ (1852).

იქვე, ერთ ქვაზე ირჩევა:

„ივანე... გიგუცა... ჩუამ“ (1868).

სხვა ქვაზე (ზემოდან) წერია:

„საფლავსა შინა მდებარე ვარ ივანე რამაზის ძე  
ზანგალაძე (.) გარდავიცვალე ოცდაცხრამეტის  
წლის (.) გადავებე უშვილ-უძეო.“

(სამხრეთიდან)

ჩუოდ (1874) წელს, მაისისა იე (15) დღეს (.) წამ-  
კითხველნო გევედრებით (.) შენდობა მიზრძა-  
ნოთ (!)“

ეკლესიის სამხრეთი კარის წინ საფლავის ქვაზე ირჩევა:

„ჩუნე“ (1855 წ.).

ეკლესიის დასავლეთით ერთ ქვაზე იკითხება:

„არ შემიზრალა სიკვდილმა(,) მაგრა მომკიდა ხე-  
ლია(.)“

წვეეხვეწე ჩემსა მე (უფეს) (და) გარდაუგდე ყე-  
ლია(.)“

(ქვის სამხრეთიდან)

ეცადნენ (.) ველარ მიშველეს (.) ჩემზედ აიღეს ხე-  
ლია (.) მე შავ მიწას მიმაბარეს (.) მიწაში ყოფ-  
ნა ძნელია (.)“

აქ განისვენებს მხევალი მლთისა მარიამი და  
მეუღლე სოლომან

(ჩრდილოეთიდან)

ზაგალაძისა (.) ასული გიორგი ლომსაძისა (.) და-  
ვიბადე მარტის 15 1852 წ.(.) აღსრული 1 ენკენისთვეს 1891 წ.  
წამკითხველნო (.) მომიხსენეთ (.) დამრჩა მომხსენებელი ქალი“ (.)

სხვა ქვის წარწერით ვტყობილობთ: „...ივანე ბესარიონის ძე  
ზანგალაძე გარდავიცვალე 10 მარტს 1894 წ., შობით-  
გან 55 წ.“

დანარჩენი ქვების წარწერები კიდევ უფრო ახლებია.

განსაკუთრებით საყურადღებოა ს. კეხვის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი:  
აქ სოფლიდან 1 კმ-ზე მდებარეობს ზემოხსენებული კეხვის დიდი ციხე. კეხ-  
ვიდან მანთან მისვლამდე, გზიდან მარჯვნივ, ე. წ. ფიჭვნარის გორაკზე, დედა-  
ღვთისას ეკლესიის ნანგრევია, ხოლო მარცხნივ (ხევს გაღმით—წმინდა  
გიორგის საყდრის კედლებია შემორჩენილი.

საინტერესოა აქაური ტობონიმიკაც. ასე, მაგ., კეხვის ციხიდან სამხრე-  
თით ჩამომდინარე რუს დედოფალას ხევა ეწოდება. მისგან

სამხრეთით ე. წ. ასმათა ხევია. კეხველი კოლმეურნე ივანე ზაქარიას ძე კახნიაშვილის (დაბ. 1910 წ.) თქმით, „დედოფალა წყალზე წისქვილია, ასმათა წყალზე კი არა“, ე. ი. ეს უკანასკნელი პირველზე მცირეწყლიანია, მაგრამ „გრძელია. სათავე სამი ციხევის ტყის შუაა“ (გორაკზეა), რომელსაც წმინდა გიორგის ვეტყვითო.

ასმათას წყალზე ამბობენ, რომ თამარ მეფემ ას წყაროს წყალში აირჩია ამის წყალი, — ასმათ ეს სჯობიაო, ასმათზე მჩატეაო, და ამიტომ ასმათას წყალი უწოდესო.

კეხვის ციხესთან შუახევის რუს ციხის ხევა ერთვის; ამას ქვევით უწოდებენ ამ ხევს დედოფალას წყალს.

სოფლის ჩრდილო-დასავლეთით ჩამოდის რუ — ბრმა ხევა. ხალხური გადმოცემით, ლეკს ხატი (ჯვარი) გაუტაცებია და ამ ხევით გაქცეულა, შესულა ხევში, დაბრმავებულა და ხატი დაუგდია. იგი რუს (წყალს) სოფელში ჩამოუტანია; უპოვია ბლიაძეს და პოენის ადგილზე კეხვის შიდა ეკლესია აუგიათო.

30 წლის წინათ ეტყოდაო „ას წელზე მიტანებული ბიძაჩემი“, — ამბობს იე. კახნიაშვილი, — ეს ეკლესია რომ ააგეს, 15 წლის ვიყავიო.

ს. კეხვის სამხრეთ-დასავლეთით გორაკზე ტყეა, რომელსაც საბადუ-რას უწოდებენ; უწინ საყაჩაღო იყო. საბადურას ძირზე ქვის კუბო უპოვიათ, რომელშიც 6 ქალა აღმოჩენილა (შდრ. ქემერტი, ყაულაანთ ციხე).

კეხვის ციხესთან მდებარე დედალეთისას ნანგრევის სიგრძეა 5,40 მ, განი — 5 მ (დასავლეთი კედელი), ხოლო კედლის გადარჩენილი ნაწილის სიმაღლე — 2 მ. კარის ფუძის ქვა 1,44 მ-ია. შიდა კედელში 2 თაროა (აქაურთა გამოთქმით — თახჩები).

საკურთხეველის ნაწილში მიწაზე დგას ლამაზი, ჩუქურთმოვანი, შუაზე გატეხილი ქვა, სიმაღლე — 90 სმ, განი — 54 სმ. მასზე გამოსახულ მხატვრულ ჯვარს მკლავებს ზემოდან და ქვემოდან თითო (სულ — 4) ამობურცული წრეა (სეფისკვერი).

ამ პატარა დედალეთისას აღმოსავლეთით, იქვე ახლოს, ორმოა. როგორც სხვები, ისე მეც აქ კირს ვეძებდიო, — ამბობს მიხ. კახნიაშვილი (დაბ. 1925 წ.) და მიწაში მრგვალი მძივი ვიპოვეო. ჩვენც ვნახეთ ეს მძივი. იგი სარდიონისაა, ფორმით ძვ. წ. II—I ათასეულთათვის დამახასიათებელი ნივთი, რომლის მსგავსი მცხეთის გათხრებმაც გამოავლინა.

ორმოდან სამხრეთ-აღმოსავლეთით ქვები ყრია; მაცხოვარს უწოდებენ. ეტყობა, იქაც საკულტო ნაგებობა იყო.

მახლობლად მდებარე კეხვის ციხე ძალიან რთული ნაგებობაა. როგორც ჩანს, აქედან შემოდიოდა გზა ს. კეხეში და ციხე სოფელს ამ მხრიდან იცავდა. ციხეს კოშკები ჰქონია აღმოსავლეთიდან და ჩრდილოეთიდან. დასავლეთიდან მიდგმულ კარიბჭისებრ კოშკს ორი კარი ჰქონია. ერთიდან შედიოდნენ და მეორედან გამოდიოდნენო.

შიდა მოედანი (სამხრეთიდან ჩრდილოეთით), კოშკის მოედნის გამოკლებით, 24 მ სიგრძისაა, განი — 14 მ, უმაღლესი (აღმოსავლეთის კედელი) 3 მ-ს აღმატება შიგნიდან (შდრ. ბეზსონოვი). შიგვე ეკლესია ყოფილა, ციხეს გან-



ვითარებულ შუა საუკუნეებს აკუთვნებენ. გადაკეთებულია XVIII საუკუნეში. მას კედლებში მრავალი სათოფური აქვს. შიგვე დიდი ქაა, რომელშიც ჩრდილოეთიდან მილით შედიოდა წყალი.

გვიამბობენ ლეგენდას: ამ ციხეს რომ ლეკები შესევნიან და ვერ აუღიათ, ციხის გარეთ მიმავალი დედაბერი შეუპყრიათ, უწყალებიათ — გვითხარი, წყალი საიდან შედის, რომ მოვწყვიტოთო. — მე არ ვიცი, აქამეთ ცხენს მარლი და ის აღმოაჩენს მილსო, — ასწავლა დედაბერმაო.

ასეც მოიქცნენ, ცხენს წყალი არ ასვენ და მან დაიწყო მიწის დატორვა, ჩაანგრია იგი და მილიც გამოჩნდა. მტრებმა წყალი მოწყვიტეს და ციხეში მყოფნი აიძულეს დამორჩილებოდნენო.

წმინდა გიორგის ეკლესიის სიგრძეა (შიგნიდან) 6 მ, განი — 4 მ; ჩრდილოეთი მინაღვამის განი — 1 მ; აქვს ცალკე სარკმელი. საყდარს კარი დასავლეთიდან ჰქონია. მის მახლობლად დგას შერუჯული ბებერი მუხა. ღრუში ფუტკარი ყოფილა და, თაფლის გამოღების მიზნით, ვილაცას მისთვის ცეცხლი შეუკიდებია. ამ დროს დამწვარა ეკლესია (1930 თუ 1931 წ.). იგი მანამ ყავრით ყოფილა ვადახურული. ეკლესიის სიძველეზე მიუთითებს ის ხე, რომელიც კედელში შეზრდილა და გაუხეთქია იგი.

ეკლესიაში მეტად საინტერესო მოწითალო მხატვრული ქვაა, სიმაღლით 66 სმ, განი—77 სმ, რომელზეც გამოსახულია ხელებაწეული წვერიანი ვაჟაკი და მასზე დატაკებული, უკანა ფეხებზე მდგომარე ლომი. ეს შეიძლება იყოს სტილიზებული წმინდა გიორგი, თუმცა ახლა მას ტარიელს უწოდებენ.

ეკლესიის აღმოსავლეთით ძველი საფლავების ქვებია. კეხვის ციხისა და ამ საყდრის ირგვლივ, ახლანდელ ტყეში, წინათ მოსახლეობა ყოფილა და შემდეგ ჩასულა იგი ბარში (შიდა კეხეში).

საყდრის დღეობა აღდგომას იმართებოდა. ყოველ ოჯახს მოჰქონდა თავისი ჯერი. შეთქმულებს, როგორც აქ იტყვიან— შეკვეთილებს, ბატანიც მოკყავდათ, ღამეს აქ ათევდნენ, დილას შესაწირავს კლავდნენ და ნადირობდნენ.

ამ დღეს ამოაბრძანებდნენ აქ შიდა კეხვის ეკლესიის წმინდა გიორგის ხატს და დიდ ვაზის ჭვარს, ილოცებოდნენ, საღამოს შეივლიდნენ დედალეთისაში და დედოფალას წყლის გზით ამოსულნი ასმათის ხევის გზით ბრუნდებოდნენ სოფელშიო.

კეხვის ციხესთან არსებული ქვედა დედალეთისასაგან განსახვევებლად ციხიდან დასავლეთით 4—5 კმ-ზე მდებარე დედალეთისას ეკლესიის ნანგრევებს ზეითას ან წინა დედალეთისას უწოდებენ. იგი დედალეთისას ხევას (ხევის) მარცხენა ნაპირზე დგას ტყეში.

ნაგებობა ბევრჯერ აღუდგენიათ და განუახლებიათ, და ამიტომ ამ ქვის სამხრეთ კედელში ძველი ქართული აგურიც (კვადრატული 25 სმ, სისქე—5 სმ) ბლომადა გამოყენებული. კრამიტია სიგრძით—35 სმ, განით—25 სმ. ნაგებობის სიგრძე—13,5 მ, განი—8 მ. კარი სამხრეთიდან აქვს. შიგ დგას თლილი ქვის ნაქრებისაგან შედგენილი ბოძი. შენობა ძლიერ დაზიანებულია.

საყურათხველის კედელში ხმის გამაძლიერებელი ქვევრია. საყურადღებოა ის გარემოება, რომ თხელკედლიანი მოზრდილი ქვევრი გარედანაც, აღმოსავლეთ კედელშიცაა ჩატანებული, რაც შენობის სიმძიმისაგან განტვირთვის მიზნით გამოუყენებიათ.

აქ ვნახეთ ერთი ლამაზი ჩუქურთმოვანი მუქი ქვის ნატეხი (პირველის სიგრძე — 25 სმ, განი — 18 სმ).

ზეთა დედალეთისას დღესასწაულს კეხველები იხდიდნენ 7 მაისს (ახ. სტილით 20-ს) იმავე წესით, როგორითაც კეხვის წმინდა გიორგისას, ე. ი. აქ ზოგიერთი ღამეს ათევედა და ცხვარსაც კლავდა. უმრავლესობა დღისით ამოდიოდა თავისი კერძით, ამოჰქონდათ კეხვის ეაზის ჭვარი და ხატი და დღეობის დასასრულს ჭვარი სოფელში მიჰქონდათ და ოჯახებში ბრუნდებოდნენ.

ამ დედალეთისას აღმოსავლეთით, 100 მ-დე დაშორებით, ქვითა და კირით ნაშენი ზემოდან თალისებრი გამოქვაბულია (სიგრძე — 5 მ, ჩრდ.-სამხრ. განი — 3.24 მ, კედლის სიმაღლე შიგნიდან — 1,70, შუაგულში — 2 მ-მდე); იგი ჩანგრეულია. ზემოდან თალზე ხეცაა აზრდილი. გამოქვაბული გვაგონებს როკაში შემონახულ აკლამებს, მაგრამ საცხოვრებელი სახლი უნდა ყოფილიყო. ამ ნაგებობას აქ სამალულას უწოდებენ, ამბობენ, შიგლეს ემალებოდნენო.

კეხვი მდ. კეხურას მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს. კეხურას სახელით ცნობილია აგრეთვე ეაშლის საზამთრო ჭიში. გადმოცემით, ამ მდინარეს ეაშლის ხის ნერგი ჩამოუტანია. კეხველებს იგი დაუქერიათ, დაურგავთ, გაუხარებიათ და ამის გამო ამ ჭიშს კეხურა შეარქვესო. კეხვი მთავრდება ითრაფის ხევით (აქაურთა გამოთქმით — ითრაფის ხევა, აქედან იწყება გუფთა). ქურთელ ელიზბარ (ბიჭიკო) ბასიშვილისა და მიხეილ ალექსის ძე დოიჯიშვილის თქმით, ითრაფზე მისვლამდე კლდეში რკინაა ჩასობილი.

И. В. МEGРЕЛИДЗЕ

## НАДПИСИ И ДРУГИЕ ДРЕВНОСТИ ЛИАХВСКОГО УЩЕЛЬЯ

### Резюме

В настоящей тринадцатой части монографии под тем же названием описываются и изучаются памятники грузинской старины X—XIX веков и тексты их надписей, которые встречаются в селах Типва, Корниси, Рустави и Кехви (северо-западнее и севернее от г. Цхинвали).

Первые двенадцать частей вышеназванной монографии автора опубликованы на грузинском языке с резюме на русском языке:

I. «Надписи и другие древности Лиахвского ущелья (Гори-Эргнети)»: Труды Цхинвальского гос. пединститута, т. III, Тбилиси-Цхинвали, 1956, стр. 229—256.

II. «Древности Сталинири [Ц х и в а л и] и З е м о - Н и к о з и»: Названия «Труды», т. I, Цхинвали, 1952, стр. 245—320 (в тексте 27 рисунков).

Стдельное издание — Цхинвали, 1952, стр. 1—80.

III. «Древности Куспрети и их надписи»: XV научная сессия Цхинвальского гос. пединститута, Цхинвали, 1954, стр. 38—42.

IV. «Надписи и другие древности Лиахвского ущелья (Сабацминда-Кемерети)»: Труды Тбилисского гос. пединститута им. А. С. Пушкина, т. XI, Тбилиси, 1957, стр. 81—93.

V. «Надписи и другие древности Лиахвского ущелья (Гери-Ванели-Рока-Едиси-Эрмани)»: Труды Цхинвальского гос. пединститута, т. VII, Тбилиси-Цхинвали, 1959, стр. 137—163.

- VI. «Надписи и другие древности Паца и Джеджора»: Там же, где V, стр. 164—180.
- VII. «Надписи и другие древности Лиахвского ущелья (Згудери)»: Труды Тбилисского гос. университета, т. 99, Тбилиси, 1962, стр. 237—244.
- VIII. «Надписи и другие древности в Икорга»: Вестник Отделения общественных наук Академии наук Грузинской ССР, Тбилиси, 1963, т. 3, стр. 170—185.
- IX. «Надписи и другие древности ущелья Малой Лиахви»: Там же, где VIII, 1963, т. 5, стр. 202—218.
- X. Надписи и другие древности Лиахвского ущелья (Гори-Шиндиси): «Мацне», 1966, № 3, стр. 244—259.
- XI. Надписи и другие древности Лиахвского ущелья (Дополнительные сведения о Земо Никози и Цхинвальских древностях, Тамарашени, Курта): «Мацне», 1969, № 6, стр. 119—132.
- XII. Надписи и другие древности Лиахвского ущелья (Кусирети): «Грузинское источниковедение», III, — сборник, посвященный 75-летию со дня рождения проф. В. Д. Дондуа, Тб., 1971, стр. 98—104.
- XIII. Предлежащая часть.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
შ. რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის  
ისტორიის ინსტიტუტმა)

თელო უთურაბაიძე

პარმონიულ კომპლექსთა დიაქრონიული ინტერაქტივობისა და მათი  
ქართულში

ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში გამოყოფილია „პარმონიულ კომპლექსთა“ A და B რიგი.

პარმონიული კომპლექსები ხასიათდება (1) წარმოთქმის ერთეულობით, (2) კომპლექსთა დეცესიური რიგითა და (3) კომპონენტთა კომოგენურობით<sup>1</sup>.

A და B რიგის კომპლექსებს განასხვავებენ იმით, რომ A რიგის კომპლექსებში წარმოდგენილია ხშული კომპონენტები, ხოლო B რიგის კომპლექსებში გვაქვს როგორც კომბინაცია ხშული+ხშული (პყ, ტყ...<sup>2</sup>), ისე ხშული+ნაპარალოვანი.

გ. ახვლედიანის თვალსაზრისით, B რიგშიც ამოსავალია ხშულთა წყვილები. ხშული+ნაპარალოვანი (ბღ, ფხ...) მეორეულია, მიღებული მომდევნო წევრის განაპარალოვნებით<sup>3</sup>.

ს. ქლენტის ვარაუდით, „...ქართველურ ენათა დიალექტების მონაცემები ნათლად მიუთითებენ თანხმოვანთა პარმონიულ კომპლექსთა მეორეულ, უფრო გვიანდელ წარმოშობაზე“<sup>4</sup>.

პარმონიულ კომპლექსებზე ჩვენი შემდგომი მსჯელობიდან უნდა გამოვრიცხოთ წარმოთქმის ერთეულობა. საერთოდ, რაც უფრო იზრდება თანხმოვნის მეზობელი ბგერის ნაპარალოვნობა, მით უფრო ადვილი ხდება კომპლექსის წარმოთქმა. უთუოდ ამის დადასტურებას წარმოადგენს თანხმოვნის ხმოვანთან შეხორცების გაცილებით უფრო დიდი უნარი, ვიდრე ეს გააჩნია ნებისმიერ ორ თანხმოვანს. მაშასადამე, ამ ნიშნის მიხედვით პარმონიული კომპლექსი გამოგვივა ყველა კომბინაცია ხშულისა ნაპარალოვანთან. უდავოა გ. ახვლედიანის შემდეგი დებულება: „...слияние спиранта со смычным физиологически представляет меньше трудности, чем смычного со смычным“<sup>5</sup>.

წარმოთქმის ერთეულობა ქართული ენის თანხმოვანთა კომპლექსების სისტემის აღწერის თვალსაზრისით არსებითი არ არის.

1 გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, 1949, გვ. 108.

2 /ჟ/ მიჩნეულია ხშულ ფონემად.

3 გ. ახვლედიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 306.

4 ს. ქლენტი, კვლევა თანხმოვნების პარმონიულ კომპლექსთა შესახებ; ქართველურ ენათა ფონეტიკის საკითხები, 1965, გვ. 176.

<sup>5</sup> Г. С. Ахвледiani, Две системы гармонических смычных в грузинском языке; კრებულში: „Памяти Л. В. Щербы“, Ленинград, 1951, გვ. 115.

უთუოდ სიმპტომატურია ექსპერიმენტული კვლევის შედეგებიც: აჭაუფის კომპლექსებში (ბგ, ღგ, თქ...) კომპონენტები დამოუკიდებელი აღმოჩნდნენ შემართვა-დამართვის მიხედვით<sup>6</sup> — ეს საერთოდ შეიძლება ითქვას ხშულთა ნებისმიერ კომბინაციაზე.

ქართულ ენაში ხშულთა და ნაპარალოვანთა ნებისმიერი კომბინაცია დასტურდება გარკვეული პირობების დაცვით. ქვემოთ ჩვენ განვიხილავთ სამ სინტაგმატურ მოდელს, რომლებიც მოიცავენ ამ კომბინაციებს.

თუ თანხმოვნებს გავაერთიანებთ ხშულთა და ნაპარალოვანთა ორ სერიაში და ნაპარალოვანთა კლასიფიკაციას მოვახდენთ ნაპარალოვნობის ხარისხის მიხედვით, ქართულში მივიღებთ სამ სინტაგმატურ მოდელს: I. მზარდი ნაპარალოვნობის, II. დამავალი ნაპარალოვნობისა და III. ნულოვანი ნაპარალოვნობის მოდელებს.

დაშვებული და დაუშვებელი კომბინაციების მისაღებად ქართულში გამოიყოფა ხშულ და ნაპარალოვან თანხმოვანთა ოთხი კლასი აქტიური საწარმოთქმო ორგანოს მიხედვით, ესენია:

I ბ ფ ვ მ ვ;

II დ თ ტ ძ ც წ ჯ ჩ ქ ზ ს ე უ;

III გ ქ კ ლ ხ ყ ჯ;

IV (0) რ ლ ნ<sup>7</sup>.

ამ კლასთა კომბინაციები წყვილ თანხმოვანთა ფარგლებში #—V პოზიციაში აღიწერება შემდეგი ზოგადი წესით: ერთიმეორის მომდევნოდ შეიძლება შეგვხვდეს მხოლოდ სხვადასხვა კლასის წევრები.

აქტიურ საწარმოთქმო ორგანოთა მიხედვით გამოყოფილ კლასებს ვუწოდოთ რიგები, ე. ი. რიგის გრაფაში /რ ლ ნ/ სონორთა კლასს დაწერება ნული, რადგანაც ეს კლასი გამოყოფილია არა აქტიური საწარმოთქმო ორგანოს მიხედვით, არამედ ზემოთ აღნიშნული ფონემატური წესის საფუძველზე.

მიღებული სამი სინტაგმატური მოდელი განვიხილოთ ცალ-ცალკე და შემდეგ ვცადოთ მათი ერთ მოდელში მოქცევა.

**მზარდი ნაპარალოვნობის მოდელის კომპლექსები.** მზარდი ნაპარალოვნობის მოდელში კომპლექსები ერთიანდება შემდეგი წესით: ყოველი მომდევნო წევრი ეკუთვნის ფონემათა სხვა რიგს და წინამავალს აღემატება ნაპარალოვნობით; კომპლექსის პომოგენურობა აუცილებელია, თუ მომდევნო წევრისთვის დაპირისპირება მულერობა-სიყრუის მიხედვით რელევანტურია.

<sup>6</sup> Н. С. Кутелня. Экспериментально-фонетическое исследование двух систем гармонических комплексов в грузинском языке: Фонетический сборник, 1, 1959.

<sup>7</sup> Ф. Г. Утургайдзе, фонематическая структура горских диалектов грузинского языка в соотношении с литературным языком, 1969, გვ. 15—17; თ. უთურგაიძე, ქართული ენის მთის კოლოთა კონსონანტიზმი სალიტერატურო ქართულთან მიმართებით, კრებული: „მეტყველების ანალიზის საკითხები“, 1969, გვ. 164.

კომპლექსთა კომპონენტების დეცესიურ-აქცესიური თანამიმდევრობა მთელი მოდელის მიხედვით ქარბია, რამდენადაც არსებობს აღმავალი ნაპარალოვნობის აქცესიური კომპლექსებიც დეცესიურთა გვერდით: გზ-, ქს-, კს-, ქშ-, კშ-, სვ-, შვ, თვ-, გმ-, მმ- და სხვ.

წესის რეალიზაცია ენაში თითქმის 100%-იანია. არ არის რეალიზებულ თითო-ოროლა კომპლექსი, რომლებიც ვირტუალურად ჩაითვლება. ჩვენ ამ მოდელს ვუწოდებთ ქართული ენის ძირითად ფონემატურ მოდელს.

აღმავალი ნაპარალოვნობის მოდელის კომპლექსები. ქვემოთ სამ ცხრილში (I, II, III) წარმოდგენილია აღმავალი ნაპარალოვნობის კომპლექსთა რეალიზაცია ქართულში.

- I ცხრილში წარმოდგენილია კომბინაცია სონორი+ხშული,
- II ცხრილში — სონორი+არასონორი ნაპარალოვანი,
- III ცხრილში — არასონორი ნაპარალოვანი+ხშული.

ცხრილი I

		ხ შ უ ლ ე ბ ი														რეალიზაცია			
		ბ	ფ	პ	ღ	თ	ტ	ძ	ც	წ	ჩ	კ	გ	ქ	ყ	ჭ	+	-	
																+	-		
სონორები	რ	+	-	-	-	+	+	+	-	+	+	+	+	+	+	+	-	11	5
	ლ	+	-	+	-	-	+	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	3	13
	ნ	-	-	-	+	+	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	2	14
	შ	⊗	⊗	⊗	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	13	0
	ჰ	⊗	⊗	⊗	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	0	13

ცხრილი II

		არასონორი ნაპარალოვნები							რეალიზაცია	
		გ	ს	ჟ	შ	ღ	ხ	ყ	+	-
									+	-
სონორები	ნ	-	-	-	-	-	-	-	0	7
	რ	-	-	-	-	-	+	+	2	5
	ლ	-	-	-	-	÷	+	-	2	5
	შ	+	+	+	÷	+	+	+	7	0
	ჰ	-	+	-	-	-	-	-	1	6

ცხრილი III

		ხ მ ე ლ ე ბ ი														რეალიზაცია				
		ბ	გ	კ	ღ	თ	ძ	ძ	ც	წ	ჩ	ც	ც	ქ	კ	კ	კ	+	-	
არასწორი ნაპრალოვნები	ზ	-	-	-	☉	☉	☉	☉	☉	☉	☉	☉	☉	☉	-	-	-	-	0	
	ს	-	-	+	☉	☉	☉	☉	☉	☉	☉	☉	☉	☉	-	+	+	-	3	4
	ა	-	-	-	☉	☉	☉	☉	☉	☉	☉	☉	☉	☉	-	-	-	-	0	7
	შ	-	+	-	☉	☉	☉	☉	☉	☉	☉	☉	☉	☉	-	+	+	-	3	4
	ლ	-	-	-	+	-	-	+	-	-	+	-	-	☉	☉	☉	☉	3	9	
	ხ	+	-	-	+	-	+	-	-	-	-	+	-	☉	☉	☉	☉	4	8	
	ყ	+	-	-	+	-	-	-	-	-	-	-	-	☉	☉	☉	☉	2	10	

ცხრილებში შავი წრით წარმოდგენილია უჯრები, რომელთა კომპლექსები აკრძალულია ძირითადი წესით („ერთი და იმავე კლასის ფონემები კომპლექსს ვერ ქმნიან თავკიდურად“).

როგორც ცხრილებიდან ჩანს, 173 შესაძლებლობიდან დამავალი ნაპრალოვნობის მოდელში რეალიზებულია მხოლოდ 56 კომპლექსი, არ არის რეალიზებული 117—თითქმის 68%. ამის საფუძველზე ჩვენ მას ვუწოდებთ არაძირითად მოდელს.

დამავალი ნაპრალოვნობის მოდელში რეალიზებულია როგორც ჰომოგენური, ისე ჰეტეროგენული კომპლექსები; ასევე გვაქვს ფონემათა როგორც აქცესიური, ისე დეცესიური თანამიმდევრობა. ჰომოგენურობის, ჰეტეროგენულობის, აქცესიურობისა და დეცესიურობის მიხედვით ენაში გამოიყოფა ფონემათა კომპლექსების ოთხი სახის კომბინაცია I. ჰომოგენური აქცესიური, II. ჰომოგენური დეცესიური, III. ჰეტეროგენული აქცესიური დ. IV. ჰეტეროგენული დეცესიური კომპლექსები.

ქართულში ოთხივე კომბინაცია დასტურდება:

- I. ჰომოგენური აქცესიური კომპლექსები: რბ-, რძ-, რჭ-, ლბ-, ნდ-, შფ-დდ-, ღძ-, ლჯ-, ხჩ-;
- II. ჰომოგენური დეცესიური კომპლექსები: რგ-, ლლ-, მდ-...<sup>8</sup>, სქ-, შქ-
- III. ჰეტეროგენული აქცესიური კომპლექსები: სპ-, ხბ-, ხდ-, სტ-, ყნ-, ყდ-, ლპ-;
- IV. ჰეტეროგენული დეცესიური კომპლექსები: რქ-, რყ-, რყ-, ლსკ-, შკ-.

თუმცა (რღმნე) ფონემებისთვის ფონოლოგიურად რელევანტური არ არის დაპირისპირება მკლერობა-სიყრუის მიხედვით, ისინი ამ კომბინაციებში

<sup>8</sup> მ რეალიზებულია თითქმის ყველა ჩქამიერი თანხმოვნის წინ.

წარმოდგენილია იმისთვის, რომ მსჯელობის გარეშე არ ღარჩეს ამ ფონემათა მონაწილეობით შექმნილი კომპლექსები აქცესიურობა-დეცესიურობის თვალსაზრისით, რისი გაუთვალისწინებლობაც სინქრონიულ და დიჰრონიულ ძიებებში, როგორც ენახავთ, გაუმართლებელია.

რადგან ენაში რეალიზებულია ოთხივე კომბინაცია, მხოლოდ რომელიმე მათგანის თვისებათა (მაგალითად, ჰომოგენურობისა და დეცესიურობის) მიხედვით შემოფარგვლა მოდელს დაავიწროებს. ამიტომ დამავალი ნაპარალოვნობის მოდელის მასშტაბით აქცესიურობა და დეცესიურობა კომპლექსისა, აგრეთვე მისი ჰომოგენურობა და ჰეტეროგენულობა ქარბად უნდა მივიჩნიოთ.

სტრუქტურული თვალსაზრისით სინქრონიულ დონეზე უთუოდ საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ვ, ლ, ნ სონორები და ჩქამიერი ნაპარალოვნები არ გვხვდება მათზე ნაკლები ნაპარალოვნობის მქონე ფონემების წინ.

ნულოვანი ნაპარალოვნობის მოდელის კომპლექსები. ნულოვანი ნაპარალოვნობის კომპლექსებში დამავალთა ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს რეალიზაციის მიხედვით. ქვემოთ წარმოდგენილია ხშულთა კომბინაციების ცხრილი.

ხშულთა კომბინაციების ცხრილი

		ხ შ ე ლ ე ბ ი															რეალიზაცია		
		ბ	ფ	პ	ღ	თ	ტ	ძ	ც	წ	ჩ	ხ	კ	კ	ქ	ც			
		+	-																
ა	ბ	⊗	⊗	⊗	-	-	-	+	-	-	+	-	+	+	-	-	-	4	9
	ფ	⊗	⊗	⊗	-	+	-	-	-	-	-	-	-	-	+	-	-	2	11
	პ	⊗	⊗	⊗	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	+	-	1	12
	ღ	-	-	-	⊗	⊗	⊗	⊗	⊗	⊗	⊗	⊗	⊗	⊗	+	-	-	1	12
	თ	+	-	-	⊗	⊗	⊗	⊗	⊗	⊗	⊗	⊗	⊗	⊗	-	+	-	2	11
	ტ	-	-	-	⊗	⊗	⊗	⊗	⊗	⊗	⊗	⊗	⊗	⊗	-	-	+	1	12
	ძ	-	-	-	⊗	⊗	⊗	⊗	⊗	⊗	⊗	⊗	⊗	⊗	+	-	-	1	12
	ც	+	-	-	⊗	⊗	⊗	⊗	⊗	⊗	⊗	⊗	⊗	⊗	-	+	-	4	9
	წ	+	-	-	⊗	⊗	⊗	⊗	⊗	⊗	⊗	⊗	⊗	⊗	-	-	+	4	9
	ჩ	-	-	-	⊗	⊗	⊗	⊗	⊗	⊗	⊗	⊗	⊗	⊗	+	-	-	2	11
	ხ	+	-	-	⊗	⊗	⊗	⊗	⊗	⊗	⊗	⊗	⊗	⊗	-	+	-	3	10
	კ	-	-	-	⊗	⊗	⊗	⊗	⊗	⊗	⊗	⊗	⊗	⊗	-	-	+	2	11
	კ	+	-	-	+	-	-	+	-	-	-	-	-	⊗	⊗	⊗	⊗	3	10
	ქ	-	-	-	-	-	-	-	+	-	-	-	-	⊗	⊗	⊗	⊗	1	12
	ც	+	-	-	+	-	-	-	-	-	-	-	-	⊗	⊗	⊗	⊗	2	11
ც	+	-	-	+	-	-	-	+	-	-	-	-	⊗	⊗	⊗	⊗	3	10	



ცხრილებში შავი წრით წარმოდგენილია უკრები, რომელთა კომპლექსები აკრძალულია ძირითადი წესით; წრეში ჩასმული პლუსით წარმოდგენილია ჰომორგასულ ფონემათა რეალიზებული კომპლექსები, რომლებიც აკრძალულია ძირითადი წესით.

სხვადასხვა კლასის ფარგლებში გვხვდება ხშულთა 29 კომბინაცია თეორიულად შესაძლო 150 კომპლექსიდან, ე. ი. რეალიზებულია მხოლოდ 19,3%. კლასის ფარგლებში კი 106 შესაძლებლობიდან რეალიზებულია 7, ე. ი. მთელი შესაძლებლობის 6,6%.

მთლიანად ხშულთა თეორიულად შესაძლო 256 კომბინაციიდან (16×16) რეალიზებულია 36, ე. ი. მთელი შესაძლებლობის 14%.

ასეთი მცირე რეალიზაციის გამო ამ მოდელსაც ეუწოდებთ არაძირითად მოდელს.

ჰეტეროგენულ თანხმოვანთა კომპლექსები აქცესია-დეცესიის მიხედვით დაიყოფა ორ ჯგუფად. აქცესიურთა ჯგუფში ერთიანდება 13 კომპლექსი (თბ-, ცბ-, წბ-, ჩბ-, გბ-, გლ-, ქტ-, კბ-, კლ-, კბ-, ქლ-, ქტ-, გტ-, დტ-, ცქ-, წქ-, ჯგ-, ჩქ-, კქ-).

აი ჰომორგანული ჯგუფის 7 კომპლექსიც: ცლ-, ცთ-, წლ-, წთ-, ჩთ-, ქლ-, ჯლ-.

ჰომოგენურობა-ჰეტეროგენულობისა და აქცესიურობა-დეცესიურობის მიხედვით გამოყოფილ ოთხსავე კომბინაციაში წარმოდგენილია ხშულ თანხმოვანთა გარკვეული რაოდენობის კომპლექსები, კერძოდ:

I. ჰომოგენური აქცესიური კომპლექსები: გბ-, გლ-, გა-, ქტ-, ქც-.

II. ჰომოგენური დეცესიური კომპლექსები: ბძ-, ბჯ-, ბგ-, ფთ-, ფქ-, ჰკ-, დგ-, თქ-, ტკ-, ძგ-, ცქ-, წკ-, ჩგ-, ჩქ-, კქ-.

III. ჰეტეროგენული აქცესიური კომპლექსები: თბ-, ცბ-, წბ-, ჩბ-, კბ-, კლ-, ქლ-.

IV. ჰეტეროგენული დეცესიური კომპლექსები: ბქ-, დაუმატებთ ბწყ-, ბტყ-... კომპლექსებს, რომლებიც წარმოადგენენ ბრწყ-, ბრტყ-... კომპლექსთა დუბლეტებს.

მაშასადამე, აქცესიური და დეცესიური რიგი, ისევე როგორც კომპლექსთა ჰომოგენურობა და ჰეტეროგენულობა, შესაძლებელია ქარბად მივიჩნიოთ ამ მოდელშიც და ხშულთა კომპლექსების რეალიზაციისთვის, რელევანტურად ჩავთვალოთ ნულოვანი ნაპრალოვნობა.

ჰომორგანულ კომპლექსებშიც, როგორცაა: ცლ-, ცთ-, წლ-, წთ-, ჯლ-, ქლ-, ჩთ-, რელევანტურია ნულოვანი ნაპრალოვნობა და ეს ჯგუფი ცალკე არ გამოიყოფა ხშულთა ამ მოდელიდან.

თანხმოვანთა ზემოთ წარმოდგენილ კომპლექსებს აქვთ დუბლეტები სა-

ერთოდ მთელი ენის მასშტაბით, ანდა ენის რომელსავე ქვესისტემაში; მაგალითად: თბ- /თფ-, კბ- /კპ-, კდ- /კტ-, ბჟ- /პჟ-, ბწყ- /პწყ- და სხვა—მათ შესახებ ქვემოთ.

ზემოთ ჩატარებული ანალიზის საფუძველზე სინქრონიულ კრილში შეიძლება წარმოედგინოს საერთო სქემა სამივე მოდელისთვის.

ქართული ენის თანხმოვანთა წყვილების რეალიზაციის მოდელი  
#—V პოზიციაში

		სერიები		ნაპარალოლობის ზრდის მიმართულება
		I ხშულები (არანაპარალონები)	II. ნაპარალონები	
რიგები	1	ღ თ ტ ძ ც წ ჯ ჩ კ	ზ ს ე შ	↓
	2	ბ ქ კ ქ	ღ ხ ყ	
	3	ბ ფ პ	ვ მ	
	0	—	რ ლ ნ	

ქართული ენის თანხმოვანთა საერთო ფონემატური მოდელი #—V პოზიციაში იმუშავებს შემდეგი წესით: ერთი რიგის რომელიმე ფონემას შეიძლება მოსდევდეს სხვა რიგის ფონემა. მზარდი ნაპარალოვნობის იმ კომპლექსებში, რომლებშიც მომდევნო წევრისთვის დაპირისპირება მედერობა-სიყრუის მიხედვით რელევანტურია, კომპლექსი უთუოდ ჰომოგენურია.

წინამდებარე მოდელი წარმოადგენს 1969 წელს ჩვენ მიერ წარმოდგენილ მოდელის მოდიფიკაციას სქემატური და შესაბამისად ფუნქციონალური თვალსაზრისით<sup>9</sup>.

წინამდებარე მოდელი აკმაყოფილებს როგორც წყვილ თანხმოვანთა კომპლექსებს, ისე სამ- და მეტწევრიან თანხმოვანთა კომპლექსებსაც, გარდა წყვეტილი ნაპარალოვნობის მცირერიცხოვანი კომპლექსებისა (თრთ-, ფრთხ-, ბრღღენ...), ოღონდ წინამდებარე მოდელის კანონზომიერებები ხსნის იმ ფონეტიკურ პროცესებსაც, რომელთაც ადგილი აქვთ წყვეტილი ნაპარალოვნობის კომპლექსებში (იხ. ქვემოთ).

საყურადღებოა მოდელის მიღების მეთოდური გზა: თანხმოვანთა წყვილების ქვესისტემის სტრუქტურამ განსაზღვრა როგორც ფონემათა რიგის თანამიმდევრობა, ისე კომპლექსთა კომპონენტების შესაძლო რიცხვიც ენის ძირითად მოდელში<sup>10</sup>.

არაძირითადი მოდელის (წყვეტილი ნაპარალოვნობის მოდელის ჩათვლით) კომპლექსთა მისაღებად კი საკმარისი გახდა მხოლოდ ფონემათა სხვადასხვა რიგში (resp. კლასებში) განაწილება, რითაც დაკმაყოფილდა ზოგადი წესი — „ერთ ფონემას შეიძლება მოსდევდეს სხვა რიგის ფონემა“.

<sup>9</sup> იხ. Ф. Г. Утругандзе, Фонематическая структура горских диалектов грузинского языка в соотношении с литературным языком, 1969. გვ. 15—18.

<sup>10</sup> ვეღ. H. Vogt, Phoneme classes and phoneme classification. „Word“, April, 1954, v. 10, № 1.

1969 წლის ჩენი მოდელის მოდიფიკაცია 1970 წელს წარმოადგინა .ც. ლენაძემ<sup>11</sup>. ჩენი მოდელის ც. ლენაძისეული მოდიფიკაცია ფონოლოგიურად გაუმართლებელია, რადგან მოდელი გაზრდილია ხელოვნურად და ამის შედეგად ვიღებთ ქართული ენისათვის გაუმართლებელ ქვესისტემებს, კერძოდ: (1) ამ მოდელში წარმოდგენილია ორი მ (1 და მე-რიგში) და ორი რ (მე-2 და მე-6 რიგში); (2) ვ გამოყოფილია 1 რიგისგან და ქმნის ცალკე მე-5 რიგს<sup>12</sup>. ფონემათა რიგების (resp. კლასების) ასეთი გადაჯგუფება<sup>13</sup>, უპირველეს ყოვლისა, გაუმართლებელია თეზისებში წარმოდგენილი დებულებებით. მე-3 თეზისში მოდელს ახლავს განმარტება: „ვერტიკალურად (სვეტებში) წარმოდგენილია თანხმოვნები, რომელნიც შეიძლება თანამიმდევრობით შეგვხვდნენ თავილურა კომპლექსებში (მაქსიმუმ ექვსი წევრით). პორიზონტალურად (რიგებში) მოცემულია თანხმოვნები, რომელთაგან ერთ-ერთი შეიძლება შეგვხვდეს სხვა რიგების ცალკეულ თანხმოვნებთან კომპოზიციაში ამგვარი კომპლექსების საწარმოებლად“<sup>14</sup>.

ამ განმარტების საფუძველზე შესაძლებელია თანმიმდევრობით შეგვხვდნენ თავილურა კომპლექსები მ პირველი რიგისა (მი) და მ მეექვსე რიგისა (მე), ე. ი. თავილურად საეარაულებელია მმ-კომპლექსი. ანალოგიური გზით მივიღებთ რრ-კომპლექსსაც. ამ კომპლექსების დაშვება უთუოდ დიდი ნაკლია მოდელისთვის.

რადგანაც, განმარტების მიხედვით, რიგის რომელიმე წევრი კომპლექს ქმნის სხვა რიგის რომელიმე წევრთან, უნდა ვივარაუდოთ, რომ ერთი რიგის წევრები კომპლექსს ვერ ქმნის (წინააღმდეგ შემთხვევაში აზრიც არ ექნებოდა ფონემათა რიგებში განაწილებას). მ-ს შეყვანით მე-6 რიგში /რლნ/-სთან ეს წესი ირღვევა, რამდენადაც ქართულში აკრძალული არ არის მრ-, მლ-კომპლექსები თავილურად, ხოლო ვ-ს ცალკე მე-5 რიგად გამოცხადება მოდელს საშუალებას აძლევს, ამ ფონემის კომბინაციები დაუშვას პირველი რიგის /ბფპმ/-სთან, რაც სინამდვილეში აკრძალულია. ამ მოდელის ნაკლოვანებებზე უფრო ვრცლად შეიძლება ლაპარაკი.

რეალიზებული კომპლექსები განვიხილოთ დიაქრონიული ასპექტში ზემოთ განხილული სამი მოდელის მიხედვით.

I. მზარდი ნაპარალოვნობის მოდელის კომპლექსები. ამ მოდელში გვაქვს როგორც პირველადი, ისე მეორეული კომპლექსები, ასე მაგალითად, პირველადია ქს- (ქსონა), კშ- (კშირი), თხ- (თხელი), ბე- (ბეუტავს), გზ- (გზა), ქშ- (ქშენა), ფხ- (ფხა), ზღ- (ზღა/ზღვა), ბზ- (ბზე), თვ- (თქალი/თვალი), ძმა- (ძმარი) და სხვ.

მეორეულია: კშ- (<ქაშ), ძლ- (<ძალ), ძღ- (<ძელ) და სხვა მრავალი.

ქართული ენის ქვესისტემების მიხედვით ამოსავალ (resp. საერთო-ქართულ) დონეზე უნდა ვივარაუ-

ც. ლენაძე, თავილურა კომპლექსები ქართულში (ხელმძღვანელი პროფ. თ. გამყრელიძე): ისტ სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია, XXXII, 1970; გვ. 21.

<sup>12</sup> იქვე.

<sup>13</sup> ზღრ. ფ. გ. Утургадзе, Фонематическая структура горских диалектов грузинского языка в соотношении с литературным языком, 1969, გვ. 15.

<sup>14</sup> ც. ლენაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 21.

დოთ თანხმოვანთა აღმავალი ანუ მზარდი ნაპრალოვნობის კომპლექსების არსებობა<sup>15</sup>. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ბევრ მათგანს შესატყვისები მოეპოვება სვანურ-ზანურში, ვერ დაუშვებთ, რომ პარმონიულ კომპლექსთა სისტემის ხშულ-ნაპრალოვან ფონემათა კომპლექსებისათვის (ბღ, თხ, დღ, ცხ...) ამოსავალია ხშულთა კომპლექსები, როგორც გ. ახვლედიანი ვარაუდობს (იხ. ზემოთ).

II დამავალი ნაპრალოვნობის მოდელის კომპლექსები. დამავალი ნაპრალოვნობის მოდელი ხასიათდება კომპლექსთა მცირე რეალიზაციით, რის გამოც ჩვენ მას არაძირითადი მოდელი ვუწოდეთ. ამ მოდელში შედარებით უკეთესი რეალიზაციით გამოირჩევა რ-სა და მ-ს ქვეკლასები. მათი მეორეულობა აშკარაა. რ- მიღებულია ს-სგან (რ<ს), რომელიც ძირთან შეხორცებული პრეფიქსია (ს-ძე>რძე, ს-წვეა>რწვეა, ს-წყვა>რწყვა...)<sup>16</sup>; მ-ც ასევე პრეფიქსული ელემენტია ძირთან შეხორცებული (მგნე<მ-გნ-ე), მრუში<მ-რუში...)<sup>17</sup>.

ზოგი კომპლექსი შედგება ძირეული მორფემის კუმშვისა; მაგ.: ნთ- (<ნათ), რბ- (<რებ).

უთუოდ სიმპტომატურია, რომ /ვ/-ს რეალიზაცია ხშულებთან დამავალი ნაპრალოვნობის მოდელში ნულის ტოლია (არ არსებობს ვღ-, ვთ-, ვტ-, ვჩ-...), რომ არასონორი ნაპრალოვნების წინაც ვ-ს რეალიზაციის მხოლოდ ერთი შემთხვევა გვაქვს ეს-ს სახით ნ ა ს ე ს ხ ე ბ ვ ს ე ბ ა სიტყვაში<sup>18</sup>. /ნ/-სა და /ლ/-საც ძალიან მცირე რეალიზაცია აქვთ არასონორ ნაპრალოვანთა და ხშულთა წინ. /ნ/, მაგალითად, არასონორ ნაპრალოვანთა წინ საერთოდ არა გვხვდება (ნზ-, ნს-, ნე-, ნზ-, ნღ- ნხ-, ნყ-) და სხვ.

ზოგი კომპლექსი მხოლოდ ნასესხებ სიტყვებში გვხვდება: შფ- (შფოთი), ღღ- (ღღინი)...

დამავალი ნაპრალოვნობის კომპლექსები მეორეულია ქართული ენისთვის.

111. ნულოვანი ნაპრალოვნობის მოდელის კომპლექსები. ამ მოდელის კომპლექსთა მეორეულობა ხშირად ადვილად დგინდება, მაგ.: ქც- (<ქეც), კღ- (<კეღ)... ბკ- (<ბრკ), ბძ- (<ბრძ), ჩღ- (<ჩრღ), ბჯ- (<ბრჯ) და სხვა.

სტრუქტურული თვალსაზრისით უთუოდ სიმპტომატურია, რომ არა გვაქვს კომბინაცია ლაბიალური ხშული+დენტალური ხშული და პირიქით. სიმპტომატურია ისიც, რომ A ჯგუფის ცნობილ „პარმონიულ კომპლექსთა“ გვერდით ძველი ქართული ენა და თანამედროვე დიალექტები (სადაც /კ/ შემო-

<sup>15</sup> შტრ. ს. ელენტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 176.

<sup>16</sup> არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, გვ. 169; აკ. შანიძე, სტრუქტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში, კრებულში: ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, I, 1967; გვ. 210; თ. გამყარელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლატი ქართველურ ენებში, 1965, გვ. 318; თ. უთურგაიძე, ქართული ენის პირის კილოთა კონსონანტიზმი..., კრებულში: „მეტყველების ანალიზის საკითხები“, 1969; გვ. 140.

<sup>17</sup> არნ. ჩიქობავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 149, 155.

<sup>18</sup> მზია ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, 1966; გვ. 87; Ф. Г. Утурганидзе, Фонематическая структура., 1969.

ნახულია) არ იცნობს ნულოვანი ნაპრალოვნობის დეცენსიურ კომპლექსებს /კ/ ხშულით, როგორცაა: ფქ, თქ, ცქ, ჩქ.

**შემოწმება.** ფონემატური ანალიზი შემოწმებადია. შემოწმების პროცედურა კარგად ავლენს სინქრონიული და დიაქრონიული ჭრილების მონაცემთა კავშირ-ურთიერთობებს, კერძოდ, თითოეული პლანის კვლევებისას მეორე პლანის მონაცემთა გათვალისწინების სარგებლიანობას (დაწვრილებით ან მომენტზე აქ არ შეეჩერდებით).

ძირითადი და არაძირითადი მოდულების შემოწმება ხდება ფონეტიკური პროცესებით, რომელთაც ადგილი აქვთ ენაში. ეს პროცესები ქართულში მიმართულია მზარდი ნაპრალოვნობის მოდელისკენ. გადასვლა მზარდი ნაპრალოვნობის მოდელზე ხდება სუბსტიტუციის, ხშულთა სპირანტიზაციისა და ნაპრალოვანთა დესპირანტიზაციის გზით, რაც კიდევ ერთი დადსტურებაა იმისა, რომ მზარდი ნაპრალოვნობის მოდელი, გარდა იმისა, რომ ძირითადად, ამავე დროს არის პირველადი, ხოლო არაძირითადი მოდულების კომპლექსები მეორეულია:

დამავალი ნაპრალოვნობის მოდელი გადადის ძირითადზე მეტათეზისით:

ხს>სხ: (ქსნა>) ხსნა>სხნა

ხშ>შხ: (ქშირი>) ხშირი>შირი

ვტ>ტვ: ვტირი>ტირი

ვჩ>ჩვ: ვჩეჩ>ჩეჩ და სხვ.

დესპირანტიზაციით:

მშ>ფშ: მშვილდი>ფშვინდი, მშველი>ფშველი, მშაველი>ფშაველი (შდრ. ნახ. შოვ „ფშაველი“ — მ-შაველ).

მხ>ფხ: მხალი>ფხალი, მხარი>ფხარი

მზ>ბზ: მზე>ბზე, მზად>ბზად

ვს>ფს: ვსება>ფსება

მე>ბე: მეავე>ბეავე

დესპირანტიზაცია ხდება კლასის ფარგლებში: სპირანტი გადადის თავისი კლასის (resp. რიგის) ხშულში და პომოგენურობის მიხედვით ემორჩილება მზარდი ნაპრალოვნობის კომპლექსებში არსებულ წესს (იხ. ზემოთ).

ნულოვანი ნაპრალოვნობის მოდელი გადადის ძირითადზე სპირანტიზაციით:

ბძ>ბზ: ბრძანება>ბძანება>ბზანება

წბ>წმ: წბილება>წმილება-გაწმილება „გაწბილება“

კბ>კმ: კბენა>კმენა. ვფიქრობთ, სალიტერატურო ქართულის კენეტა და კმენდა ფორმებში კვ და კმ კომპლექსები ამოსავალი კბ-დან არის მიღებული: \*კბნეტა>კვენეტა, \*კბენდა>კმენდა კვ-/კმს-ამოსავალი კბ იგივეა, რაც კბილ-ის ძირეული კბ- (მორფოლოგიური თვალსაზრისით შდრ. ფშვენეტა, ფშვენ-დავფშვენ, ფშვენეტა<ფშვ-ნეტა, როგორც კბენ-/\*კბ-ენ-ეტა>კბნეტა>კვენეტა).



ანტები ლექსიკურ-გრამატიკული სემანტიკის რეალიზაციას არ უნდა უშლიდეს ხელს.

ხშულთა კომპლექსებთან დაკავშირებით უთუოდ უნდა შევეხოთ ერთ ტენდენციას, რომელიც გარკვეული კანონზომიერებით იჩენს თავს ქართული ენის ზოგიერთ სისტემაში — ეს არის ნულოვანი ნაპარალოვნობის მოდელის კომპლექსთა გადასვლა დამაქალი ნაპარალოვნობის მოდელზე თავკიდურა ხშული კომპონენტის სპირანტიზაციის გზით.

<sup>12</sup> ს.ს. ორბელიანი, თხზულებანი, ტ. IV, თბ., 1966.

<sup>13</sup> ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. IV, თბ., 1958.

<sup>14</sup> ს.ს. ორბელიანი, თხზ., წ. I, თბ., 1966.

<sup>15</sup> იქვე.

<sup>16</sup> ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VI, 1960.

ელემენტი<sup>17</sup>. ს.-ს. ორბელიანის ლექსიკონში 'სულჯუნი' გარდაზეილი ბრტყელი ყველი<sup>18</sup>. აღნიშნულ მეტყველებაში ეს სიტყვა ქართულიდან ჩ.ნს შესული.

ყუგა/хиндој ინდოური. აზერბაიჯანულში лсш, хинд хорзуу, хиндушка. საკვლე მეტყველებაში ყუგა-ს პარალელურად იმავე მნიშვნელობით იხმარება აგრეთვე სიტყვა хиндој.

ჩვენი ვარაუდით ყუგა უნდა იყოს ქართული ჭუკი<sup>19</sup>, ჭუკა. ცნობილია, რომ მკლერი ყ თანხმოვანი წარმოადგენს ქართული მკეეთრი „ჭ“ თანხმოვნის კანონზომიერ რეფლექსს<sup>20</sup>.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ თურქული ენის ყარამურადის, მალყარის, თეჟირდაღის დიალექტებში დაიძებნა суга სიტყვა, რომელიც გ.ნმ რტვებულია შემდგენიარად: hindi yavrusu 'ინდურის ბ.რტყი, ჭუკი'; იგივე სიტყვა ბალიქსირისა და ჭოჯელის დიალექტებში იხმარება წიწილის (piliç) მნიშვნელობით<sup>21</sup>.

сашубли — საშუბლე. სახლის ბოძებზე გადებული ხე, რომელზეც კოჭების თავები იდება, სახლის ფასადის მხარეს გადებული გათლილი მორი<sup>22</sup>. აზერბაიჯანულ. სალიტერატურო ენაში ეს სპეციალური სამშენებლო ტერმინი გადმოცემულია სიტყვით 'алынлык'<sup>23</sup>. იგივე ტერმინია გამოყენებული თურქულ ენაში 'alınlık'<sup>24</sup>.

სიტყვა 'საშუბლე' მიეკუთვნება წარმოქმნილ სახელთა მეორე ჯგუფს<sup>25</sup> — სა-შუბლ-ე. საინტერესოა, რომ ქართული სა-შუბლ-ე თურქული alın-lık, აზერბაიჯანული алын-лык, რუსული на лон-ник — წარმოქმნილ სიტყვების ძირი საერთოა მნიშვნელობით.

чинчар<sup>26</sup> (აზ. кичиткән) ჭინჭარი, ჭინჭარი. სიტყვა чинчар აღნიშნულია აგრეთვე ბელაჯის, კახის, ნუხის მეტყველებაში<sup>27</sup>. ს.-ს. ორბელიანის ლექსიკონში 'ჭინჭარი' ბალახი, чинчар — ჭინჭარი ქართულიდან ნასესხები სიტყვაა აღნიშნულ მეტყველებისათვის.

пошда//пошда тактасы (აზ. шалбан јаны)<sup>28</sup>. — ქართული — ნაგვერდული, გვერდის ჩანათალა ფიტარი, რომელსაც ერთი მხარე მომრგვალო და ხორკლიანი აქვს, ნაგვერდალი<sup>29</sup>.

17 მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართულ ენობრივი ურთიერთობიდან, თბ., 1966, გვ. 109.

18 ს.-ს. ორბელიანი, თზ., წ. II, 1966.

19 ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VIII, 1964.

20 С. С. Джикия, О грузинско-азербайджанских языковых взаимосотншениях, еნათმეცნიერების ინსტიტუტის შრომები, აღმოსავლურ ენათა სერია, II, თბ., 1957, გვ. 210.

21 Söz deleme derçisi, cilt I, İstanbul, 1939.

22 ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. V, თბ., 1958.

23 Азербайчана-русча лүгәт, Б., 1965.

24 Магазаник, Туркско-русский словарь, М., 1945.

25 ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1953, გვ. 120.

26 С. С. Джикия, დასახ. ნაშრომი, გვ. 210. В. Т. Джангидзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 101.

27 Азербайчан дилинин...

28 Азербайчанча-русча...

29 ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. V, 1958.

ქართული ენის აღმოსავლურ დიალექტების ზეპირმეტყველებაში ხმარობენ სიტყვას 'ფოშტი' გაურანდავი ფიცრის მნიშვნელობით. არის აგრეთვე ზმნა აფოშტვა, რაც 'აფიცვას' ნიშნავს. ჩვენი აზრით, საკვლევ მეტყველებაში სიტყვა შესული უნდა იყოს ქართული გზით, ხოლო თვით ქართულმა ალბათ სპარსულიდან ისესხა. სპარსულში پش — (pošt) ნიშნავს ზურგს, აქვს აგრეთვე 'ფიცრის' მნიშვნელობაც پاش — 'ფიცარი'. შტაინგასის ლექსიკონში<sup>30</sup> тахта აგრეთვე სპარსული სიტყვაა და ნიშნავს ფიცარს.

შეიძლება სიტყვა पोшт დაუეკავშიროთ پوشت (пуст) სიტყვას 'ხის ქერქი'. მაგრამ პირველი ვარაუდი უფრო სარწმუნოა, რადგანაც გვაქვს ზუსტი დამთხვევა, როგორც ბგერითი შემადგენლობით, ისე მნიშვნელობით. ქართულში გვაქვს ნაგვერდულის სინონიმები 'ყუაფიცარი, ნაშური', ე. ი. 'ზურგის ფიცარი'.

чанчул — ქანჭური. ქართულიდან ნახესხები სიტყვაა. იგივე სიტყვა გვხვდება მარნეულის მეტყველებაში. დმანისურ კილოში ფიქსირებულია ფორმა чанчур<sup>31</sup>. როგორც აღნიშნული აქვს ს. ჭიქიას, ეს ქართული სიტყვა დასტურდება აგრეთვე მესხეთის ქართველთა თურქულ მეტყველებაში<sup>32</sup>.

чархалы — ქარხალი (აზ. чугундур). აზერბაიჯანულ ლექსიკაში чархалы სიტყვა არ დაიძებნა. чархалы სიტყვაც საკვლევამ მეტყველებამ ქართულიდან ისესხა.

2. ს ი ბ ი ლ ა ნ ტ ი — ა ფ რ ი კ ა ტ ე ბ ი. სალიტერატურო თურქულისათვის დამახასიათებელი ორი აფრიკატი  $\zeta$  (ჩ),  $\xi$  (ქ). მ. რესენენი ცალკე პარაგრაფად გამოჰყოფს საკითხს აფრიკატების შესახებ და აღნიშნავს პალატალურ-ალვეოლარული თანხმოვნების გადაწევის ტენდენციას ჰომორგანულ კბილისმიერებად [ $\zeta > s$ ],  $\xi > c$  ( $\xi s$ ),  $\xi > \zeta$  ( $dz$ ). ეს ბგერითი თავისებურება ავტორს მიაჩნია ანატოლიის ჩრდილო-აღმოსავლური დიალექტების, აგრეთვე ბალყარული, ყარაიმული, მიშარული, ტობოლური, ბარაბინული და სხვა ენების კუთვნილ მოვლენად.

თურქულ ენაში ამგვარ მონაცვლეობას ავტორი მიაწერს ბერძნულის გავლენას<sup>33</sup>. გარდა ამისა,  $d\zeta$  ( $d$ ) აფრიკატი ნ. კატანოვს მიაჩნია შერეული ბაშკირულ-ტეპტიარული დიალექტების კუთვნილებად<sup>34</sup>. სალიტერატურო ბაშკირულისთვის კი იგი უცხო ბგერად ითვლება<sup>35</sup>. ს. სიდიკოვი აღნიშნავს, რომ თურქული ენების ბგერა  $\chi$  (ჩ) ხშირად შეესატყვისება მონღოლური ენის  $\chi$  ( $\chi$ ) თანხმოვანს. თანხმოვანი  $\chi$  ( $\chi$ ) მონღოლური ენისათვის დამახასია-

<sup>30</sup> F. Steingass, Persian-English dictionary, London.

<sup>31</sup> В. Т. Джангидзе, Дагест. Науч. тр., т. 102.

<sup>32</sup> Джикия, Некогоры особенности тюркской речи грузинского населения Месхети (на равях руко пис), Тбилиси, 1945, გვ. 90.

<sup>33</sup> М. Ряснянен, Материалы по исторической фонетике тюркских языков, М., 1955, стр. 150.

<sup>34</sup> Н. Ф. Катанов, Опыт исследования урянхайского языка, Казань, 1903, стр. 50, 75.

<sup>35</sup> Н. К. Дмитриев, Строй тюркских языков, М., 1962, стр. 16.

თებელი ბგერაა და გვხვდება სიტყვის ყველა პოზიციაში, ხოლო თურქულ ენებში ეს ბგერა გვხვდება მხოლოდ ნასესხებ სიტყვებში და მას ხშირად ენაცვლება თურქულისათვის დამახასიათებელი ყ(ჩ), ყ(შ) თანხმოვნები<sup>36</sup>.

ყ(ჩ) და ყ(შ)-ს მონაცვლეობას ეხება აგრეთვე მ. რაპინოვიც<sup>37</sup>, თანხმოვან ყ(ც)-ს ხმარებაზე ფრაიისა და გალიციის დიალექტების ზოგიერთ აფიქსში მიუთითებს კ. მუსაევი<sup>38</sup>.

ამ ბგერის არსებობა ვიღინის თურქულში აღნიშნული აქვს ი. ნემეთს<sup>39</sup>. ავტორის შენიშვნით, ეს ბგერა გვხვდება, როგორც ბულგარულიდან ნასესხებ, ისე თვით თურქული წარმოშობის სიტყვებში. მაგრამ ავტორის მიერ აღნიშნული ბგერა ზს არ არის არც ყ(ჩ)-ს ვარიანტი და არც მისი მონაცვლე ბგერა.

მოყვანილ თურქულ მაგალითებში (yatsın 'დაწვევ', ogutsın 'ისწავლოს' გვაქვს ფუძისეული t-სა და აფიქსისეული v თანხმოვნების აკუსტიკურად შერწყმის შედეგად მიღებული რთული ბგერა.

გავაუზურ ენაშიც ყ(ჩ) თანხმოვანს ხშირად ახასიათებს პალატალიზებული ყ(ც)-ს ულერადობა (щан 'როდის, ац 'გააღე'). ამგვარი მოვლენა გვხვდება ძირითადად ნასესხებ, ხმაბაძვით სიტყვებში და შორისდებულებში<sup>40</sup>. თანხმოვნების ყ(ჩ) და ყ(ც) მონაცვლეობა ბალყარული ენის დიალექტებში აღნიშნული აქვს ბალყარული ენის მკვლევარს ა. აპაევს<sup>41</sup>.

ა. მ. შჩერბაკი<sup>42</sup> მიუთითებს, რომ ბალყარული ენის მალყარულ დიალექტში, აზერბაიჯანული ენის ორდუბადის დიალექტსა და დასავლეთ ციმბირის თათართა მეტყველებებაში ყ(ჩ) ბგერიდან ვითარდება ყ(ც) ბგერა.

აზერბაიჯანელი ფონეტიკოსი ა. დემირჩიზადე<sup>43</sup> თანამედროვე აზერბაიჯანული ენის ფონეტიკაში ახასიათებს მხოლოდ ორ აფრიკატს ყ(ჩ) და ყ(ჭ) და მოჰყავს მათი ტრადიციული აღწერა.

ამგვარი ვითარებაა აზერბაიჯანული ენის დიალექტებისა თუ კილოების უმრავლესობაში. იგივე დასტურდება დასავლურ დიალექტებსა და კილოებში.

გარდაბნის რაიონის ტერიტორიაზე ჩაწერილ აზერბაიჯანულთა მეტყველების ნიმუშებში შემდეგი ვითარებაა, თუმცა ძირითად ფონემად აღინიშნება ყ(ჩ) და ყ(ჭ) აფრიკატები, გარკვეულ პოზიციაში დასტურდება ამ თანხმოვანთა ვარიანტებად ყ(ც) და ძჰ(d) აფრიკატების ხმარება. ზოგი ინ-

<sup>36</sup> Н. К. Сыдыков, Тюркско-монгольские параллели, Источники формирования тюркских языков Средней Азии и Южной Сибири, Фрунзе, 1966, зб. 174.

<sup>37</sup> М. Ш. Рагимов, Сравнительно-исторический метод и изучение диалектов тюркских языков, Вопросы диалектологии тюркских языков, т. III, Б., 1965, зб. 25.

<sup>38</sup> К. М. Мусаев, Заметки о языке крымских караимов, Во росы диалектологии тюркских языков, т. IV, Б., 1966, зб. 98.

<sup>39</sup> J. Nemeth, Die Türken von Vidin, Budapest, 1965, зб. 64.

<sup>40</sup> Л. А. Покровская, Грамматика гагаузского языка, М., 1961, зб. 58.

<sup>41</sup> А. М. Аппаев, Диалекты балкарского языка в их отношении к балкарскому литературному языку, Нальчик, 1960, зб. 17.

<sup>42</sup> А. М. Щербак, Сравнительная фонетика тюркских языков, 1970, зб. 169.

<sup>43</sup> Ә. М. Дәмирчизадә, Мүасир азәрбајчан дилинин фонетикасы, Б., 1960, зб. 76, 77.

ფორმატორის მეტყველებაში ფიქსირებულია ამ აფრიკატების იდენტურ პოზიციებში პარალელური ხმარება; ამდენად ეს აფრიკატები ვარიანტებად უნდა იქნეს მიჩნეული.

მ. შირალიევი<sup>44</sup> მოჰყავს ცნობა აზერბაიჯანული ენის აირუმის კილოკავის შესახებ, რომელიც შედის დასავლურ ჯგუფში და აქვს თავისი ეიწრო დიალექტური თავისებურებანი: ერთ-ერთ ასეთ თავისებურებად ავტორი მიიჩნევს  $\text{d}\text{z}(\text{d})$  აფრიკატის არსებობას სიტყვის თავკიდურ თუ შუა პოზიციაში. ავტორს მოჰყავს სამი მაგალითი ამ ფაქტის დასამტკიცებლად. ესენია:  $\text{d}\text{z}\text{av}\text{an}$  'ახალგაზრდა',  $\text{k}\text{a}\text{p}\text{a}\text{d}\text{z}\text{am}$  'მოვალ',  $\text{a}\text{d}\text{z}\text{am}$  'მშვიერი ვარ', გარდა ამისა,  $\text{v}\text{d}\text{z}$  სპორადულად გვხვდება ყაზახის, ნახჭევანის დიალექტებში და ისპაილის, ჯებრაილის კილოებში<sup>45</sup>.

საკვლევ მეტყველებაში ფიქსირებულია ამავე სახის შემდეგი მაგალითები:  $\text{dal}\text{y}\text{m}\text{d}\text{z}\text{a}$ // $\text{dal}\text{y}\text{nc}\text{h}\text{a}$  'კვალდაკვალ',  $\text{or}\text{u}\text{c}$ // $\text{or}\text{ud}\text{z}$  'მარხვა',  $\text{c}\text{y}\text{r}\text{c}\text{y}\text{r}\text{im}\text{a}$ // $\text{d}\text{z}\text{y}\text{r}\text{d}\text{z}\text{ir}\text{am}\text{a}$  'ნეჰსიულაპაი',  $\text{x}\text{ur}\text{c}\text{h}\text{uk}$ // $\text{x}\text{ur}\text{d}\text{z}\text{un}$  'ხურჯინი',  $\text{c}\text{a}\text{v}\text{an}$ // $\text{d}\text{z}\text{av}\text{an}$  'ახალგაზრდა',  $\text{c}\text{u}\text{n}\text{a}$ // $\text{d}\text{z}\text{u}\text{n}\text{a}$  'დოლბანდი',  $\text{n}\text{a}\text{c}\text{h}\text{a}$ // $\text{n}\text{a}\text{d}\text{z}\text{a}$  'რა ენაზე',  $\text{n}\text{a}\text{c}\text{h}\text{a}$ // $\text{n}\text{e}\text{d}\text{z}\text{a}$  'როგორ',  $\text{a}\text{g}\text{a}\text{c}\text{h}\text{y}\text{n}\text{a}$ // $\text{a}\text{g}\text{a}\text{d}\text{z}\text{y}\text{n}\text{a}$  'მის ხეზე', ზმნურ ფორმებში ასეთი მოვლენა არ შეინიშნება.  $\text{v}\text{d}\text{z}$  მონაცვლეობა არტყულაციის წინ წამოწევის შედეგი უნდა იყოს.

მეორე თავისებურება, როგორც უკვე აღვნიშნეთ,  $\text{v}/\text{w}$  აფრიკატების პარალელური ხმარებაა, ფონემა  $\text{v}(\text{h})$ -ს ვარიანტად  $\text{w}(\text{v})$ -ს გამოყენება. მაგალითები:  $\text{k}\text{am}\text{c}\text{h}\text{y}$ // $\text{k}\text{am}\text{c}\text{y}$  'მათახი',  $\text{c}\text{y}\text{g}\text{r}\text{a}\text{p}$ // $\text{c}\text{y}\text{g}\text{r}\text{a}\text{p}$  'უბახის',  $\text{c}\text{h}\text{av}\text{ir}$ // $\text{c}\text{h}\text{av}\text{ir}$  'ტრიალდება',  $\text{ic}\text{h}\text{i}$ // $\text{ic}\text{h}\text{i}$  'მისი შიგნითა მხარე',  $\text{ic}\text{h}\text{ind}\text{z}$ // $\text{ic}\text{h}\text{ind}\text{a}$  'შიგნით',  $\text{c}\text{h}\text{ek}\text{in}$ // $\text{c}\text{h}\text{ek}\text{in}$  'გამოწიეთ',  $\text{c}\text{h}\text{ox}$ // $\text{c}\text{h}\text{ox}$  'ბევრი',  $\text{k}\text{ic}\text{h}\text{ik}$ // $\text{k}\text{ic}\text{h}\text{ik}$  'პატარა', როგორც მაგალითებიდან ჩანს,  $\text{w}(\text{v})$  აფრიკატი გვხვდება სიტყვის თავკიდურ და შუა პოზიციებში. მ. შირალიევი<sup>46</sup>.  $\text{w}(\text{v})$  აფრიკატს სამხრეთის დიალექტების ფონეტიკის კუთვნილებად მიიჩნევს. „ორდუბადის დიალექტი მოიცავს აზერბაიჯანის ორდუბადისა და ჯულფის რაიონებს. დიალექტის ერთ-ერთ სპეციფიკურ ნიშნად უნდა მივიჩნიოთ  $\text{w}(\text{v})$  აფრიკატის არსებობა სიტყვის თავკიდულ პოზიციაში. მაგ.,  $\text{c}\text{h}\text{ox}$  'ბევრი',  $\text{c}\text{h}\text{op}$  'ნაფოტი',  $\text{c}\text{h}\text{ad}\text{y}\text{r}$  'ქარაფი',  $\text{c}\text{h}\text{im}\text{ir}$  'ბანაობა',  $\text{c}\text{h}\text{aj}$  'ჩაი' და სხვ.<sup>47</sup>

თუ ამ მაგალითებს შევადარებთ ზემომოყვანილ ნიმუშებს, დავინახავთ სხვაობას, რომელიც გამოიხატება  $\text{w}(\text{v})$  თანხმოვნის ხმარების პოზიციებში. საკვლევ მეტყველებაში  $\text{w}(\text{v})$  გვხვდება, როგორც თავკიდურ პოზიციაში, ისე სიტყვის შიგნით და, გარდა ამისა, დასტურდება  $\text{v}(\text{h})$  და  $\text{w}(\text{v})$  პარალელური ხმარება.

აზერბაიჯანელი მკვლევრები ს. ველიევი და ა. ჰაჯიევი<sup>48</sup> ამ თანხმოვნების გაჩენას გვიანდელი პერიოდის მოვლენად მიიჩნევენ, მიაწერენ მას მონღოლ-

<sup>44</sup> М. Ш. Ширалиев, О проблеме языка и диалекта, Вопросы диалектологии тюркских языков, Б., 1963, гв. 34.

<sup>45</sup> М. Ширэлијев, Азэрбајчан диалектолокијасынын эсаслары, Б., 1962, гв. 78.

<sup>46</sup> იქვე, გვ. 24.

<sup>47</sup> М. Ш. Ширалиев, О проблеме языка и диалекта... гв. 39.

<sup>48</sup> С. А. Валиев, Г. И. Гаджиев, О двух диалектных фактах, Вопросы диалектологии тюркских языков, Б., 1966, гв. 147

რი ენის გავლენას, და აღნიშნავენ, რომ ეს და სხვა ამგვარი მეორადი მოვლენები დამახასიათებელია არა სალიტერატურო ენისთვის, არამედ წარმოდგენს მისი ცალკეული დიალექტების კუთვნილებას. ზემოთ აღნიშნული აფრიკატი წარმოდგენილია თურქული და აგრეთვე აზერბაიჯანული ენის ზოგიერთ დიალექტში. კერძოდ, იგი შეინიშნება აზერბაიჯანული ენის შახხუზის, ქედაბეის, აირუმის, შემახისა და ორდუბადის კილოებში<sup>49</sup>.

ორდუბადის კილოებში  $\lambda(\gamma)$  აფრიკატი,  $\psi(\chi)$  თანხმოვნის ვარიანტად ვერ ჩაითვლება, რადგან იგი დისტინქციური ფუნქციის მატარებელია. მოყვანილი მაგალითები:  $\psi\alpha\chi$  'სტაფილო',  $\psi\alpha\chi$  'ჩაქღობა',  $\psi\alpha\psi\chi$  'აწეწვა',  $\psi\alpha\psi\chi$  'ფეხსაცმელი' და სხვ.

ამგვარად, ხსენებულ კილოებისათვის  $\lambda(\gamma)$  აფრიკატი ფონემაა. ამ თანხმოვნის ფონოლოგიურ ბუნებაზე გამოთქმულია სხვადასხვა აზრი, ზოგი მკვლევარი, კერძოდ ტ. ჰაქიევი<sup>50</sup>, მას დამოუკიდებელ ფონემად მიიჩნევს, ხოლო ა. ჰუსეინოვი<sup>51</sup>  $\psi(\chi)$  ბგერის ვარიანტად თვლის.  $\lambda(\gamma)$  თანხმოვნის შესახებ მეტად საინტერესო ცნობა მოჰყავს უ. ალიევი: „ყარაჩულსა და ბალყარულის გარდამავალ დიალექტებში  $\psi(\chi)$  აფრიკატს ყველგან  $\lambda(\gamma)$  ენაცვლება“. „ბალყარული დიალექტის მოცემული სპეციფიკა საშუალებას იძლევა გამოითქვას აზრი, იმის შესახებ, რომ იგი სათავეს იღებს იმ ენიდან, რომელიც აღწერილია XIII საუკუნის ცნობილ ძეგლში Codex Cumanikus“. აქ მოყვანილი ციტატა ანალოგიურია ა. აპაევის<sup>52</sup> მიერ გამოთქმული მოსაზრებისა.

ტ. ა. ბერტაგაევის<sup>53</sup> აზრით,  $\psi(\chi)$  და  $\lambda(\gamma)$  მონაცვლეობა მონოლოურ ენებსაც ახასიათებს და ამიტომ იგი მიჩნეულ უნდა იქნეს საერთო თურქულ-მონოლოურ მოვლენად. ხოლო რადგანაც აზერბაიჯანული ენა და მისი დიალექტები ამ ერთიანობის წევრს წარმოდგენენ, გამორიცხული არ არის, რომ ამ მოვლენას სადმე ეჩინა თავი. ამის ნათელი დადასტურებაა ჩვენი მეტყველების მონაცემებიც, თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ გვაქვს აფრიკატების  $\psi//\lambda$ ,  $\psi//\lambda\psi$  პარალელური ხმარების მაგალითები, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ  $\lambda(\gamma)$  და  $\lambda\psi(d)$  აფრიკატები  $\psi(\chi)$  და  $\psi(\chi)$  აფრიკატების პალატალიზებული ვარიანტებია, შედიან ერთ პარადიგმაში და ერთმანეთის მიმართ თავისუფალი მონაცვლეობის დამოკიდებულებაში არიან.

ამგვარად,  $\lambda(\gamma)$  და  $\lambda\psi(d)$  აფრიკატების არსებობა და  $\psi(\chi)$  და  $\psi(\chi)$ -სთან მათი თავისუფალი მონაცვლეობა საკვლევი მეტყველების თავისებურებებს განეკუთვნება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ აფრიკატი  $\lambda(\gamma)$  გვხვდება აზერბაიჯანული ენის სამხრეთ ჯგუფის მხოლოდ ზოგიერთ კილოკავში, ხოლო  $\lambda\psi(d)$  კი სპო-

<sup>49</sup> Б. П. Садыхов, Кедабекские говоры азербайджанского языка (звореферат кандит. диссер.), Б., 1964, გვ. 9.

<sup>50</sup> Т. И. Начыжев, Азербайжан дилинин чэбрајыл шивэси Б., 1961, გვ. 41.

<sup>51</sup> А. Нусејнов, Азербайжан диалектолокијасы, Б., 1958, გვ. 33.

<sup>52</sup> У. Б. Алиев, Диалектное членение языка карачаевцев и балкаров, Вопросы диалектологии тюркских языков, Б., 1963, гв. 68.

<sup>53</sup> Вопросы диалектологии тюркских языков, Б., 1963, стр. 174.

რადულად შეინიშნება ყაზახის, ნახჭევნის დიალექტებში, აირუმის, ისმაილის, ყებრაილის კილოებში, სადაც ის ყ (ქ) თანხმოვანს ენაცვლება<sup>54</sup>. საკვლევ მეტყველებაში კი ამ ორმა არა სპეციფიკურმა აფრიკატმა ერთად მოიყარა თავი, რაც ამ მეტყველების თავისებურებად მიგვაჩნია.

3. ბ რ უ ნ ე ბ ა. საკვლევ მეტყველებაში ისევე, როგორც სალიტერატურო აზერბაიჯანულსა და დიალექტებში, ექვსი ბრუნვაა:

სახელობითი ანუ ძირითადი ბრუნვა ხსენებულ მეტყველებაში ტრადიციულად გაუფორმებელია..

ნათესაობითი ბრუნვა იწარმოება შემდეგი აფიქსებით: -ხაჲ<sup>55</sup> თანხმოვანფუძიან სახელებისთვის, -ქხაჲ<sup>56</sup> ხმოვანფუძიან სახელებისთვის, (-ჩხაჲ<sup>57</sup> მესამე პირის კუთვნილებით აფიქსდართულ სახელებისთვის). სალიტერატურო აზერბაიჯანულსა და დიალექტების უმრავლესობაში<sup>58</sup> ამ ბრუნვის მაწარმოებლად გამოყენებულია. აფიქსები -ხჩჲ<sup>59</sup> და ჩხჩჲ<sup>60</sup>.

ჩვენთვის საინტერესო მეტყველებაში ნათესაობით ბრუნვის წარმოებისას ვლინდება შემდეგი პროცესი: არაბაგისმიერ ხმოვნიან ფუძეებში, რომელთა ბოლოკიდურად ა და ა ხმოვნებია, ბრუნვის აფიქსის დართვისას ქ წინა პოზიციაში ა და ა ხმოვნები ვიწროვდებიან და ყოველივეს გვაძლევენ ჩ ხმოვანს, ხოლო ბაგისმიერ ხმოვნიან ფუძეებში ბოლომარცვლის ა, ა სათანადოთ გვაძლევენ ყ, ყ ხმოვნებს. ეს მოვლენა ახასიათებს აგრეთვე მიცემითსა და ბრალდებით ბრუნვებს<sup>61</sup>. მაგალითები:

ს.ხ. тава → ნათ. тавијиџ → тавиң 'ტაფის'

ს.ხ. хава → ნათ. хавијиџ → хавиң 'ამინდის'

ს.ხ. парча → ნათ. парчијиџ → парчиң 'ნაჭრის', ნაწილის

ს.ხ. дүје → ნათ. дүјүјиџ → дүјүиң 'ბზოს'

ს.ხ. дәрә → ნათ. дәрјијиџ → дәриң 'ხეობის'

როგორც მაგალითებიდან ჩანს, ზემოთ აღწერილი მოვლენა იწვევს იდენტურ ხმოვნების მეზობლობას. შემდეგ ვლინდება თანხმოვან ქ-ის თვისება რედუცირდეს ინტერვოკალურ პოზიციაში, რის შედეგადაც ვლენულობთ გრძელ ხმოვანს. ამგვარად, ნათესაობით ბრუნვაში ჩნდება ორი პარალელური ფორმა. ერთი სრული აფიქსის მქონე, მეორე მოკვეცილი. ეს მოვლენა შეიძლება ჩაითვალოს აღნიშნული მეტყველების ერთ-ერთ თავისებურებად.

<sup>54</sup> М. Ширәлијев, Азәрбајчан диалектолокијасынын..., გვ. 77, 78.

<sup>55</sup> როგორც მ. შირალიევი აღნიშნავს, ერთმარცვლიანი ხმოვანფუძიანი სახელების ნათესაობითსა და ბრალდებით ბრუნვაში აფიქსალური და ფუძისეული ხმოვნების გამყარად ეკაქეს თანხმოვანი ქ და არა ჩ თანხმოვანი. იხ. М. Ширәлијев, დასახ. ნაშრომი. გვ. 33. დმანისურ კალონი ნათესაობითი ბრუნვის ფორმანტა—ქჩაჲ<sup>59</sup> სპორადულად გვხვდება. იხ. В. Т. Джангидзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 70.

<sup>56</sup> В. Т. Джангидзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 70.



ბრალდებითი ბრუნვის აფიქსად სალიტერატურო აზერბაიჯანულ ენაში გამოყენებულია -ხ<sup>4</sup> თანხმოვანფუძიან სახელებთან, და ჩხ<sup>4</sup> ხმოვანფუძიან სახელებთან<sup>57</sup>.

ბრალდებითი ბრუნვის -ჩხ<sup>4</sup> და -ქჩ<sup>4</sup> აფიქსები სალიტერატურო ენაში პარალელურად იხმარებოდა მოყოლებული მე-11 საუკუნეებიდან მე-19 საუკუნემდე, როდესაც -ჩხ აფიქსმა განდევნა -ქჩ აფიქსი და მყარად დაიკავა მისი პოზიციები<sup>58</sup>.

საკვლევ მეტყველებაში ბრალდებით ბრუნვაში დასტურდება ქჩ<sup>4</sup> ხმოვანი და -ჩ<sup>4</sup> თანხმოვანფუძიან სახელებთან<sup>59</sup>. ბრალდებით ბრუნვაში მეორდება ნათესაობით ბრუნვასთან აღწერილი მოვლენა, ე. ი. თანხმოვან ქ-ის ჩაყარნა და სათანადოთ ფუძისეული და აფიქსისეული ერთნაირი ხმოვნების შერწყმით გრძელი ხმოვნის მიღება, მაგალითები:

тава 'ტავა'	хава 'ამინდი'	јува 'ბუღე'
тавијик//тавун	ҳавијун//ҳавун	јувујуи//јувун
тавија	ҳавија	јувуја
тавији//тави	ҳавији//ҳави	јувију//јуви
тавада	ҳавада	јувуда
тавадан	ҳавадан	јувудан

სიტყვა молла 'მოლა' ბრუნებისას დასტურდება ზოგიერთი ანალოგია ყაზახის დიალექტში ხმარებულ ფორმებსა და საკვლევ მეტყველების ფორმებს შორის. კერძოდ ბრალდებითი ბრუნვის ფორმა სავსებით ემთხვევა მ. შირალიევის მიერ აღწერილ ფაქტს: „ყაზახის დიალექტში თუ სიტყვის პირველ მარცვალში გვაქვს о, у, Ө, ү ხმოვნები, ხოლო იმდღევო მარცვალში а, э ხმოვნებია, ბრალდებით ბრუნვაში ფუძის ბოლოციდური а გვაძლევს о ან у ხმოვნებს, ხოლო э ხმოვანს სათანადოთ შეენაცვლება ү ხმოვანი“. მაგალითად: молла 'მოლა', моллијик//моллун, молллија, моллоју, моллада, молладан.

ადგილობით და დაწყებით ბრუნვებში ფიქსირებულია შემდეგი აფიქსები: -და, -და, -дан, -дэн ყრუ თანხმოვანზე დაბოლოებულ სიტყვებთან, -ჩ- თანხმოვანზე დამთავრებულ სიტყვებთან გვაქვს -ჩა, -ჩა; -ჩან, -ჩან, ხოლო დანარჩენ შემთხვევებში იხმარება აფიქსები -და, და; -დან, -დэн. მაგალითები:

ләзәт 'ლაზათი'	одун 'შეშა'	мал 'საქონელი'	ун 'ბატყლი'
ләзәтиң	одунуң	малын	унун
ләзәтә	одуна	мала	уна
ләзәти	одуну	малы	уну
ләзәтдә	одунна	малда	унна
ләзәтдән	одуннан	малдан	уннан

<sup>57</sup> ბრალდებითი ბრუნვის აფიქსების შესახებ აზერბაიჯანული ენის დიალექტებში, იხ.: М. Ш и р а л и е в, დასახ. ნაშრომი, გვ. 139.

<sup>58</sup> იქვე.

<sup>59</sup> ამგვარი აფიქსები ახასიათებს დასავლური ჯგუფის დიალექტებს და ბაქოს რაიონის გობუს და გუზდაქის კილოკაეებს. იხ.: Н. Мирзэзэдэ, Азербайчан дилинин тарихи — морфолокијасы. Б., 1962, გვ. 79, 80.

ვთარ გელაფილი

მახვილის ზოგიერთი საკითხის შესახებ ინგლისურ და  
ძარბულ ენებში

მეცნიერ მუშაებსა და პედაგოგ-პრაქტიკოსებს შორის გაიზარდა ინტერესი მეცნიერული გამოკვლევებისადმი, რომლებიც პრაქტიკულად წყვეტენ ფონეტიკის მნიშვნელოვან პრობლემებს. ყოველი მკვლევარის წინაშე გარდევალად დგება ექსპერიმენტული კვლევა-ძიების საკითხი, რადგანაც მასზეა დამოკიდებული გამოკვლევებისა და დასკვნების მეცნიერული ობიექტურობის, ექსპერიმენტატორის რეკომენდაციების წარმატება.

ინგლისური სიტყვათმახვილი ერთ-ერთი აქტუალური და ჯერ კიდევ ნაკლებად დამუშავებული საკითხია. მახვილის შესწავლას როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. შრომები ინგლისურ სიტყვათმახვილზე მეტისმეტად მცირეა. არსებული ექსპერიმენტულ-ფონეტიკური გამოკვლევები და აგრეთვე თეორიული და ნორმატული შრომები ინგლისურ ფონეტიკაში უმეტესად ხასიათდება სიტყვათმახვილისა და ფრაზული მახვილის აღრევიით. ისტორიული გამოკვლევები მიძღვნილია ძირითადად ნასესხებ სიტყვებში მახვილის ადგილის განსაზღვრისადმი. ამავე დროს, სათანადო ყურადღება არ ექცევა თანამახვილს, ხოლო სიტყვის აქცენტური ტიპების საკითხი კვლევის გარეშე რჩება.

როგორც საბჭოთა, ისე საზღვარგარეთელი ლინგვისტების უმრავლესობა აღიარებს ინგლისური სიტყვათმახვილის დინამიკურობას. ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში ინგლისელი ენათმეცნიერი ჯონ უოკერი<sup>1</sup> სწორად განსაზღვრავს ინგლისური სიტყვათმახვილის ბუნებას როგორც დინამიკურს, რაც ეთანხმება ამ საკითხზე თანამედროვე შეხედულებებს. ლ. ბლუმფილდ<sup>2</sup> მახვილს განიხილავს როგორც სიტყვაში ერთ-ერთ მარცვალთაგანს, უფრო ძლიერს, ვიდრე სხვა მარცვლებია.

ბლოკი და ტრიეჩერი<sup>3</sup> მახვილიან მარცვალს განიხილავენ როგორც „სიძლიერის ხარისხს“. კ. პაიკი<sup>4</sup> აღნიშნავს, რომ მახვილი არის „ინტენსივობის ხარისხი რომელიმე მარცვალზე, რომელიც მას ხდის უფრო შესამჩნევს ან უფრო ძლიერს უმახვილო მარცვალთან შედარებით“.

დ. ჯოუნზის<sup>5</sup> მიხედვით, მახვილი განისაზღვრება როგორც „სიძლიერის ხარისხი, რომლითაც... მარცვალი წარმოითქმის“. გ. ტორსუევი<sup>6</sup> სიტყვათმახ-

<sup>1</sup> J. Walker, The Principles of English Pronunciation, London, 1991, 468.

<sup>2</sup> L. Bloomfield, Language, N. U., 1933, გვ. 90.

<sup>3</sup> Block and Trager, Outline of Linguistic Analysis, Baltimore, 1942, გვ. 35.

<sup>4</sup> K. Pike, Phonetics, Michigan, 1947, გვ. 63, 250.

<sup>5</sup> D. Jones, An Outline of English Phonetics, Leipzig, 1949, გვ. 227.

<sup>6</sup> Г. Торсуев, Фонетика английского языка, М., 1950, гв. 16, 179.

ვილს განსაზღვრავს, როგორც დინამიკურს, მაგრამ, რომელიც ატარებს აგრეთვე თვისებრივ, რაოდნობრივ და მუსიკალურ ხასიათს. ვ. ვიტომსკაიას<sup>7</sup> აზრით, ინგლისურ ენაში მახვილი როგორც დინამიკური, ისე მუსიკალური ხასიათისაა. ო. დიკუშინა<sup>8</sup> აღნიშნავს, რომ „ინგლისურ ენაში მკვეთრად გამოხატული დინამიკური მახვილია... მაგრამ მასში არ არის... რაოდნობა და თვისებრივობა“.

ამგვარად, ზემოთ მოცემულ განსაზღვრებებში ხაზგასმულია ინგლისური სიტყვათმახვილის დინამიკური ბუნება.

ისტორიული ფონეტიკის თვალსაზრისით სიტყვების მახვილიან და უმახვილო მარცვლებს შორის არტიკულაციურ-სმენითი განსხვავება ვლინდება ენის ფონეტიკური წყობის ისტორიული განვითარების მსვლელობაში სხვადასხვა ხასიათის ცვლილების დროს. ამიტომ არ შეიძლება თანამიმდევრულად მივიჩნიოთ ზოგიერთი ლინგვისტის თვალსაზრისი ინგლისური სიტყვათმახვილის ხარისხების საკითხზე, რომლებიც მახვილის სამი ხარისხის ნაცვლად აყალიბებენ მახვილის ოთხ ხარისხს, რომელთაგან ორი გარდამავალია ძლიერ და სუსტ მახვილებს შორის. მაგალითად, ბლოკი და ტრეიჯერი<sup>9</sup> მახვილის ოთხ ხარისხს არჩევენ. აქედან ორ კატეგორიას ძლიერ და სუსტ მახვილებს შორის ათავსებენ ერთს — თანამახვილის ნაცვლად, დ. ჯონზი<sup>10</sup> მიუთითებს მახვილის რამდენიმე განსხვავებული ხარისხის შესაძლებლობაზე და აღნიშნავს, რომ შესაძლებელია გარჩეულ იქნეს მახვილის ოთხი ხარისხი, მაგრამ ეს რიტხვი იშვიათადაა ძირითადი. ხშირად შესაძლებელია დაექმყოფილდეთ სამი ხარისხით და ზოგჯერ ორითაც. ასეთი სიზუსტე, — ამბობს ჯონზი, — საკირო არ არის პრაქტიკული მიზნებისათვის; ჩვეულებრივ საკმარისია განსხვავებული იქნეს მახვილიანი და უმახვილო მარცვლები. დ. ჯონზის თვალსაზრისით თანამახვილის შესახებ ეწინააღმდეგება მისივე სხვა შრომაში<sup>11</sup> გამოთქმულ თვალსაზრისს და მახვილების აღნიშვნას მისივე ლექსიკონში<sup>12</sup> და აგრეთვე სხვა ავტორიტეტულ ლექსიკონებს<sup>13</sup>, რომლებიც გვიჩვენებენ, რომ ინგლისური სიტყვების აქცენტურ სტრუქტურაში საკმაოდ მკაფიოდ განირჩევა მთავარი და თანამახვილი. თანამახვილის მთავარი მახვილისადმი და აგრეთვე უმახვილო მარცვლებისადმი სტრუქტურული დაპირისპირება, უპირველეს ყოვლისა, მტკიცდება საკმაოდ ზუსტი არტიკულაციურ-სმენითი განსხვავებით შემდეგ აქცენტურ სტრუქტურებში: di'velɒpmənt, 'ediu:'keifən 'An'selfiʃnis, 'iŋɡlɪʃwʌmən და სხვ.

სწორ თვალსაზრისზე დგანან ა. პიტერი და მ. მაკართი<sup>14</sup>. ისინი მახვილის სამ ხარისხს არჩევენ — მთავარ მახვილს, თანამახვილს და სუსტს.

В. Витомская, Основы английской фонетики, М., 1948, гл. 109

<sup>7</sup> О. Дикущина, Фонетика английского языка, М., 1952, гл. 88—89.

<sup>8</sup> Block and Trager, Outline of Linguistic Analysis, Baltimore, 1912, гл. 35.

<sup>9</sup> D. Jones, The Pronunciation of English, Cambridge, 1956, гл. 142.

<sup>10</sup> D. Jones, An Outline of English Phonetics, Leipzig, 1749, гл. 227.

<sup>11</sup> D. Jones, Pronouncing Dictionary, L., 1956, 1965.

Webster's Complete Dictionary, 1861, Johnson, A. Dictionary of the English Language, 1776, Fowlers, The Concise Oxford Dictionary, 1944.

<sup>14</sup> A. Peter, M. MacCarthy, English Pronunciation, Cambridge, 1915, 583.

გ. ტორსუევი<sup>15</sup> მახვილის სამ ხარისხს მიიჩნევს: მთავარს (ანუ ძლიერს), თანამახვილს (ანუ მეორეხარისხოვანს) და უმახვილოს, როგორც მახვილის ნულოვან ხარისხს.

ამგვარად, მიუხედავად ლინგვისტურ შეხედულებებში ძირითადი განსხვავებისა, ლინგვისტების უმრავლესობა იზიარებს ინგლისური მახვილის შედარებით ხარისხს და თავიანთი დასკვნების საფუძველზე აყალიბებენ მახვილის ორ მკვეთრად განსხვავებულ კატეგორიას: ძლიერ მახვილს, რომელიც მარცხელთან დაკავშირებულია შედარებით ძლიერი არტიკულაციური ძალით და სუსტ მახვილს, რომელიც მარცხელთან დაკავშირებულია შედარებით სუსტი არტიკულაციური ძალით.

ქართული ენის მახვილის სისტემას ინგლისურს ითუ შევედარებთ, აღმოვაჩენთ, რომ ინგლისური ენა განსხვავდება ქართული ენისაგან ძლიერი დინამიკური მახვილით. ქართული სუსტი მახვილი არ ჰგავს ინგლისური მახვილის ამა თუ იმ ხარისხს. როგორც არნ. ჩიქობავა აღნიშნავს, ქართულში „ამჟამად დინამიკური მახვილი წინანდელი ინტენსიობისა მოშლილია, ფონეტიკური მწვერვალი აღარა ჩანს სიტყვაში და მწვერვალის ნაცვლად ხმის ოდნავი აშაღლება და გვაქვს“<sup>16</sup>. გ. ახვლედიანის მოსაზრებით, „სალიტერატურო ქართულში დღეს სუსტი დინამიკური სიტყვათმახვილია დომინანტი, მაგრამ მასში ჩანს აგრეთვე ტონურობის ელემენტი“<sup>17</sup>. გ. ახვლედიანის დაკვირვებით, გაურკვეველია, რომელ მახვილად თვლის ნ. მარი<sup>18</sup> ქართულ მახვილს — დინამიკურად თუ მუსიკალურად. „მაგრამ ამის შემდეგ გამოსულ შრომაში ქართული მახვილი კვალიფიცირებულია როგორც მუსიკალური (ტობური)“<sup>19</sup>. ნორვეგიელი მკვლევარების ე. ზელმერისა<sup>20</sup> და ჰ. ფოგტის<sup>21</sup> აზრით ქართულს არა აქვს მკაფიოდ გამოჩინებული არც დინამიკური და არც მუსიკალური მახვილი. ისინი ვარაუდობენ, რომ ქართულს მეტწილად უნდა ჰქონდეს მუსიკალური სიტყვათმახვილი, ხოლო ამავე დროს დინამიკურიც. გ. ახვლედიანი ზელმერისა და ფოგტის დასკვნებს მისაღებად ვერ მიიჩნევს, ვინაიდან, მისი აზრით, ზელმერის დასკვნები დამყარებულია ძალიან ცოტა მასალის კვლევაზე, რომელიც არაპირდაპირი დაკვირვებით მიუღია.

ს. ფლენტს არავითარი საფუძველი არა აქვს ქართულში მოქმედ მახვილს უწოდოს ექსპირატორული ან დინამიკური<sup>22</sup>.

ქართული ენა უძრავი, ფიქსირებული სიტყვათმახვილის მქონე ენის ნიმუშია. ქართულში „სიტყვათმახვილის ადგილი შეზღუდულია ერთი რომელი-

<sup>15</sup> Г. Торсуев, Вопросы акцентологии современного английского языка, М., 1960, стр. 35.

<sup>16</sup> არნ. ჩიქობავა. მახვილის საკითხისათვის ძველ ქართულში: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. III, 1942, № 2, გვ. 196.

<sup>17</sup> გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1949, გვ. 136.

<sup>18</sup> H. Marr, Грамматика древнелитературного грузинского языка, Л., 1925, §§ 16—18.

<sup>19</sup> გ. ახვლედიანი, დასახ. შრომა, გვ. 133.

<sup>20</sup> E. Selmer, Georgische Experimentalstudien mit einem Nachtrag von H. Vogt, Oslo, 1935.

<sup>21</sup> H. Vogt, Esquisse d'une grammaire du géorgien modern, Oslo, 1936.

<sup>22</sup> ს. ფლენტსი, ქართული ენის ფონეტიკა, თბ., 1956, გვ. 267.

მე (შერამდენიმე) მარცვლით სიტყვაში და, როგორც წესი, სიტყვას აქვს ერთი მახვილი“<sup>23</sup>.

ინგლისურში მახვილი თავისუფალია, ე. ი. შეუძლია ნებისმიერ მარცვალს შოუდიოდეს, თუმცა ყოველ ცალკე აღებულ სიტყვას აქვს თავისი განსაზღვრული მახვილიანი მარცვალი<sup>24</sup>. არნ. ჩიქობავა ახალი ქართულის ფიქსირებულ მახვილს მეორეულ მოვლენად მიიჩნევს: „მახვილის მწვერვალები მოიშალა, სიტყვის ფონეტიკურ ზედაპირზე მახვილიანი და უმახვილო მარცვლების სხვაობა ოდნავ შესამჩნევია“<sup>25</sup>. არნ. ჩიქობავას აზრით, ეს ეხმარება მუსიკალური მახვილის როლის ზრდას. „კერძოდ, იმ ინტონაციის ხედრი წონა ხდება განსაკუთრებით ანგარიშგასაწვევი, რაც შესიტყვებას, სიტყვათა სინტაქსურ შენაერთს, ფრაზას ახასიათებს“. არნ. ჩიქობავა ქართულ მახვილს „რიტმული ჯგუფის“ მახვილის ტიპს მიაკუთვნებს, რომელიც ნთქავს სიტყვათმახვილს გაბმულ მეტყველებაში, სადაც სიტყვის სუსტი დინამიკური მახვილი იჩრდილება. არნ. ჩიქობავა ამტკიცებს, რომ „ახალ ქართულში მახვილის საკითხი, პირველ ყოვლისა, არის „რიტმული ჯგუფის“ (ფრაზის) მახვილის საკითხი: მახვილის ამოცანა, უწინარეს ყოვლისა, ფრაზაში უნდა იქნეს დასმული და გადაჭრილი“<sup>26</sup>.

ინგლისურ ენაში სიტყვას შეიძლება ჰქონდეს სამი მახვილიც. ქართულ ენის ერთ-ერთ დამახასიათებელ ფონეტიკურ თავისებურებას წარმოადგენს სამი მახვილის უქონლობა სიტყვაში. ნ. მარის აზრით, ქართულში ოთხ-, ხუთ- და მეტმარცვლიან სიტყვებს მთავარი და თანამახვილი აქვთ. ს. ელენტი უარყოფს ნ. მარისა და სხვა ავტორთა მოსაზრებას იმის შესახებ, რომ თითქოს ოთხ-, ხუთ- და ექვსმარცვლიან სიტყვებში მოქმედებდეს მთავარი და თანამახვილი. მისი აზრით, „მრავალმარცვლიან სიტყვებში ბოლოდან მესამე და შემდეგი მარცვლები თანაბარმახვილიანებია. ისინი საერთო რიტმიკული მახვილით წარმოითქმიან. მთავარი და თანამახვილის არსებობა არ შეეფერება ქართული მახვილის ბუნებას. ეს უფრო ინდოევროპულ ენათა აქცენტუაციის ბუნებას ეგუება“<sup>27</sup>.

როგორც გ. ახვლედიანი აღნიშნავს, „მოძრავი სიტყვათმახვილის დამახასიათებელია, რომ მას ეკისრება ენაში გრამატიკული და სემასიოლოგიური ფუნქცია“<sup>28</sup>. ქართულ ენას არ ახასიათებს ისეთი მახვილი, რომელსაც სემანტიკური მნიშვნელობა აქვს. ქართულში მახვილი ფონეტიკურია, ინგლისურში — ფონოლოგიური, ე. ი. მახვილი გამოყენებულია სიტყვათა ან სიტყვათა ფორმათა სადიფერენციაციოდ. ინგლისური მახვილის მარკანისებულ როლზეა დამოკიდებული მისი ფონოლოგიური შესაძლებლობანი, რომელიც მხოლოდ მთელს სიტყვაზე ვლინდება. მაგალითად, ინგლისურ ენაში მახვილის ადგილმდებარეობა სიტყვაში განასხვავებს მეტყველების ნაწილებს [ˈaɪbjɪkt] არს. და სახ. და [aɪˈbɛkt] ზმნა — object, ე. ი. მახვილი არა მარტო აფორმებს სიტყვას, არამედ იგი გამოიყენება აგრეთვე ლექსიკურ-გრამატიკული მნი-

<sup>23</sup> გ. ახვლედიანი, დასახ. შრომა, გვ. 131.

<sup>24</sup> Г. Торсуев, Фонетика английского языка, М., 1950, გვ. 16.

<sup>25</sup> არნ. ჩიქობავა, დასახ. შრომა, ტ. III, № 3, გვ. 299—300.

<sup>26</sup> იქვე, გვ. 300.

<sup>27</sup> ს. ელენტი, დასახ. შრომა, გვ. 280.

<sup>28</sup> გ. ახვლედიანი, დასახ. შრომა, გვ. 131.

შეხელობის გამოსახატავად. ქართულს არ მოეპოვება მსგავსი ერთეული ან ერთეულები სიტყვების განსახსრავებლად.

ინგლისურ ენაში ხმოვნის რედუქციასა (დასუსტება-დაკარგვას) და მახვილს შორის ზოგადი ურთიერთობა ჩანს. ამ მხრივ მახვილის როლი დიდია. როგორც არნ. ჩიქობავა აღნიშნავს, „დინამიკური მახვილის გაძლიერებას ხმოვანთა დასუსტება-დაკარგვისაკენ მიყვებართ, მუსიკალურ მახვილს ეს ნაკლებ ანლავს“<sup>29</sup>. უმახვილო მარცვალში თვისებრივი რედუქცია წარმოადგენს ინგლისური ენის დამახასიათებელ თვისებას, რომელიც ქართულს არ გააჩნია. ყველა შემთხვევაში ქართული სიტყვის ყოველი ხმოვანი უმახვილო მარცვალში ინარჩუნებს თავის მთავარ ბგერით მნიშვნელობას, იგი საესებით მკაფიოდ წარმოითქმის. „რამდენადაც ენაში სუსტია ინტენსიურობის მახვილი, იმდენად ხმოვნები უფრო ინარჩუნებენ თავიანთ სრულ სახეს“<sup>30</sup>. ამიტომ რედუქციის დაუსველობა უმახვილო მარცვალში ქართველი სტუდენტების პრაქტიკაში ყველაზე გაერცელებულ შეცდომად ითვლება. რედუქცირებული ხმოვნის [e] შეცვლა სრული წარმოების სხვადასხვა ხმოვნით ძალიან შესამჩნევ შეცდომას წარმოადგენს, რადგანაც ამ ხმოვანს აქვს ყველაზე დიდი სიხშირე მეტყველებაში. გ. ტორსუევის მონაცემით, იგი შეადგენს ყველა ხმოვნის 30%-ს.

ფართოდ ისმის მოდელირების საკითხი თანამედროვე ლინგვისტიკაში. მკვლევარები ენათმეცნიერებაზე დაყრდნობით დიდ ყურადღებას აქცევენ მოდელირების პრობლემებს. მოდელი უნდა ემსახურებოდეს ენობრივ მოვლენათა დაკონკრეტებას. ამ მიზნით განხილულ იქნა ქართული უმაღლესი სასწავლებლის არასპეციალური ფაკულტეტების ინგლისური ენის სახელმძღვანელოს<sup>31</sup> II კურსზე შესასწავლი ლექსიკის მოდელების ტიპები და აღმოჩნდა, რომ სიხშირის მიხედვით ყველაზე დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი:

1. ერთმახვილიანი ორმარცვლიანი სიტყვები (349) მოდელებზე + —, — + და სამმარცვლიანი სიტყვები (180) მოდელებზე + — —, — + —; მაგალითად, 'foreign, sur'prise, 'property, im'pression. შედარებით მცირე რაოდენობითაა ოთხმარცვლიანი სიტყვები (43) მოდელებზე + — — —, — + — —, — — + —; მაგალითად, 'sorrowfully, as'tonishment, elec'tronic; ხოლო ხუთმარცვლიანი სიტყვები უმნიშვნელო რაოდენობითაა — 5 მოდელზე — + — — —; მაგალითად, par'ticularly.

2. ორ-მთავარმახვილიანი სიტყვები მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი: ორმარცვლიანი — 15 მოდელზე + + +, სამმარცვლიანი — 8 მოდელებზე + + —, + — +, ოთხმარცვლიანი — 5 მოდელებზე + + — —, + — + —, + — — +, ხუთმარცვლიანი — 2 მოდელზე + — + — —, მაგალითად 'un'mask, 'un'friendly, 'disa'pprove, 'un'selfishness, 'prede'termined, 'misunder'stand, 'under'estimate.

<sup>29</sup> არნ. ჩიქობავა, დასახ. შრომა, ტ. III, № 3, გვ. 299.

<sup>30</sup> ს. ქლენტი, დასახ. შრომა, გვ. 269.

<sup>31</sup> მ. გალინსკაია, ზ. ცვეტკოვა, English, ინგლისური ენა, ქართული უმაღლესი სასწავლებლებისათვის გადმოკეთებული რ. ვაჩიჩილაძის მიერ, თბ., 1965.

3. ორმახვილიანი სიტყვები — პირველი მთავარი მახვილი, მეორე თანამახვილი — ორ მთავარმახვილიან სიტყვებთან შედარებით საკმაოდ მეტი აღმოჩნდა: სამმარცვლიანი — 11 მოდელზე + — +, ოთხმარცვლიანი — 32 მოდელზე + — + —, ხუთმარცვლიანი — 14 მოდელზე + — + — —, + — — + —, — + — + —; მაგალითად, ‚dissap’pear, ‚educ’ation, ‚oppor’tunity, ‚qualifi’cation, ‚congratu’lation.

4. ოთხმარცვლიანი სიტყვები — პირველი თანამახვილი, მეორე მთავარი მახვილი — მეტად მცირე რაოდენობითაა მოცემული: სამმარცვლიანი — 7 მოდელზე + — + —, + — + —, ოთხმარცვლიანი — 3 მოდელზე + — + —; მაგალითად, ‚land,own’er, ‚herea,bouts, ‚water—,colour.

5. სამმახვილიანი სიტყვა — ორი მთავარი მახვილითა და თანამახვილით — სახელმძღვანელოში მხოლოდ ერთი (ხუთმარცვლიანი სიტყვა) აღმოჩნდა მოდელზე + — + — + —; მაგალითად, ‚dis,satis’faction.

ამგვარად, I კურსზე შესასწავლი მოდელები — + — — — —, + — — — + —, + — + — + — II კურსზე აღარ გვხვდება; მაგალითად, an’ticipatory, ‚re,organi’zation, ‚U. ‚S. ‚S. ‚R, რაც გამართლებული არ არის. II კურსზე მოცემულია ხუთი ახალი მოდელი: + — + — —, + — — + —, + — + — —, + — + —, + — + — + —; მაგალითად, ‚un’selfishness, ‚misunder’stand, ‚underestimate, ‚herea,bouts.

მოცემული გამოკვლევის ძირითადი მეთოდები — ექსპერიმენტი და დაკვირვებები — ჩაატარეთ 12 წლის განმავლობაში ქართული უმაღლესი სასწავლებლის არაენობრივ ფაკულტეტებზე. დაკვირვების მასალებს ავსებდა სტუდენტებთან და მასწავლებლებთან საუბრები. ექსპერიმენტული დაკვირვებები, რომლის დროსაც გამოვიყენეთ ტექნიკური საშუალება (მაგნიტოფონი), მოვახდინეთ არაენობრივი ფაკულტეტების I—II კურსის სტუდენტებზე. გამოვიყენეთ ორი ექსპერიმენტული და ორი საკონტროლო ჯგუფი. მაგნიტოფონზე ფიქსირებულ იქნა 39 სტუდენტის წარმოთქმა. შევარჩიეთ ინგლისურ ენაში მოსწრების მხრივ სხვადასხვა დონის სტუდენტები. სხვადასხვა ფაკულტეტი საგანგებოდ შევარჩიეთ ხან საექსპერიმენტო, ხან საკონტროლო ჯგუფებად. ამავე დროს, საექსპერიმენტო ჯგუფებში სტუდენტთა რაოდენობა აღმეტებოდა საკონტროლო ჯგუფისას. საექსპერიმენტო მასალაში შევიტანეთ 169 სიტყვა; I კურსზე — 83 სიტყვა, II კურსზე — 86 სიტყვა, რომლებიც მახვილის ყველა იმ მოდელს მოიცავდა, რაც I—II კურსებზე ისწავლებოდა. ექსპერიმენტი ტარდებოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზეპირმეტყველების ლაბორატორიაში. სტუდენტებს ეძლეოდათ ტექსტის წაკითხვის განმარტებითი ბარათი, რომლის შედგენისას ვცდილობდით ცდის ჩატარების ყველა წესის დაცვას, ყველა სტუდენტისათვის მაქსიმალურად ერთნაირი პირობების შექმნას. ექსპერიმენტი მიმდინარეობდა ინსტრუქციის მიხედვით.

როდესაც ვარჩევდით სიტყვებს, რომლებიც შეიცავდნენ და აილუსტრაციებდნენ მახვილის საექსპერიმენტო პრობლემებს, მათ ორი თვალსაზრისით განვიხილავდით: (1) მათ როგორც საკითხების მნიშვნელობას და (2) იმ საპრობლემო მოდელების ფართო გავრცელებას, რომელთა ექსპერიმენტიც გესურდა. ჩვენ შევზღუდეთ ჩვენი შერჩევა იმ სიტყვებით, რომლებიც ცნობილია სტუდენტებისათვის ან ხშირად თავისუფლად იხმარება. საექსპერიმენ-

ტო საკითხია, მაშასადამე, სტუდენტი სწორად უსვამს თუ არა მახვილს იმ საკითხებს, რაც იცის, თუ მოსალოდნელია, რომ მან ეს იცის ლექსი, უკრად. ეს შეზღუდვა შესაძლებელია გამართლებული იყოს საშუალო სკოლაში ექსპერიმენტის დროს, იგი გამართლებული არ არის უმაღლეს სასწავლებელში იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ გვსურს ვიცოდეთ, სტუდენტი დაეუფლა თუ არა მახვილის მოძღვრებს ფუნქციონალურად, ინდივიდუალური საკითხების კონკრეტულ ცოდნაზე შეტს, ე. ი. დაეუფლა თუ არა სტუდენტი ინგლისური ენის მახვილს სისტემას. ამ მეორე პრობლემის შესამოწმებლად ყოველი შერჩეული საკითხი უნდა წარმოადგენდეს საპრობლემო მოდელს და შეიძლება შერჩეულ იქნეს ლექსიკური წყობიდან, რომლის უმრავლესობასაც სტუდენტი შეიძლება დაეუფლა როგორც საკითხებს. მაგალითების შერჩევისას, რომლებიც შეიცავენ მახვილის საექსპერიმენტო პრობლემებს, ჩვენ ვარჩევდით სულ ცოტა ერთ სიტყვას, რომელსაც სტუდენტისათვის ცნობილ ლექსიკურ მარაგად შივიჩნევდით, და მეორე სიტყვას, რომელიც სტუდენტს არ შეუსწავლია როგორც საკითხი თავის ლექსიკურ მარაგში, მაგრამ სწორად დაუსვამს მახვილს, თუ იგი დაეუფლა მახვილის განსაკუთრებულ მოდელს, რომელსაც ეს სიტყვა შეიცავს. მაგალითად, ინგლისური *tion* მოდელი, რომელიც გვიჩვენებს სიტყვის მახვილს *tion*-ის წინ მდებარე მარცვალზე, წარმოადგენს შესასწავლ პრობლემას ინგლისური ენის შემსწავლელი ქართველი სტუდენტებისათვის.

ექსპერიმენტის ტექნიკური ხერხები გულისხმობს სტუდენტის მიერ მახვილის გამოცნობას, რომელმაც უნდა აღნიშნოს მახვილის ადგილი სიტყვის დაბეჭდილ გამოსახულებაზე ან წარმოთქმაში. მახვილის ექსპერიმენტის შემდეგი ტექნიკური ხერხები გამოიყენეთ:

1. გამომცდელი ხმაშეცვლა კითხულობს სიტყვას, ხოლო სტუდენტი აღნიშნავს ფურცელზე მარცვალს ან მარცვლებს, რომლებსაც მოუღის ის მახვილი, რომელზედაც ექსპერიმენტი ტარდება. მაგალითად, მთავარ მახვილზე ცდის ჩატარებისას — თუ ეს არის პრობლემა — გამომცდელი კითხულობს 'misunderstand'. სტუდენტი, რომელიც უყურებს სიტყვის misunderstand დანომრილ მარცვლებს თავის საპასუხო ფურცელზე, აღნიშნავს ან წერს ყველაზე გამოჩენილი მარცვლის ციფრს, რათა მიუთითოს, რომ მან იგი გაიგო. იგივე ტექნიკური ხერხის გამოყენება შეიძლება სუსტი მახვილის აღქმის ექსპერიმენტის დროს. მაგალითად, გამომცდელი ამბობს The communication, ხოლო სტუდენტი თავის საპასუხო ფურცელზე წერს ან აღნიშნავს სუსტ მახვილიანი მარცვლების ციფრს სიტყვაში The communication. პასუხი იწება 1246. მახვილიანი მარცვლების (რომლის ექსპერიმენტი გვსურს) გამოსახვის სხვადასხვა საშუალებაა შესაძლებელი, მაგრამ ძნელი იქნებოდა გვეპოვნა უფრო მოსახერხებელი საშუალება, ვიდრე ციფრები. ჩვენ რომ ვეჭვონოდა საკმარისი მინიმალური წყვილები, როგორცაა 'object—object' ინგლისურ მახვილში. ჩვენ შევქვდით სტუდენტებისათვის მივეცა ორი სიტყვა, რომლებიც მახვილის განსახვავებლად აღნიშნებოდა ასომთავრული ასოებით, სქელი შრიფტით, მახვილის ნიშნით ან სხვა რომელიმე საშუალებით. მაგალითად, გამომცდელმა უნდა წაიკითხოს Desert, ხოლო სტუ-



დენტმა უნდა ამოირჩიოს deSERT-სა და DEsert-ს ან desert-სა და deseri-ს ანდა de'sert-სა და 'desert-ს შორის.

2. მახვილზე ექსპერიმენტს ვატარებთ საერთო ტექნიკური საშუალებით: სტუდენტს წარმოვათქმევინებთ იმ სიტყვებს, რომლებიც შეიცავენ მახვილის იმ პრობლემებს, რომელთა ექსპერიმენტიც გვეკირდება და ვაჭამებთ მის პასუხს უშუალო დაკვირვებით ან ჩანაწერზე მრავალმხრივი დაკვირვებით.

ეს ტექნიკური ხერხები შეიძლება სხვადასხვა საშუალებით შეიცვალოს, მაგრამ პრობლემები, რომლებსაც ვცდით, იგივე რჩება.

ამგზნები შეიძლება იყოს შეკითხვა ანდა მითითებები, რომლებიც ეძლევა სტუდენტს; ასე რომ, ის საჭირო სიტყვას ან წინადადებას წარმოთქვამს. ამ საშუალებას უპირატესობა აქვს სასაუბრო სიტუაციის გადმოცემის დროს, მაგრამ იგი სხვა მხრივ ნაწილობრივ შეზღუდულია. სურათები, რომელთაც თან ახლავს კითხვები ან მითითებები, უფრო პრაქტიკულია მთელი რიგი სწორი პასუხის წარმოსათქმევლად. სტუდენტებთან, რომელთაც განსაკუთრებული წარმატება არა აქვთ კითხვაში, უკეთესია ექსპერიმენტი სურათების საშუალებით ჩატარდეს. მახვილის რაიმე გრაფიკული აღნიშვნის გარეშე ჩვეულებრივი ორთოგრაფიით დაწერილი სიტყვები ან წინადადებები შესაძლებელია საუკეთესო ამგზნები იყოს მახვილის ხმარების ექსპერიმენტისათვის. ინგლისური დაწერლობა არ აღნიშნავს მახვილს და, ამგვარად, იგი უცვლელად გამოსადგია როგორც ამგზნები. კითხვის ცოდნა, რასაკვირველია, მნიშვნელოვანი ფაქტორია ამ ტექნიკურ საშუალებაში. უცოდინარნი ვერ გამოიყენებენ მას. მხოლოდ სტუდენტებთან, რომლებიც თავისუფლად კითხულობენ, შეიძლება ჩატარდეს ექსპერიმენტი ამ ტექნიკური საშუალებებით. მინიმუმამდე რომ დაეიყვანოთ პრობლემები კითხვის საშუალებით, სტუდენტს შეიძლება ნება დაერთოს მასალა ჩუმად წაიკითხოს ექსპერიმენტისათვის ხმამალა წაკითხვამდე.

მახვილის ფართო ექსპერიმენტისათვის ვატარებდით ობიექტურ ჭკუფურ ექსპერიმენტებს ან ინდივიდუალური წარმოთქმის ექსპერიმენტებს, რომლებიც მთლიანად თანამედროვე წარმოთქმას შეესაბამისება. ინდივიდუალური წარმოთქმის ტექნიკური ხერხები შედგება დაწერილი სიტყვებისაგან, რომლებიც მახვილის პრობლემებს შეიცავენ და ციფრები აწერიათ მარცვლების ქვემოთ ან ზემოთ. სტუდენტს თხოვენ აღნიშნოს ან დაწეროს იმ მარცვლის ციფრი, რომელსაც იგი წარმოთქვამს მთავარი მახვილით, თანამახვილით ან სუსტი მახვილით. მაგალითად:

1. ინსტრუქცია: მოხაზეთ მახვილიანი მარცვლის ციფრი.

1 2 3 4  
საკითხი: unselfishness

შეხიშვნა: სტუდენტი თავისი წარმოთქმის რამდენიმეჯერ ჩუმად გამეორების შემდეგ შემოხაზავს 1 და 2-ს თუ იგი სიტყვას ამგვარად წარმოთქვამს.

1 2 3 4  
მაგალითი: unselfishness

2. ინსტრუქცია: დაწერეთ მარცვლების ციფრი, რომლებსაც სუსტი მახვილით წარმოთქვამთ.

1 2 3 4 5

საკითხი: considerable.

შენიშვნა: სტუდენტი, რომელიც სუსტ წარმოთქმას იყენებს, პასუხად დაწერს 1345, რათა მიუთითოს, რომ პირველ, მესამე, მეოთხე და მეხუთე მარცვლებს იგი სუსტი მახვილით წარმოთქვამს.

მაგალითი: considerable—1345.

3. ინსტრუქცია: მოშალეთ სუსტმახვილიანი ოთხი მარცვლის ციფრი.

1 2 3 4 5 6 7

საკითხი: Tom began to suspect him.

შენიშვნა: სტუდენტი მოშლის ციფრებს 2, 4, 5 და 7.

1 2 3 4 5 6 7

მაგალითი Tom began to suspect him.

4. ინსტრუქცია: შემოხაზეთ მთავარ მახვილიანი მარცვლების ციფრი.

1 2 3 4 5 6 7

საკითხი: Tom began to suspect him.

შენიშვნა: სტუდენტი შემოხაზავს 1, 3 და 6.

1 2 3 4 5 6 7

მაგალითი Tom began to suspect him და ა. შ.

ლიტერატურული ენის წარმოთქმის ნორმიდან გადახვევა თავისი მნიშვნელობით მსმენელისათვის ერთნაირი არ არის: ზოგი აღიქმება არაზუსტად, როგორც ინდივიდუალური თავისებურება ანდა ნაკლებად გავრცელებული თავისებურება, ზოგი მკვეთრად ჭრის ყურს, გვიძნელებს მეტყველების გაგებას; მაგალითად, მახვილის გავრცელებული მცდარი გადაადგილება — 'painting-ის ნაცელად pain'ting და ა. შ. — იძლევა მხოლოდ ნორმის დარღვევას. ნორმის დარღვევის შეცდომები წარმოადგენენ ენის ერთობითი წარმოთქმიდან მცირე გადახვევებს მოცემული კოლექტივის საერთოდ მიღებული წარმოთქმის ჩვევების უმნიშვნელო ცვლილებების სახით. ნორმის დარღვევის შეცდომებს, როგორც წესი, არ მივყევართ მეტყველების პროცესში აზრობრივ ცვლილებებამდე.

ნორმის დამახინჯების შეცდომები წარმოადგენენ ენის ერთობითი წარმოთქმიდან დიდ გადახვევას, რომელიც იწვევს მკვეთრ აზრობრივ ძვრებს. ეს გადახვევები, რომლებიც მეტყველებას გაუგებარს ანდა ძნელად გასაგებს ხდის, მეტყველების, როგორც კოლექტივის ურთიერთობის იარაღის, აზრობრივ ფუნქციას არღვევს, მაგალითად, 'object—ob'ject და სხვა. ამგვარად, ნორმის დარღვევის შეცდომები წარმოადგენენ წარმოთქმის მცირე დარღვევის შეცდომებს. ნორმის დამახინჯება — წარმოთქმის დიდი დამახინჯების შეცდომებს.

თუ დიდი შეცდომები მშობლიურ წარმოთქმაში გამონაკლისს წარმოადგენს და დამახასიათებელი არ არის საერთო წარმოთქმისათვის, უცხოური ენის წარმოთქმის დაუფლების პროცესში დამახინჯებები შეიძლება დამახასიათებელი და მტკიცე იყოს და გადავიდეს ენის სრული დაუფლების სტადიაზე.

რაც შეეხება წარმოთქმის ნორმის დარღვევას, მშობლიურ ენაში ისინი შეიძლება გავრცელებული იყვნენ და მდგრადი ტენდენცია ჰქონდეთ; უცხოური ენის შესწავლის დროს კი ნორმის დარღვევის რიცხვი მნიშვნელოვნად

იზრდება, ხოლო მდგრადობა კიდევ უფრო მტკიცე ხდება, ვიდრე მშობლურ ენაში.

ქართული სტუდენტების ყველაზე ტიპობრივი და ხშირად დაშვებული შეცდომები ინგლისური სიტყვათმახვილის ხმარებაში, ჩვენი აზრით, გამოწვეულია ორი მიზეზით და ამის შესაბამისად იყოფა ორ ჯგუფად. ინგლისური ენის მახვილის ქართული ენის მახვილით შეცვლა, შეადგენს პირველ, ყველაზე მრავალრიცხოვანი შეცდომების ჯგუფს. ეს შეცდომები იმით არის გამოწვეული, რომ სტუდენტები, რომლებიც მიჩვეული არიან მშობლიური ენისათვის დამახასიათებელი მახვილის ხმარებას, ქვეცნობიერად ცვლიან ინგლისური ენის მახვილს, რითაც შესასწავლი ენის ნორმებს არღვევენ. შეცდომების მეორე ჯგუფს მიეკუთვნება უკვე ნასწავლი, განმტკიცებული მახვილის მოდელით ახალი სიტყვის წარმოთქმა, ე. ი. ახალი მოდელის ნასწავლი მოდელით შეცვლა.

მეორე კურსის საექსპერიმენტო ჯგუფის ტიპობრივი შეცდომები. I. ერთ-მახვილიანი სიტყვები. ჩატარებული ექსპერიმენტული მონაცემები და პირადი დაკვირვებები გვიჩვენებს, რომ მეორე კურსის საექსპერიმენტო ჯგუფის სტუდენტები ორმარცვლიან სიტყვებს მოდელზე — ორი მთავარი მახვილით წარმოთქვამდნენ, დამატებით მახვილს სუფიქსს უსვამდნენ, რის შედეგადაც მოკლე ხმოვანს გრძელი ხმოვნით ცვლიდნენ ან რედუცირებულ ხმოვანს — სრული წარმოების ხმოვნით, მაგალითად, 'mu:v'ment, 'sti:m'ji:p. სტუდენტები სიტყვას ორი თანაბარი მნიშვნელობის ნაწილებად ყოფდნენ. ისინი სიტყვებს მშობლიური ენის მახვილის კანონზომიერების თანახმად წარმოთქვამდნენ: ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ სრული არტიკულაცია და მათთვის ძნელ მარცვალზე გადაჰქონდათ მახვილი.

სამმარცვლიან სიტყვებს მოდელზე — სტუდენტები, ორმარცვლიანი სიტყვების ანალოგიურად, ორი მთავარი მახვილით წარმოთქვამდნენ და რედუცირებულ ხმოვნებს სრული წარმოების ხმოვნებით ცვლიდნენ, მაგ., 'help'lesli, 'sə'roufli.

ოთხმარცვლიან სიტყვებს მოდელზე — ისინი ორი მთავარი მახვილით წარმოთქვამდნენ და რედუცირებულ ხმოვანს, დამატებითი მახვილის ხმარებისას, სრული წარმოების სხვადასხვა ხმოვნით ცვლიდნენ, მაგ., 'kʌmɪn- 'teibli, 'kʌmɪn'ʌtʌbli, 'kʌm'fɑ:tʌbli, ან მთავარი მახვილისიტყვის ბოლოკიდურ მარცვალზე გადაჰქონდათ, ხოლო საწყის მარცვალს თანამახვილით წარმოთქვამდნენ; მთავარმახვილიან რედუცირებულ ხმოვანს კი სრული წარმოების ხმოვნით ცვლიდნენ, მაგ., 'vedz' 'teibl.

ერთმახვილიანი სიტყვების წარმოთქმისას მოდელზე — მეორე კურსის სტუდენტებმა გვერდი ვერ აუარეს მახვილის გადანაცვლებას ზოგიერთ შემთხვევაში, რაც გამოწვეული იყო, როგორც ჩანს, ინგლისურ სიტყვებში საწყის მარცვალზე მახვილის დასმის ტენდენციით. ამ შემთხვევაშიც ადგილი ჰქონდა რედუცირებული ხმოვნის სრული წარმოების ხმოვნით შეცვლას, მაგ., 'refju:z, 'epiə, 'kɑntein.

ხუთმარცვლიან სიტყვებს მოდელზე — სტუდენტები სხვადასხვახაზად წარმოთქვამდნენ: დამატებითი თანამახვილით საწყის მარცვალზე, ხოლო მთავარი მახვილი გადაჰქონდათ ბოლოდან მეორე მარცვალზე,

რის შედეგადაც რედუცირებულ ხმოვანს სრული წარმოების ხმოვნით ცვლიდნენ, მაგ., *diskʌmfə'teibl*, *ˌpʌtikju'la:li*, ან საწყის მარცვალზე მახვილით, მაგ., *'kænsidarəbli*, ან ორი მთავარი მახვილით; დამატებით მახვილს მეორე მარცვალს უსვამდნენ. ერთ შემთხვევაში ძირითადი მახვილი იგივე ადგილზე რჩებოდა, ხოლო მეორე შემთხვევაში ძირითადი მახვილი საწყის მარცვალზე გადაჰქონდათ, მაგ., *i'nju:mə'reibl*, *'injʌ:mə'reibl*.

II. ო რ მ თ ა ე ა რ მ ა ხ ვ ი ლ ი ა ნ ი ს ი ტ ყ ვ ე ბ ი. ამ ტიპის ორმარცვლიან სიტყვებს მოდელზე + — სტუდენტები ერთი მახვილით წარმოთქვამდნენ და გრძელ ხმოვანს მოკლე ხმოვნით ცვლიდნენ, მაგ., *'ʌnmʌsk*, ან მთავარ მახვილს თანამახვილით ცვლიდნენ, მაგ., *'daʊnstæz*.

ს ა მ მ ა რ ც ვ ლ ი ა ნ ი ს ი ტ ყ ვ ე ბ ი მ ო დ ე ლ ზ ე + — საექსპერიმენტო ჯგუფის სტუდენტებმა სწორად წარმოთქვეს.

ო თ ხ მ ა რ ც ვ ლ ი ა ნ ს ი ტ ყ ვ ე ბ ი მ ო დ ე ლ ზ ე + — მთ მთავარი მახვილი მეორე მარცვალზე გადაადგელს და მოკლე ხმოვანი გრძელი ხმოვნით შეცვალეს, მაგ., *'ʌnseɪ'fi:ʃnis*.

ხუთმარცვლიან ამ ტიპის სიტყვებს მოდელზე + — — სტუდენტები წარმოთქვამდნენ მახვილის მეოთხე მარცვალზე გადაადგილებით, რის შედეგადაც რედუცირებულ ხმოვანს სრული წარმოების ხმოვნით ცვლიდნენ, მაგ., *dis'kɔnektɒdli*, ხოლო ერთი სახის რედუცირებულ ხმოვანს მეორეთი ცვლიდნენ ( $I > \partial$ ), ან თანამახვილს მეოთხე მარცვალს უსვამდნენ. ამ შემთხვევაშიც რედუცირებულ ხმოვანს სრული არტიკულაციით წარმოთქვამდნენ, ხოლო გრძელ ხმოვანს მოკლე ხმოვნით ცვლიდნენ, მაგ., *'dis,ɛprʊvɪŋli*, ანდა მახვილი მესამე მარცვლიდან ბოლოკიდურ მარცვალზე გადაჰქონდათ, ხოლო მესამე მარცვალს თანამახვილს უსვამდნენ; მაგ., *'ʌndə'restɪ'meɪt*. ეს სიტყვარამდენიმე სტუდენტმა წარმოთქვა როგორც არსებითი სახელი, რომელიც გაეღილი არ ჰქონდათ, მაგ., *'ʌndə'restɪmit* (n) — *'ʌndə'restɪmeɪt* (v). როგორც ჩანს, ინგლისურ ენაში უმახვილო მარცვლის ხმოვნის გარედუცირების ტენდენციით.

III. ო რ მ ა ხ ვ ი ლ ი ა ნ ი ს ი ტ ყ ვ ე ბ ი — პ ი რ ვ ე ლ ი მ თ ა ე ა რ მ ა ხ ვ ი ლ ი, მეორე თანამახვილი. ამ ტიპის ოთხმარცვლიან სიტყვებს მოდელზე + — — სტუდენტები ორი მთავარი მახვილით, მაგ.: *'ɔʊvə* *'kʌm*, ან საწყის მარცვალზე ერთი მთავარი მახვილით წარმოთქვამდნენ, მაგ. *'ɪntəfə*, როგორც ჩანს, დედაენისა და ინგლისური მახვილის კანონზომიერების ერთდროული მოქმედების შედეგად. ზოგჯერ მთავარი მახვილისა და თანამახვილის ურთიერთგადაადგილებას ახდენდნენ, მაგ., *'vɔɪn,tɪə*.

ფრანგულ სიტყვას *em'plɔi'i:* სტუდენტები, ინგლისური ენის მახვილის კანონზომიერების თანახმად, მესამე ვარიანტით წარმოთქვამდნენ, მაგ., *im'plɔii*, ხოლო ბოლოკიდურ გრძელ ხმოვანს მოკლე ხმოვნით ცვლიდნენ.

ხუმარცელიან სიტყვებს მოდელზე — — — სტუდენტები სხვადასხვანაირად წარმოთქვამდნენ: მთავარი მახვილი მეოთხე მარცვალზე გადაჰქონდათ, რის შედეგადაც რედუცირებულ ხმოვანს სრული არტიკულაციით წარმოთქვამდნენ, მაგ., *ˈdʒeˈnerositi*, ან საწყის მარცვალს მთავარი მახვილით წარმოთქვამდნენ, მაგ., *ˈɸasabiliti*, ან მთავარ მახვილს მეორე მარცვალს უსვამდნენ და ქართული ენის ანალოგიით რედუცირებულ ხმოვანს სრული წარმოების ხმოვნით ცვლიდნენ, მაგ., *ˈmænɟʌfækˈturiŋ*.

IV. ოთხმარცელიანი სიტყვები — პირველი თანამახვილი, მეორე — მთავარი მახვილი. ამ ტიპის სამმარცელიან სიტყვებს მოდელზე  $+-+$ ,  $+-+$  სტუდენტები წარმოთქვამდნენ ორი მთავარი მახვილით, მაგ.: *ˈklokˈmeika*, *ˈdʌblˈaid*, *ˈhiəˈbaʊts*. ამგვარადვე უსვამდნენ სტუდენტები მახვილს ოთხმარცელიან სიტყვებს მოდელზე  $+-+$ , მაგ., *ˈdinaˈsɑːvis*, ან მთავარი მახვილი საწყის მარცვლიდან გადაჰქონდათ მესამე მარცვალზე, როლის ხმოვანსაც გრძლად წარმოთქვამდნენ. მაგ. *enˈdʒiːn, draiva*.

V. სამმარცელიანი სიტყვები — თანამახვილი ორი მთავარ მახვილს შორის მდებარეობს. ამ ტიპის ხუმარცელიანი სიტყვების წარმოთქმისას (მოდელი  $+-+$  —  $+-$ ) საექსპერიმენტო ჯგუფში მახვილის ხმარებაში დაშვებული შეცდომები არ აღმოჩნდა.

სტუდენტების ზემოთ მოცემული მაგნიტოფონზე ჩაწერილი წარმოთქმა ფიქსირებულ იქნა 39 ოქმში. ოქმიდან ვარჩევდით და ცხრილებში ესვამდით სტუდენტების მიერ წარმოთქმულ სიტყვებში მახვილის ხმარებაში დაშვებული შეცდომების, სიტყვების დამახინჯებისა და სიტყვების გამოტოვების მონაცემებს. შემაჯამებელმა ცხრილებმა შესაძლებლობა მოგვცა დავეთვალა მახვილის ხმარებაში დაშვებული შეცდომების, სიტყვათა დამახინჯებისა და სიტყვათა გამოტოვების რაოდენობა და გამოგვეთვალა პროცენტი. ჯერ საექსპერიმენტო და საკონტროლო ჯგუფების მაგნიტოფონის ჩანაწერებს (მრავალმხრივი მოსმენის შემდეგ) ვაზოგადებდით ცალ-ცალკე; შემდეგ ექსპერიმენტის მასალებს ვაზოგადებდით საექსპერიმენტო და საკონტროლო ჯგუფების შედეგების შედარების გზით (შეცდომების საშუალო პროცენტის გამოსავანად). დასკვნები ემყარება სტატისტიკურად დამოწმებულ მონაცემებს.

ოქმის წარმოების ინსტრუქცია შემდეგია: ა) ვისმენტ და აღვნიშნაეთ სიტყვებს; ბ) გრაფაში „მოწმდება“ ნაჩვენებია, რა უნდა შემოწმდეს სტუდენტის მიერ ტექსტის კითხვის დროს; გ) სიტყვების სწორი მახვილით წარმოთქმისას დაისმის +, არასწორი მახვილით წარმოთქმისას —, სიტყვების დამახინჯების დროს x, სიტყვების გამოტოვებისას ?; დ) არასწორი მახვილით წარმოთქმა სასურველია ტრანსკრიფციით აღინიშნოს; ე) დანარჩენი გაუთვალისწინებელი ნორმების დარღვევა, შეძლებისდაგვარად, აღინიშნება ტრანსკრიფციით და აიხსნება გრაფაში „შენიშვნები“.

ქვემოთ ვიძლევიტ ოქმის წარმოების ნიმუშს:

ო კ მ ი № 28

გვარი—მანჭვალაძე, სახელი—გიორგი, ფაკულტეტი—ისტორიისა, კურსი—II, ჯგუფი—საექსპერიმენტო

მოწმდება	მ ე ჩ ნ ე უ ლ ი ა				შენიშვნები
	სწორი მახელი	არასწორი მახელი	სიტყვის დამახინჯება	სიტყვის გამოტოვება	
მახელი პირველ მარცვალზე insist	+				
მახელი მეორე მარცვალზე steamship	+				
მახელი მესამე მარცვალზე hunting—boots	+				
მახელი მეორე მარცვალზე appearance	+				
მახელი მეორე მარცვალზე electronic	+				
მახელი მეოთხე მარცვალზე particularly			x		
მთავარი მახელი პირველ და მეორე მარცვლებზე downstairs		'daun,steəz			
მთავარი მახელი პირველ და მესამე მარცვლებზე disapprove half-a-crown	+	'ha: f'e'kraun			
მახელი მესამე მარცვალზე unusually	+				
მახელი მეოთხე მარცვალზე vegetable		'ved zɪ' teɪbl			რედუცირებული სიტყვი წარმოების ხმოვანი ცვლის
მახელი მეორე და მეოთხე მარცვლებზე fellow—traveller misuotion	+				
მთავარი მახელი მესამე და მეოთხე მარცვლებზე unselfishness	+				

მოწმდება	შ ე მ ჩ ნ ე უ ლ ი ა				უენიშენებო
	სწორი მახვი- ლი	არასწორი მახვილი	სიტყვის დამაინ- ჯება	სიტყ- ვის გა- შორტო- ება	
მთავარი მა'ვლი პირველ და მეოთხე მარცვლებზე + dearly—beloved	+				
მთავარი მა'ვილი მესამე და მეხუთე მარცვლებზე + absent—mindedness underestimate	+ +				
მთავარი მა'ვლი პირველ მარცვალზე, თანამა ვილი—მესამეზე + interfere		— 'inta'fia			
თანამა'ვილი მეორე მარცვალზე, მთავარი მახვილი—მესამეზე + strike—breaker	+				
მთავარი მა'ვილი მეორე მარცვალზე, თანამა'ვილი—მეოთხეზე + disappearance invitation	+ +				
თანამა ვილი მეორე მარცვალზე, მთავარი მა'ვილი—მეოთხეზე + story—teller		— 'sto:'ri'tela			
თანამა'ვილი პირველ მარცვალზე, მთავარი მა'ვილი—მესამეზე + riding—whip	+				
მთავარი მა ვილი მესამე მარცვალზე, თა- ნამა ვილი მე უთხეზე + unde standable manufacturing	+	^ 'stãndeibl			რედუცირე- ბულ ზმოენს სრალი წარ- მოენის მოე- ნით ცელის
მთავარი მა ვილი მეორე მარცვალზე, თანამა'ვილი—მე უთხეზე + mathematician	+				
მთავარი მა ვილი მეორე და მე უთხე მარცვლებზე, თანამა'ვილი—მეოთხეზე + co—educat on dissat.sfaction	+ +				
მთავარი მა'ვილი მეორე მარცვალზე, თანამა'ვილი—მეოთხეზე + materialistic				?	

მაგნიტოფონის მასალების დაკვირვება-შესწავლის საფუძველზე შესაძლებლობა გვეძლევა გავაკეთოთ II კურსის საექსპერიმენტო და საკონტროლო ჯგუფების შედეგების შედარების განზოგადებები — ინგლისური სიტყვის მახვილის ხმარებაში დაშვებულ შეცდომებზე, სიტყვის დამახინჯებასა და გამოტოვებაზე: დიდი განსხვავება შეინიშნება საექსპერიმენტო და საკონტროლო ჯგუფების მიერ წარმოთქმულ იზოლირებულ სიტყვებში მოდლებზე —  $+ + -$ ,  $+ -$ , რომლებშიც საექსპერიმენტო ჯგუფმა 19,97—11,22% ნაკლები შეცდომა დაუშვა, მცირეა განსხვავება სიტყვებში მოდლებზე —  $+ + -$ ,  $- + + -$ , რომლებშიც საექსპერიმენტო ჯგუფმა 5,66—4,15% უპირატესობით წარმოთქვა. სამახვილიან სიტყვებში საკონტროლო ჯგუფმა 12,5%-ით მეტი შეცდომა დაუშვა მოდლებზე  $+ + - + -$ .

სიტყვების დამახინჯებაში განსხვავება შედარებით მეტი აღინიშნა მოდლებზე —  $+ + -$ , რომლებიც 14,66%-ით ნაკლებად დაამახინჯა საექსპერიმენტო ჯგუფმა. შედარებით ნაკლები განსხვავება აღმოჩნდა მოდლებზე —  $- + + -$ ,  $+ + - + -$ , რომელთა დამახინჯება საექსპერიმენტო ჯგუფის მიერ 5,49—3,6% დაბალია. სიტყვის დამახინჯების თითქმის თანაბარი რაოდენობაა მოდლებზე —  $+ + -$  — საექსპერიმენტო ჯგუფის უმნიშვნელო უპირატესობით (0,77%). მხოლოდ ერთხელ საკონტროლო ჯგუფმა მცირე უპირატესობით წარმოთქვა ერთმახვილიანი სიტყვები და 1%-ით ნაკლებად დაამახინჯა.

სიტყვის გამოტოვების თანაბარი განსხვავება აჩვენა ორივე ჯგუფმა: მოდლებზე —  $+ + +$  — საკონტროლო ჯგუფმა, ხოლო მოდლებზე —  $- + +$  — საექსპერიმენტო ჯგუფმა თითო-თითო პროცენტით გამოტოვა.

ორივე ჯგუფისათვის შედარებით ძნელი სიტყვები აღმოჩნდა მოდლებზე —  $+ + -$ , შედარებით ადვილი — მოდლებზე  $+ + - + -$ .

ამგვარად, II კურსის საექსპერიმენტო და საკონტროლო ჯგუფების ციფრების დაპირისპირება ყველა შემთხვევაში გვიჩვენებს საექსპერიმენტო ჯგუფის მიერ მახვილის ხმარებაში დაშვებული შეცდომების, სიტყვის დამახინჯებისა და სიტყვის გამოტოვების ნაკლებ პროცენტს საკონტროლო ჯგუფთან შედარებით.

უმაღლესი სასწავლებლის არასპეციალური ფაკულტეტების ინგლისური ენის არც ერთ პრაქტიკულ სახელმძღვანელოში მახვილის წესების სრული სისტემა არ გვხვდება, ხოლო რამდენიმე სახელმძღვანელოში მოცემულ მახვილის წესებს დღემდე არა აქვთ ზუსტი და ნათელი ფორმულირება. ვინაიდან ინგლისური ენის ლექსიკური შემადგენლობა მრავალფეროვანია, ინგლისურ სიტყვაში მახვილის ადგილის დადგენა ხშირად მეტისმეტად ძნელია. ჩვენ ვერ დავეთანხმებით საზღვარგარეთელი ზოგიერთი ლინგვისტის შეხედულებას სიტყვის მახვილის წესების ჩამოყალიბების საკითხში. მაგალითად, ა. პიტერი და გ. მაკარტი აღნიშნავენ, რომ ვინაიდან ინგლისურ სიტყვებში მახვილი ფიქსირებული არ არის, „უმეტეს შემთხვევაში არ შეიძლება ჩამოყალიბდეს წესები და თუნდაც შეიძლებოდეს მათი დადგენა, მათ ექნებოდათ უამრავი გამოწაკლისი. უცხოელებისათვის ერთ-ერთი საშუალებაა თითოეული სიტყვა შეისწავლონ ინდივიდუალურად თავისი მახვილით ფონეტიკის ლექსიკონიდან“<sup>32</sup>.

იმავე აზრს გამოხატავს დ. ჯოუნზი და აღნიშნავს, რომ „არ არსებობს წე-

<sup>32</sup> A. Peter, M. MacCarthy, English Pronunciation, Cambridge, 1945, § 583.



სები, რომლებიც მიუთითებენ იმაზე, რომ ინგლისური მრავალმარცვლიანი სიტყვის რომელ მარცვალზე მოუდის მთავარი მახვილი... როდესაც შესაძლებელია სიტყვის მახვილის წესების ჩამოყალიბება საერთოდ, მათ ჩვეულებრივ ექნებათ მრავალრიცხოვანი გამოწვევისი<sup>33</sup>.

გამოკვლევებს შახვილის ადგილის შესახებ ინგლისური ენის სიტყვებში მიუყვართ იმ დასკვნამდე, რომ ინგლისური აქცენტური სისტემის კანონზომიერება შეიძლება ჩამოყალიბებულ იქნეს წესებში.

ქართული ენა ინგლისურისაგან განსხვავდება სიტყვაში მახვილის ადგილმდებარეობით და, აქედან გამომდინარე, ორივე ენის აქცენტური სისტემის კანონზომიერება სხვადასხვა წესით გამოიხატება. ქართულ სალიტერატურო წარმოთქმაში ორმარცვლიან სიტყვებში მახვილი მოუდის ბოლოდან მეორე მარცვალს; მრავალმარცვლიან სიტყვებში მარცვლები წარმოითქმიან თითქმის თანაბარზომიერი სიძლიერით, გარდა ბოლოდან მესამე მარცვლისა. ამასთანავე ტონის სიმძლავრე მსუბუქი მოდულაციით ხასიათდება. როგორც გ. ახვლედიანი აღნიშნავს, ქართული სიტყვათმახვილი „ადგილის მიხედვით მეორე მარცვალზეა (ორმარცვლიანში), ან მესამეზე (სამ- და მეტმარცვლიან სიტყვაში ბოლოდან)“<sup>34</sup>. გ. ახვლედიანის აზრით, ქართული სიტყვათმახვილის დღემდე შეხახული გარკვეული ადგილი — ბოლოდან მეორე ან მესამე მარცვალი — ძველი შოვლენაა. გ. ახვლედიანი ნ. მარის განსაზღვრებას მახვილის ადგილს შესახებ სიტყვაში საერთოდ სწორად მიიჩნევს, მაგრამ არ ეთანხმება იმ მოსაზრებას, რომ მრავალმარცვლიან სიტყვაში, თითქოს, მახვილი მეორე მარცვალზე შეიძლება მოდეს. მაგალითად, ნ. მარის აზრით, ქართულ სიტყვაში მახვილიანი მარცვლებია მეორე და მესამე ბოლოდან; შეიძლება: ქართული და ქართული. ოთხ- და ხუთმარცვლიან სიტყვას ორი მახვილი შეიძლება ჰქონდეს: მარგალიტი, ხოლო ხუთმარცვლიანზე მეტ სიტყვებში მეორე მახვილი სავალდებულოა — აღმაშენებელი<sup>35</sup>. ს. ქლენტი არ იზიარებს ნ. მარის შეხედულებას, რომ სალიტერატურო წარმოთქმაში თითქოს ბუნებრივი იყოს მრავალმარცვლიან სიტყვებში მახვილის მეორე მარცვალზე დასმა. ს. ქლენტის მიერ ჩატარებული ექსპერიმენტული მონაცემები დასტურებენ, რომ ორმარცვლიან სიტყვებში მახვილიანია ბოლოდან მეორე მარცვალი, ხოლო სამ- და მეტმარცვლიან სიტყვებში მახვილიანია ბოლოდან მესამე მარცვალი<sup>36</sup>.

ქართული არასპეციალური ფაკულტეტების ინგლისური ენის სახელმძღვანელოს ლექსიკის ანალიზმა საშუალება მოგვცა გამოკვლევდინა სიტყვების ექვსი აქცენტური ტიპი და ოცდაშვიდი აქცენტურ-სილაბური სტრუქტურა.

მახვილის დამოუკიდებლად განლაგების საკითხის დასმა მიზანშეწონილია მაშინ, როდესაც სტუდენტებს დაგროვილი ექნებათ გარკვეული ლექსიკური მარაგი, ეცოდინებათ სიტყვაწარმოება. გარდა ამისა, აუცილებელია, რომ სტუდენტებს მტკიცე ცოდნა ჰქონდეთ სტრუქტურულ-მორფოლოგიური ელემენტების — პრეფიქს-ფუძე-სუფიქს სისტემაზე. სტუდენტმა რომ დამოუკიდებლად განსაზღვროს მახვილის ადგილი სიტყვაში, უნდა იხელმძღვანელოს

<sup>33</sup> D. Jones, An Outline of English Phonetics, Cambridge, 1956, § 920, გვ. 247.

<sup>34</sup> გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის შესავალი, თბ., 1956, გვ. 133—134.

<sup>35</sup> Н. Марр, Грамматика древнелитературного грузинского языка, Л., 1925, §§ 16—18, გვ. 13—14.

<sup>36</sup> ს. ქლენტი, ქართული ენის ფონეტიკა, თბ., 1956, გვ. 271—279.

ორი ფაქტორით — სიტყვის მორფოლოგიური სტრუქტურით და მეტყველების რომელ ნაწილს ეკუთვნის სიტყვა. მარცვლების რიცხვის გაზრდასთან ერთად ეს ფაქტორები სხვადასხვანაირად ვლინდება; სიტყვის აქცენტური სტრუქტურა რთულდება, ჩნდება ახალი თავისებურებები. ამიტომ მახვილის დასმის წესები ორმარცვლიან სიტყვებში განსხვავდება სამ- და მეტ მარცვლიან სიტყვებში მახვილის დასმის წესებისაგან. ქვემოთ მოცემული წესთა სისტემა წარმოადგენს ინგლისური სიტყვების აქცენტოლოგიურ ჯგუფებში გაერთიანების ცდას, რათა სტუდენტებმა გრამატიკული მონაცემების საფუძველზე შეძლონ მახვილის დამოუკიდებლად განლაგება.

მეორე კურსზე მტკიცდება და ავტომატიზირდება პირველ კურსზე გაკლილი მახვილის წესები ახალ ლექსიკაზე და ემატება კიდევ რამდენიმე წესი. ეს წესები დაფუძნებულია სტუდენტების მიერ I კურსზე შესწავლილ წესებზე.

**მახვილის ხმარების წესები მეორე კურსზე.** 1. სამმარცვლიან მთავარმახვილიან და თანამახვილიან წარმოქმნილ სიტყვებს მახვილი პრეფიქსზე და ფუძეზე მოუდით. მოცემული ტიპის სიტყვებს თუ მთავარი მახვილი მესამე მარცვალზე<sup>37</sup> აქვთ, თანამახვილი — პირველზეა; რთულ სიტყვებში მახვილი კომპონენტებს მოუდის, მაგალითად, 'herea,bouts, 'riding —,whip. ამ ტიპის რთული სიტყვები სახელმძღვანელოში თითო-ოროლა გვხვდება.

2. ოთხმარცვლიან წარმოქმნილ სიტყვებს ორი მთავარი მახვილი აქვთ იმ შემთხვევაში, როდესაც პრეფიქსის გამოცალკეება შესაძლებელია. მახვილი მოუდის პრეფიქსს (რომლის გამოცალკეება შეიძლება) და ფუძეს, იშვიათად ფუძეს და სუფიქსს. მოცემული ტიპის სიტყვებში მახვილები მესამე და მეოთხე ან პირველ და მეოთხე მარცვლებს მოუდის, მაგალითად, 'un'selfishness, 'misunder'stand, 'good—'naturedly. ამ ტიპის სიტყვებს სახელმძღვანელოში მეტად მცირე რაოდენობით ვხვდებით.

3. ხუთმარცვლიანი წარმოქმნილი სიტყვების უმრავლესობას ორი მთავარი მახვილი აქვთ იმ შემთხვევაში, როდესაც პრეფიქსების გამოცალკეება შესაძლებელია. მახვილი მოუდის პრეფიქსს და ფუძეს. მოცემული ტიპის სიტყვებში მახვილი მესამე და მეხუთე მარცვლებს მოუდის, მაგალითად, 'dissa'pprovingly, 'under'estimate. ამ ტიპის წარმოქმნილი სიტყვები სახელმძღვანელოში თითო-ოროლაა. რთულ სიტყვებში მახვილი კომპონენტებს მოუდის. ამ ტიპის რთული სიტყვები სახელმძღვანელოში არც ერთი არ აღმოჩნდა.

4. ხუთმარცვლიან წარმოქმნილ სიტყვებს სამი მახვილი აქვთ შემდეგ შემთხვევაში: მოცემული ტიპის სიტყვებში თუ ორი მთავარი მახვილი მეორე და მეხუთე მარცვლებზეა, მაშინ თანამახვილი მათ შორისაა მოთავსებული — მეოთხე მარცვალზე. ამ ტიპის წარმოქმნილი სიტყვები სახელმძღვანელოში მხოლოდ ერთი აღმოჩნდა, მაგალითად, 'dis,satis'faction. მოცემული ტიპის თითქმის ყველა სიტყვას ისეთი პრეფიქსები აქვთ, რომელთა გამოცალკეება შეიძლება. სიტყვებს უმრავლესობისათვის ეს ტიპი წარმოადგენს მახვილიანი პრეფიქსისა და ისეთი სიტყვის შეერთებას, რომელსაც მეორე მარცვალზე მთავარი მახვილი აქვს, ხოლო მეოთხეზე — თანამახვილი. რთული სიტყვები სახელმძღვანელოში არც ერთი არ აღმოჩნდა.

ამგვარად, წარმოქმნილი სიტყვების განხილვამ გვიჩვენა, რომ ზოგიერ-

<sup>37</sup> მარცვლების გამოთვლას ვაწარმოებთ ბოლოდან.

თი სუფიქსის მიერთება რომელიმე სიტყვაზე ფუძისეული მარცვლის მახვილზე არ მოქმედებს ასე, რომ, წარმოქმნილი სიტყვა განაგრძობს არსებობას ფუძისეული სიტყვის ნორმებით (მაგ., 'wonderfulness—'wonder). თუ რამდენიმე სუფიქსია, მაშინ მახვილის ადგილის საკითხს უკანასკნელი სუფიქსი წვევებს.

Э. И. ГЕЛАШВИЛИ

## О НЕКОТОРЫХ ВОПРОСАХ УДАРЕНИЯ В АНГЛИЙСКОМ И ГРУЗИНСКОМ ЯЗЫКАХ

Резюме

Английское словесное ударение отличается от грузинского словесного ударения — в английском языке словесное ударение силовое, свободное; в грузинском характерно динамическое, но слабое ударение, в пределах слова — фиксированное.

В данном труде сделана попытка выделения и сведения в систему наиболее характерных ошибок в английском ударении: 1) Произношение двух и многосложных слов с одним ударением, 2) Произношение безударных гласных без редукции, 3) Ставить ударение по аналогии с грузинским языком, 4) Ставить ударение на грамматические окончания и т. д.

Анализ учебника для студентов неязыковых факультетов позволил выяснить шесть акцентных типов слов и двадцать семь акцентно-силлабических структур. Эти акцентные типы и акцентно-силлабические структуры находятся в определенной связи с морфологическим типом и строением слова, с количеством слогов в слове, с семантическим весом корня и префиксов и т. д.

Проведенное нами исследование показывает, что словесное ударение в английском языке подчиняется строгим закономерностям. Знание этих закономерностей позволяет сформировать правила, определяющие наличие и положение главного и второстепенного ударения в словах английского языка. Применение нижеприведенных правил опирается на умение найти место главного и второстепенного ударения в слове:

1. В трехсложных словах с главным ударением на третьем слоге имеется второстепенное ударение на первом слоге, например, 'herea bouts.

2. В четырехсложных словах с выделяемым префиксом четким собственным значением имеется два главных ударения — на третьем и четвертом или на первом и четвертом слогах, например, 'un'selfishness, misunder'stand.

3. В пятисложных словах с выделяемым префиксом имеется два главных ударения на третьем и пятом слогах, например, 'dissa 'grovingly.

4. В пятисложных словах имеется три ударения — два главных ударений на втором и пятом слогах, второстепенное ударение на четвертом слоге, например, 'dis,satis'faction.

Знание сформулированных нами правил, определяющих наличие и положение главного и второстепенного ударения в английских словах, решают задачу определения места главного и второстепенного ударения в подавляющем большинстве слов.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტმა)

ნელი მასარაძე

გერმანული ენის ისტორიის შესწავლისათვის

მრავალსაუკუნოვანია გერმანული ენის შესწავლის ისტორია. იგი თანაბრად წარმოადგენს ინტერესის საგანს იმ ხალხებისთვისაც, რომლებიც თავისი ბედ-იღბლით რამდენადმე მაინც უკავშირდებოდნენ გერმანულ სამყაროს და იმათთვისაც, რომლებიც ამის გარეშეც სამართლიანად თვლიან, რომ ევროპის ამ პატარა ერის კულტურული მონაპოვარი არის კაცობრიობის მონაპოვარი, საყოველთაო საგანძური.

საქართველო არის ქვეყანა, რომლის ურთიერთობაც გერმანულ სამყაროსთან მითოლოგიური პერიოდიდან დასტურდება, გასდევს კლასიკურ ხანას და ყველაზე მრავალმხრივი ხდება ბიზანტიურ პერიოდში; ამიტომ მრავალმხრივია ჩვენი ინტერესიც გერმანული ენისადმი. პირველ რიგში ეს არის ინტერესი საკუთარი, მშობლიური ქართული ენის მიმართ და, მეორეც, იმ ქვეყნის კულტურის მიმართ, რომელიც შუა საუკუნეებში მსოფლიო მოვლენებს წარმართავდა და რომლის თანამოასპარეზედაც წარმოგვიდგენს ისტორია ჩვენს ქვეყანას.

ძველმა ქართულმა ლიტერატურულმა ძეგლებმა (ნათარგმნმა და ორიგინალურმა) შემოგვინახა მრავალი ისეთი ფაქტი, რომლებიც სამსახურს უწევს არა მხოლოდ ქართული ენის ისტორიის შესწავლას, არამედ შეუძლია გერმანული ენის განვითარების გვიანდელ ბუნდოვან, ბურუსით მოცულ პერიოდსაც ცოტაოდენი შუქი მოჰფინოს.

გერმანული ენის უწყვეტი ისტორია 28 საუკუნეს მოიცავს, კუნძულ თერაზე მოპოვებული ძვ. წ. მე-VIII—VII საუკუნის უძველესი გერმანული წარწერებიდან მოყოლებული დღემდე. ამ დიდი პერიოდის მანძილზე, რა თქმა უნდა, ბევრი რამ შეიცვალა და იმდენად ბევრიც, რომ ახალ გერმანულზე მოლაპარაკეთ არ ესმით ძველი გერმანული, წინაპართა დიდებული კმნილებები დღეს მემკვიდრეთათვის და ისევე მოითხოვს თარგმნას, როგორც მათთვის უცხო ენაზე შექმნილი ძეგლები.

ცნობილია, რომ გერმანები არ არიან მკვიდრნი იმ ტერიტორიებისა, სადაც ისტორიულ ხანაში ბინადრობენ. ბალკანეთის ნახევარკუნძულის სამხრეთით ისინი გამოჩენილან არა უადრეს III ათასწლეულის დასასრულისა და II ათასწლეულის პირველი საუკუნეებისა. ეს გადმოსახლება არ მომხდარა ერთბაშად. სხვადასხვა გერმანი ტომი მოდიოდა სხვადასხვა დროს, სხვადასხვა გზით და სხვადასხვა რაოდენობით. ისინი იპყრობდნენ ადგილობრივ მოსახლეობას, თუმცა აღრეული გადმოსახლებები მშვიდობიანი ხასიათისა ყოფილა.

წინაბერძნული ენობრივი ნასესხობების ანალიზი და ანტიკურ ავტორთა გადმოცემები ნათელყოფს, რომ წინაბერძნული გავლენა მიმდინარეობდა ორენოვნობის ვითარებაში და მეტად ხანგრძლივი იყო. იგი მოიცავდა ყოფის თითქმის ყველა სფეროს. წინაბერძნულ ფენას მიეკუთვნა ისეთი სიტყვებიც კი, როგორიცაა *πρωτινος*—ქალწული, *βραχυνος*—მეფე, *μυρμιδωνος*—მბრძანებელი, *αχαιος*—ქალაქი, *αργειος*—ციტადელი, *κρητιος*—კრეტელი, *αχαιος*—სუფთა, წმინდა, *αχαιος*—სივებიანი საკრავი, *βραχυνος*—მონა, *εργητιος* მშვილობა, *αχαιος*—ლუმელი, *αχαιος*—ზღვა, *αχαιος*—იამბი, *αχαιος*—საფლავი, *αχαιος*—ტაძარი, *αχαιος*—კოშკი, ღმერთებისა და მითოლოგიური გმირების სახელები: *Αχιλλος*—აქილესი, *Αριστος*—არისტონი, *Αρσενος*—არტემიდა, *Ασκληπιος*—ასკლეპიოსი, *Αφροδιτη*—აფროდიტე, *Ηρα*—ჰერა და სხვ.<sup>1</sup>

ბერძნული ენის ეს 28-საუკუნოვანი ისტორია არის ისტორია, რომლის შესწავლის საშუალებაც გვაქვს ფინიკიურიდან გადმოღებული ანბანური წერით შესრულებული წყაროებით. სულ სამი ათეული წლის წინ არაფერი ვიცოდით იმის შესახებ, თუ როგორი იყო ბერძენთა დამწერლობა მათ მიერ ფინიკიური ანბანის შემოღებამდე.

1939 წელს არქეოლოგებმა ბლიჯენმა და კურონიოტისმა სამხრეთ პელოპონესში სოფელ ანო ენგლიანოსთან გათხარეს პილოსელი მეფის სასახლე. ოთახში, რომელიც სამეფო არქივს წარმოადგენდა, აღმოჩნდა 600 თიხის ფირფიტა ე. წ. B-ხაზოვანი დამწერლობით. ეს ფირფიტები მხოლოდ „ბედნიერი“ უბედური შემთხვევის გამო გადაჩა. სასახლეში მომხდარმა ხანძარმა მზეზე გამომშრალი თიხის ფირფიტები გამოწვა, მტკიცე აგურის ფილებად აქცია და დღემდე შემოგვიჩა. რამდენადაც იმთავითვე გამოითქვა აზრი, რომ ეს ტექსტები არაინდოევროპული წინაბერძნული მოსახლეობის ენაზე უნდა იყოს დაწერილი, თითქმის არ დარჩენილა მსოფლიოს უძველეს ხალხთა არც ერთი ენა, რომლის მისადაგებაც არ ეცადოთ ამ წარწერებისათვის, გარდა ბერძნულისა. მხოლოდ 1953 წელს ინგლისელმა არქიტექტორმა, ბერძნული ენისა და შედარებით ენათმეცნიერების ბრწყინვალე მკვლევარმა, მ. ვენტრისმა შესძლო B-ხაზოვანი დამწერლობის საიდუმლოების გახსნა. გამართლდა ვარაუდი, რომელიც ჯერ კიდევ 1940 წელს გამოთქვეს ცნობილმა ლინგვისტმა პ. კრეჩმერმა და საბჭოთა პროფესორმა ს. ი. ლურიემ. წარწერები ბერძნულ ენაზე შესრულებული აღმოჩნდა, კერძოდ მის კვიპროსულ-არკადულ დიალექტზე<sup>2</sup>. ამ აღმოჩენამ ბერძნული ენის ისტორია მრავალი საუკუნით უკან გადაწია და, გარდა ამისა, შუქი მოჰფინა საბერძნეთის ისტორიის უძველეს პერიოდს, შესაძლებელი გახდა ჰომეროსის ისტორიული სიმართლის წერილობითი დადასტურება.

B-ხაზოვანი დამწერლობა სილაბურია. იგი წარმოადგენს მეცნიერებისათვის კარგად ცნობილი ძვ. წ. V—IV სს-ის კვიპროსული სილაბური დამწერლობის ადრეულ საფეხურს და ძვ. წ. XV—XIII სს-ით თარიღდება. ამ დროისათვის ბერძნები უკვე კარგა ხნის მოსული იყვნენ ბალკანეთის ნახევარკუნძულზე.

<sup>1</sup> Л. А. Глидин, Язык древнейшего населения юга Балканского полуострова, М., 1967, стр. 43—48; 69—72. Alfred Heubeck, Graegraeca, Erlangen, 1961, стр. 58—78.

<sup>2</sup> С. Я. Лурье, Язык и культура микенской Греции, М.-Л., 1957.

კრეტა-მიკენური და მისი გვიანდელი სახე კვიპროსული დამწერლობა, რომლის ამოკითხვაც მხოლოდ კვიპროსულ-ფინიკიური ბილინგვის აღმოჩენის შემდეგ გახდა შესაძლებელი, ძალზე მოუხერხებელია ბერძნული ენის თავისებურებათა გადმოსაცემად, რამაც განსაზღვრა ბერძენთა მიერ ფინიკიური ანბანური წერის შემოღება.

ძველი ბერძნული ტრადიციით, ბერძენები სამ ტომად იყოფოდნენ: იონი-ელეზად, დორიელეზად და ეოლიელეზად, ხოლო ბერძნულ ენაში ოთხ დიალექტს არჩევდნენ: იონიურს, ატიკურს, დორიულს და ეოლიურს. რამდენადაც მცირეაზიელი იონიელების სამშობლოდ ატიკა ითვლებოდა, ატიკური მიაჩნდათ იონიური დიალექტის შემდგომ განვითარებად, ხოლო იონიური ძველ ატიკურად. გვიანდელი ანტიკური ხანის ანონიმი ავტორის ცნობით, „იონიური ის დიალექტია, რომელსაც იონიელები იყენებენ. როგორც ჩანს ეს ძველი ატიკურია“<sup>3</sup>. ძველ ატიკურს იონიურთან აიგივებს სტრაბონიც. ამ დიალექტების საფუძვლიანმა შედარებითმა შესწავლამ დღეისათვის ნათელი გახადა, რომ ისინი თუმცა ძალზედ ახლომდგომი, მაგრამ მაინც დამოუკიდებელი დიალექტებია<sup>4</sup>.

უდიდესი კლასიკური მემკვიდრეობა შექმნილია იონიურ-ატიკურ, დორიულ და ეოლიურ დიალექტებზე. ეს დიალექტები თანაბარი ავტორიტეტითა და სამწერლო უფლებებით სარგებლობდა და თითოეული მათგანი ლიტერატურის რომელიმე ქანრით შემოდიოდა ისტორიაში. შეიძლება ითქვას, რომ ისინი იმკვიდრებდნენ ლიტერატურულ ქანრებზე საგანგებო უფლებებს: იმის მიხედვით, თუ რომელი ქანრი რომელ დიალექტურ წრეში ჩამოყალიბდებოდა პირველად, ეს დიალექტი იქცეოდა მის (ამ ქანრის) ენად. მაგალითად, ეპოსი განვითარდა იონიურ დიალექტზე, ლირიკა — ეოლიურსა და დორიულზე, დრამა — ატიკურზე. ამიტომ იონიური ითვლებოდა ეპოსის ენად, ეოლიური და დორიული — ლირიკისა და ატიკური — დრამის ენად. პროზის პირველი ნიმუშებიც იონიელებს ეკუთვნით, ამიტომ ლოგოგრაფოსები, ისტორიკოსები ჰეროდოტეს ჩათვლით, ფილოსოფოსთა დიდი უმრავლესობა, ექიმები, მეცნიერები წერენ იონიურზე. ამ მიზეზით ხშირია, როდესაც ერთი და იგივე ავტორი სხვადასხვა ქანრის ნაწარმოებში სხვადასხვა დიალექტს იყენებს. რადგანაც ატიკური ტრადიციად დორიული ლითირამბისაგან წარმოიშვა, ამ ტრადიციებში საკუნდო პარტიები მუდამ დორიული დიალექტით იმღერებოდა, ხოლო მსახიობები თავის სადიალოგო რეციტაციას იონიურ-ატიკური დიალექტით ასრულებდნენ<sup>5</sup>.

ამგვარად, ბერძნული ენის ისტორიის პირველი პერიოდი ფაქტურად ბერძნული ლოკალური დიალექტების ისტორიას წარმოადგენს, ისევე როგორც თვით საბერძნეთის ისტორია ამ დროისათვის არის ცალკეულ ტომთა, ცალკეულ ქალაქ-სახელმწიფოთა ისტორია, რადგანაც ჯერ კიდევ არ არსებობს არც ერთიანი ბერძნული სახელმწიფო და არც საერთო ბერძნული ენა. ამ პერიოდს ჩვეულებრივ ათავსებენ ძვ. წ. მე-8—4 საუკუნეებში.

<sup>3</sup> Античные теории языка и стиля, М.-Л., 1936, стр. 142.

<sup>4</sup> P. S. Costas, An Outline of the History of the Greek Language, Chicago, 1936, стр. 38.

<sup>5</sup> ს. ყაუხჩიშვილი, ბერძნული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1950, გვ. 264.

ტომთა დამოუკიდებლობის ხანაში არც საერთო ენის დიდი საპირობება იგრძნობოდა. სახელმწიფოთა შორის ურთიერთობისათვის ყველა თავის დიალექტს იყენებდა. ღეთისმსახურებაც საბერძნეთისა მიმდინარეობდა სხვადასხვა დიალექტზე, იმის მიხედვით, თუ რომელს ეკუთვნოდა მრევლი.

ბერძნული პოლისების პოლიტიკური ყოფა განსხვავებული გზებით ვითარდებოდა და მათი ადგილობრივი ცხოვრებაც სხვადასხვა ხასიათს იღებდა. როდესაც ძვ. წ. მე-5 საუკუნეში ათენის გამარჯვებულ დემოკრატიას სათავეში ჩაუდგა სტრატეგოსი პერიკლე (490—429 წწ.), ათენში იწყება ხანა უდიდესი კულტურული აღმავლობისა, ხანა ათენის ეკონომიური და სამხედრო ძლევამოსილებისა. იგი ხდება ელინიზმის ცენტრი ეგეოსის აუზში, თრაკიაში, თვით შავ ზღვამდე. პერიკლეს ეპოქის უბრწყინვალესი არქიტექტურული ნაგებობანი — პართენონი, პროპილეები, ელევსინის ტაძარი, ოდეონი, ათენის ცნობილი „გრძელი კედელი“, სასწაულმოქმედი მოქანდაკის ფიდიასის განსაკვივრებული ნამუშევრები, თუმცა ნაწილობრივ და ნანგრევების სახით, მაგრამ მაინც შემოგვინახა ისტორიამ ამ ეპოქის სიდიადის ძეგლებად. პლუტარქეს სიტყვებით „პერიკლემ მშობლიური დიდი ქალაქი უდიდესად აქცია“. „ელადის ფუძე... ღვთაებრივი ქალაქი“ — ასე უწოდებს ათენს პინდარი. თუკიდიდესათვის იგი არის „ელადა ელადისა“, ანუ გული ელადისა, ხოლო პლატონის დიალოგში („პროტაგორა“) ატიკის დედაქალაქი წარმოგვიდგება როგორც *πρυτανειον* — *πῆξ αἰφιας*, ანუ სასახლედ სიბრძნისა, იმ სასახლედ (πρυτανειῶν), სადაც ჩაუქრობელი ჩირაღდანი ენთო<sup>8</sup>. იმ დროს, როდესაც ათენში საგანგებო კანონით ხელმოკლე მოქალაქეებს სახელმწიფო სალაროდან ეძლევათ „თეორიკონი“, ანუ ფული სპექტაკლებზე დასასწრებლად, სპარტის ხელისუფალთა მთელი გულისყური სამხედრო ძლიერებისკენ არის მიმართული. ცნობილი „სპარტანული აღზრდა“, რომელიც გულისხმობდა მთელი სპარტელი ახალგაზრდობის სრულყოფილ ფიზიკურ წვრთნას, ნაკლებ საზრდოს იძლეოდა გონებისათვის. ამიტომ არის, რომ სპარტელებს (ლაკედემონელებს) ბერძნულ ლიტერატურაში ზოგჯერ გონებაჩლუნგ და მოუსაზრებელ ადამიანებად იხსენიებენ. ასევე შეზღუდული, პრაქტიკული და კონსერვატორული ბუნებისად წარმოგვიდგენს ისტორია დორიელებს, რომელთაც სიხალეებისადმი მტრული დამოკიდებულების გამოც დიდხანს შეინარჩუნეს უცვლელად თავისი დიალექტით, მაშინ როდესაც იონიელები გამოირჩეოდნენ ბუნებრივი ნიჭითა და სილაღით, მშვენიერებისა და სივრცეების სიყვარულით. სწორედ ამ ხალხს შეეძლო შეექმნა ეპოსი. იონიური ენა თავისი ბუნებით პოეტური და ამაღლებულია.

იონიური ლიტერატურა თავისი გრანდიოზულობითა და ადამიანური ინტერესებით საყოველთაო ყურადღებას იმსახურებდა და თანდათან იმკვიდრებდა ავტორიტეტს მისაბაძი და სანიმუშო ლიტერატურისას. ამავე დროს თავისუფალი იონიური ბუნება ხელს უწყობდა ენის სწრაფ განვითარებას, ათენის გაძლიერების ხანაში უპირატესობას იჩემებს ატიკური.

ათენში შექმნილმა კულტურულმა ვითარებამ, მისმა გადაქცევამ მთელი საბერძნეთის ინტელექტუალური ცხოვრების ცენტრად უპირავი ბერძენი მიიზიდა. მისკენ მოემართებოდნენ რიტორიკული, ფილოსოფიური და ლიტერა-

<sup>8</sup> P. S. Costas, დასახ. ნაშრომი, გვ. 42.

ტურული განათლების საუკეთესო ძალები, ხელოვნების მოყვარულნი. ათენში ლებულობდნენ საუკეთესო გონებრივ წვრთნას საქვეყნოდ განთქმულ მასწავლებლებთან ამგვარი წვრთნის მოსურნენი. აქვე იყრიდნენ თავს ეპრობითა და გაცვლა-გამოცვლით დაინტერესებული პირნიც, რომელთაც შემდეგ მრავალ ქვეყანაში გაქონდათ ატიკური სიმდიდრე სიმდიდრისავე მოსაპოვებლად. ასეთ ვითარებაში ატიკური ენა ერთგვარად უნივერსალურ ხასიათს იღებს. იგი აუცილებელი ხდება ყველასათვის, ვინც კი მიისწრაფვის მონაწილეობა მიიღოს ათენის პოლიტიკურ, კულტურულ თუ ეკონომიურ ცხოვრებაში. სოფისტი გორგია ლეონტინელი პირველთაგანი ორატორია, რომელიც ატიკურად წერს. მაგრამ ამავე დროს ათენში მოსულ უამრავ უცხო დიალექტზე მოლაპარაკეს მოაქვს თავისი ენა, თავისი გამოთქმა და ძალაუნებურად, შეუმჩნევლად უპირატესობამპოვებულ ატიკურს უცვლის სახეს. ეს სახეცვლილება ბოლოს და ბოლოს იმდენად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, რომ ატიკური იქცა შერეულ დიალექტად, რომელიც შესანიშნავად ასრულებდა სხვადასხვა კუთხის ბერძენთა შორის მაკავშირებლის როლს და ამცირებდა ადგილობრივი ენების ასპარეზს. აქ უდებს მეცნიერება სათავეს ძველი ბერძნული დიალექტების კვდომისა და საერთობერძნული ენის წარმოშობის ეპოქას, ენისა, რომელიც მხოლოდ ერთი საუკუნის შემდეგ ხდება საყოველთაოდ აუცილებელი.

ძვ. წ. 403 წელს, ევკლიდეს არქონტობის დროს, ათენში შემოღებულ იქნა იონიური ალფაბეტი და ოფიციალურ სახელმწიფო ენად გამოცხადდა „კოინე“ (κοινή საერთო, საყოველთაო). ამით თავდება ბერძნული ენის ისტორიის პირველი პერიოდი და იწყება მეორე, საერთობერძნული ენის ბატონობის პერიოდი, ანუ ელინისტური ხანის ბერძნულის ისტორია.

ანონიმი გრამატიკოსი გადმოგვცემს, რომ „საერთო დიალექტს“ იონიურის, ატიკურის, დორიულისა და ეოლიურის შემდეგ მეხუთე დიალექტად მიიჩნევდნენ, და მას უწოდებს შერეულ დიალექტს, რომელსაც არ მოეპოვება არაფერი თავისი საკუთარი<sup>?</sup>. ანტიკური ტრადიცია კოინეში მხოლოდ გარეგნულ მხარეს უსვამს ხაზს და ცალმხრივად ესმის მისი თავისებურებანი. შემდეგშიც კოინეს შეფასებაში ხშირად იგრძნობა ცალმხრივი მიდგომა და, როგორც წესი, მის საბოლოო ჩამოყალიბებას ალექსანდრე მაკედონელის იმპერიაში ბერძნული ენის გავრცელების შედეგად თვლიან. ამ შემთხვევაში მხედველობაში არ არის მიღებული, რომ უცხო ტერიტორიებზე ბერძნული ენის გავრცელებამ ძირითადად გააღრმავა ბერძნული სალიტერატურო ენისა და სალაპარაკო ხალხური ენის სხვადასხვა გზით განვითარების პროცესი, მათი დაშორება ერთმანეთისაგან. რაც შეეხება საერთობერძნულის წარმოშობის ძირითად მიზეზს, იგი გაცილებით ადრე, ბერძენ ტომთა დამოუკიდებლობის რღვევასა და საერთო ბერძნული სახელმწიფოს, საერთობერძნული ეროვნულობის ჩამოყალიბებაშია საძიებელი<sup>8</sup>.

<sup>?</sup> Античные теории языка и стиля, გვ. 143.

<sup>8</sup> იხ. ი. მ. ტრონსკის საურდლებო წერილი: „Задачи светского языкознания в области античной яз. ков: Известия АН СССР, Отделение литературы и языка, т. 7, вып. 3, 1958, გვ. 210—241. იხ. აგრეთვე Al. Debrunner, Geschichte der griechischen Sprache, II, Berlin, 1954, გვ. 29—34.



თავისთავად რას წარმოადგენს კოინე, რომელსაც „დამახინჯებული“, „ბარბაროზმებით შებილწული“ და „გადაგვარებული“ ატიკურიც კი უწოდეს? მეცნიერთა დიდი უმრავლესობა მართლაც აღიარებს, რომ კოინე სახეცვლილი ატიკურია, მაგრამ არა დამახინჯებული, არამედ განვითარებული. ამასთან, ძნელია დაეთანხმო ასეთ შეფასებას ენის მიმართ, რომელიც ფაქტიურად ერის სულიერი სიმტკიცის მაჩვენებელი აღმოჩნდა. ბედისწერის ირონიით საერთობერძნულის მსოფლიო იმპერიის ენად ქცევა — ეს უმნიშვნელოვანესი კულტურულ-ეროვნული მომენტი — ემთხვევა ბერძენთა ქვეყნის პოლიტიკური განადგურებისა და დაცემის ხანას.

ალექსანდრე მაკედონელის იმპერია მრავალეროვნანი და მრავალენოვანი იყო. იგი გადაისერა აღმოსავლეთით — ინდოეთიდან, დასავლეთით — ჰერაკლეს სვეტებამდე (გიბრალტარის სრუტემდე). ალექსანდრე მაკედონელის, შეიძლება ითქვას, ტრიუმფალური სვლა, გარდა სპარსეთის უღლისაგან განმთავისუფლებელი ხასიათისა, ნიშანდებული იყო ელინიზმის, ელინური კულტურის გავრცელების იერითაც. არისტოტელეს აღზრდილს კარგად ესმოდა, თუ რას ნიშნავდა ამ პოზიციებიდან ბრძოლა, ბრძოლა, რომელიც ზოგჯერ უბრძოლველდაც კი მიმდინარეობდა (ეგვიპტეში ქეჩუქებმა ალექსანდრე მაკედონელი ზემოთ აიარჩიეს თავის ფარაონად, ანუ მზის ღმერთის ამონის შვილად აღიარეს იგი). ალექსანდრე მაკედონელის 11-წლიანმა ლაშქრობებმა და მათმა შედეგებმა ბერძნულ ენაზე ამეტყველა მსოფლიოს უდიდესი ნაწილი. დიდი იყო მისი ზემოქმედება დაპყრობილი ხალხების ყოფასა და ზნე-ჩვეულებებზე. მაგრამ, მას შემდეგ, რაც კოინე გასცდა საკუთრივ საბერძენეთის საზღვრებს და არაბერძნული ენების გავლენის სფეროში მოხვდა, ბუნებრივია, მან ბევრი რამ შეითვისა მათგან, მრავალმხრივ იცვალა სახე. როგორც ლადერმახერი ფიქრობს, ზედმეტია ლაპარაკი მწიგნობრულ გავლენაზე. მაქსიმუმ, რაც უნდა წარმოვიდგინოთ, ის არის, რომ ამ ქვეყნებში იცოდნენ სალაპარაკო ბერძნული და სწორედ ამ ბერძნულში იჭრებოდა ვულგარული ფენა უცხოური გავლენისა. მიუხედავად ამგვარი გავლენის დიდი სიჭარბისა, რომელიც შეეხო ენის თითქმის ყოველ მხარეს და უმთავრესად ლექსიკას, ლადერმახერი ყურადღებას ძირითადად მაინც ენის შინაგანი განვითარების პროცესზე ამახვილებს. კოინესათვის მეტად დამახასიათებელია: სიტყვათწარმოქმნის ფართო ხასიათი; ორი წინდებულით შედგენილი ზმნები, რაც ენას მაღალფარდოვნებას ჰმატებს; მოქმედებითი გვარის წარმოების გავრცელება ისეთ ზმნებზე, რომელთაც ის არ ახასიათებდა, ან კიდევ სახელთა სინონიმური ფორმების წარმოქმნა ახალ მაწარმოებელთა ხარჯზე; თანდებულების ფუნქციათა შეცვლა; სიტყვათა მნიშვნელობების გაფართოება ან, პირიქით, შევიწროება (რელიგიურ თუ ადმინისტრაციულ ტერმინებად ქცევა) და სხვა ამგვარი. მისი აზრით, სწორედ ასეთ ახალ თავისებურებათა ერთობლიობა ქმნის ახალ ეტაპს ენის ისტორიაში<sup>1</sup>.

საერთობერძნული ენის განვითარებაში უდიდესი როლი შეასრულეს აგრეთვე სოფისტებმა, მკვერმეტყველებმა. როგორც მოხდენილად არის შედა-

<sup>1</sup> I. Radermacher, Koine, გვ. 24—32. კოინეს ფონოლოგიურ-მორფოლოგიურ და სინტაქსურ-სემანტიკურ თავისებურებათა შესახებ იხ. აგრეთვე: P. S. Costas, დასახ. ნაშრომი, გვ. 58—71.

რებული, ის, რაც დღეს ვირტუოზ პიანისტს შეუძლია, მაშინ სიტყვის ხელოვნებით უნდა მიგელწია. სოფისტები საჭაროდ გამოდიოდნენ და თავისი ორატორული ხელოვნებით იზიდავდნენ მსმენელებს. ისინი მოგზაურობდნენ სხვადასხვა ადგილებში. მათთან ერთად მოგზაურობდნენ ფილოსოფოსები, რომელთაც თავისი ფილოსოფიის პოპულარიზაცია უნდოდათ. მოგზაურობდნენ სახელის მოხვევის მსურველნი, რელიგიის მქადაგებელნი. საუკეთესონი მათ შორის აღვივებდნენ ინტერესს ბერძნული ენისადმი. მათ მოსასმენად ხშირად მოდიოდნენ ისეთებიც, რომელთაც ბერძნული სრულებით არ ესმოდათ, მაგრამ სურდათ მოესმინათ ენის ჟუსიკა, მისი ელერადობა. და კიდევ ერთი, კონინესათვის დამახასიათებელი მომენტი: თუმცა მწერლები საერთო დიალექტზე წერდნენ, მაგრამ სხვადასხვა დიალექტური წარმოშობისანი იყვნენ და სხვადასხვა განათლებისა. ამიტომ ამ საერთო ენაშიც განსხვავებულნი არიან. ყოველივე ამის გამო მხატვრულ ნაწარმოებებში, წარწერებში თუ პაპირტესებში სურათი მეტად ჭრელია. საგარძობია, რომ კონინეს არსებობის მანძილზე ამ ენის შეკრული მთლიანობა მაინც არ არსებობდა.

პოლისური პერიოდის ბერძნული ლიტერატურა სახალხო ლიტერატურაა, მიმართულია ხალხისადმი, მოქალაქეებისადმი, მჭიდროდაა დაკავშირებული სახალხო დღესასწაულებთან, ამდენად შემოქმედსა და ხალხს შორის მტკიცე კავშირია, ელინისტურ ხანაში ეს კავშირი ქრება. თანდათან ჩნდება ლიტერატურა მაღალი წრეებისათვის და ლიტერატურა „მდაბიოთათვის“. არათუ ლიტერატურა, ეპარებიც კი იერარქიული ხდება. ლიტერატურის ამგვარი ხასიათი საფუძველს ქმნის საერთო ენის ამჭერად სხვაგვარი გათიშვისათვის: „მაღალი“ და „დაბალი“ (ეს უკანასკნელი ბოლოს და ბოლოს სალაპარაკო ენამდე დაიყვანება) ლიტერატურული ენების ჩამოყალიბებისათვის. ყოველივე ამის გამო კონინეს შექმნის პირველსავე პერიოდში მკვეთრად იზრდება განსხვავება ლიტერატურულ კონინესა და სალაპარაკო ხალხურ კონინეს შორის. ხალხური კონინეს უმნიშვნელოვანეს ძეგლებს წარმოადგენს ძველი და ახალი აღთქმის წიგნები.

ძვ. წ. II საუკუნიდან მოყოლებული წარწერებში აღარ გვხვდება დიალექტიზმები. ეს იმას ნიშნავს, რომ ოფიციალურ წერილობით ენად საბოლოოდ განმტკიცებულია კონინე. ამ დროიდან ადგილობრივი ზეპირი დიალექტების არსებობის შესახებ ცნობები ძალზე ძუნწია. ეს მაინც არ ნიშნავს იმას, რომ დიალექტები ზეპირი ტრადიციიდანაც გაქრა. სტრაბონის (ძვ. და ახ. წ. I ს.), დიონ ქრიზოსტომის (ახ. წ. I ს.), პავსანიას (ახ. წ. II ს.) დროსაც, მათივე გადმოცემით, პელოპონესში, მესენიაში არ ჰქონდათ დავიწყებული თავიანთი დიალექტი<sup>10</sup>.

კონინეს, როგორც სალიტერატურო ენის, ბატონობა გრძელდებოდა დაახლოებით 400 წელს. საერთობერძნულის განსაკუთრებულმა ხასიათმა, სიმარტივემ, მასში უცხო ელემენტების სიჭარბემ და კლასიკური ატიკურისაგან მნიშვნელოვანმა დაშორებამ — მაღალ წრეებში მისდამი უნდობლობის განწყობილება შექმნა. არისტოკრატთა თვალში იგი იქცა მდაბიურ ენად, დიდებული წინაპრის უღირს მემკვიდრედ. ახ. წ. პირველი საუკუნის დასასრულიდან გაჩნდა ე. წ. ატიცისტური მიმართულება, რომელიც წარმოადგენდა სალიტე-

<sup>10</sup> P. S. Costas, დასახ. ნაშრომა, გვ. 48—49.

რატურო ენად ძველი ატიკური დიალექტის მთელი თავისი სიწმინდით აღდგენის ცდას. ეს მიმართულება ძალზე სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა. იგი გასდევს საერთობერძულის არსებობის პერიოდს ახ. წ. I—IV საუკუნეებშიც და IV საუკუნიდან, როდესაც უკვე ბიზანტიურ ანუ შუა საუკუნეების ბერძნულთან გვაქვს საქმე, კიდევ უფრო იკიდებს ფეხს არა მხოლოდ წარმართთა, არამედ ქრისტიან მწერალთა შორისაც — განსაკუთრებით მე-11—12 საუკუნეებში, და კვლავ აღორძინდება მე-19 საუკუნეში.

ძვ. წ. II—I საუკუნეებში საბერძნეთი და მთელი ელინისტური სამყარო რომის ბატონობის ხელქვეითაა. კულტურის გამაერცელებელი მბრძანებელი ქვეყნის როლში ამჟამად რომი გვევლინება. ყოფილი მბრძანებელი კი პროვინციის მდგომარეობაში აღმოჩნდა.

არქაისტული ტენდენციების გაღვივება სწორედ რომის ბატონობის წლებში იჩენს თავს. დამორჩილებული ერის თავმოყვარეობა წარსულით საზრდოობს. ბერძენი ამყობს თავისი ქვეყნის ძველი კულტურით და ამით უპირისპირდება რომაელთა „ბარბარიზმს“. მეორეც, ელინისტურ სამყაროში აღმოსავლეთის ქვეყნების შემოსვლამ, ახალი კულტურული ცენტრების ძლიერმა მეტოქეობამ, ცენტრებისა, რომლებიც დედა-საბერძნეთს აღარ ეკუთვნის (ალექსანდრია — ეგვიპტეში, სელევკია და ანტიოქია — სირიაში, პერგამონი — მცირე აზიაში და სხვ.), თან მოიტანა ე. წ. აზიანისტური მკვევრმეტყველების ძლიერი ტალღა: ჩუქურთმიანი, მრავალსიტყვაობითა და მხატვრული სამკაულებით დატვირთული რიტორიკული სტილი, რომელიც რადიკალურად ეწინააღმდეგებოდა ატიკური რიტორიკის ნათელსა და მკაფიო სტილს. მაგრამ „აზიანისმის“ მოწინააღმდეგეებმა მას დაუპირისპირეს არა რაიმე ახალი ლიტერატურული მიმდინარეობა და სტილი, არამედ ბრძოლის იარაღად მიმართეს ძველს. „ძველთა მიბაძვა“ (μυθηαίς ἄνω ἐρχεῖσθαι) გახდა სიტყვიერი ხელოვნების იდეალი და წარსულის კულტურული მემკვიდრეობის ათვისების მიზნიდან დროთა განმავლობაში იგი იქცა თვითმიზნად.

ძვ. წ. I საუკუნიდან ატიციზმის პატრიოტულ-ეროვნული იერი იჩრდილება და ახლა რომი და საბერძნეთი ერთად იბრძვიან ატიციზმის განმტკიცებისათვის. ეს არის პერიოდი, როდესაც რომის კულტურასა და ლიტერატურაში მძლავრად იჭრება ბერძნული ენისა და კულტურის გავლენა. უამრავი ბერძენი სწავლული, ფილოსოფოსი და ორატორი ტრიალებს რომის იმპერატორის კარზე და უმაღლესი არისტოკრატის წრეებში. ბერძნული ენის ცოდნა განათლებულობის აუცილებელ მაჩვენებლად იქცა. მაგრამ რომაელისათვის გაცილებით იოლი იყო ატიკური ნორმებით წერა, ვიდრე ჩუქურთმიანი, ხშირად ბუნდოვანი და აღზევებული აზიანისტური სტილის ათვისება. ამიტომ რომი ატიციზმის ტენდენციის დამკველად გამოდის. არქაული ენისაკენ მიბრუნება ყველაზე ძნელი მაინც ბერძენისათვის იყო. მას უმძიმდა 300—400 წლის წინანდელი ენით წერა. ამიტომ იქმნება ლიტერატურულ-კრიტიკული თხზულებების მთელი წყება იმ სიძნელეთა გადასალახავად, რომელნიც მათ მიერვე იყო აღმართული: რომელ ავტორებს მივბაძოთ, როგორ მივბაძოთ, რომელთ არ შეიძლება რომ მივბაძოთ და სხვა ამგვარები. ატიციტების საქმე ძალზე რთული იყო, რადგანაც ერთიანი აზრი არ არსებობდა. თითოეული სხვადასხვა ავტორს იღებდა სანიმუშოდ — ზოგი დემოსთენეს, ზოგი თუკიდიდეს, ზოგი პლატონს, ზოგიც ისოკრატეს, ლისიას... გრამატიკოსები კი,

ელ. შვიცერის გამოთქმით, დიდი სიამოვნებით მიუთითებდნენ მწერლებს მათ მიერ ატიციზტურის მიხედვით დაშვებულ შეცდომებზე. ამგვარ ცდებს ატიციზმის მოწინააღმდეგენი „ცრუმეცნიერებას“ უწოდებდნენ.

ატიციზმის თეორეტიკოსის როლში გვევლინება ძვ. წ. ა. I საუკუნის მოღვაწე, რიტორიკის მასწავლებელი დიონისე ჰალიკარნასელი, რომელიც იმპერატორ ავგუსტუსის დროს იტალიაში გადასახლდა და იქ გააჩაღა თავისი ატიციზტური საქმიანობა.

ატიციზმი საყოველთაოდ აღიარებული არასოდეს ყოფილა (სახელგანთქმული ისტორიკოსი პოლიბიოსი (ძვ. წ. II ს.) წერს საერთობერძნულზე. სტრაბონი არ არის ატიციზტი და მრავალი სხვაც), მაგრამ ამ მიმართულებამ, ატიციზტი გრამატიკოსების, ჰეროდოტე ატიციოსის, ფილოსტრატეს, არისტიდეს და სხვათა მოღვაწეობამ, შეზღუდა ბერძენი ხალხის მონაწილეობა ლიტერატურული ენის განვითარების პროცესში. საბოლოოდ მთელი მონოპოლია ამ მხრივ განათლებულთა ხელში გადავიდა. მათ კი ცოცხალი ენა, ერთ დროს ცხოველმყოფელი ლიტერატურული ბერძნული, უარყვეს როგორც უღირსი რამ. ასე დაედო ბორკილი იმდროინდელ ლიტერატურულ ბერძნულს და აეკრძალა შემდგომი განვითარება. ლიტერატურა კი აქცია მკვდარი ენის ლიტერატურად, იგი აქცია „მახედ განსწავლულთათვის და არა გაშლილ ასპარეზად“<sup>11</sup>, რადგანაც მთელი გულისყური იქით იყო მიმართული, რომ „ღირსეულად“ მიებაძათ, ეწერათ უშეცდომო ატიციურით, ელაპარაკათ მხოლოდ იმ სიტყვებით, იმ წინადადებებით, რომლებითაც წინაპრები ლაპარაკობდნენ. მიბაძვა და კალკი გამოირიცხა და შემოქმედებას. ამ უკანდაბრუნების მიმართულებამ თავისი გასაოცარი შედეგები მოიტანა და, როგორც აღნიშნავენ, კლასიკური ენის თვალსაზრისით ერთი ფასი აქვს პროკოპის, რომელიც წერდა ბიზანტიური პერიოდის დასაწყისში, და კრიტობულოსს, რომელმაც ისტორიას შემოუნახა და უკვდავყო თურქი დამპყრობლების გამარჯვება და ბერძნული იმპერიის აღსასრული მე-XV საუკუნეში<sup>12</sup>.

აი, რა მიიღო კულტურულ მემკვიდრეობად ბიზანტიამ, ანუ შუასაუკუნეების ბერძნულმა სამყარომ, რომელმაც ახალი წელთაღრიცხვის 330 წელს რომიდან ბოსფორზე გადმოიტანა სატახტო ქალაქი, რითაც ახალი ეპოქის დასაწყისი იზეიმა და დასასრული დაუდო ძველი რომის დიდებას.

ბიზანტინიზმი, რაც სპეციალურ მეცნიერულ ტერმინად იქცა, მრავალ ეპოქალურ სიახლეს გულისხმობს - და პირველ რიგში ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობებს და ახალ რელიგიას — ქრისტიანობას; მაგრამ ბიზანტინიზმში საოცრად თავსდება დიდი სიახლეები დიდ სიძველეებთან.

ენა არ იყო ერთადერთი სფერო, სადაც ასე მწვეავედ იჩინა თავი ძველი ტრადიციებისადმი ერთგულებამ. გადაქარბებული ტრადიციონალიზმი საერთოდ მოიცავდა ბიზანტიური კულტურის, ყოფის თითქმის ყველა მხარეს და ყველა შემთხვევაში ატარებდა ხელოვნური ზღუდის ხასიათს, გამოდიოდა როგორც მძლავრი მოპირისპირე ძალა სიახლეთა მიმართ, რაც, რაღა თქმა

<sup>11</sup> R. M. Dawkins, *The Greek Language in the Byzantine Period*, წიგნიდან *Byzantium*, Oxford, 1953, გვ. 253.

<sup>12</sup> Dawkins, დასახ. ნაშრომი, გვ. 256.

უნდა, მოჰქონდა ღრთა ვითარებას და საზოგადოებრივი ცხოვრების ცვლილებებს.

თუ მწერლისათვის უპირველეს მიზნად იქცა კლასიკური ნორმების მიხედვით სწორად წერა, ბიზანტიელი იმპერატორისათვის, რომლის მოვალეობათა შორის უმნიშვნელოვანესი იყო საკანონმდებლო მოღვაწეობა, ამ ფუნქციის აღსრულება გამოიხატებოდა ისეთი რეფორმების ჩატარებაში, რომლებსაც ექნებოდათ სპეციალური დანიშნულება — აღადგინონ იველი წესრიგი, რომელიც „რატომღაც“, შესაძლოა, დაეიწყებას მისცემია<sup>13</sup>.

ლიტერატურაში კი ბატონობს არა ინდივიდუალიზმი, არა თემების სიახლე და ორიგინალობა, არამედ სტანდარტული სიუჟეტი და ფაბულა, ტრადიციული შედარებები, სახეები, მოქმედებათა და მოვლენათა თითქმის უცვლელი განმეორება. მთავარია შინაარსი, აზრი ნაწარმოებისა. ფორმას არა აქვს მნიშვნელობა. ახ. წ. IV საუკუნის ლიტერატურა ძირითადად არის ძველი ანტიკური ფორმების განმეორება ახალი იდეური შინაარსით.

ახ. წ. IV საუკუნის მწერალი მეთოდოს პატარელი წერს თხზულებას „ნადიმი, ანუ უმანკობის შესახებ“. მეთოდოსი თითქმის ზუსტად იმეორებს პლატონის ცნობილი დიალოგის — „ნადიმი, ანუ სიყვარულის შესახებ“, — სტრუქტურას, სტილს, თანამიმდევრობას, მხოლოდ ეროსის ნაცვლად შემოაქვს ქრისტიანული ქალწულებრივობა.

ნახევარი საუკუნის შემდეგ აპოლინარიოს ლაოდიციელი ჰომეროსისებური ჰეგზამეტრით ლექსავს ძველი და ახალი აღთქმის წიგნებს, პინდარეს მანერით წერს ქრისტიანულ ჰიმნებს, ევრიბიდესა და მენანდრეს სტილის იმიტაციით — ტრაგედიებსა და კომედიებს. ასე გრძელდება ახ. წ. VI საუკუნემდე. კონსერვატივში იქამდე მიდის, რომ პოეზიაში მხოლოდ მე-6 საუკუნეში იმარჯვებს ახალი სილაბურ-ტონური სალექსო საზომი, მაშინ როდესაც მისი ჩანასახი უკვე I საუკუნეშივე გვაქვს.

რაც ყველაზე საოცარი იყო, ახალ რელიგიას ხელი არ შეუშლია ბიზანტიელთათვის წარსულის იდეალიზაციაში. პირველი ტალღის გადაელის შემდეგ ქრისტიანობამ აღიარა, რომ ცოდნა ხელს არ უშლის რწმენას და ანტიკური მემკვიდრეობის ათვისებაზე უარი არ თქვა. მაგრამ ადრეულ ქრისტიანობას უფრო სხვა რამ აფიქრებდა და აშინებდა კიდევ. როდესაც ბრწყინვალე ალექსანდრიელი მქადაგებლის არიოზის მოღვაწეობაში მან დაინახა ერთგვარი თავისუფალი აღმოფრენა, ძალზე თავისუფალი კონტაქტი მრავალრიცხოვან მასასთან, რაც, თავის მხრივ, იწვევდა ამ მრავალრიცხოვანი მასის ჩარევას ღვთისმსახურებაში, მის აქტიურ მონაწილეობას საეკლესიო პოეზიისა და საგალობლების შექმნაში, მან ეს სახიფათოდ მიიჩნია და არიოზი შეაჩვენა. ეკლესიის მესვეურებმა ვერ შეძლეს შეჩერება ხალხური საეკლესიო ჰიმნოგრაფიის განვითარებისა, ამიტომ თვითონ დაიწყეს საგალობელთა შექმნა, რათა თავიდან აეცილებინათ საეკლესიო მიზნებით გამოყენება თავისუფალი ხალხური პოეზიისა, რასაც ისინი ეროტიულად და ვულგარულად მიიჩნევდნენ. აქაც გა-

<sup>13</sup> ამჭერად აქ საქმე ხებოდა რომის საკანონმდებლო ტრადიციას, რომის სამართალს, რომლის იურიდიული ნორმებიც აღარ შეესაბამებოდა ბიზანტიაში ჩამოყალიბებულ ახალ ურთიერთობებს. იხ. А. П. К а ж д а н, Византийская культура, М., 1968, გვ. 87—89, 105, 154.

დაერაზა ხალხურ ენას ეკლესიის შეუვალი კარი და, ამგვარად, უკანასკნელი ცდა, ხალხურ ბერძნულს მოეპოვებია რაიმე ოფიციალური ღირებულება, უკუგდებულ იქნა, ხალხურმა ენამ კვლავ გააგრძელა თავისი შეუზღუდავი, სტიქიური წინსვლა.

უფსკრული ლიტერატურის ენასა და სალაპარაკო ენას შორის თანდათან იზრდებოდა. ბუნებრივია, რომ ენა, რომლისთვისაც მიუწვდომელია დიდი ლიტერატურა, რომელსაც არა ჰყავს დიდი მესვეური და დიდი მსჯავრმდებელი, ყოველთვის დგება საშიშროების წინაშე — არ იქცეს მდაბიურ, ვულგარულ ქმნილებად, შეიძლება ითქვას, ლეთის ანაბარა რჩება იგი. ეს რომ ასე მოხდა, იქიდანაც ჩანს, რომ ბიზანტიაში ენის პრობლემა არ არსებობდა. არავის მოსდიოდა აზრად ეწერა იმ ენაზე, რომელზეც ფართო მასები ლაპარაკობდნენ. მიუხედავად ამისა, ცხადია, სალაპარაკო ენა ახდენდა გავლენას ლიტერატურულ ტრადიციაზე და ცალკეულ მწერალთა ნაწერებში ჩნდება კვალი ზოგჯერ უმნიშვნელო, ზოგჯერ კი მნიშვნელოვანი ზემოქმედებისა. ამავე დროს ქრისტიანული მწერლობა ცდილობდა მეტი გავლენა მოეპოვებინა ფართო მასებში. თანდათან შესამჩნევი ხდება მწერალთა მისწრაფება „შედარებით“ გასაგები ენით წერისაკენ. ასე იწერება წმინდანთა ცხოვრებანი, ქრონოგრაფიები, არქაიზმებით დამძიმებულ ნაწარმოებებს უფრო და უფრო ნაკლები მკითხველი ჰყავდა. მაგრამ საინტერესოა, რომ შუა საუკუნეების ბერძენთათვის მთავარი ის კი აღარ არის, წერონ წმინდა ატიკურით, არამედ მთავარი „ძველთა მიბაძვაა“. ახლა ისინი ატიკურის ნაცვლად ძველ კოინეს ბაძავენ. ხშირად კი ქირს დადგენა, ვის ბაძავენ ავტორი, რადგანაც წმინდა ატიკური შერეულია კოინეს ფორმებთან და სალაპარაკო ენის საეპარუდებელი გავლენის კვალსაც ატარებს. ასეთ ვითარებაში დროდადრო კვლავ ცოცხლდებოდა ატიკიზმი, როგორც სრული განუყოფლობის განმკითხველი და ხელახლა იწყებდა ენის იდეალის ძიებას<sup>14</sup>.

XI—XII სს-ში იზრდება ფართო მასების ინტერესი მწერლობისადმი. ახლა ყველა წერსო ლექსებს, — აღნიშნავს სახელგანთქმული მწერალი და ისტორიკოსი იოანე ცეცე. თუ აქამდე ბიზანტიური ლიტერატურა ფაქტიურად მკვდარ ენაზე შექმნილი ლიტერატურა იყო, რომელშიც მხოლოდ ზოგიერთი ახალი გრამატიკული ფორმა და ცალკეული ახალი სიტყვები იჭრებოდა, XII საუკუნისათვის იქმნება ნაწარმოებები სალაპარაკო ბერძნულ ენაზე. მაგრამ რაც უფრო შესამჩნევი იყო დემოკრატიზმის გავრცელება ლიტერატურაში, მით უფრო მწვავე ხასიათს იღებდა ბრძოლა ძველი ტრადიციების დასაცავად. პურისტები კვლავინდებურად უგულვებელყოფდნენ ხალხურ ენას და, თუ რაიმე თვალსაზრისით სჭირდებოდათ, ლიტერატურულ ენაზე „თარგმნიდნენ“ ხალხურ სიმღერებს<sup>15</sup>.

მე-11 საუკუნის უდიდესი ლიტერატურული ფიგურა მიქელ ფსელოსი იყენებდა ყველაზე პურისტულ სტილს, რომელსაც ის კოინეს უწოდებს. ერთი შეხედვით, იგი ბრწყინვალედ ფლობს კლასიკურ ენას, მაგრამ, როცა გულდასმით განიხილავენ მას, აღმოჩნდება, რომ უშვებს უამრავ უხემ შეც-

<sup>14</sup> ბიზანტიის ბოლო საუკუნეების ენობრივი ტენდენციების შესახებ იხ. E. Kriaras, *Diflossie des derniers siècles de B zance... The Proceeding of the XIII th Inter. Congr. of B zantine studies*, London, 1967, გვ. 283—299.

<sup>15</sup> *История Византии. II. М., 1937, гл. 370—371.*

დომას ძველი, ენაში დიდი ხნის მკვდარი იდიომების გამოყენების დროს. იგი გადაკარბებულად ხმარობს ორობით რიცხვს, რომელიც სრულებით აღარ გვხვდება უკვე ახალი აღთქმის ტექსტებში. ფსელოსის შემდეგ კიდევ უფრო ძლიერდება არქაისტული მიმართულება. მე-12 საუკუნეში მოდის ანა კომნენე, უგანათლებლესი ისტორიკოსი ქალი, სამეფო გვარის წევრი — „პურ-პურში შობილი“. მისი პურისტული იდეალი იქამდე მიდის, რომ „ბარბაროსული“ სახელების ხსენებაც არ სურს, რათა არ შელახოს თავისი ისტორიის ფურცლები. იმავე საუკუნის ცნობილი ფილოსოფოსის იოანე იტალოსის ენას იგი უწოდებს არაპარმონიულს, უხეშს, უღამაზოსა და სოფლურს<sup>16</sup>. ბიზანტიას არც ისეთი ფანატიკოსი პურისტები დაჰკლებია, როგორც დაცასხელე-ბენ ერთ ტირელ ორატორს: იგი სადილად ისე არ დაჯდებოდა, თუ დარწმუნებული არ იყო, რომ მენიუში მოხსენიებული ყველა სიტყვა კლასიკურში გვხვდებოდა. მისთვის ზედმეტსახელად „კეიტუკეიტოსიც“ კი შეურქმევიათ, რაც ბერძნულ ენაზე ნიშნავს — გვხვდება, არ გვხვდება! ე. ი. ეს სიტყვა კლასიკურში გვხვდება თუ არ გვხვდებაო (αἰῶναί, αἰ, αἰῶναί)<sup>17</sup>.

თეოდორე პროდრომე (XII ს.) ერთ-ერთი პირველი მწერალთაგანია, რომელმაც სცადა სალაპარაკო ენის შეყვანა დიდ ლიტერატურაში. იგი წერდა ლექსებს, როგორც ამბობენ, „კონსტანტინეპოლის ქუჩის ენაზე“ და ჰბედავდა კიდევ ამ ლექსებით მიემართა მისივე მთარეველი მაღალი საზოგადოებისათვის<sup>18</sup>.

ბიზანტიის დაცემის წინახანებში მკვეთრად ჩნდება ფოლკლორული ხაზი, რომელიც ბიზანტიის დაცემის შემდეგაც განაგრძობს არსებობას და ახალ სი-ციოცხლეს ახალბერძნულ მწერლობაში აგრძელებს.

კონინე, რომელმაც ხმარებიდან გადაღვნა ძველი ბერძნული დიალექტები, თვითონ დაედო საფუძვლად ახალ ენობრივ განსწოტებებს. ახალი ბერძნული დიალექტები, გარდა პელოპონესში შემორჩენილი ცაკონური დიალექტისა (ძველი ლაკონური დიალექტის მემკვიდრე), კონინედან მომდინარეობს. საკითხი იმის შესახებ, თუ რომელ საუკუნეებში იღებს სათავეს ახალი ბერძნული დიალექტები, ძალზე რთულია და მასზე ერთიანი აზრი არ არსებობს. ზოგი მკვლევარი მას ახ. წ. პირველ საუკუნეებში ეძებს, ზოგისათვის კი დიფერენცი-აცია მხოლოდ ახ. წ. მე-12 საუკუნეში იწყება<sup>19</sup>.

1453 წელს კონსტანტინეპოლი თურქებმა დაიპყრეს. დაეცა კონსტანტინეს წმინდა ქალაქი. არსებობა დაასრულა ბიზანტიის დიდმა იმპერიამ. ამ საბედისწერო წლიდან მოყოლებული ბერძენი ხალხი ოთხი ასეული წლის განმავლობაში იძულებული იყო თურქი თვითმპყრობელის ნება-სურვილზე ევლო. მოძალადის მახვილმა სამშობლოდან გადაკარგა ქვეყნის კულტურის მანუშენებელი. დაიკეტა სკოლები, დაცარიელდა ეკლესიები, გაუცაცურდა მონასტრები, მაგრამ დგება დიდი ეროვნული უბედურების შეგნების ეამი და ხალხთან კავშირის აუცილებლობა არღვევს ყოველგვარ ხელოვნურ ზღუდეს, ასე

<sup>16</sup> Анна Комнина, Алексинада, перевод Я. Н. Любарского, М., 1965, глава 5, § 8, гл. 173.

<sup>17</sup> Dawkins, The Gr. Lang. in Byz. P., გვ. 258.

<sup>18</sup> История Византии, II, гл. 381.

<sup>19</sup> S. G. Karstomelos, Die griechische Sprache zwischen Koine und Neugriechisch: Berichte zum XI Internat. Byz. Congr., München, II, 1, 1958, გვ. 20—26.

გულდაგულ ნაგებს საუკუნეების განმავლობაში, და პოეზია, იწყებს რა ბერძენთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის დროშის აღმართვას თურქობის წინააღმდეგ, ამავე დროს აღმართავს პოეზიის ხალხურობის, ენის ხალხურობის დროშასაც. ბერძნული ლიტერატურის ეს პერიოდი, რომელსაც ახალს უწოდებენ, განუყოფელია ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის პერიოდთან და ისინი ერთმანეთს იწყებენ. ამგვარი ლიტერატურა კი, როგორც დიდი ეროვნული სიკეთის მატარებელი, ყოველთვის საპატიო ადგილს იჭერს ერის ცხოვრებაში.

ეს არის მე-18 საუკუნის უკანასკნელი წლები და მე-19 საუკუნის პირველი ორმოცდაათეული. ბრძოლის ველზე დაბადებულ პოეზიას სპირდებოდა საბრძოლო რიტმი, აზრის გამჭვირვალობა და უბრალო სალაპარაკო ბერძნული ენა, ოდითგან გაძევებული მწერლობიდან და ხალხური პოეზიის კეთვნილებად ქცეული.

„დიმოტიკი“ ანუ „ხალხური“ — ასეთი სახელწოდებაც მიიღო საბოლოოდ ხალხურმა ენამ. ამ დროისათვის იგი უკვე ჩამოყალიბებული, განმტკიცებული ეროვნული პოეზიის, საყოველთაო პოეზიის ენა იყო, რომელსაც ჰყავდა მრავალი მომხრე და დამცველი პროგრესულად მოაზროვნე ინტელიგენციის წრეებშიც. ენის საკითხი გასცილდა ლიტერატურის სფეროს, ეროვნული საკითხის ხასიათი მიიღო და ძალზე გამწვავდა. ძველი ტრადიცია კვლავ ძლიერი იყო, მით უმეტეს, რომ ახლა, თურქების ძლიერი გავლენის გამო, კიდევ უფრო მეტი საფუძველი ჰქონდათ ელაპარაკათ „დიმოტიკზე“, როგორც შერეულ, ვულგარულ, ნახევრადბარბაროსულ, გაუგებარ სოფლურ ენაზე. „ქვეყანა, რომელსაც არ უნდა თავისი ენა“, — წერდა 1929 წელს ცნობილი ლინგვისტი ი. ფსისხარისი<sup>20</sup>, მაშინ როდესაც, ა. მირამბელის გამოთქმით, „რაც მრავალ უბედურებაგამოვიღიმა ბერძენმა ხალხმა მისცა თავის ქვეყანას, ეს არის ენა“<sup>21</sup>.

დიმოტიკისტურმა მიმართულებამ საბოლოო შედეგს ვერ მიაღწია. ეკლესიისა და განათლებული წრეების თავგამოდების შედეგად სახელმწიფო ენად გამოცხადდა ე. წ. „კათარეუსა“, წმინდა ენა — მეგვიდრე ატიციზირებული კოინესი და ბიზანტიური არქაისტული მწიგნობრული ტრადიციისა. მაგრამ დიმოტიკის პოპულარობა თანდათან იზრდებოდა. მასზე მრავალი ეურნალი და გაზეთი გამოდის. პროგრესულად მოაზროვნე მწერალთა უმრავლესობა დიმოტიკზე წერს, — მას დიდი გავლენა აქვს კათარეუსაზეც, რომელიც დღითი დღე თმობს თავის პოზიციებს და დღითი დღე კარგავს მომხრეებს. სახალხო ბერძნული დღეს მაღალი რანგის ლიტერატურული მოვლენაა, რადგანაც მასზე უკვე არსებობს მსოფლიოში აღიარებული მხატვრული ლიტერატურა. ამას გარდა, იგი ლინგვისტური მეცნიერების მიერ მიჩნეულია უმნიშვნელოვანეს წყაროდ არა მხოლოდ მისივე, საუკუნეებში ჩაყარული და ლიტერატურის მიღმა არსებული, ისტორიის აღსადგენად, არამედ ძველი ბერძნულის საფუძვლიანად შესასწავლადაც.

<sup>20</sup> A. Mirambel, La place de la *καθαρεύουσα* dans les lettres néogrecues. თურნალიდან: *Études balkaniques*, 1, Sofia, 1969, გვ. 57.

<sup>21</sup> იქვე.



## გ ი ო რ გ ი შ ა ყ უ ლ ა შ ვ ი ლ ი

### ს ა ი ა თ ნ ო ვ ა ს კ ა რ თ უ ლ ლ ე მ ს თ ა ო რ ი ს ტ რ ო ფ ის ბ ა ნ მ ა რ ტ ბ ი ს ი ა თ ვ ის

საიათნოვა საქმოდ პოპულარული აშუღია საქართველოში, მაგრამ მისი პოეტური მემკვიდრეობის კრიტიკული და ტექსტოლოგიურად სრულყოფილი გამოცემა წერ კიდევ არ არსებობს. ავტოგრაფების უქონლობა, აღმოჩენილი ლექსიკის სიჭარბე, დიალექტური ფორმები თუ დამახინჯებულ-წარყვნილი ჩანაწერები კმნიან შესამჩნევ სიმწვანეებს. თუმცა საქმად მუშაობა გასწეის ამ მიმართებით ქართველმა მეცნიერებმა: ი. გრიშაშვილმა, გ. ლეონიძემ, ალ. ბარამიძემ, ი. მეგრელიძემ, შ. ჩიქოვანმა, შ. თოდუამ, მაგრამ «გასაყვებელი კიდევ ბევრია»<sup>1</sup>, „მომავალში უნდა გამოიცეს საიათნოვას ლექსების ყველა ვარიანტი და ხელნაწერებით შემონახული ყველა კომენტარი, უწინარეს ყოვლისა იქან სეიდოვის შენიშვნები»<sup>2</sup>. ეს ყოველივე იმიტომაც არის საჭირო, რომ აშუღის ქართულ ლექსებს თავის დროზე „უქუტარა გაკურა“ მისმა პირველმა გამოცემელმა ი. გრიშაშვილმა და „ზედმეტი ხორკლები მოაილა“, თუმცაღა არ მიუთითებია, რას ემყარებოდა.

იმიტომ, ყოველი შენიშვნა თუ მცირე ტექსტოლოგიური ექსკურსი, რომლებიც საიათნოვას ლექსებს შეეხება, უთუოდ მნიშვნელობის მქონეა აშუღის პოეტური მემკვიდრეობის შემდგომი გამოცემისათვის. ეიძლევიოთ საიათნოვას ქართულ ლექსთა ორი სტროფის გაგების ცდას.

თიხის ჭამი არ გახდებდა ჩინათა,  
მუხის ქერქი კიდევ — დარიჩინათა.  
საიათნოვა შეინახე ჩინათა<sup>3</sup> და სხვ.

მესამე სტრიქონის სიტყვა „ჩინი“ გასაგებია, ნიშნავს თვალის გუგას, აზრიც ნათე-

ლია, საიათნოვას თვალის ჩინივით მოუარე, გაუფრთხილდით. პირველი სტრიქონის „ჩინი“ კი არცთუ მთლად გასაგებია. საიათნოვას ლექსთა როგორც პირველ (1918), ისე მეორე (1963) გამოცემის ლექსიკონში იგი განმარტებულია, როგორც მოზრდილი სასმისი, ორთომელის მსგავსი სასმისი. ამ შემთხვევაში სტროფის გაგება ასეთი უნდა იყოს: თიხის ჭამი ვერ იქცევა დიდ სასმისად, ისევე, როგორც მუხის ქერქი — დარიჩინად და სხვ. ასეთი კონტრასტები აშუღლური პოეტური მეტრეელებისთვის მეტად დამახასიათებელი და ბუნებრივია. მოტანილი სტრიქონის შეპირპირება კი ზემოაღნიშნული სალექსიკონო განმარტებით ბუნდოვანია. შეპირისპირება თუ ზომის მიხედვითაა, მაშინ თიხის ჭამის ზომა საზოგადოდ განა განსაზღვრულია? თიხის ჭამა შეიძლება იყოს დიდიც და პატარაც.

ჩვენი აზრით, აქ პოეტური კონტრასტები აგებულია არა საგანთა ზომის მიხედვით, არამედ თვისების მიხედვით. სიტყვა „ჩინი“ ნიშნავს არა „დიდ სასმისს“, არამედ „ჩინურს“, „საუცხოოს“, „ჩინურ ფაიფურს“, „ძვირფას ფაიფურს“, „ემალირებულ ჭურჭელს“. სიტყვა ეტიმოლოგიურად სპარსულია چين [ჩინ] — ნიშნავს „ჩინეთს“, ხოლო 瓷 [ცი] მორფოლოგიურად ნიშანი არსებითიდან ზედსართავი სახელის მაწარმოებელი აფიქსისა, აწარმოებს ეთნურ სახელწოდებებს, წარმოშედობას და სხვ.

شیراز [შირაზ] — შირაზი — شیرازی [შირაზი] — შირაზელი, შირაზელი<sup>4</sup>, ანალოგიურია

چين [ჩინ] — ჩინეთი → 瓷器 [ჩინი] — ჩინელი, ჩინური.

<sup>1</sup> შ. თოდუა, საიათნოვას ლექსების ახალი გამოცემა, „ესიკარი“, 1964, № 1, გვ. 135.

<sup>2</sup> ალ. ბარამიძე, საიათნოვა — საიათნოვას ქართული ლექსები, თბ., 1963, გვ. 92.

<sup>3</sup> საიათნოვა, ტფილისი, 1918, გვ. 45.

<sup>4</sup> საიათნოვა, ქართული ლექსები, თბ., 1963, გვ. 20.

<sup>5</sup> В. С. Расторгуева, Краткий очерк грамматики персидского языка. Персидско-русский словарь, Москва, 1953, гв. 66).

წარმოდგენილი სიტყვა ზემომოყვანული მნიშვნელობით დამკვიდრებული ყოფილა თუ-რქულენოვან ხალხთა მეტყველებაში, გვხვდება ქართულში<sup>7</sup>. ამ სიტყვას საიათნოვა „სა-უცხოოს“ გაგებით ხმარობს ერთ აზერბაიჯანულ ლექსშიც<sup>8</sup>.

ამგვარი გააზრებით სიტყვა უფრო გასაგებია და სტრიქონსაც მეტ სინათლეს აძლევს: თიხის უბრალო ჭამი ძვირფას, ფაიფურის ქუჩკლად თუ სასმისად ვერ იქცევა ისევე, როგორც მუხის ქერქი ღარიჩინის სურნელს ვერ გამოისცემს და სხვ.

ანალოგიური თვისობრივი შეპირისპირების გამოამხატველად ამ შედარებას ვეთავაზობს საიათნოვა ერთ ლექსშიც:

გოგრა არ გახდება შირაზის მუ-  
შა  
თუ გინდ მალა თახჩაშიაც შაიწყოს<sup>9</sup>.

სიტყვა „ჩინს“ ამგვარი გაგებით ხმარობს ალ. ჭავჭავაძე: „ქეიფი მიინც მოგვივა, გოგრაითა ესვათ თუ ჩინითა“<sup>10</sup>. აქაც იგივე აზრია გატარებული: ქეიფი მიინც ქეიფია, ღვინოს გოგრის სასმისით — უბრალო ხაბირით დაღვე თუ ძვირფასი ფაიფურის სასმისით. ამგვარად, სალექსიკონო მასალაში გატანილი სიტყვა უნდა განმარტებულ იქნეს არა როგორც „დიდი სასმისი“, არამედ როგორც „ფაიფური“, „ჩინური ფაიფური“, „ფაიფურის ქურქელი“, „ფაიფურის სასმისი“.

2. მეორე შენიშვნა ეხება ლექსს „ზოგ-ზოგ კაცი“. ლექსში ლაპარაკია ზოგიერთ უეარვის ადამიანზე, რომელიც აარას მქონე, არა-რას შემძლეა და მაინც იწყნებს ყოველივე საუკეთესოს. უღონო კაცი, ღონიერის ძალას სწუნობს, ჭიბეში ეანგვიანი დანის არ-მქონე — ხორასნულ ხმალს; ზოგიერთი ინდის ხურმასა და რკოს ვერ არჩევს ერთმანეთისა-

გან, თუ ბაღში შეიყვანეთ, მწიფე ბალსაც კი დაიწყნებს:

ზოგი კაცი გარე გლია ავათა,  
სახლში შევა, როსტომ-ხალს დაიწყუ-  
ნებს!<sup>11</sup>

„როსტომ-ხალი“ ლექსიკონში გატანილია ცალ-ცალკე. მ. თოდუას აზრით, იგი ცალ-ცალკე არ უნდა იყოს გატანილ-განმარტებულ, რადგანაც „როსტომ-ხალი“ ნიშნავს ზაალის როსტომს, მასზეა ლაპარაკი<sup>12</sup>.

ამ შემთხვევაში სტრიქონი კონკრეტულ მნიშვნელობას იძენს: გარეთ ავად გდებული კაცი სახლში როსტომ გმირსაც კი არ შეუშნდებო. ერთი რამ კი ბუნდოვნად გვეჩვენება — „ავათ გდებულ“ — აღ რა ეგვლისხმობთ: სისუსტე, დავრდომილობა, თუ ცუდად გდება, უსახლკარობა? ღონიერისა და დავრდომი-ულონო კაცის შესახებ ლაპარაკი ხომ წინა სტროფშიც იყო? თუ „ავათ გდებას“ „უსახლ-კარობად“, „სახლის არქონად“ გავიგებთ, მაშინ „როსტომ-ხალიც“ სხვაგვარ მნიშვნელობას შეიძენს. კონკრეტულად, ხომ არ უნდა იყოს აქ ლაპარაკი „როსტომის ზღაპზე“, „როსტომის დარბაზზე“?

უღონო კაცი ღონიერის ძალს სწუნობს, ეანგვიანი დანის არ მქონე — ხორასნულ ხმალს, გარეთ ავად გდებული უსახლკარო — როსტომ მუდის დიდებულ დარბაზს. ლექსის აზრობრივი მიმდინარეობა აქ უფრო ლოგიკურად მთავრდება.

ასეთი გაგების შესამაგებლად უნდა გაირკვეს როსტომის დარბაზის რაობა და სიტყვის „ხალას“ ხმარების შესაძლებლობა.

პირველის გარკვევა დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს. ქართლის მეფის როსტომის (1632—1659) სასახლე და დარბაზები კარგად არის ცნობილი ქართულ ისტორიოგრაფიაში. მისი მღებარეობაც გარკვეულია<sup>13</sup>. სასახლისა და

<sup>7</sup> Д. А. Магазаник, Турецко-русский словарь, М., 1945; Х. А. Азизбеков, Азербайджанско-русский словарь, Баку, 1940; Л. З. Будагов, Сравнительный словарь турецко-татарских наречий, т. I, СПб, 1869; М. А. Агакаев, Türkçe sözlük, Ankara, 1966.

<sup>8</sup> ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VIII, თბ., 1964.

<sup>9</sup> სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების ხელნაწერთა ფონდი, Н 21, გვ. 24.

<sup>10</sup> საიათნოვა, ქართული ლექსები, თბ., 1963, გვ. 29.

<sup>11</sup> ალ. ჭავჭავაძე, თხზულებანი, თბ., 1940, გვ. 6.

<sup>12</sup> საიათნოვა, ქართული ლექსები, გვ. 25.

<sup>13</sup> მ. თოდუა, დასახ. შრომა, გვ. 136.

<sup>14</sup> თბილისის ხუროთმოძღვრული გზამკვლევი, თბილისი, 1958, გვ. 149—150. П. Иоселиანი, Описание древности города Тифлиса, Тифлис, 1866, გვ. 240.

მისი დიდებული დარბაზის აღწერა დაუტოვე-  
ბია შარდენსაქ<sup>14</sup>.

რაც შეეხება „ზალას“, ქართულ ენაში  
სიტყვა შემოსულია რუსული ენის მეშვეო-  
ბით<sup>15</sup>. რუსულ ენას იგი წასესხები აქვს გერ-  
მანული ენიდან. ფრანგულის ან პოლონურის  
გზით<sup>16</sup>. რუსულ დამწერლობით ლიტერატუ-  
რაში გვხვდება მე-18 საუკუნის დამდგვიდან-  
ვე<sup>17</sup>.

არ არის გამორიცხული, რომ მე-18 საუკუ-  
ნის შუა წლებისთვის ეს სიტყვა საქართველო-  
ში დამკვიდრებულყო, ისევე როგორც ბევრი  
სხვა ლექსიკური ერთეული. ერეკლე მეორეს  
საგარეო პოლიტიკის მეოხებით, როდესაც მე-  
ტად ინტენსიური გახდა რუსეთ-საქართველოს  
ურთიერთობა (საქართველოს სამეფო კარზე  
გახშირდა რუსი დიპლომატების ჩამოსვლა, შე-  
მოდიან რუსი ვაჭრები; რუსეთის სამხედრო  
რაზმები და სხვა), საფიქრებელია, რომ ქარ-  
თულ ენაში პირველ ყოვლისა ფეხს იყიდებს  
რუსული ენის ის ლექსიკური მარაგი, რომე-  
ლიც დაკავშირებულია საკანცელარიო, სამხედ-  
რო, ჩინოვნიკურ თუ სასახლის კარის ცერე-  
მონიალის ცნებებთან. პირველ ყოვლისა, იგი  
დამკვიდრდებოდა სამეფო კარსა და არის-  
ტოკრატულ ფენაში. შეიძლებოდა მოგვეტანა  
რამდენიმე მაგალითი: 1749 წლის საბუთი —

„კოლევსკი ასესორი ზასედატელი თი<sup>18</sup>... 1788  
წელი — ფარჩის ნუსხა მანუჩარ თემანიშვი-  
ლისა: „სტოლის თეთრი სუფრა“, „პრელი ტი-  
ლოს კრაოტის მიჩაგდანი“<sup>19</sup>. 1792 წელი:  
„ფოდნოსი ყვითელი დიდი“, „ყუთით სტაქ-  
ნები“<sup>20</sup>; 1792 წელი: „დობტური“<sup>21</sup>. 1798 წე-  
ლი — დედოფალი დარეჯანი წერს გუდოვის:  
„...უაზი რომ გამოგვგზავნა ჩვენს მეფეს-  
თან“<sup>22</sup>.

თავისთავად ცხადია, მოხმობილი ლექსიკური  
მასალა დამკვიდრებელი უნდა იყოს გაცილე-  
ბით ადრე, ვიდრე იგი ადგილს ნახავდა მი-  
თითებულ დოკუმენტებში.

ამიტომ არაფერია გასაკვირი, რომ საიფ-  
ნოვას სასახლის კარზე ყოფნისას გავგონოს  
სიტყვა „ზალა“ და შემდეგში ეხმაროს თა-  
ვის ლექსში. ამას გვაფიქრებინებს ლექსის  
შინაარსობრივი აგებულება და ზემოაღნიშნუ-  
ლი სიტყვის ლოგიკური ადგილი სტროფში:

ჯოგი კაციც გარეთ გლია ავათა,  
სახლში შვევა როსტომ-ზალს [როსტო-  
მის დარბაზს] დაიწუნებს.

თუმცა, ისიც უნდა ვთქვათ, რომ ამ აზრს,  
ამ გავებას საეარაულო მნიშვნელობას ვაძ-  
ლეთ.

<sup>14</sup> Путешествие Шардена по Закавказью в 1672—1673 гг., გვ. 206.

<sup>15</sup> ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. IV, თბილისი, 1955.

<sup>16</sup> А. Г. Преображенский, Этимологический словарь русского языка. М., 1958.

<sup>17</sup> Ш. Фасмер, Этимологический словарь русского языка, т. II, 1937.

<sup>18</sup> ნ. ბერძენიშვილი, მ. ბერძენიშვილი, დოკუმენტები თბილისის ისტო-  
რიისთვის (XVI—XIX), წ., I, თბ., 1962, გვ. 217.

<sup>19</sup> ნ. ბერძენიშვილი, მასალები საქ. ეკონომიური ისტორიისთვის, წ. III, თბ.,  
1955, გვ. 233.

<sup>20</sup> იქვე, გვ. 244.

<sup>21</sup> იქვე.

<sup>22</sup> ე. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, ტ. III, ტფილისი, 1910, გვ. 274.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა  
აკადემიის აკადემიკოსმა ს. ჩიჭიამ)

### პ. კეკელიძის მოხსენებითი ბარათი ძველი ქართული ხელნაწერების დაბრუნების შესახებ

საუკუნეთა მანძილზე ჩვენი ქვეყნიდან მრავალი ხელნაწერი და სიძველე იქნა გატანილი ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში. ყველაზე მეტმა ხელნაწერმა და უნიკალურმა ძეგლმა თავი მოიყარა რუსეთის წიგნთსაცავებში და მუზეუმებში. ეს გამოწვეული იყო რუსეთ-საქართველოს სიახლოვით და ისტორიული სვე-ბედით.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ერთი წლის თავზე, 1922 წელს, საქართველოს საბჭოთა მთავრობამ რსფსრ მთავრობის წინაშე დააყენა საკითხი და აღძრა შუამდგომლობა, რომ რუსეთის წიგნთსაცავებში არსებული ქართული ხელნაწერები დაბრუნებოდა მის კანონიერ მემკატრონეს.

1922 წლის ივლისში რსფსრ მთავრობამ მიიღო დადგენილება, რომ საქართველოს სსრ დაბრუნებოდა რუსეთში არსებული ქართული ხელნაწერები. შეიქმნა სათანადო კომისია როგორც რუსეთის, ისე საქართველოს მხრიდან. მიუხედავად ამისა, საქმე მაინც გაჭიანურდა. გაჭიანურდა იმიტომ, რომ ზოგიერთი რუსი მეცნიერი სასტიკი წინააღმდეგი იყო, რათა რუსეთის სიძველეთსაცავებიდან გამოეტანათ და საქართველოსათვის დაებრუნებინათ მისი კუთვნილი ხელნაწერები.

1922 წლის ოქტომბერში რსფსრ მთავრობამ გასცა ახალი განკარგულება იმის თაობაზე, რომ დაუყოვნებლივ დაბრუნებოდა საქართველოს რუსეთში სხვადასხვა დროს გატანილი სიძველენი. როგორც გაზეთი „მუშა“ (11.IX.23) გვაუწყებს, იმ დროისათვის რუსეთის სიძველეთსაცავებში აღრიცხული ყოფილა 700-ზე მეტი ქართული ხელნაწერი.

1923 წლის იანვარში საქართველოდან პეტროგრადში და მოსკოვში გაემგზავრა კომისია, რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ: პროფ. კორნელი კეკელიძე, პროფ. აკაკი შანიძე და ისტორიკოსი სარგის კაკაბაძე.

კომისიის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ მოგვითხრობს პროფ. კ. კეკელიძის ქვემოთ მოყვანილი მოხსენებითი ბარათი (ავტოგრაფი ინახება საქართველოს ცენტრალურ ისტორიულ არქივში და იგი დღემდე უცნობი იყო).

კომისიის მიერ გაწეულ დიდ საქმეზე 1923 წელს გაზეთი „მუშა“, ხოლო შემდეგ გაზეთი „ტრიბუნა“ წერდნენ: „საქართველოში მისი სიძველეების დაბრუნება ხელს შეუწყობს რუსეთისა და საქართველოს მეცნიერების დაახლოებას საქართველოს ისტორიის შესწავლის საქმეში“.

## სამეცნიერო საბჭოს

საქართველოს სიძველეთა დამაზღვრებელი კომისიის წევრის პროფ. კ. კეკელიძის

## მონახეობა

1922 წლის 23 დეკემბერს, განათლების კომისარიატისა და სამეცნიერო საბჭოს წინადადებით, მე გაემგზავრე მოსკოვს, როგორც წევრი იმ კომისიისა, რომელსაც დაეალებული ჰქონდა საქართველოში მისი ისტორიულ-არქეოლოგიურ სიძველეების დაბრუნების საკითხის მოგვარება. ერთი კვირით ადრე გაემგზავრენ ამ მიზნით პროფესორი აკ. შანიძე და ს. კაკაბაძე. ჩემი ჩასვლის შემდეგ ს. კაკაბაძე გაემგზავრა ჩრდილო კავკასიაში იმ არქივების გადმოსატანად, რომელნიც 1914 წელს იქნენ გატანილი საქართველოდან მსოფლიო ომიანობის გამო, ხოლო მე და აკ. შანიძე დაერჩით მოსკოვში საკუთრივ ისტორიულ-არქეოლოგიურ სიძველეთა შესახებ საგანგებოდ დანიშნულ კომისიის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად. კომისია შესდგებოდა სამი წევრისაგან: ერთი იყო რუსეთის წარმომადგენელი, განათლების კომისარი ამხანაგი პროფ. მ. პოკროვსკი, მეორე — საქართველოს წარმომადგენელი, აკადემიურ საქმეებში რწმუნებული საქართველოსა, დამიანე ჯგუშია და მესამე — აღმოსავლეთის ასოციაციის თავმჯდომარე პავლოვიჩი. ამ კომისიაში ექსპერტებად მოწვეულნი იყვნენ: რუსეთის მხრივ აკადემიკოსი ს. ოლდენბურგი და პეტროგრაძის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი ა. გენკო, ხოლო საქართველოს მხრივ — ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები: მე და აკ. შანიძე. გადმოსატან სიძველეთა შესახებ სამეცნიერო ექსპერტიზას თავისი აზრი უნდა გამოეთქვა, ხოლო დასკვნა და გადაჭრა საკითხისა კომისიის საქმე იყო.

კომისიის მუშაობა დაიწყო 1923 წლის 8 იანვარს, როდესაც პეტროგრაძიდან მოსკოვს ჩამოვიდნენ რუსი ექსპერტები. პირველს სხლომაზე მათ წერილობით განაცხადეს, რომ ისინი პრინციპიალურად მოწინააღმდეგენი არიან საქართველოში ქართულ სიძველეთა დაბრუნებისა, ვინაიდან ეს უღრის რუსეთის სამეცნიერო დაწესებულებათა განადგურებას და, თუ მაინც და მაინც აუცილებელია ამ საკითხის გარშემო ბჭობა და კამათი, ეს გადაიღოს მანამდის, სანამ სახლგარეგანეთიდან დაბრუნდება აკადემიკოსი ნიკო მარი, ერთადერთი მთელს რუსეთში ავტორიტეტი ამ საკითხშიო. ამაზე ჩვენ, ქართველმა ექსპერტებმა, განვაცხადეთ, რომ პრინციპიალურად ეს საკითხი უკვე გადაწყვეტილია რუსეთისა და საქართველოს მთავრობათა მიერ, მაშასადამე — ჩვენ არც გვეკითხება ვინმე ამის შესახებ. რაც შეეხება განცხადების მეორე ნახევარს, საკვირველია შემდეგი ფაქტობა: ამდენხანს და ახლაც რუსი მეცნიერები ეწინააღმდეგებიან საქართველოში მისი სიძველეების დაბრუნებას, სხვათა შორის, იმიტომ, რომ ამ სიძველეებს რუსეთში მთელი რიგი მეცნიერებისა სწავლობს: სად არის ეს მთელი რიგი მეცნიერებისა, თუ მხოლოდ ერთად ერთი მარი ყოფილა ამ საქმეში ჩახედული? კომისიაც ჩვენს აზრს მიემხრო და გადასწყვიტეს მუშაობას შევედგეთ ესლავე.

პირველად ყოელისა მათ (ექსპერტებმა) მოისურვეს გაეთვალისწინებინათ, თუ რა მდგომარეობაშია ქართველოლოგია ტფილისში და პეტროგრაძეში. გამოიჩქვა, რომ პეტროგრაძეში ქართველოლოგიაში მუშაობს დღეს დღეობით მხოლოდ ნ. მარი, ისიც იმდენად, რამდენადაც ქართველოლოგია შეადგენს ნაწილს მისი სპეციალური კვლევა-ძიების საგნის — იაფეტულოლოგიისას. ეხ-

მარებიან მას ა. გენკო და კ. დონდუა, რომელთაც როგორც ახალგაზრდათ, ჯერ არაფერი დაუმტკიცებიათ და გამოუჩენიათ თავიანთი მომზადება ამ დარგში. უნივერსიტეტში მსმენელები პროფ. ნ. მარს უკვე აღარა ჰყავს. რაც შეეხება ტფილისს, აქ სახელმწიფო უნივერსიტეტში წარმოდგენილია შესაფერი სპეციალისტებით მთელი რიგი ქართველოლოგიური კათედრებისა, რომელთაც minimum 500-მდე მსმენელი ჰყავთ. ამის შემდეგ კომისია საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ქართველოლოგიის ნამდვილ ცენტრად დღეს დღეობით უნდა ჩაითვალოს ტფილისი და ეს გარემოება უფრო ავსებს და ასაბუთებს პრინციპიალურ გადაწყვეტილებას ქართული ძეგლების დაბრუნების შესახებ.

შემდეგ გაიმართა კამათი რამდენიმე ძირითადი საკითხების შესახებ:

1) რა ძეგლები უნდა დაუბრუნდეს საქართველოს,

ა) ისინი, რომელნიც იქიდან გაუტანიათ რუსეთთან შეერთების შემდეგ თუ მინამდინაც (Sic),

ბ) ისინიც, რომელნიც ნაყიდნი და შეწირულნი არიან, თუ მარტო აღმინისტრაციულად გატანილნი.

გ) მარტო „ქართული წარმოშობის“ ძეგლები, ე. ი. რომელნიც საქართველოში არიან დამზადებულნი და საქართველოდან გატანილნი, თუ ისეთებიც, რომელნიც არა საქართველოდანაც შემოსულან რუსეთში სხვადასხვა გზითა და საშუალებით.

რუსი ექსპერტების აზრით შესაძლებელი იქნება დაბრუნება მხოლოდ იმ ძეგლებისა, რომელნიც რუსეთთან შეერთების შემდეგ არიან გატანილნი აღმინისტრაციული წესით და ისიც იმისთანების, რომელნიც საქართველოში არიან დამზადებულნი. ქართველი ექსპერტების მტკიცებით, ვინაიდან საკითხის გადაჭრისას უნდა ვხელმძღვანელობდეთ უმთავრესად მეცნიერული მოსაზრებით,— რამდენად მიზანშეწონილია ძეგლების გადატანა მათი მეცნიერულად შესწავლისათვის და არა იმით, აღმინისტრაციულად გატანილია ის თუ ნაყიდა (ეს მთავრობათა შეთანხმების საქმეა), ან საიდანაა ისინი გატანილი, დაბრუნებული უნდა იქნეს ყველა ლიტერატურული ან მატერიალური ძეგლები, გარდა თითო ცალის დუბლიკატებისა, იმისდა მიუხედავად—როდის, რა გზით, ან საიდან გაუტანიათ ისინი რუსეთში. კერძოდ იმ ძეგლთა შესახებ, რომელნიც საქართველოს საზღვარგარეთული მონასტრებიდან გაუტანიათ რუსეთში, ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ამ ძეგლებს ისე უნდა ვუპურებდეთ, როგორც საქართველოდან გატანილს, ვინაიდან ქართული მონასტრები საზღვარგარეთ იყენენ შეუვალნი და ექსტერიორიალურნი, მათი ქონება ამიტომ ნამდვილ საქართველოს ქონებასა და საკუთრებას შეადგენენ. აღნიშნულ საკითხების გამო კომისიაში გაიმარჯვა ქართველ ექსპერტების შეხედულებამ და აზრმა.

2) რა ძეგლები უნდა ჩაითვალოს „უნიკალური“ ხასიათის ძეგლებად, რომელნიც, თანახმად კომისიაში წინასწარ მიღებული გადაწყვეტილებისა (ოქმი 1922 წლის 10 ოქტომბრის თათბირისა), პირველ რიგში უნდა იქნენ დაბრუნებულნი საქართველოში? ხანგრძლივი კამათისა და აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ ამ საკითხში შევეთანხმდით ისე, რომ „უნიკუმებად“ უნდა ვიგულისხმოთ ისეთი ძეგლები, რომელნიც ერთ ცალად არიან ცნობილნი, როგორც რუსეთში, ისე საქართველოში, ან ისეთები, რომელნიც ცნობილი ძეგლების ლეფექტებს ავსებენ.

3) კომისიაში წინასწარ იყო გადაწყვეტილი, რომ ის ძეგლები, რომელნიც რუს მეცნიერთა კვლევა-ძიების საგანს შეადგენენ, შეიძლება დროებით დატოვებულ იქნეს რუსეთში, ექსპერტიზას უნდა გამოეთქვა აზრი, რამდენი ძეგლი და რამდენი ხნით შეიძლება დატოვებულ იქნესო. რუსი ექსპერტების აზრით და მოთხოვნისგან უნდა დატოვებულიყო როგორც ის ძეგლები, რომელნიც მათი კვლევა-ძიების პირდაპირ უშუალო საგანს შეადგენენ, ისე ისეთებიც, რომელთაც დამხმარე მნიშვნელობა აქვთ მათთვის, და უნდა დატოვებული ყოფილიყო დროს განუსაზღვრელად, სანამ ასეთი კვლევა-ძიება არ დამთავრდებოდა. ამაზე ჩვენ შევნიშნეთ, რომ რუს მეცნიერებს არ სურთ ჩვენ რაიმე ძეგლი დაგვიბრუნდეს, ვინაიდან ძეგლების სპეციალურად კლასიფიკაციისას აღმოჩნდება, რომ ყველა მათ ერთი მეორესთან რაიმე კავშირი და დაშორებულობა აქვთ, და თან მათი შესწავლა და კვლევა-ძიება შეიძლება დაუსრულებლად იქნეს განგრძობილი. ამიტომ მათი შეხედულება მიუღებლად უნდა იქნეს ჩათვლილი. შესაძლებლად მივიჩნიეთ დატოვებული ყოფილიყო მხოლოდ ის ძეგლები, რომელთაც მხოლოდ ამჟამად სწავლობს და იკვლევს ესა თუ ის მეცნიერი, თან გარკვეული ვადით, არა უმეტეს ექვსი თვისა, და თუ ვინცობა ამ ხნის განმავლობაში მუშაობა ვერ დამთავრდება, მეცნიერს შეუძლია შუამდგომლობა აღძრას ვადის გაგრძელების შესახებ იმ დაწესებულების წინაშე, რომელსაც დაბრუნებული ძეგლები გადაეცემა საქართველოში დასაცავად. კომისია საერთო ჩვენი შეხედულებას მიემხრო.

ზემო მოყვანილი კამათი პეტროგრადიდან ჩამოსულ ექსპერტებთან ეხებოდა უმთავრესად პეტროგრადში არსებულ ორ წიგნთსაცავს, ბატონიშვილის თეიმურაზისას (სააზიო მუზეუმში) და უგანათლებულესი თავადის იოანესას (საჯარო წიგნთსაცავში).

როდესაც ამნაირად, პეტროგრადში დაცულ ქართულ სიძველეთა შესახებ ბჭობას მოვრჩით, რამაც ერთ კვირაზე მეტს ვასტანა, შევუდექით მოსკოვის საგანძურებში არსებული სიძველეების გამორკვევას, კერძოდ იარაღთა პალატაში, საისტორიო მუზეუმში და რუმინანცევის მუზეუმში. მიუხედავად იმისა, რომ ამ სიძველეთა დაბრუნება 1922 წლის 10 ოქტომბრის დადგენილებით, უკამათოდ უნდა მომხდარიყო, აღნიშნულმა დაწესებულებებმაც სასტიკი წინააღმდეგობა გაგვიწიეს, რის გამო მათ სამეცნიერო საბჭოსთან ერთად მოგვიხდა მთელ რიგ სხდომებზე პრინციპიალურის და დეტალური საკითხების გარკვევა.

ბოლოს და ბოლოს იმათთანაც შევთანხმდით ისე, რომ დაუტოვებდით მათ მხოლოდ დუბლიკატების თითო ცალს, თუ ასეთი დუბლიკატები აღმოჩნდებოდა მათ მიერ დაცულს სიძველეებში.

ასე დამთავრდა ჩვენი ექსპერტული მუშაობა სრულუფლებიან კომისიაში. საქმე დაბოლოვდა, უცილობლივ, ჩვენდა სასარგებლოდ და სასურველად, დაგვრჩა ესა მხოლოდ რეალიზაცია, ესე იგი ტექნიკური განხორციელება ჩვენი დადგენილებისა და შეთანხმებისა. ესე იგი მიღებულ პრინციპებისდა მიხედვით გადარჩევა ყველა სიძველეთა, მათი გამოტანა ამა თუ იმ დაწესებულებიდან, ყუთებში ჩალაგება და წამოღება. ყველაფერი ეს იკისრა პროფ. ჰაკაი შანიძემ, რომელიც ამ მიზნით დარჩა კიდევ რუსეთში, ხოლო მე უკან დაებრუნდი, ვინაიდან ჩემი მისია შესრულებულად ჩაეთვალა.

რეცენზიები და გამომხატვებანი

«Современный татарский литературный язык»

Москва, «Наука», 1969, стр. 5—390

Тюркологическая литература из года в год обогащается исследованиями, посвященными описаниям строя того или другого современного тюркского языка. Выполнение такой работы является необходимой для определения соотношений, существующих между элементами языка, а так же для выявления механизма языка.

В числе таких исследований можно назвать труд авторского коллектива — Бургановой Н. Б., Закиева М. З., Х. Р. Курбатова, Л. М. Латипова, Л. Т. Махмутовой, К. С. Сабирова, М. А. Сагитова, Д. Г. Тумашевой, В. Х. Хакова, Ф. Ю. Юсупова «Современный татарский литературный язык».

В рецензируемой работе представлены следующие разделы: лексикология, фонетика, орфоэпия, графика и орфография, морфология.

Читатель, ознакомившись с данной работой, удостоверится в том, что его авторами проделана огромная и плодотворная работа. Книга содержит богатую информацию о состоянии разных уровней языка. Для этого авторами учтены опыт исследования татарского языка, накопленный за всю историю его научного изучения, а так же, работы, посвященные исследованию других тюркских языков.

Изложение состояния современного татарского литературного языка в данной работе начинается с лексики. Эта сторона языка рассмотрена здесь довольно подробно. Дана характеристика всех основных слов лексического состава языка, а так же фразеологий.

Сравнительно мало места отведено фонетике. Характеристика звуков носит традиционный характер и не выходит за пределы изложения их физических (акустических и артикуляционных) данных. А между тем, на современном этапе развития советского языкознания фонология является ведущим методом познания звукового состава языка и функциональная характеристика звуков татарского языка могла дать много интересного и нового о ее звуковой системе. Более глубокой разработке этого вопроса могли бы послужить и данные орфоэпии, которой посвящена следующая глава рецензируемой работы и данные глав о графике и орфографии.

Основное место в работе занимает морфология. Изложение морфологии начинается характеристикой имени существительного и его категорий. К сожалению, надо отметить, что при выделении категорий числа и принадлежности смешиваются разные уровни языка. Так, например, излагая состояние категории числа говорится, что «как и в других тюркских языках, категория числа в татарском языке может выражаться двумя способами: морфологическим и синтаксическим» (стр. 131): ат-лар «лошади» и биш ат «пять лошадей» по словам автора являются способами выражения множественного числа. То же самое относится и к выражению принадлежности. Более того, здесь выделены



сразу три способа: а) морфологический — эш-ем «моя работа», б) морфолого-синтаксический — мин-см эш-ем «моя работа» и в) синтаксический — мин-ем эш (стр. 133—137).

Подобные утверждения дают основание полагать, что авторы данного раздела книги имеют несколько иной взгляд на морфологию и синтаксис. На наш взгляд биш а т, мин ем эш ничего общего не имеют с выражением морфологической категории числа и принадлежности и тем более к синтаксическому способу выражения морфологической категории. Синтаксически все эти примеры являются определением и определительным. Морфологически биш и а т именя в форме единственного числа неопределенного падежа. Мин ем — личное местоимение единственного числа в родительном падеже. Эш-ем имя с суфф. принадл. I лица единств. числа в неопределенном падеже. Эш же в третьем примере, имя в форме единственного числа неопределенного падежа.

О своеобразном взгляде авторов этого раздела о морфологии и синтаксисе говорит и тот факт, что в разделе морфологии они находят возможным говорить об основных значениях падежей в предложении. Между тем, авторам хорошо известно, что изложение значения падежей в предложении это вопрос синтаксиса и рассматривать их в разделе морфологии не может быть оправдано.

Сюда же относятся такие способы словообразования, какими являются синтаксическо-морфологический (стр. 152), лексико-синтаксическо-морфологический (стр. 158), синтаксический (стр. 170, 172) и морфолого-синтаксический (стр. 170, 172).

Дальше излагается структура татарского глагола. Предлагая общую характеристику глагола, ее авторы отмечают, что наряду с категориями (залог, аспект, склонение, время, лицо и почему-то в скобках число) татарский глагол характеризуется способами передачи характера протекания действия и ее модальных оттенков (стр. 210).

Из подобного изложения следует, что ее авторы противопоставляют друг другу категорию и способ. Однако это противопоставление теоретически никак не обосновано и следовательно не понятно, что здесь имеется в виду — в чем состоит разница между категорией и способом?

Однако дело этим не ограничивается. Возьмем, хотя бы залог.

Определяя залог как отношение действия к грамматическому субъекту и выделяя пять залогов — основной, возвратный, страдательный, взаимно-совместный, пунудительный, — авторы, естественно, должны отдавать себе отчет в том, что следует определить отношение действия к субъекту для каждого залога в отдельности. Пяти залогам должны соответствовать пять различных отношений между действием и грамматическим субъектом. Как обстоит дело с этой точки зрения?

Основной залог определяется следующим образом: «Основной залог выражает действие, производимое самим грамматическим субъектом и имеет пулевой показатель. Глаголы основного залога могут быть переходными и непереходными (стр. 210).

Как видим уже из первого же частного определения исчезает упоминание на отношения  $D^1$  и  $C^2$ . Это упущение усугубляется еще и тем, что «Глаголы  $OZ^3$  могут быть и переходными и непереходными». Однако если учесть, что по словам тех же авторов залог это отношение  $D$  к  $C$  и то, что эти отношения в переходных и непереходных глаголах совершенно разные, то станет ясно, что переходные и непереходные глаголы не могут относиться к одному и тому же залогу.

<sup>1</sup> Действие, <sup>2</sup> Субъект, <sup>3</sup> Основной залог.

Дальше. ВЗ<sup>4</sup> выражает Д, совершаемое данным С для себя или направленное на самого себя (стр. 211). В данном определении, взятом вне отношения к другим залогам, вроде бы все на месте.

Теперь обратимся к СЗ<sup>5</sup>. Он выражает Д, которому подвергается С со стороны Об-а<sup>6</sup>. В данном определении отсутствует указание на отношение между Д и С. Более того, авторы вводят некий Об., который не предусматривался определением залога.

В-С<sup>7</sup> залог выражает Д, совершаемое взаимно или совместно несколькими действующими лицами. В этом определении отношение Д и С заменяется совершением Д взаимно или совместно несколькими действующими лицами, т. е. увеличением количества действующих лиц, что, конечно, не меняет отношение между Д и С.

Т. Н. П<sup>8</sup> выражает действие, которое одно лицо, предмет и т. д. навязывает (заставляет или позволяет совершить) другому лицу или предмету (стр. 215).

И здесь, как видим, нет указания на отношение Д и С, а дается нечто другое, что выходит за пределы залога.

Из вышесказанного следует, что нет никакой необходимости обращаться к фактическому материалу, ибо заранее можно сказать, что определения не будут соответствовать фактам.

В более последовательном подходе нуждается и вопрос о личных показателях. Деление их на группы это вопрос их происхождения. Что же касается их функции в современном языке, то здесь все они являются показателями лица или числа и друг от друга отличаются только распределением.

То же самое относится и к вопросу о временных формах. Дело в том, что, как указывают сами авторы, одни показатели являются деепричастными, другие причастными, а такое положение вещей то и дело наводит на вопрос — каково в таких формах соотношение между «временем» и другими дифференциальными признаками? Какой признак является первичным, а какой вторичным?

Нет, на наш взгляд, основания придавать столь большое значение т. н. отрицательным формам времен. Дело в том, что например алма ч а км ы н это не отрицательная форма «Будущего II», а наоборот, это форма «Будущего II», образованная от глагола отрицательного аспекта и -ма в данном случае не представляет никакой ценности для понимания этой «временной» формы.

Поскольку в основе «временных» форм лежат причастия, то с точки зрения описания системы татарского глагола целесообразнее было бы изложить «временные» формы после причастий и вообще неличных форм глагола (за исключением деепричастий).

В работе большое место уделено т. н. формам, выражающим модальные значения и т. н. перифрастическим формам. Однако и те и другие, фактически, остаются вне функциональной характеристики, т. е. ни тем ни другим не отведено соответствующее место в структуре татарского глагола.

Отсутствием последовательности объясняется и тот факт, что различным, с точки зрения авторов, деепричастиям приписываются одни и те же значения. Если, например, предшествование выражается деепричастиями -ып и -а, или же одним и тем же -ып выражается и предшествование и одновременность, то не понятно на чем базируется принцип

<sup>4</sup> Возвратный залог, <sup>5</sup> Страдательный залог, <sup>6</sup> Объект, <sup>7</sup> Взаимо-совместный залог.  
<sup>8</sup> Понудительный залог.

определения функции языковой единицы? Или может быть, точку зрения авторов «... следует считать ошибочной, ибо, прежде всего, она основана на преувеличении формальной стороны данного вопроса?» (стр. 141).

Отсутствием строгого подхода к данным языка объясняется и тот факт, что производные и сложные глаголы рассматриваются в самом конце изложения глагольной системы. Между тем соотношения между формальными группами татарского глагола и словообразовательными категориями при простых глаголах, в принципе, ничем не отличаются от соответствующих соотношений при производных и сложных глаголах.

Не лучше обстоит дело и с послелогам. Если послелог это несамостоятельное слово, лишенное реальной семантики, не изменяется и управляет падежами (стр. 313), то вряд ли к такому можно отнести т. п. послелоги-служебные имена, которые имеют материальное значение, категорию принадлежности, склоняются. А то что они выражают пространственные, временные и другие отношения и то, что они так же как и послелоги, употребляются только в сочетании с другими словами, то это признаки второстепенного значения и не определяют их грамматическую природу. То что они соответствуют предлогам или послелогам других языков, это конечно, так же, никакого отношения не имеет к квалификации фактов татарского языка.

Авторам рецензируемой книги хорошо известно, что является объектом морфологии. Тем не менее, в разделе морфологии они рассматривают модальные слова, излагают их смысловую сторону, говорят о их синтаксических функциях и ни словом не заикаются о их морфологической природе, хотя бы для того, чтобы как-то оправдать их рассмотрение в разделе морфологии.

Все сказанное выше еще раз подтверждает необходимость монографического изучения современного состояния каждого отдельного тюркского языка. На примере рецензируемой работы ясно вырисовываются положительные и отрицательные черты той точки зрения, с позиции которой ведется разработка т. н. описательных грамматик современных тюркских языков. Не подлежит сомнению, что в татарском языкознании до сих пор преобладает преимущественное обращение к области плана выражения языка и недостаточно учитывается план содержания. Игнорирование связи между планами выражения и содержания и недооценка плана содержания при рассмотрении соответствующих проблем в области выражения, вот тот основной недостаток, который отрицательно сказывается на составлении описательных грамматик тюркских языков. Определение структурно-функциональных отношений языковых единиц и объяснение механизма этих отношений является обязательным условием изучения грамматического строя языка.

Н. ДЖАНАШИА

## ალექსანდრე გამყრელიძე

გარდაიცვალა ალექსანდრე გალაქტიონის ძე გამყრელიძე, ქართველი მეცნიერი, ლიტერატორი და მთარგმნელი, ადამიანი, რომლის სახელი ცნობილი იყო არა მარტო სპეციალისტთა შორის.

ა. გამყრელიძე დაიბადა 1918 წ. 1038 წ. დაამთავრა საშუალო სკოლა და შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც მან ინგლისური ენისა და ლიტერატურის სპეციალობით დაასრულა. შემდეგ იგი იყო კლასიკური ფილოლოგიის კათედრის ასპირანტი და აკად. ს. უაუხჩიშვილის ხელმძღვანელობით მუშაობდა. 1948 წ. ა. გამყრელიძემ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია.

ოცი წლის განმავლობაში (1948—88) იგი მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტში, შემდეგ კი სიცოცხლის უანასკნელ დღემდე — ხელნაწერთა ინსტიტუტის ლიტერატურის მონადგომელ სამეცნიერო ნაწილში.

ა. გამყრელიძის სამეცნიერო ინტერესების სფეროში შედიოდა, უპირველეს ყოვლისა, ქართული, ლათინური და ბერძნული ლიტერატურული ძეგლების ტექსტოლოგიური და ისტორიული შესწავლა. მან გამოაქვეყნა ბიზანტიელი და რომელიც ავტორების ზოგიერთი შრომა, რომელიც საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვანი საკითხების გახაზუქებლად საინტერესო მასალას იძლევა. მათ შორის შეიძლება დავახსენოთ შემდეგი: „ნიკიფორე კონსტანტინოპოლელის ცნობები ირაკლი კეის-

რის საქართველოში დაშრობის შესახებ“, „გიორგი აკროპოლიტესი და მისი ცნობები საქართველოს შესახებ“ (მასალები საქართველოს

და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 81, 1954), „მეჩქელ პანარტოსის ტრაპიზონის ქრონიკა. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლითა და კომენტარებით“ (მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, 1980, ნაკვ. 88, 1984); „ამიანე შარცველი და მისი ცნობები საქართველოს შესახებ. ლათინური ტექსტი თარგმანით, შესავალი გამოკვლევისა და კომენტარებით“ (გეორგიკა, 1901, ტ. 1), „კომპონიუს მელას ცნობები საქართველოს შესახებ“ (ქართული წყაროთმცოდნეობა, I, 1905). ამ პუბლიკაციებში

ა. გამყრელიძეს ბევრი დამატებითი მონაცემი უზრუნველყოფდა. ა. გამყრელიძის პირველი რიგი ორიგინალის ტექსტის კრიტიკულად დადგენისათვის და მისი სათანადო სამეცნიერო აპარატით გამართვისათვის. მხოლოდ საკუთარი თავისაღმომადგობელი მომთხოვნელობით შეიძლება ახსნას ის ფაქტი, რომ მას გამოუქვეყნებელი დარბაზამდენიმე მსგავსი ნაშრომი, სადაც მოცემული და განაღობებული იყო ლათინური ნაშრომების, გიორგი ფრანსისის, პლინიუს უფროსის, ტაციტუსის, ვალერიუს ფლავუსის, სენეკას, ვირგილიუსის და სხვათა ცნობები საქართველოს შესახებ. ამჟამად იბეჭდება ალ. გამყრელიძის შრომა: „იტალიის ცნობები საქართველოს შესახებ“.

ალ. გამყრელიძის ეკუთვნის აგრეთვე რამდენიმე ნაშრომი, რომლებშიც მოცემულია ქართული საისტორიო წყაროების ამჟამად



გილის ტექსტოლოგიური ანალიზი: „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“-ს ერთი ადგილის წაკითხვისათვის“ (მიმომხილველი, ტ. II, 1951), „თამარის მეორე ისტორიკოსის თხზულების ერთი ადგილის გარკვევისათვის“ (მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 80, 1953), „ყვამთაღმწერლის „ქარისოს“-ს (ქართული წყაროთმცოდნეობა, ტ. III, 1971) და სხვა. ამ ნაშრომებში წარმოდგენილი ტექსტოლოგიური და ისტორიული კონიექტურები, ყოველთვის ზედმიწევნითი სიფრთხილით გამოთქმული, ყველა ხელმისაწვდომ ისტორიულ თუ ლინგვისტურ ფაქტს ითვალისწინებს.

აღ. გამყრელიძე ნაშრომი „ტიტრატოსის საბრძოლო ელემენტები“ კლასიკური ფილოლოგიის სპეციალური საკითხებისადმი მიძღვნილი. ამ შრომაში (რომელიც აღ. გამყრელიძემ ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა) დასაბუთებულია დებულება ძველი ბერძნული ელემენტის მცირეაზიური წარმოშობის შესახებ.

აღ. გამყრელიძე არ ეუთვნოდა იმ მეცნიერთა რიცხვს, რომელთა ინტერესები მხოლოდ თავისი ვიწრო სპეციალობის ჩარჩოებშია შეზღუდული. მას თავდავითუბებით უყვარდა თავისი შრომობიური ქვეყანა, ქართული ენა, ქართული ლიტერატურა, საქართველოს ისტორია; მან არა მარტო დაწვრილებით იცოდა ევლავდერი, რაც საქართველოს შესახებ დაწერილია თუ დაბეჭდილია ძველად — მისი თვალს არ გამოეპატივებოდა არც ერთი ახალი ცნობა ქართული კულტურისა თუ ენის შესახებ, რაგინდ ძნელად მისაწვდომ უცხოურ ეურნალში თუ პერიოდულ გამოცემაში ყოფილიყო იგი დაბეჭდილი. ა. გამყრელიძე ერთ-ერთი პირველი გამოცხადებელი იყო ფაქტს, როგორც იყო იტალიელთა სამეცნიერო ექსპედიციის მიერ პალესტინაში ქართული მონასტრის ნანგრევებისა და შესანიშნავი ქართული წარწერების აღმოჩენა („ახალი ქართველოლოგიური ნაშრომები უცხოეთში“, „ისტორია“, 1958, № 2). იგი გამოცხადებელია აგრეთვე ფარსმან მეფის ლათინური წარწერის აღმოჩენას („ახლად აღმოჩენილი ლათინური წარწერა ფარსმან მეფისა“, „ისტორია“, 1959, № 9). შემთხვევითი არ არის არც ა. გამყრელიძის გამოხატულება პოლემიკაზე, რომელიც ეხებოდა ქართულ ბალეარიათს — საშუალო საუკუნეების ევროპაში კარგად ცნობილი სახულიერო რომანის პირველწყაროს.

აღ. გამყრელიძე კარგად იცნობდა ქართული კულტურის უძვირფასეს განძს — ქართულ ხელნაწერებს. ერთ-ერთი მისი უკანასკნელ ნაშრომი ატარებს სახელწოდებას: „ხელნაწერთა ინსტიტუტი“. ამ პატარა წიგნში, რომელიც ფართო მეოთხეელისათვის იყო გათვალისწინებული, ავტორი მოგვიხსრობს ინსტიტუტის უმდიდრესი ფონდების შესახებ, მისი უწყალო, უძველესი ხელნაწერებისა და ისტორიული დოკუმენტების შესახებ.

აღ. გამყრელიძე მრავალი წლის განმავლობაში ასწავლიდა ბერძნულ და ლათინურ ენებს საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში.

აღ. გამყრელიძემ, გარდა ამისა, ეუთვნის მხატვრული თარგმანებიც. მან ინგლისური ენიდან თარგმნა მრავალი ნაწარმოები, მათ შორის თეოტერის „მაოების ბაზარი“, ფენიმორა კუპერის „უკანასკნელი მოპოიანი“, სტივენსონის „განძის კუნძული“ და „შეიხარა“, ლ. კეროლის „აღისა საოცრებათა ქვეყანაში“ და სხვანი. ვინც აღ. გამყრელიძეს იცნობდა, იცის, რა სიფრთხილითა და პასუხისმგებლობით ეკიდებოდა იგი ამ საქმეს. მას, ქართული ენის შესანიშნავ მცოდნეს, შეეძლო როცა, სამი, ათეული ვარიანტი დაეძებნა ერთი ფრაზისა; მას არ ეშურებოდა დრო სპირო სიტყვის საპოვნელად ძველ ლექსიკონს თუ ხალხური ზღაპრების ჩანაწერებში... ამიტომ არის, რომ აღ. გამყრელიძის თარგმანებში ინგლისური ორიგინალი მოხდენილად და ენაწულიანად მეტყველებს ქართულ ენაზე.

უკანასკნელ ხანებში აღ. გამყრელიძე დიდ მონღოლებითა და გატაცებით მუშაობდა ნაწარმზე, რომელიც განზრახული ჰქონდა წარედგინა ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად. იგი იკვლევდა ფსევდონონეს მიოლოგიურ კომენტარებს გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებებზე. მას დამთავრებული დარჩა ტექსტი უძველესი ხელნაწერების მიხედვით (XI ს.).

წავიდა ჩვენგან კაცი ჩუმი, თავმდაბალი, ბატონისანი, რომელსაც არსად — არც მეცნიერებაში და არც ადამიანებთან პირად ურთიერთობაში — არ მიჩნდა საჭიროდ თავისი შრომისა და თავისი პიროვნების წინ წამოწევა.

აღ. გამყრელიძე მუდამ ემახსოვრება ყველას, ვინც იცნობდა მას — კარგ მეცნიერსა და მართალი გულის კაცს.

მხატვალა შანიძე